

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი  
თადმ გიზეგიაშვილ  
ერქვილან

პავლე რაზიკაშვილის შთამომავლობა  
გენეალოგია და ბიოგრაფიული ცნობები

თბილისი  
2015

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი

თელო ჩაზიაშვილი არქივისან



პავლე რაზიკაშვილის შთამომავლობა  
გენეალოგია და ბიოგრაფიული ცნობები

თბილისი  
2015

821.353.1.092 [რაზიკაშვილი თედო]+929.5(479.22)  
ნ-402

მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თედო რაზიკაშვილისადმი გაგზავნილი წერილები ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შეიძინა 1937 წელს, სოლომონ ყუბანეიშვილის მცდელობით. იმავე წელს მეცნიერ-მა გამოაქვეყნა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ეპისტოლარული მემკვიდრეობის ნაწილი.

წარმოდგენილი წიგნი შეადგინა ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილის შთამომავალმა. ნაშრომი, რომელიც სრულად ასახავს აღნიშნულ საარქივო მასალას, ნათელს ჰქონის თედო რაზიკაშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს; წარმოაჩენს მწერლის საქმიან დამოკიდებულებას რედაქტორ-გამომცემლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან; ავლენს ოჯახის წევრთა გამორჩეულ ურთიერთ-დამოკიდებულებას. წერილები მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანია ვაჟა-ფშაველას, თედო და ნიკო რაზიკაშვილების ცხოვრება-შემოქმედების მკვლევართათვის; საინტერესოა ქართული კულტურისა და ისტორიის საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

წიგნს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სქენს დანართი – პავლე რაზიკაშვილის შთამომავლობა, გენეალოგია და ბიოგრაფიული ცნობები.

**შემდგენელი: მანანა სამაშვილი**

**რედაქტორი: ლელა რაზიკაშვილი**

ISBN 978-9941-0-7958-0

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## წინასიტყვაობა

„ოჯახში ზოგი ერისთვის იპადება, ზოგი თავისთვის.  
როცა პავლეს ოჯახს გონიერის თვალით გადავხედავთ,  
დავრწმუნდებით, რომ ამ დიდ ოჯახში ერისთვის,  
სახალხო საქმისთვის დაბადებულნი სჭარბობდნენ“

### გიორგი შატბერაშვილი

ვაჟა-ფშაველას წინაპრებისა და ოჯახის წევრთა შესახებ ჩვენი საზოგადოებისთვის ბევრი რამაა ცნობილი: ვიცით, რომ რაზიკაშვილების გვარმა ჩვენს სამშობლოს სამი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აღუზარდა. ექვსი დედმამიშვილიდან სამ ძმას ღვთით ნაბოძები ნიჭი აღმოაჩნდა. მათგან ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებული იყო, თუმცა სიცოცხლეში სათანადო დაფასება მაინც არ ლირსებია. მისი ძმები თედო და ნიკო, სამწუხაროდ, თავიდანვე მოექცნენ ვაჟას ნიჭის ჩრდილში. ეს რომ არა, ვაჟას ძმების საინტერესო პოეტური ხედვით, ჭეშმარიტი მამულიშვილური გრძნობებითა და ჰუმანიზმით გამთბარი შემოქმედების მიმართ საზოგადოების მხრიდან მეტი ინტერესი უნდა გამომუდავნებულიყო. ახლაც, ათეული წლების შემდეგ, როდესაც დრომ ყველას მიუჩინა თავისი კუთვნილი ადგილი, ვრწმუნდებით, რომ ბაჩანას პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ პოეზიასა და თედო რაზიკაშვილის მშვენიერ მოთხრობებს არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. და მაინც, კვლავ არსებობს უკმარისობის გრძნობა, თითქოს ბაჩანასა და თედოს ნაწერებს აკლიათ პოპულარობა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ქართველი ბავშვების უმრავლესობამ, მშობლებმა და, შესაძლოა, ქართული ლიტერატურის პედაგოგებმაც არ იციან თედო რაზიკაშვილის საბავშვო თხზულებების ფასი: ამ მოთხრობებს აქვთ გმირების თანაგრძნობის გზით მოზარდის სულში სიკეთის გაღვივებისა და ზნეობრივი განწმენდის უნარი, რაც ასე სჭირდება ჩვენს ახალგაზრდობას.

ქართული მწერლობის ჭეშმარიტი დამფასებლების, გულშემატკივრების, მკვლევარებისა და პედაგოგებისთვის საინტერესო იქნება რაზიკაშვილების არქივებში დაცული ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელშიც თვალნათლივ ჩანს

ძმების ინდივიდუალური ბუნება, მათი სამომავლო გეგმები, მოქალაქეობრივი პოზიცია, შემოქმედებითი წარმატებებით გამოწვეული სიხარული თუ უკმარისობის გრძნობა, ოცნება, იუმორი და ულმობელ ცხოვრებასთან ჭიდილით მოგვრილი უკიდეგანო სევდა... რაზიკაშვილების საარქივო მასალები, სამწუხაროდ, გაფანტულია. მათი დიდი ნაწილი დაცულია ლიტერატურის მუზეუმში, ნაწილი კი – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სახელმწიფო არქივსა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

სოლომონ ყუბანეიშვილის ცნობით, თედო რაზიკაშვილის არქივში თავდაპირველად თავმოყრილი ყოფილა ქართველ მოღვაწეთა ორასზე მეტი წერილი, პავლე რაზიკაშვილის ავტობიოგრაფიული მოთხრობის ნაწყვეტი და მისი რამდენიმე ლექსი. 1937 წელს, მეცნიერის რჩევით, განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე 129 წერილი ეთერ რაზიკაშვილისაგან შეიძინა სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ (დღეს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა). ამ წერილების დიდი ნაწილი, - 77 ერთეული, ყუბანეიშვილმა გამოაქვეყნა საჯარო ბიბლიოთეკის შრომებში (საქ. სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლ. შრომები, წ. 3., ტფ., სახ. გამომცემლობა, 1937), რამდენიმე წერილი და პავლე რაზიკაშვილის ავტობიოგრაფიული მოთხრობა კი შეიტანა თავის ცნობილ წიგნში – „ვაჟა-ფშაველა. დოკუმენტები და მასალები“ (თბ., სახელგამი, 1937).

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ინახება თედო რაზიკაშვილისადმი გაგზავნილი 23 სხვა გამოუქვეყნებელი წერილი. ამ ხელნაწერებიდან, ჩვენი აზრით, მხოლოდ რამდენიმე მათგანი იმსახურებს საგანგებო ყურადღებას (იხ. გიორგი მჭედლურის, ილიკო იორამაშვილის, ასიკო ერისთავისა და ივანე ელიაშვილის წერილები).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცული თედოს არქივის ეპიტოლარული მემკვიდრეობიდან ვაჟას ორი ხელნაწერი უკვე ცნობილია ჩვენი საზოგადოებისთვის. რაც შეეხება თედო რაზიკაშვილთან ქართველ მოღვაწეთა საქმიანი ურთიერთობის ამსახველ წერილებს, მათი უმეტესობა ჯერ არსად არ დაბეჭდილა. ამ წერილების საშუალებით ვგებულობთ, თუ როგორ შეფასე-

ბას აძლევდნენ თედოს შემოქმედებას უურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემელნი და რამდენად დიდი მოთხოვნა იყო საზოგადოების მხრიდან მის საბავშვო მოთხობებსა და ლექსებზე. ასევე, ეს საუკუნოვანი ხელნაწერები უტყუარი „მოწმეა“ რაზიკაშვილების ოჯახის წევრთა საოცრად თბილი ურთიერთობის, ურთიერთპატივისცემის და მზრუნველი სიყვარულისა.

მწერლის ავტობიოგრაფიიდან ვგებულობთ, რომ ძმების აღზრდასა და პიროვნებად ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულეს მშობლებმა: პავლე რაზიკაშვილმა და ბარბარე ფხიკლეშვილმა. მთის მიყრუებულ სოფელში გაზრდილი პავლე მღვდლის შვილები ყველასგან გამოირჩეოდნენ ფაქიზი ბუნებით, განათლების მიღების წყურვილით, უსამართლობასთან შეურიგებლობის განცდითა და მაღალმოქალაქეობრივი პოზიციით. პავლეს უდიდესი ძალისხმევითა და ხელშეწყობით მისმა ვაჟებმა იმ დროისთვის შესაფერისი განათლება მიიღეს: უფროსმა – გიორგიმ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და ვექილად დაიწყო მუშაობა თიანეთში, ლუკამ, თედომ და ნიკომ კი გორის საოსტატო სემინარიის კურსი წარმატებით დაასრულეს პედაგოგის კვალიფიკაციით. მალე ცხოვრებამ ძმები სხვადასხვა გზას გაუყენა: ვაჟა ჩარგალში დასახლდა და წელიწადში ორ-სამჯერ თუ ეწვეოდა დედაქალაქს თავისი ნაწერების რედაქციებში მისატანად; ბაჩანა მაღაროსკარში, დუშეთში, ბარისახოსა და ვეჯინში მასწავლებლობდა, სოფელში ცხოვრობდა და ვაჟასავით მძიმე გლეხური შრომით ირჩენდა თავს; უმცროსმა ძმამ სანდრომ თელავის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თბილისში ფოსტის მოხელედ დაიწყო მუშაობა; ძმების ერთადერთი და მართა ყვარელში იყო გათხოვილი. მისი ვაჟი მიხა ბიძებმა გაზარდეს და მათ გვარს ატარებდა.

1890 წელს თედო რაზიკაშვილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გორის მაზრის სოფელ ხელთუბანში მიავლინა მასწავლებლად, სადაც იგი სოფლის პატარა სკოლაში ოთხი კლასის ბავშვებს გაკვეთილებს ერთდროულად უტარებდა. პავლეს შვილებს არ აკლდათ შრომისმოყვარეობა, მაგრამ ძმებს შორის თედომ განსაკუთრებული მიზანდასახულობა გამოიჩინა. დედ-მამის სიკვდილის შემდეგ ის არ დაეთანხმა ვაჟას თხოვნას – დაბ-

რუნებოდა მშობლიურ სოფელს. თედოს იმდენად მოსწონდა მასწავლებლის საინტერესო პროფესია, რომ მას ასე ადვილად ვერ შეელეოდა. ამასთან, თედომ სოფლის მეურნეობასაც მიჰყო ხელი და სანიმუშო ბაღ-ვენახი გააშენა. კიდევ არსებობდა ერთი გარემოება, რომლის გამოც თედო ბარიდან მთაში ვერ დაბრუნდებოდა: იგი აქტიურად ჩაება ხალხოსნურ მოძრაობაში, გულთან მიჰქონდა უბრალო ადამიანთა გასაჭირი, უშურველად ეხმარებოდა და ასწავლიდა ყველას. ასე, რომ თედოს სახლი მოკლე ხანში სიმართლეს მოწყურებული გლეხების შეკრების ადგილად გადაიქცა. მოაძლიერა რა საკუთარი მეურნეობა, მწერალმა საზოგადოებრივ საქმიანობასაც მიჰყო ხელი: დააარსა ბიბლიოთეკა და ხელთუბნისა და მეზობელი სოფლის საქმიან გლეხებთან ერთად რაიონში პირველი სასოფლო-სამეურნო კოოპერატივი ჩამოაყალიბა. მალე თედოსა და მისი მეგობრების დახმარებით სოფელში სასოფლო-სამეურნეო ბანკიც გაიხსნა. ადგილობრივები თედოსგან სწავლობდნენ ბალ-ბოსტნის მოვლის ევროპულ წესებს და იღებდნენ სასარგებლო რჩევა-დარიგებას. მწერალი უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას სასკოლო ასაკს გადაცილებულ ახალგაზრდებს, უკითხავდა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებს და მათ ცნობისმოყვარე ბუნებას მამულის სიყვარულის გრძნობით ასაზრდოებდა. თედოს იმ დროისათვის მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ფიზიკური შრომისაგან დაღლილი, მაინც ახერხებდა წიგნების კითხვას და უურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ახალი პუბლიკაციების გაცნობას. წერდა და შრომობდა თავდაუზოგავად, დღე-ღამეში მხოლოდ ოთხი საათი ეძინა...

საქართველოს გმირული წარსულის მაგალითებზე აღზრდილი მწერალი აქტიურად ჩაება ხალხოსნურ მოძრაობაში მეფის რუსეთის თვითმკურნობელური პოლიტიკისა და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ: „რწმენით იგი იყო სოციალ-ფედერალისტი, კალმით – ხალხოსანი მწერალი, მოქმედებით – დაუღალავი მუშაკი, სიტყვა-პასუხით მეტყველი, ზრდილი და თავაზიანი, პურ-მარილით – საუკეთესო მასპინძელი, ვაჟკაცობით – გულადი და მოურიდებელი, ვით ხირიმის ტყვია: სამშობლოს არავის შეაგინებინებდა, გლეხკაცს არავის დააჩაგვრინებდა“.

– წერდა ია ეკალაძე თედო რაზიკაშვილის მოსაგონარ წერილში. მწერლის ასეთი აქტი-

ურობა უანდარმერიას შეუმჩნეველი არ დარჩენია: ის დააპატიმრეს და ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ 1905 წლის ოქტომბრის მანიფესტმა მოუსწრო და უკან დააპრუნეს. მოსალოდნელი საფრთხის ფონზე, თედომ კიდევ უფრო მეტი შემართებით გააგრძელა თავისი პროპაგანდისტული საქმიანობა.

მოცალეობის უამს თედო ქმნიდა საბავშვო პროზის შესანიშნავ ნიმუშებსა და ლექსებს, რომელთა პირველი შემფასებლებიც მისი გოგონები – გულქანი, ნინო, ეთერი, და გუგული იყვნენ. ამას გარდა, მწერალი აგროვებდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს: ანდაზებს, თქმულებებს, ზღაპრებსა და ლექსებს. თედოს ჩანარილი ქართული ზღაპრები 1909 წელს ორ წიგნად გამოსცა „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობამ“. მოთხოვებისა და ლექსების წერა თედომ ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნის დროს დაიწყო, შემდეგაც ნაყოფიერად მოღვაწეობდა და თხზულებებსა და პუბლიკაციებს პერიოდულად აგზავნიდა თბილისის უურნალ-გაზეთებში დასახეჭდად. საზოგადოების მხრიდან დიდი ინტერესის მიუხედავად, მწერალი ყოველთვის ერიდებოდა ინიციატივის გამოჩენას საკუთარი ნაწარმოებების გამოქვეყნების საქმეში. „დიდად პატივცემულო ძმაო თედო! გულითა გთხოვთ თქვენ, რაც კი შეიძლება ბევრი მასალა გვიგზავნოთ. თქვენი თითქმის ყოველისფერი დაიბეჭდება... მე მინდა ყოველ ნომერში თქვენი მოთხოვები იყოს“. – სწერდა მას უურნალ „ნაკადულის“ რედაქტორი მარიამ დემურია. ამგვარი შინაარსის წერილები ბლომადაა თედოს არქივში. ხშირად სწერდნენ „ჯეჯილის“ რედაქციიდანაც: „მოუთმენლად ველი ახალწლის მოთხოვებას პატარებისთვის, იქნება როგორმე მომისწროთ...“ – ეხვეწებოდა თედოს უურნალის რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი. „ჯეჯილი“ გახლდათ ის უურნალი, სადაც ყველზე ხშირად იბეჭდებოდა მისი საბავშვო მოთხოვები. ანასტასია თუმანიშვილი 1892 წლის წერილში მწერალს სთავაზობდა გაზეთ „კვალში“ მუშაობასაც. არქივში დაცულია იოსებ გრიშაშვილის მიერ გაგზავნილი ლია ბარათიც, საიდანც ჩანს, თუ რამდენად მაღალ შეფასებას აძლევდა პოეტი თედო რაზიკაშვილის შემოქმედებას: „მინდა დავბეჭდო ჩემი უურნალი „ლეილა“... და მსურს, რომ ამ მწერალთა თაიგულს თქვენი ყვავილიც ამშვენებდეს“. – მიმართავდა იგი თედოს.

ხელთუბანში თედო რაზიკაშვილთან საქმიანი მიმოწერა ჰქონდათ სხვა ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს: შიო მღვიმელს, გრიგოლ აფშინაშვილს, ნიკო ჯანაშიას, ლადო აღნიაშვილს, ია ეკალაძეს, ვალერიან გუნიას, ივანე როსტომაშვილსა და სოფიო ციციშვილს. თედოსთვის გაგზავნილ ერთ წერილში პუბლიცისტი ნიკო ჯანაშია აქებდა მეგობრის პოეტურ ნიჭს, ულოცავდა მას სალიტერატურო ასპარეზზე გამოჩენას და გულით უსურვებდა შემოქმედებით წინსვლას მშობელი ქვეყნის საკეთილდღეოდ: „სულითა და გულით მსურს, რომ ჩვენს ერს შეძლებისდაგვარად მოუტანო სარგებლობა, გაუფანტო ის ბურუსი, რომლითაც არის გარემოცული“. – სწერდა იგი მეგობარს.

1903 წელს, პედაგოგისა და უურნალისტის, ივანე როსტომაშვილის მიერ თედოს სახელზე გაგზავნილი ლია ბარათიდან ირკვევა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონია მწერლის მოთხრობის, „მურიას“ ცალკე წიგნად გამოცემა: „მე განვიძრახე თქვენი პატარა წერილის „მურიას“ გამოცემა და იმედია, ნებას დამრთავთ, რომ ამ გზით მაინც გავავრცელოთ ჩვენს ხალხში და მოზარდ თაობაში თქვენი ასეთი ნაწერები. გთხოვთ, თვითონაც დამისახელოთ, თქვენის აზრით, რომელი თქვენი ნაკალმევი უფრო ლირისია ცალკე წიგნად გამოცემისა“. – წერდა იგი. აღსანიშნავია, რომ იმავე წელს, ავტორისაგან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, ივანე როსტომაშვილმა ამ მოთხრობის დამოუკიდებელი გამოცემა დაბეჭდა ძმები თავართქილაძეების სტამბაში; 1896 წლის ხელნაწერში, რომელიც ვალერიან გუნიას ეკუთვნის, გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქტორ-გამომცემელი ადრესატს ატყობინებს: „თქვენი ამბები მივიღე და ამ დღეებში დაიბეჭდება. სრულ ჩემს თანხმობას ვაცხადებ თქვენი ნაწერების სასყიდეზე“; 1890 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობას სოფელ ხელთუბნის მასწავლებლისთვის გაუგზავნია მითითება, რომელსაც ხელს აწერენ იაკობ მანსვეტაშვილი და საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე; ერთ-ერთ წერილში ბაჩანას კლასელი და ვაჟას ძმადნაფიცი გრიგოლ აფშინაშვილი ბაგშვილის მეგობარს უზიარებს შთაბეჭდილებას „ჯეჯილში“ გამოქვეყნებულ მოთხრობასთან დაკავშირებით და თავისი შეფასების ნათელსაყოფად ნიკო ლომოურის სიტყვებს მოიშველიებს: „თევდორეს „ია“ მშვენიერი რამ არი-

სო... თევდორეს ლექსები ვერ გამოსდის ძმებსავითო, მაგრამ პროზა კი მშვენიერი რამა აქვსო“.

როგორც წერილებიდან ჩანს, თედოს ხშირად აგვიანდებოდა უკვე მომზადებული მასალის გაგზავნა რედაქციებში, რისი მიზეზიც მარტო მოუცლელობა არ უნდა ყოფილიყო. საოცარი იყო ამ არაჩვეულებრივი ადამიანის თავმდაბლობა. რატომლაც, მას ერიდებოდა ვაჟასა და ბაჩანას გვერდით თავისი ნაწერების გამოქვეყნება: „ასეთ წერილებს ხშირად ღებულობდა მამაჩემი, მაგრამ მორიდებისა თუ მოუცლელობის გამო, შინ ეწყო ნაწერები და ძნელად ახერხებდა დანიშნულებისამებრ გაგზავნას. ვფიქრობ, ერთიც იყო მიზეზი და მეორეც. მორიდების იმიტომ, რომ იმ ხანებში მისი ძმები, განსაკუთრებით კი ვაჟა ფშაველა, დიდებულ ნაწარმოებებსა ქმნიდნენ და თედოს მიაჩნდა, რომ მათ ნაწერებთან მისი პატარა მოთხოვები და ლექსები გამოსაჩენიც არ იყო“ (ეთერ რაზიკაშვილის მოგონებებიდან).

თედოს ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მწერალი ვაჟასა და ბაჩანას მსგავსად, თავადა-აზნაურებთან ურთიერთობას საშუალო სოციალური ფენის ნიჭიერ ადამიანებთან, ან ალალმართალ გლეხებთან მეგობრობას ამჯობინებდა. ამ მხრივ, გამონაკლისს თეკლე ბატონიშვილის შვილიშვილი, ასიკო ერისთავი წარმოადგენდა. ეთერ რაზიკაშვილი აღნიშნავს, რომ ამ ორ განსხვავებულ ადამიანს მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა საერთო: „ორივეს თავდავიწყებით უყვარდათ სამშობლო და, როგორც შეეძლოთ, ისე ემსახურებოდნენ მას“. ასიკო ერისთავი აფასებდა თედოს აგრონომიულ ნიჭს და ეხმარებოდა მას საუკეთესო ჯიშის ხეხილის ნერგების მოპოვებაში. მას არაერთხელ გამოუგლეფია სამართლიანობისთვის მებრძოლი დაუმორჩილებელი მეგობარი მთავრობის მოხელეთა ხელიდან. თედო რაზიკაშვილის არქივში ერთი ხელნაწერი ასიკო ერისთავს ეკუთვნის.

თედო და გიორგი დედმამიშვილებთან შედარებით მატერიალურად უზრუნველყოფილი იყვნენ, მაგრამ თედო მეტად უმართავდა ხელს თავისიანებს. სასწავლებლად გორში ჩასული ძმისშვილები და მართას ვაჟი – მიხა მასთან ცხოვრობდნენ. უმცროსი ძმა, სანდრო იგონებდა: „ჩვენი მშობლების სიკვდილის შემდეგ ისევა ვსწავლობდი და ორი თუ სამი წელინადი მაკლდა, რომ დამემთავრებინა იგი და სადმე შევსულიყავი

სამსახურში. ამ სამი წლის განმავლობაში თითქმის სულ თე-დომ შემინახა. ის ყოველ თვიურად მიგზავნიდა, როგორც სახ-ლის პატრონისთვის, ისე ტანსაცმელ-ფეხსაცმელებისათვის. იმ დროს ვაჟა და ბაჩანა ხელმოკლედ იყვნენ... ხანდახან რაც შეეძლოთ, იმას მიგზავნიდნენ“. თედოსთან გაგზავნილ სან-დროს სამადლობელო წერილში ვკითხულობთ: „დიდი მად-ლობელი ვარ ჩემო ძვირფასო ძმაო. ეხლა შენა ხარ ძმაო ჩემი მამაც, ჩემი დედაც, ჩემი ძმაც და ჩემი დაც, ერთმანეთს იქით არა გვეცილებარა, ერთმანეთი გვიყვარს...“.

ძმებს შეკრების ორი ადგილი ჰქონდათ: თბილისში – სან-დროსთან და ხელთუბანში – თედოსთან. ისინი უდროობის გამო ერთმანეთს ხშირად ვერ ნახულობდნენ და ამიტომ ინტენსიუ-რი მიწერ-მოწერა ჰქონდათ. მწერლის არქივში დაცული პავ-ლე რაზიკაშვილის, ვაჟას, ბაჩანასა და მიხას წერილები ეპის-ტოლარული მემკვიდრეობის შესანიშნავი ნიმუშებია. ლუკა რაზიკაშვილის ერთ ცნობილ წერილში ციმბირის წყლულით თვალდაზიანებული პოეტი თედოს ოჯახობას თიანეთიდან მოკითხავს და თავისი გრძნობის უკეთ გამოსახატავად წერს: „თუ სიცოცხლეა, ღვთით, თქვენაც კიდე მალე გნახავთ, საშო-ბაოდ მანდ გიახლებით; ნუ მიწყენთ და ნურც დამემდურებით, თქვენ გენაცვალოთ ჩემი ჩამობლებილი თავ-პირიო“. მეორე წერილში ვაჟა სთხოვს თავის ძმას, ყურადღება არ მოაკლოს გორის სასულიერო სემინარიაში სასწავლებლად მიბარებულ „შეგირდს“, თავის ვაჟს – ლევანს. ბაჩანას წერილებში იგ-რძნობა მისი გამორჩეულად ფიცხი, მაგრამ კეთილშობილი და პოეტური ბუნება. ადრეულ წერილებში ნიკო ურჩევდა სას-წავლებლად გორში ჩასულ უმცროს ძმას, ყოფილიყო ბეჭითი სწავლაში და სახელოვანი – ცხოვრებაში. ბაჩანა მტკიცნეუ-ლად განიცდიდა იმას, რომ მძიმე მატერიალური მდგომარე-ობის გამო, არ შეეძლო სწავლა გაეგრძელებინა უმაღლეს სასწავლებელში. ეს მნიშვნელოვანი საკითხი პოეტისთვის განუხორციელებელ ოცნებად გადაიქცა. ამას დაერთო მისი მცირენლოვანი ბავშვების სიკვდილი. ნიკოს წერილებში გა-მოსჭვივის უზომო ნაღველი, რომელიც პოეტის ოჯახური ტრაგედიითა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცი-ისათვის ხელისშემშლელი გარემოებებითაა გამოწვეული. აი, ერთი მაგალითი: „რაც შაეხება ჩემს სულიერ მდგომარეობას, ბევრს სანუგეშოს ვერაფერს გეტყვი: რაც დრო და ხანი გადის,

რაც უფრო მარტოკა ვარ, იმდენად უფრო შავი სევდისთვის ვეღარ დამიხწევია თავი: ვარ მარტოკა, ვესაუბრები მხოლოდ ჩემს თავს, მოპასუხე და მოზიარე ჩემთვის არავინ – გარდა არაგვისა, მთებისა და ბეჩავის ჩემის ცოლისა“. თედოს ძმებს შორის თურმე განსაკუთრებით ებრალებოდა ბაჩანა, მისი „ნერვიული“ ხასითისა და უნუგეშო მდგომარეობის გამო.

თედოს გლეხებთან კეთილმეზობლური, თბილი დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ ხალხის მოსარჩევე მწერალი იძულებული გახდა ერთი წლით ცოლ-შვილით მთაში, მშობლიურ სოფელში გახიზნულიყო. მისი არყოფნის პერიოდში დამსჯელმა რაზმა ყუმბარებით დაუნგრია სახლ-კარი, გაუნადგურა ბაღ-ვენახი. ხელთუბანში დაბრუნებულმა მწერალმა სულიერი სიმტკიცისა და შრომისმოყვარეობის წყალობით აღადგინა დანგრული კარ-მიდამო და ცხოვრება სიცოცხლის ჩვეული სიყვარულით გააგრძელა. უკვე „აგორებული“ ბედი კი თურმე იქვე, ახლოს იყო ჩასაფრებული: ჯერ იყო და ძმა, ვაჟა გაუხდა ავად, ამას ზედ დაერთო ნიჭიერებით გამორჩეული უფროსი ქალიშვილის, გულქანის ავადმყოფობაც. მალე მან ორი უძვირფასესი ადამიანი დაკარგა, წლების შემდეგ კი უფრო ცუდად წაუვიდა საქმე: თედოს კეთილდღეობის შურით დაბრმავებულმა თანასოფლელებმა, რომლებთანაც მას ამდენი წლის ცხოვრება და ამაგი აკავშირებდა, გაუჩეხეს ბაღი, ფუტკარი მოჰპარეს, თივა დაუწვეს, მაგრამ ესეც არ აკმარეს... 1922 წლის 19 იანვარს ბოლშევიკებთან გარიგებულმა მკვლელებმა შესაფერისი დრო შეარჩიეს და შური იძიეს „ხალხის მტერზე“ – მოტყუებით შეიყვანეს ბოსელში და დანებით მიყენებული მრავლობითი ჭრილობებით სიცოცხლეს გამოასალმეს... მწერლის, გიგი ხორნაულის ცნობით, „მკვლელობას ხელმძღვანელობდა კოტე თუმანოვი, რომელმაც იარაღის მუქარით ხალხს რაღაცა შეთითხნილ ბრალდებაზე მოაწერინა ხელი. მთავარი ბრალდება კი ასეთი იყო: „თედო რაზიკაშვილი მევახშე იყო, სოფელმა ვეღარ გაუძლო და მოიშორა თავიდან!“ ასე შეენირა რეპრესიებს მისი ერთ-ერთი ღირსეული მსხვერპლი თედო რაზიკაშვილი. 1923 წელს სამშობლოს სიყვარულისთვის დახვრიტეს ვაჟას შვილი – ლევან რაზიკაშვილი, ხოლო 1938 წელს – თედოს დისწული, მიხა რაზიკაშვილი. მწერლის საოჯახო არქივში მიხას ხელნაწერებიც ინახება...“

თედო რაზიკაშვილის არქივში დაცული წერილების შესანავლით დაზუსტდა არაერთი საყურადღებო დეტალი რაზიკაშვილების პირადი თუ შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან, პოპულარულ საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილისა“ და სხვა გამოცემების ისტორიიდან, დადგინდა დაუთარილებელი წერილების დაწერის წლები, გამოვლინდა ბაჩანას და თედოს გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების სათაურები, გამოიკვეთა იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები და პიროვნული ლირსებები.

წერილების რედაქტირებისას, გარდა ერთეული გარდაუვალი შემთხვევებისა, არ შეცვლილა ავტორთა ენობრივი სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია. რამდენიმე მათგანში უცვლელადაა დატოვებული ხაზგასმული სიტყვები. შენიშვნებში განმარტებულია კუთხური თუ უცხო სიტყვების მნიშვნელობები და წერილების შინაარსიდან გამომდინარე ყველა საყურადღებო მოვლენა. წიგნის ძირითად ნაწილს მოსდევს ტექსტში მოხსენებულ პირთა საძიებელი.

პავლე რაზიკაშვილის გამორჩეული ოჯახის წევრთა ბიოგრაფიითა და საგვარეულოს შემდგომი ბედით დაინტერესებულ პირთათვის საარქივო მასალას დაცურთეთ მის შთამომავალთა შეძლებისდაგვარად დაზუსტებული ბიოგრაფიული ცნობები და თითქმის სრული გენეალოგია. რაზიკაშვილთა ბიოგრაფიის აქამდე დაუდგენელ ფაქტებსა და თარიღებზე მითითებისას, პირველ რიგში, აღვნიშნეთ დოკუმენტურად დასაბუთებული ყველაზე სარწმუნო ვერსია, მაგრამ იქვე განვიხილეთ სადავო საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა მოსაზრებები. ვფიქრობთ, მითითებული წყაროები და შენიშვნები ბევრ საგულისხმო ცნობას მიაწვდის ამ გამოცემის მკითხველებს.

## მანანა სამაშვილი

**პავლე რაზიკაშვილის  
ნერილები**

for the second & third year  
I will make good for the first two years.  
For the third year you will be responsible for your  
own board for the English & the library  
expenses. The range of a room & board is £20.  
Each household off 1st. & 2nd. floor you will  
have your living room & kitchen & a private  
room for yourself - advantage about the dormitory  
is that as long as you stay there it will probably  
be a lot less expensive than getting a room  
in town but after 6 months there is no  
advantage to getting a room as far as  
comfort level among the dormitory looks  
to get there when you are leaving  
the university by then, I expect to have got by at least  
one or two people to go to the same place.

The winter from 1880-1881 was a hard one for us.  
The first snow came on October 25th. The  
last day of November. The snow lay deep on the ground.  
The first snow lay deep on the ground.  
The first snow lay deep on the ground.

so as to get him a field; one field so big  
as to get him a house. So he left it  
and he came to the great woods and began  
to work. And he worked for three years  
and he dug up a great pile of gold.

№1.

დოკ. 20/1(1)<sup>1</sup>

## შვილო თედო!

თქვენი წერილი მივიღე და თქვენი გარემუხა ყველაფერი შევიტყეთ. მადლობა ღმერთსა, ხო იცით ჩვენც მეტი არაფერი გვინდა. აქაური ანბავი რა მოგწეროთ. მე, დედასთქვენი და მართა ცოცხლები ვართ და სხვებისი მარტო ნიკო ვნახეთ ეხლა თელავში. ლუკასი და სანდროსი არაფერი ვიცით. ლუკა თონეთში წავიდა ცოლ-შვილით ოკტონბრის ნახევარსა. გიორგი არ მოდის, ისევ ბაშფორთი გაუგზავნე. სხვები ჩვენები ყველანი ცოცხლებია, თქვენი ნათლული და ნათლიდედაცა, მარამ ყელის ტკივილი ისევ გაჩნდა, საწყალს მ[გ]ელას ორი ბიჭი მაუკლა, ფადიურანთ მამუკასა და სამიც მიგრიაულებში<sup>2</sup>. ამ ოთხის დღით ნინ დავმარხე მათი დახოცილები. თქვენა მწერთ საშობაოთ თუ კარგი დრუა წამუალო. სრულე...<sup>3</sup> სანდროსაც არ მოიყვან რა ვიცი, ...როგორ იყოს, მეშინინ და ისევ, თუ მშვიდობა არის, მეც ნიგნს მოგწერთ და სააღდგომოთ ამოდით. თქვენ თქვენს საქმეს უერთგულეთ, ტანტალი კაცს არაფერს არგებს, მერე ზამთარში.

ერთს მანათს ფულს გიგზავნით საპრაზნიკოთ. მეტს ნუ დამემდურები.

ნიკოც მე ვიცი წიგნს მოგწერსთ და იქნება ფულიც გამოგიგზავნოს რამე, მე როგორც შევატყე. ნიკოს საქმე აქაური კარგათ მიდის.

ლუკას გვინდა წიგნი მივწეროთ, მარამ ადრესი არ ვიცით საიდანა, და თუ ვინიცობა არის, კაცი ვინმე ნახოთ, თვალი გეჭიროს, თონეთში<sup>4</sup> მიმავალი, წიგნი მისწერეთ, რო ადრესი მაინც გვაცნობოს, რო წიგნი მივწეროთ.

<sup>1</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით, შეიცავს ორ წერილს. მეორე დაწერილია ნიკო რაზიკაშვილის მიერ. აღნიშნული წერილების ტექსტი სოლომონ ყუბანეიშვილმა გამოაქვეყნა კრებულში: საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, წიგნი III, თბ., 1937, გვ. 142-144.

<sup>2</sup> მიგრიაულთა – სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში (მაღაროსკარის თემი), ფშაველის არაგვის მარჯვენა მხარეს.

<sup>3</sup> ტექსტი დეფექტურია.

<sup>4</sup> 1886–1888 წლებში ვაჟა-ფშაველა სოფელ დიდ თონეთში მასწავლებლობდა „ქშწ“ კა საზოგადოების“ მიერ გახსნილ სკოლაში.

## **ძმაო თედო!**

თუმცა მამაჩემი გწერს, ნიკო ვნახე და ლაპარაკში ეტყობა ფულს გამოჰვანისო, მაგრამ მე არ ვიყავ იქ როცა დაწერა. მე ამავე წერილზედ გწერ და ერთ მანეთსაც მე გიგზავნი, რადგანაც თექვსმეტი მანეთი სხვა მიძე ჯიბეში და ქრისტიშობისთვისა იანვრის ნახევარში უნდა მივიღო. საშობაოდ არსად წახვიდე, მანდ იყავ... გული დაბლუჯე, ბალლო... იმისთვის არა შე სუსტო, არაფერი არ გამოჰვება... ქალებს ნუ აჰყვები თორე გზას იქით გადაგაგდებენ... კარგა ისწავლე, რო მასახელო... აუგიანობას სახელიანობა ჰჯობია... ვრცლად მერე მოგწერ, ეხლა ამას დამჯერდი. ხანჯარსაც გაგიკეთებინებ, იმედი გქონდეს. წერილი მომწერე, მომწერონ სხვა სემინარიელებმაც, ვინც მიცნობენ.

ყველა მომიკითხე ვინც ჩემი ნაცნობია, ღმერთმა ხო იცის ყველას ამბები მეკითხება... მშვიდობით, გამარჯვებით!

**შენი ნიკალა  
1886 წ.**

**№2.**

დოკ. 20/1(3)<sup>5</sup>

## **შვილო თევზორე!**

თუმცა თქვენი წერილი დიდიხიანია მივიღეთ და მეორე სიხარულს ახლა ის მიემატა. პირველის სიხარულის მიზეზი იყო ჩვენი დიდის ხნის უნახავის გიორგის ჩამოსვლა და ნახვა. მე მინდოდა თქვენის წერილის შინაარს[ი]ს პასუხი ადრევ შემ[ე] ტყობინა მარამ სამწუხაროდ ჩვენდა, ფულის შოვნის სახსარი არცაით არ იყო, სესხის შოვნა არ იყო და ჯამაგირის აღების ტრედიც არ დამდგარიყო და აი ამისთვის დაგიგვიანეთ წერილი და პასუხი. მართალია ეხლა გიგზავნით ოცდაორს მანათსა, მარამ ღმერთი ხო არის მოწამე, მეთითონ არავარ კმაყოფი-

<sup>5</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 143.

ლი ასე მცირეს გამოგზავნითა. ვიცი ეხლა თქვენთვინ ძალიან საჭირუა. ესეც როგორც იყო სესხად ვიშმვე თორო თავისი რა მქონდა, ჯამაგირი არ ამიღია და ხალხი გაატყავეს, ზეკუცია ედგა სახელმწიფო გადასახადისათვინ და აბა ამათგან რაღა გამოდნება. მინდოდა თელავში ჩავსულიყავ<sup>6</sup> და ჯამაგირის ტრედი დადგა, ამეღო და სამი თუმანი მაინც გამომეგზავნა. მარამ ეხლა ხო იცი არავინ გამაცლიდა დამარხვებამდის. ვიფიქრე დრო მოვიდა დაჭირდება მეთქი, ამისთვის გამო[გ]ეშურე და გიგზავნით.

მე სამშაბათს თელავში მივდივარ ჯამაგირისთვინ და თუ შაიძლება მალე წიგნი გამოგზავნე თელავში სინიკო აჯიმამე-დოვის სახელზედ და ის ჩვენ გადმოგ[ვ]ცემს. მე შამეგვიანება, ვეჯინშიაც<sup>7</sup> უნდა ჩავიდე, დედას თქვენიც იქვე არის და ბიჭებიცა... ისინიც უნდა წამუასხა.

გიორგი და ნიკოც თელავში არიან დიდიხანია, როგორც მეუბნებიან. რაც გინდა ყველაფერი შემატყობინე, ან ქალაქში როდის ჩახვალთ, იქნება ნიკო გამოვგზავნო ქალაქში თქვენის ჩასვლისათვინ, რო დირეკტორთან მოგიხერხოს რო კარგი ადგილი გიშოვნოს ბაკურციხეში. ნიკოს ნადედობმა კნეინამ<sup>8</sup> თავის მეცადინეობით შეკოლა დააარსა, ორმოცი თუმანი ჯამაგირი იქნება. თქვენთვინ ფანდია, თუ ის მოგიხერხდათ. და ან იქნება ნიკომ დაგითმოსთ, როგორც თითონ ანბობდა. ჩვენ ვინცა ვართ ცოცხლები კი ვართ და სხვა რაღა [გაჭირვება] დაგვადგება ისეთი რო აღარა ეშველოს. მართალია შიმშილობა ჩამუარდა ჩვენში. პურის შოვნა აღარ არის და რაც არის ისიც არ ვარჩა.

გრიგოლი მამიკითხე.

თქვენი მა[მა] მღვდელი პავლე რაზიკოვი  
ჩებთ<sup>9</sup>-ს, ივნისსა 1-ს

<sup>6</sup> ამის შემდეგ გადაშლილია სიტყვა „მარამ“.

<sup>7</sup> ვეჯინი – გურჯაანიდან ხუთი კილომეტრით დაშორებული სოფელი, სადაც ბაჩანამ გორის საოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა.

<sup>8</sup> ადგილობრივი მემამულე ნინო სოლომონის ასული ჩოლოყაშვილი – ანდრონიკაშვილისა, რომლის შემოწირულობითაც 1890 წელს „ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ აღნიშნულ სოფელში გახსნა საშუალო სკოლა (იხ. სოფელი ბაკურციხე, გაზეთი „ივერია“, 24 იანვარი, №18, გვ.2)

<sup>9</sup> ჩებთ =1889



ლუკა რაზიკაშვილის  
(ვაჟა-ფშაველას) ნერილები

5 S-31/5 Dec 01/38/41 18<sup>th</sup>  
записка о том что на флангах  
по земельным участкам есть деревья  
которые не подлежат вырубке  
и которые должны быть оставлены  
в земельных участках. Каждый из этих  
деревьев имеет свой номер.  
Следует оставить эти деревья  
в земельных участках, которые должны  
быть оставлены в земельных участках.  
Чтобы избежать ошибок, мы  
будем оставлять эти деревья  
в земельных участках, которые  
должны быть оставлены в земельных  
участках.

Следует оставить эти деревья  
в земельных участках. Для этого  
нужно оставить эти деревья  
в земельных участках; и чтобы  
избежать ошибок, мы будем  
оставлять эти деревья в земельных  
участках, которые должны быть оставлены,  
и чтобы избежать ошибок, мы будем  
оставлять эти деревья в земельных  
участках, которые должны быть оставлены.  
Следует оставить эти деревья  
в земельных участках, которые  
должны быть оставлены в земельных  
участках.

№1.

დოკ. 20/3 (1)<sup>10</sup>

189[7]<sup>11</sup>. 17 მაის[ი]

## ძმაო თევდორე!

მოგიკითხავ სიყვარულით და ვსოთხოვ დამბადებელს ღმერთს შენს სიცოცხლეს, კარგად ყოფნას თავის ცოლ-შვილით და მოკეთე[ე]ბითურთ. ჩვენც კარგადა ვართ დღესნამდე, ცოცხლები და მთელები. ამ წერილს მე თიანეთიდამა გწერ. ქალაქში მოვდიოდი და დღეს უარვყავი ეს განზრახვა, რადგან მითხრეს ჯერ შეგირდებს არ დაითხოვენო: ლევანის წამოყვანა მინდოდა. შენ ეხლა ამას გეხვეწები, შენის ძმობის ჭირიმე, რომ ეგები როგორმე შენთან წაიყვანო, როცა დაითხოვენ. ამის შემდეგ მე უფრო ვერ მოვიცლი, ხალარჯობის<sup>12</sup> წესი მაქვს გადასახდელი. ლევანის ამოყვანას სხვადასხვებს ნუ ანდობ, შენ თითონ ამოიყვანე. სახლი პატრონთან ხუთ მაისამდე გასწორებული ვარ და რაც დამედება შემდეგში გაუსწორდები. მანდ, ხელ-თუბანში, როცა მოვიცლი, მე თითონ გადმოვალ; ან შენვე გადმოიყვან. უეჭველად უნდა გადმოხვიდე. მართა გვეპატიუება ნათლობაში, აქედამ ერთად წავიდეთ. ნიკოც კარგად არის. ყველამ მოგიკითხათ, კეკემ, თამარამ. მომიკითხე ჩემი რძალი, წყალობა, გაბო, სხვანი ყველანი. სანდრო რას აკეთებს? მაგაზე ბრაზი მომდის, ზარმაცია, ულმერთოდ ზარმაცი... რა გეხვეწო და რაღა ბევრი გთხოვო, შენ იცი ლევანის შესახებ რა განკარგულებასაც მოახდენ.

შენი ძმა ვაჟა-ფშაველა

<sup>10</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია ლურჯი მელნით. წერილი გამოქვეყნდა: საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 144; სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა: დოკუმენტები და მასალები, თბ., სახელგამი, 1937, გვ. 238; ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 10, თბ., 1964, გვ. 201.

<sup>11</sup> წლის ბოლო ციფრი კარგად არ ჩანს. სოლ. ყუბანეიშვილის მიხედვით არის 1897.

<sup>12</sup> ხალარჯობა – მიცვალებულების სულთა მოხსენების დღე ფშავში.

№2.

დოკ. 20/3 (2)<sup>13</sup>

[1903 წლის ნოემბერ-დეკემბერი]<sup>14</sup>

## ძვირფასო ძმაო თედო!

ვეღარ მომიხდა მანდეთ ამოვლა. გამომიჩნდა რაღაც საქ-  
მები და იმის გამო დამეგვიანა: დაგვიანებას ვინ დასდევს,  
მაგრამ საქმე ისეა, რომ თუ მალე არ მოვეშველე სახლს არ  
შეიძლება უიმისოდ. თუ სიცოცხლეა, ღვთით, ოქვენც კიდე  
მალე გნახავთ. საშობაოდ მანდ გიახლებით; ნუ მიწყენთ და  
ნურც დამემდურებით თქვენ გენაცვალოსთ ჩემი ჩამობლებ-  
ილი თავ-პირი.<sup>15</sup> ისე გენაცვლენით რო სუ ნაბუერი<sup>16</sup> ჩამომ-  
დიოდეს...

სანდოს ქორწილიც როგორც ვატყობ წყალკურთხევის  
სწორამდე გადაიდვა... მანამდე მეც მივაკეთ-მოვაკეთებ შინ-  
აურ საქმეებს და უფრო თავისუფლად ვიქნები. ეს ვაჟკაცებიც  
იმ ხანებში ამობანდებიან როგორც დამპირდნენ.

სხვა რა მოგწერო? აქ ღირსშესანიშნავი არაფერია.  
მართლა, ჩემი ამანათები ვინძლო კარგად შემინახოთ, სახინ-  
კლეც არ გაათავოთ, ღვინო სულ არ ამოსნკლიტო ქვევრიდან.  
მომიკითხე ჩემი რძალი თიკო, შუშანა, წყალობა და სხვანი  
ყველანი.

## შენი ძმა ვაჟა

<sup>13</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. შეიცავს ორ წერ-  
ილს. მეორე, სავარაუდოდ, ბაჩანას (ნიკო რაზიკაშვილის) დაწერილი უნდა  
იყოს. წერილი გამოქვეყნდა: საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების  
ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 144; სოლ. ყუბანევიშვილი, ვაჟა-ფშაველა, გვ.  
237; ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ზემოთ დასახ. კრებული, ტ. 10, გვ. 202.

<sup>14</sup> ვაჟას ეს დაუთარიღებელი წერილი დაწერილი უნდა იყოს 1903 წლის  
19 იანვრისთვის (წყალკურთხევის დღესასწაულისთვის) დაგეგმილი ალ.  
რაზიკაშვილის ქორწილამდე 1 ან 2 თვით ადრე.


<sup>15</sup> ვაჟას მარჯვენა თვალი გაფუჭებული წქონდა ციმბირის წყლულისაგან  
და ამის გამო დასცინის თავის თავს.

<sup>16</sup> ნაბუერი – ნაკუნი, ნაფლეთი.

## ძმაო თედო!

შენი წერილი ლუკამ სწორედ ერთის კვირის შემდეგ მომცა. ვაშლისთვის მადლობლები ვართ. უფრო კი ლევანა, რადგანაც იმას უფრო ყველაზედ მეტი ერგო. ჰა, პირობაზე როგორა ხარ? ეგ ერთი იაშიკი ვაშლი არ დაგავიწყდეს. იმ კალათისა კი ვეღარა გაიგეთ რა?

[ნიკო რაზიკაშვილი]





გიორგი რაზიკაშვილის  
წერილები

S-37/33

You agree!

Hydr. Soc. 1876, 23  
Figs. 1-3.

небольшое зерно марки.  
для съестных продуктов  
3). овощи для хранения зерна

Original University  
Wright J. Hobgood

31 Jan 1899

№1.

დოკ. 20/2 (1)<sup>17</sup>

## ძმაო თედო!

შენი წერილი მივიღე და ღმერთია ამის მოწამე ძრიელ გამიხარდა. მართლა, კაცო, შენს წერილში ერთი რაღაცა შევნიშნე, რომელსაც ყველაც შენიშნავდა: შენ ორჯელ-სამ-ჯერ იმეორებ სიტყვას: „თუ მართლა მეპატიუებიო“. კაცო ეს რა ღმერთის გაწყრომაა?! განა შენ ეჭვი გააქვს იმაში, რომ მე შენი და, საზოგადოდ, ჩემის ძმების მოსვლა უფრო მესია-მოვნება, ვიდრე სხვა ვისიმე? ამას იქით, ეგ ეჭვი შენს თავში აღარ იყვეს, თორემ...

დარწმუნდი, რომ შენი მოსვლა მესიამოვნება. მე უსათუ-ოთ გელი მარიანობის მარხვის გახსნაზე რომელზედაც გინდა მოხვიდე: სხვებიც აქიდგან დავიბაროთ და მერე ზევითკე წავ-იდეთ, მეც წამოვალ ზევით. სხვა რა მოგწერო? იყავ მშვიდო-ბით თავის ცოლ-შვილიანათ!

ჩემს ძალუას დიდი გრძელი მოკითხვა.

სანდროსაც მოვიკითხავ. თუ ძმა ხარ ეგ ბალლი დააბინავე. თქვენმა რძალმაც მოგიკითხათ.

თქვენთვის სიცოცხლის მოსურნე გ. რაზიკაშვილი  
31 იЮЛЯ 1899 გОДА

<sup>17</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

№2.

დოკ. 20/2 (2)<sup>18</sup>

[1899].<sup>19</sup> 7 იოქამდებარებულის დღის შესრულებულების თარიღი.

ძმაო თედო!

პირველად, რაღათქმა უნდა, რომ მოგიკითხავ და კეთილ-საც ვისურვებ შენთვის და შენის ცოლის და ბალღებისათვის. მემრე, მეც კარგათა ვარ და შემდეგში უგზავნი სანდროს ამ ნათლობის მოწმობას, რომელიც, დიდიხანია, მოვითხოვე, საიდგანაც ჯერ იყო და ეხლადა მომიტანეს. მამის „**ПОСЛУЖНОЙ СПИСОК**“<sup>20</sup>, რომელსაც სანდრო მწერავდა, როგორც ბლალო-ჩინმა<sup>21</sup> მითხრა, ეკზარხოსის<sup>22</sup> კანცელარიაში თუ თბილისის სინოდალურ კანცელარიაში ყოფილა გაგზავნილი და ამისათ-ვის ამის გამოგზავნა მე ვერ შევიძლე. სხვარა მოგწერო? მოვ-იკითხავ სიმდაბლით და სიყვარულით ჩემს უცნობს რძალუას და სხვებს. და სანდროს უთხარი: საათს იმისათვის არ გიგზავნი, რადგანაც ვერ მეტადე და სასწავლებელში ვერ შეხვე-დი თქმ.

შენი ძმ. გ. რაზიკაშვილი

მუშები: 4 იანვარი 1899 წ.

აპრამა ოქიტაანთი 2 მუშა

სინკას ტარიელა 3 მუშა

პაატაანთ ბიჭის 1 მუშ[ა] <sup>23</sup>

<sup>18</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

<sup>19</sup> წერილის სავარაუდო თარიღს ვუთითებთ მეორე გვერდზე შესრულებული ჩანაწერის მიხედვით.

<sup>20</sup> **Послужной список** – ნამსახურობის ნუსხა.

<sup>21</sup> ბლალოჩინა – მღვდელი, რომელიც განაგებდა რამდენიმე სამრევლის საქმეს რუსეთის იმპერიაში.

<sup>22</sup> ეკზარხოსი – ეისკოპოსის აღმატებითი საეკლესიო წოდება. ეკზარხოსს ირჩევდა წმ. სინოდი და კონკრეტული საეპარქიოს პატრიარქის ბრძანებით ინიშნებოდა ამავე ეპარქიის მმართველად.

<sup>23</sup> ეს ჩანაწერი იმავე ხელითაა შესრულებული წერილის უკანა მხარეს.



ნიკოლოზ (ბაჩანა) რაზიკაშვილის  
წერილები

6,6376037 18886m/w

S-37/12 1032 on 72.

№1.

დოკ. 20/4 (21)<sup>24</sup>

[1885–1889]<sup>25</sup>

## ძმაო თედო!

გამარჯვება! გენაცვლოს თავის ქმა, თითქო დაღონებულაო, სელიტიორიო?!

<sup>26</sup> იქნება შეჰშინდი? ნუ გეშინიან, მოვულით როგორმე... რაკი წამოსვლა პთქვი, აქ ჩემთან წამოდი და მერე შინ ერთად წავიდეთ. ფულს მოწერისამებრ ხუთს მანეთს გიგზავნი, ჯერ ჯამაგირი ხუთის თვისა არც კი ამიღია. თუ მეტი დახარჯოს შენზედ შენთან მანდეთგან აქ წამომსვლელმა ამხანაგმა, აქ გავუსწორდები. ჯერ იმის პასუხად რა მომწერა ლომაურმა, რო ახლა სხვა მოვწერო? მაგრამ სხვის სამართლობა და ჰჯა უფრო ადვილია, ვიდრე თავის თავისა. მე მხოლოდ მოვიკითხავ, მოვიკითხავ და ვაკოცებ ჩვენს ვასილას – თქვენს მზარეულსა, აგრეთვე ყველა ნაცნობს, ჩემს გულის ძმებს სემინარიელებსა. უთუოდ გელი. სანამდის მშვიდობით, გამარჯვებით!

შენი ნ. რაზიკაშვილი  
28 მაისს

ხუთსა გწერ, მაგრამ ერთ მანეთსაც გიმატებ... მე ხმელი პურითაც ვიცხოვრებ.

<sup>24</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 155.

<sup>25</sup> წერილი დაწერილია ბაზანას სოფ. ვეჯინის სკოლაში მუშაობისა და თედოს სემინარიაში სწავლის პერიოდში.

<sup>26</sup> სელიტიორი – სოლიტერი, პარაზიტი ჭია.

№2.

დოკ. 20/4 (19)<sup>27</sup>

[1887]<sup>28</sup>

## ძმაო თედო!

შენის ახლად მოსულის წერილითგან შევიტყე შენი ამბავი. დაუწყნარებელი ცხოვრება გაქვს? – მითხარ, ვინდაა ამ წუთისოფელში მოსვენებული? მე წყობილებას ვერ შევცვლი, ამიტომ არც არაფერს ვიტყვი იმაზედ, მე მხოლოდ მამაჩემს და ჩემს თავს გავამართლებ რამდენიმდე კი ეს შესაძლებელია, თუ ვინიცობაა იმას არ დაუსწვრია და აქამდის არ გამოუთეთრებია. მე ძრიელ მძიმედ დამჭრეს<sup>29</sup> თებერვლის 13-14 რიცხვებში მხარში, ასე რომ დღესაც წყლულად ისევ წყლულად არის. ნეტავი სააღდგომოდ მომირჩეს... აქიმი ამას მეუბნება, მაგრამ მე საეჭვოდ მიმაჩნია იმის დაპირება ერთის მოვლენის მიზეზის გამო, რომელსაც, თუ თვალით არ ჰნახავ, მოწერით ვერაფერს [გაიგებ]... რასაკვირველია... [რომ პირველ] ხანებში ძალიან შეწუხებით ვიყავ, ასე რომ არცვის კი ეგონა ჩემი მორჩიმა. დღეს კი იმდენი კარგა ვარ, რომ მზიან დღეებში კარშიაც გამოვდივარ... მე თუმცა მწუხარედ ვიყავ, მაგრამ შინ კი შატყობინება არ მინდოდა, თუმცა კი ჩამციებოდენ, აცოდინეო... ახში<sup>30</sup> ჩემ ნათლიას ჩემს მალვით მამაჩემისთვის წიგნი მიეწერა, და სამ კვირაზედ ის კაცი ჩემთან კი მოვიდა. აქ ორ კვირამდის დარჩა (ეხლა მარტოკა ვარ) – და აბა საიდგანდა რას მოგწერდა... რაც რამ ფული მქონდა, შამომექარჯა და ეხლა უგროშოდა ვზივარ... იმედი კი მაქვს ამ ერთ კვირაში

<sup>27</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 154.

<sup>28</sup> წერილი დათარიღებულია ნიკო რაზიკაშვილის ვაჟის, ივანეს მოგონების მიხედვით, რომლის თანახმადაც, ბაჩანა დაჭრეს მისი ვეჯინში მუშაობის მესამე წელს (იხ. ვანო რაზიკაშვილი, ბაჩანა, უურნალი „ლაშარი“, 1991, №2, გვ. 160).

<sup>29</sup> ვეჯინში მასწავლებლად მუშაობის პერიოდში ბაჩანა გამოესარჩილა თავად სოსო აბაშიძისაგან დაჩაგრულ გლეხს. დროთა განმავლობაში, ბაჩანასა და თავადიშვილს შორის კონფლიქტი გამწვავებულა, რის გამოც, განაწყენებულმა აბაშიძემ მას ერთ-ერთ წვეულებაზე მისარვით ჩასცა მხარში ხანჯალი. ახალგაზრდობის ამ მძიმე ჭრილობამ შემდგომში ძალზე შეარყია პოეტის ჯანმრთელობა.

<sup>30</sup> ახში – დაბოლოს, მაინც.

იქნება ენკენისთვემდის კუთვნილი ჯამაგირი ჩავიბარო და მაშინ თუ გსურთ და მამწერთ, საგზაოთ რა გეყოფათ, გამოგიგზავნით, რომ შენ და გრიშა აქ მოხვიდეთ... მაშინ სემინარიით გან ხსნის თაობაზედ კარგა მოგელაპარაკები. თუ ვინიცობაა ჩემი ფული დროზედ ვერ [მოგივიდესთ] ესესხეთ ვისმეს... [და გასასწორებელ] ფულზედ მე არ დაგაღონებთ, თქვენ ოღომც აქ მოხვიდეთ. დაჭრის მიზეზიც ვიცი, რომ გულით გინდა შეიტყო. ისტორია გრძელი მოვა, გიამბო. სწორედ რომ ვსთქვა თავადაც დაბეჯითებით არ ვიცი, რის გულისათვის შემომკრა ხანჯალი. გეტყვი მხოლოდ, რომ დაკვრა უდუმალი, ძალური იყო უკანითგან, როცა მე არ მოველოდი და ლაპარაკიც სულ დიდი ხნის გათაული იყო, სხვა რაღა მოგწეროთ? ხო იცი მე კნიაზ-კნუაზები ყ...ზედ მკიდია, უკაცრავად კი თქმისთვის... მე მაინც საცა გავეწევი, მაგათ მოსისხლე მტერი ვიქნები და გაუშრობ უწყალოდ სისხლსა... უფრო ეხლა – აქამდის არაფერი. ცოტა კატორლა მაშინებს რჯულ-ძალლი, თორე მე ვიცი, რაც უნდათ ამ ჩალფაჩუნე-მაჯლაჯუნეებსა... „ჩალფაჩულ ჯოჯოფაშეები“ და მე კი ღრდინი გამაგდებინეს განა? არა უშავს რა, ძმაო, არა, ძალლი [კოჭლო]ბით არ მოკვდება, ოღომც ისინი [განის]ვენებდენ საღათური ძილით.

სანამდის, მშვიდობით, და მომიკითხავ კიდეც ჩემს ძველს ღირსეულს მეგობრებს და ნაცნობებს.

შენი ძმა ნ. რაზიკაანთი  
4 მარტისა

№ 3.

დოკ. 20/4 (1)<sup>31</sup>

1887 წ. 28 სეკტემბერს

## ძმაო თედო!

გამარჯვება შენი!

ხო იცი, ძმაო თედო, რო თელავში დაბარებულები ვიყავით მე, შენ, იოსები და გრიგოლი. გარჩევა თერთმეტში იყო დანიშნული. მაგრამ შენ მგონი გაასწარ, ვერ გაიგე ეს ამბავი. თუ მაშინ არა, ეხლა იცოდე, რო თუ დაბარებულები ვიყავით და ვერ ვიყავით კი, რაზბორი სხვა დროსთვის არის გადადებული, სახელდობ თერთმეტ ქრისტისშობისთვემდი. ამ დღესთვი მე თელავში უნდა ვიყო, თქვენ კი ამ დრომდე, როგორც მოწმე[ე]ბს და დამსწრებს სიშორის გამო მანდ გეკითხებათ, საცავინა ხართ, ე.ი. შენ მანდ გორში გამომძიებელი გკითხავს და თიანეთში იოსებს და გრიგოლს. ამიტომ სიფრთხილით იყავი და გაიზეპირე ის ჩვენება, რომელსაც მე აქ დაგიწერ:

შენ იტყვი იმას, რო ჩვენ საშინაოდ ვეჯინითგან მოვდიოდით; თელავზე გამოვლის დროს ღუქანში შევისვენეთ. რადგანაც საყიდები რამე გვქონდა ყველას თავთავისათვის რამე – ბაზარში გავიარეთ... სხვათა შორის თუშური ქუდებიც. ამ დროს (ე.ი. ბაზარზედ გავლის დროს) ზოგი რას და ზოგი რას უშვერ სიტყვებს გვეძახდა, მაგალ. საბალე ბიჭები ხართ, გვრიტებო, დათვებო და სხვა. მაგრამ ჩვენ არავის ყურადღება არ მივაქციეთ. ბოლოს ერთ მედუქნეს თუშურ ქუდებს შავევაჭრეთ... მოვრიგდითკიდეც... ამ დროს მოვიდა ვილაც დალაქი, ჯერ უთხრა ჩემს ძმას, ფეხებს, პოლ-საპოუკებს, რატომ არ გაიწმენდ ყმაწვილოო; ამან ყურადღება არ მიაქცია, რადგანაც აქა იქ დუქნებითგან ბევრ ამისთანეებს გვეძახდენ... როცა ჩემი ძმა უნდა გაპსონრებოდა, ეს დალაქი წამოპნედა ხელმეორედ თმაზედ, გასწია და უთხრა: წამო, ბერო, ერთი თმა გაგრიჭოო. ჩემი ძმა მოუბრუნდა და ხელი ჰკრა, რატომ არ დაიკარგებიო, ის წაიქცა, არ უცია კი. ამ დროს გამოცვივდენ დუქნებიდან ვაჭრები და დაუშინეს ჩემს ძმას, ჩვენ მივეშ-

<sup>31</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 146–147.

ველენით, მაგრამ ჩვენ უარესი დღე დაგვმართეს...როცა ძრიელ შეგვაწუხეს, ჩემი ძმა წაპწვდა ჩემს ამხანაგს იოსებ უამიაშვილს და ამოაძრო ხანჯარი და გაიქნებამოიქნია იქით-აქათ შესაშინებლად...ხალხიც მაშინვე გაიქც-გამოიქცა. ჩემ[მ]ა ძმამ მაშინვე ხანჯარი პატრონს დაუბრუნა... (იმას არავინ არ იჭერდა... არცვინ დაუჭრავ, არც უჩხუბნია – ამაებს მაშინ ეტყვი, თუ რამე გვითხა). ჩვენ ის იყო წამოვედით დუქნისკე – სადგომისაკე, როცა პოლიცია მივიდა... სხვა არც თეთრი, არც შავი... ბევრ ლაპარაკს თავი დაანებე... თუ არ გინდა რო ხაფანგში გავება. თავ-და თავ დამნაშავედ პრისტავის<sup>32</sup> პროტოკოლში მე ვარ გამოყვანილი.<sup>33</sup>

თედო, ხო იცი, ძმაო, რო თუ რამ მექნება – მე შენთვის და საზოგადოდ ჩემი ძმებისთვის არაფერი მშურს... გეფიცები დედას და ლმერთს, რო იმ ხუთის მანეთის მეტი, რაც იქვე ჩარგალს არა მქონდა, იმ დღითგან აქამდე, მე რამე მქონოდეს. გუშინ სილნალში ვიყავი ჯამაგირის ასაღებად – მაგრამ არ მოსულიყო, და ვერ ავიღე... დღეს გროში ფული არა მაქვს. შენი

---

<sup>32</sup> პრისტავი – სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დავალებათა აღმასრულებელი ჩინოვნიკი მეცის რუსეთში.

<sup>33</sup> ამ ამბავთან დაკავშირებით, სოლ. ყუბანეიშვილს საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში (გვ. 193) მოყავს მიხეილ რაზიკაშვილის მოგონება: „ბაჩანა ვეჯინში იყო მასწავლებლად, გრ. აფშინაშვილიც მასთან იყო. თედო და იოსებ უამიაშვილი ფშავიდან ესტუმ-რნენ ბაჩანას. ვეჯინიდან დაბრუნებისას თელავზე გამოვიარეთ. ბაზარში გავედით, ბაჩანას დიდი თმა ჰქონდა, არც ერთი ქუდი არ უდგებოდა თავზე. ერთმა ბრუციანმა დალაქმა (პირველი მოკრივე იყო თელავში) მიაძახა ბაბაჩას: ბერო, მოდი თმა გაგრიჭოვო. დალაქი კინტოურად იყო ჩაცმული, რაც ბაბაჩას ეჯავრებოდა. ბაბაჩა შემოტრიალდა და ისეთი სილა გაარტყა, რომ დალაქი შუა ქეჩაში გაიშელართა. მოცვივდნენ დალაქის ხელოსნები, მოიწევენ ბაბაჩას საცემად. მაშინ იძრეს მათრახები ბაბაჩამ, იოსებმა და გრიგოლმა და დატრიალდნენ, ზურგი ზურგს მისცეს და წრეში არავინ შეუშევს. იმათ მხრიდან მთელი ბაზარი იყო, ჩვენ კი ოთხი კაცი ვიყავით. ჩხუბი კარგა ხანს გაგრძელდა. ერთმა კინტომ კეტი გამოიტანა და უნდოდა ბაბაჩასთვის დაეცა, მაგრამ იოსებმა მათრახი დასცა, ხოლო გრიგოლმა ჯოხს წამოავლო ხელი. ხალხი მაინც თანდათან მოიწევდა. ბოლოს ბაბაჩამ ამოაძრო ქარქაშიდან იოსებს ხანჯალი და ჰაერში გააპრიალა, ახლა კი დაიხიეს უკან. ამ დროს მოვიდა პრისტავი და ყველანი მაზრის სასამართლოში წაგვიყვანეს. იქ მოჩხუბრებიდან 20-მა კაცმა გაიხადა ტანზე, რომლებსაც ზოლებად ჰქონდათ მათრახისაგან ბეჭები დასერილი. ბაბაჩას და მის ამხანაგებს სრულებით არაფერი ეტყობოდათ. შეადგინეს ოქმი და საქმე თელავის სასამართლოს გადასცეს. სასამართლო ბაბაჩას წესრიგის დარღვევისათვის მცირე ჯარიმის გადახდა მიუსაჯა“.

მტერი, რო იმ (5 მ.) ფულით ფქვილი არ მეყიდა ორი ფუთი დღეს სრულ მშერი ვიქნებოდი. მამაჩემმა თელავში ჯამაგირიც აიღო, მაგრამ მე არაფერი არ მომცა... როცა ჯამაგირს ავიღებ კი დარწმუნებული იყავ – გამოგიგზავნი სახილედ – შენმა ძმობამ და სიცოცხლემ... ნუ დამემდურები – ამის გამოსაგზავნად ნასესხებია ჩემგანაც... აბა რაღა დაგარიგო, როგორც ისწავლი, იმეცადინებ, ნამუსს შეინახავ, დონ-უუანობას ერიდები, არაფრით მტრის გულს არ გააცინებ... ამხანაგებს შეიყვარებ... წიგნი მომწერე ხოლმე ხშირად... ან რა ჰქონილი წერილზედ ლომაურმა? ბევრი რამე მინდა გითხრა და უთხრა ჩემს უცნობს სემინარიელებს გულის სიტყვა და მით უმეტეს ჩემ ძმა წიკლაურს და სხვა ძველებს, მაგრამ ეს სხვა წერილისთვის დარჩეს, როცა თქვენსასაც მივიღებ... წიკლაურს ვაკოცებ და ვთხოვ წიგნი ხშირად მწეროს. მომიკითხე დიდის სიყვარულით ვასილი ჩვენი „Повари“, გოგოხია, ცუგრუმელა ყაზბეგი და სხვა სემინარიის ქართველობა... შეიძლება ვეჯინზედ რამე „ივერიაშიც“ წაიკითხოთ ამ მოკლე ხანში...

### თქვენი ძმა ნ. რაზიკაშვილი

№4.

დოკ. 20/4 (3)<sup>34</sup>

ძმაო თედო!

წერილების წერით და უწერლობით არ გამოჩნდება არც სიყვარული, არც დავიწყება. არცარა ბევრი ჩქარ ჩქარა ამბის საკითხავს წიგნებში ყრია. ხო იცით, მე ბევრი საქმე და საფიქრობელი მაქვს. ჩემი აზრები მარტო სკოლას არ ეხვევიან, არცრა ისე საქვეყნო საქმეები მანუხებენ; საქვეყნო მოღვაწეობას დიდი ცოდნა და გამოცდილება უნდა. მე კი

<sup>34</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. შეიცავს ორ წერილს. მეორეს ადრესატია ბაჩინას ბიძაშვილი გრიგოლი. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 147-148.

ორზედვე ქესეტადა ვარ; მეორე რომ მომავალმა, ცხოვრებამ მამცას, სწავლას, სამეცნიერო ცოდნას ვერ მომცემს. სანამდისინ დრო მაქვს, უნდა წავიდე სადმე და ვისწავლო. არ ვიცი კი რასმე ხელს მომიმართავს ილია, წიგნი მინდა მივწერო, თორო ხო იცი, მე საიმაო რა მაშავია? რასაკვირველია სახსარი შველისა ბევრნაირია, უმთავრესი კი საზოგადოებისაგან შემწეობაზედ არის აშენებული. ეს შველა ზოგს წარმოდგენებს შეუძლიანთ ჩემს სასარგებლოდ წარმოდგენილებს, ზოგი კერძო ნაფეშქაშარ ფულებს... ვრცლად მერე [მოგ]წერ, ეხლა მხოლოდ ამას გთხოვ, გაავრცელო [...] ხმა, რო მე ძალიან მოწადინებული ვარ მაღალ სასწავლებელში წასასვლელად, რო მე დიდი იმედი მაქვს ჩემს მდგომარეობაში მონაწილეობას მიიღებნ პატიოსანი გორელები, რო სხვა ქალაქებთან ერთად მატერიალურად რამე საშუალებას ამომიჩენენ, დამეცმარებიან, მაგ. ან წარმოდგენას ან ვეჩერს რასმე გაჰმართვენ ჩემს სასარგებლოდ. უნდა უთხრა ხოლმე ლომაურს, მათეს და სხვებს, რო მე ამ საქმის გამო თავადაც ვაპირობ მანდ ჩამოსვლას მომავალ გაზაფხულზედ... ნეტავი ის გამაგებინა, რა აზრისა არიან „თაღლაურაზედ“<sup>35</sup> ან საზოგადოდ ჩემს წაწერებზედ, რო მაშინ ეს ყველა ადვილი მოსახერხებელია... უნდა უთხრა, რო მე მითომ ყველა საქართველოს სამაზრო და საგუბერნიო ქალაქები მაქვს სახეში ამ აზრით დავითარო და ყველგან შემწეობა ვითხოვო. ამასთან უნდა მამაჩვენის სიღარიბეც აუწერო ხოლმე. როცა ბევრს ილაპარაკებ, ბოლოს მიუყურადე და მამწერე, რას ვინ იტყვის. ჰთქვი, თედო, და უნდა ავასრულო კიდეც. რასაც დაგპირებივარ მე მზადა ვარ. შენ მარტო შენის კაი სწავლით და სა[ქციელ]ით გამაჩვენე თავი, ისეთი იყავ, რო მესახელ[ე]ბოდეს შენი ძმობა; ამხანაგები გიყვარდეს და ჰცდილობდე არავის აწყენიო. ამაყობას რო ჭკვიანური მოსაზრებითა ჰდრეკ ზოგჯერ და იმცირებ – ეგ სათაკილო არ არი, ბრძენთა წესია. სხვად მე რიგიანადა ვარ... ეს არის ჩემი წერილი...

**შენი ძმა ნ. რაზიკაშვილი  
1887 წელს ოკტ.** 29

<sup>35</sup> „თაღლაურა“ – ბაჩანას პოემა, პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიის“ 1887 წლის ოქტომბრის დასაწყისის ნომრებში: 205, 207-208.

## ძმაო გრიგოლ!

იმაზედ ძვირფასი არა იქნებარა. როცა კაცის ღვაწლი ფას-დება. მე თავი მომწონ, რო მაგრე გულწმინდად გიყვარვარ – გაგიმარჯოს! ეს დიდი ჯილდოა ჩემთვის... იმედი მაქვს, რო ახლა შენის სამაგალითო სწავლის გაგონებით დამაჯილდოვებ და გამზიდი ერთი ორად. თავის ტკივილს რო იწერები ეგ ან ჩუმი ციების ნიშანია, უფრო კი გაციებისა... როგორც პირველს, ისე მეორეს უოლის ჩაი (აფთიაქში იყიდება) და ოფლი უშველის. ამისათვის კი აი ერთს მანათს გიგზავნით. შენ და თედომ გაიყავით... ნუ დამემდურებით. წერილი ხშირ ხშირად მწერეთ. გამარჯვებით!

### შენი ძმა ნ. რაზიკაშვილი

თუ ფული ჰქონდეს არ მიჰვა.

№5.

დოკ. 20/4 (17)<sup>36</sup>

[1888 წ. იანვარ-თებერვალი]<sup>37</sup>

თედო და გიგო

შამოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი,  
ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისი.

მე არ ვიცი წარსულ წერილში როგორა გწერდით ან რა იყო იმაში დასალონები. თუ არა ვცდები, მე იმ წერილში გიზიარებდით ჩემს სწავლის გაგრძელების სურვილს. ვამბობდი მასწავლებლობის თავის დანებების განზრახვაზედ და გთხოვდით შაგეტყობინათ აზრი მანდაურებისა ჩემს ნაჯღაბნებზედ და მასთან გაგევრცელებინათ ხმა ჩემს სურვილზედ მომეტებული სწავლისათვის, აგრეთვე ჩემს ამ ნდომის მატერიალურად

<sup>36</sup> სელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 148-149.

<sup>37</sup> წერილი დაწერილი უნდა იყოს 1888 წლის პირველ თვეებში; ბაჩანას პოემა „თაღლაურა“ დაიბეჭდა რამდენიმე თვით ადრე გაზეთ „ივერიაში“ (იხ. შენ. №35); ამავე პერიოდში პოეტი პედაგოგად მუშაობდა ვეჯინის საშუალო სკოლაში, ხოლო თედო სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში.

უსაშუალობაზედ. არ ვიცი, თქვენ რა იფიქრეთ, ან რამდენად აასრულეთ ჩემი თხოვნა ამ უკანასკნელი დავალების შესახებ. თუ მანდაურს საზოგადოებას ცოტათი მაინც მოჰქონდს] ჩემი ნაწერები და იცის, რო – მე სწავლის გაგრძობა მწადიან, მაშინ ყველაფერი შესაძლებელია. მარტო მოთავეა საჭირო. მე კერძო დახმარებაზედ კი არ გეუბნებით, წარმოდგენები უნდა გაიმართოს ჩემს სასარგებლოდ. აქ სიღნაღში კი რამდენიმე გვექნება, თელავშიაც იმედი მაქვს შამიგროვებენ ამავე საშუალებით. რჩება თბილისი, გორი, ქუთაისი და თიანეთი. ქალაქში და თიანეთში ბაბალეს იქნება ვაკისრებინო ეს საქმე, ილიასაც დახმარება ვსოთოვე, ჯერ კი პასუხი არ მიმიღია, არ ვიცი გამოვა რამე თუ არა. მანდ კი ვინ უნდა ითაოს – ის კი არ ვიცი, ვინ არის უფრო სათნოიანი და პატიოსანი. აბა ლომაურს გაუკარით სიტყვა, შეიძლება მოხერხდეს რამე და რაც შეიძლება საჩქაროდ შემატყობინეთ, თუ ღმერთი გწამსთ, პასუხი – უნდა მერე წიგნი მოვწერო.

წერილისათვის ძალიან მადლობელი ვარ, გაგიმარჯოსთ! მე დაღონებული არა ვარ, როდესაც თქვენ მხიარულობთ. მე ძლიერ მესიამოვნება თქვენი წერილების კითხვა, აქეთგან იფიქრეთ თქვენს მოვალეობაზედ. მე ჯანსაღადა ვარ. მიხაკო და შინაურებიც, ვიზედაცა მკითხავდით, ერთობ კარგა არიან. ვისურვებ თქვენს გონებრივ და ზნეობით წარმატებას, დაესწარით მშვიდობა-სიხარულით მრავალ შობა-წელიწადსა. დიდი გიმატებიათ, დიდი გიმატოსთ ღმერთმა, ახალმა წელმა, წლის გამოცვლამა. ჯვარი გენეროსთ!

ჰო, მანდ გორში, ჩვენი მხრის კაცია ღვთისო გოგოლაური, აქ იყო, „თაღლაურას“ ნომრებს დავპირდი; წერილებსა მწერს და მემდურება, არ მიგზავნიო. თუ ჩემი სიყვარული გაქვსთ, ეგები სადმე უშოვნოთ და გადაჰცეთ. წერილს რო გამომიგზავნით, ისაც შემატყობინეთ, დააკმაყოფილეთ ის კაცი თუ არა. თუ ვერა, მაშინ აქეთგან მომიხდება გამოგზავნა... მართალია, წერილი მოვწერე, მაგრამ კიდევაც მომიკითხეთ. უთხარით, რომ იმედი ჰქონდეს, კიდევაც მოვწერ, როდესაც დროება მექნება, მომიკითხეთ აგრეთვე ვასილა, ჩვენი მზარეული – დიდის სიყვარულით, გოგოხია და სხვები, ვისაც მე რაშიმე ვეპიტნავები.

### თქვენი ძმა 6. რაზიკაშვილი

№6.

დოკ. 20/4 (5)<sup>38</sup>

ძმაო თედო!

6 ენკურისთვე 1888 წლისა

შენა და ანდრია ხართ ჩემი ძმები და ჩემის მხრივ არც მოგცემთ მიზეზს სიძულვილისას. თუ ძვირად გეფასება ჩემი ძმობა და სიტყვა, წერილებს როგორ არ მოგწერ? იყავ ყველა კაცობიანი კაცის საყვარელი, ბეჯითი სწავლაში, სახელოვანი მანდაც და ცხოვრებაშიაც, თუ ხარ მოწადი, რომ ჩემი შენდამი ძმობა და სიყვარული ერთიათასად გაიზრდებოდეს. ვინაც პირველობისადმი არ მიისწრაფვის, იმისაგან არც არაფერს უნდა მოველოდებო[დე]თ. ის შექმნილი არ არის დიდებისათვის. ამიტომ ნურც ჰგონებ და ჰხადი პირველობას ცარიელ პატივის მოყვარეობად. მიიღებოდე პირველობისადმი, რომ შეიქმნე სხვათა შორის წარჩინებული.

მეორე კლასში ერთი ვაკანსია იყო, რომელიც შესაძლო იყო თერგის<sup>39</sup> მისაღებად თელავში. შეუთვალე კი მამაჩემს ამ თვის პირველისათვის იმის ჩამოყვანა იქ, მაგრამ არ ვიცი, რას იზამდა, ან ის ბავშვი ისევ ცუდად იქნება თუ არა, – არ ვიცი. მე კი ჩამოვედი და ცოტ-ცოტათი ვეწყობი. სამწუხაროდ ჩამოვლით ყველები ვერ ვიყიდე პანკისში,<sup>40</sup> რადგანაც მეცხვარეები ჯერ მთიდამ არ ჩამოსულიყვნენ და ეხლა საალავერდობოდ მომიხდება იქვე ასვლა.

გაუმარჯვე ჩემს მაგივრად გიგოს. მომიკითხე დიდის სიყვარულით ჩვენი დაუვიწყარი ვასილა და შეპრისხე: „რატომ არაფერს მოიწერები შე ფაშდიდოთქო“, – აგრეთვე ფურცელაძე და სხვა ჩემი ნაცნობი ქართველები, წყალობამ მოგიკითხათ.

შენი დაუვიწყარი ძმა ნიკო

<sup>38</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 149.

<sup>39</sup> „თერგი“ – ვაჟა-ფშაველას უმცროსი ძმის, ალ. რაზიკაშვილის ბავშვობისდროინდელი მეტსახელი.

<sup>40</sup> პანკისი – სოფელი, თელავიდან 30 კილომეტრის დაშორებით.

№7.

დოკ. 20/4 (6)<sup>41</sup>

ენკ.<sup>42</sup> 19. 1890 წ.

## ძმაო თედო!

მე ადგილი მამცა ლეონიდმა ბარისახოში.<sup>43</sup> ტრედზედ უძლევიათ აქედამ ჯამაგირი, ეხლა არ მამცეს ქრისტიშობისთვის გასვლამდის. აქ სასესხოდ გამიხდა საქმე. მოთხოვთ „ციხელი“<sup>44</sup> ეხლა არ მიმიცია რედაქციაში: უნდა შევასწორო.

მე მონია ამ თვის გასვლამდის მამიგვიანდება, ვერ მივალ ადგილზედ. წერილი მაინერე, თუ ძმა ხარ, – როგორა ხარ, ან როგორ მოეწყე.

შენის საქმისა ეხლა შენ იცი: ვაჟკაცი ხარ, მე რაღა უნდა დაგარიგო... თავი კარგა დაიჭირე და ჯიბესაც მაუჭირე – ეგებ ფული შაინახო, რო სხვა ზაფხულ ეს ოხერი სახლები ავაშენოთ.

იყავ მშვიდობით; ვისურვებ შენთვის სამაგალითო პატიოს-ნურ სიცოცხლეს და ბედნიერებას.

შენი ძმა ნიკო  
ცხეთა

<sup>41</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 149-150.

<sup>42</sup> ენკუნისთვე – სექტემბერი.

<sup>43</sup> ვეჯინიდან ბაჩანა მასნავლებლად გადაიყვანეს ბარისახოში, „კავკა-სიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მიერ ახლად გახსნილ სკოლაში.

<sup>44</sup> ნიკო რაზიკაშვილის ასეთი სახელწოდების თხზულება მაშინდელ პრე-საში არ დაბეჭდილა. ციხელი, რომლის პროტოტიპი ფშაველი გლეხი ყოფილა, ვაჟა-ფშაველას მოთხოვთ „ცრუპენტელა აღმზრდელის“ მთავარი პერსონაჟიცაა.

№8.

დოკ. 20/4 (22)<sup>45</sup>

[1893–1899]<sup>46</sup>

## ძვირფასო ძმაო თევდორე!

გამარჯვება!

ამ თვის ნახევრამდის სულ მოლოდინი მქონდა შენის კაცის და წერილისა; მატყლიც ნაშოვნი მქონდა; მოსულიყო ვინმე მანდედამ სხვასაც რასმე ვუშოვიდი... მაგრამ მანდით არავითარი ცნობა არ მიგვიღია... ეპ., თუ კარგად მაინცა ხართ, თუ ისე მაინც გახსოვართ – ესაც დიდი ნუგეშია ჩემთვის... ეხლა ან მე რაღას გამოგიგზავნი – როცა ასეთი დრო და ამინდია დატეხილი... თორემ სანდორსაგანაც ყველაფერს უფრო კარგად შეიტყობ აქაური ვითარებისას... რაც შაეხება ჩემს სულიერ მდგომარეობას, ბევრს სანუგეშოს ვერას გეტყვი: რაც დრო და ხანი გადის, რაც უფრო მარტოკა ვარ, იმდენი უფრო შავი სევდისთვის ვეღარ დამიხსევია თავი: ვარ მარტოკა, ვესაუბრები მხოლოდ ჩემს თავს, მოპასუხე და ხვაშიადის მოზიარე ჩემთვის არავინ – გარდა არაგვისა, მთებისა და ბეჩავის ჩემის ცოლისა... ვზივარ ბევრჯელ ჩემთვის საცოდავ ფიქრებში გართული, ვუკრავ ფანდურს, ვესაუბრები ბევრს რასმე ჩემის გულის ამონაკვენებისას, და საწყალი ჩემი ცოლი კი ზის და ჩამოჰდის ცრემლები!.. ესაც ნუგეშია ტანჯულის მგოსნისა – არა ძმაო?.. კიდევ კარგი ეს მაინც მიცნობს და მაფასებს, რაც კი მოეთხოვება ამის განვითარებას. ნეტა, საზოგადოება რომ არა ვსთქვა, წიგნები მაინცა მქონდეს ბევრი-ბევრი, რაც საჭიროა, მაშინ კიდე აღარას ვიტყოდი, – იმეებით მაინც ვიცხოვრებდი... დიახ,..

ჩემი მოწაფეები, კაცო, ის ჩემი საყვარელი ძმები და შვილები... ისინი რომ არ მართვევინებდენ კიდე, აქამდე ან გავგიუდებოდი, ან სხვა რამე უფრო უკეთესი დამემართებოდა... დავჯდები, შემოვისხამ გარს ჩემს ბარტყებს, ვამბობთ,

<sup>45</sup> ერთფურცლიანი ხელნაწერი, ნაწერი შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 155-156.

<sup>46</sup> ტექსტის შინაარსისა და ბაჩანას ბიოგრაფიის გათვალისწინებით, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1890 – 1899 წლებში, ნიკო რაზიკაშვილის ბარისახოს სკოლაში მუშაობის პერიოდში.

ვკითხულობთ და ხშირად მეცა ვტირი ჩემს მოწაფეებთან... აღზრდაა მარა ჯანდაბა – შხამიანი წყლით რწყვა ნოლიან<sup>47</sup> მდელოსი!?. „საზოგადოება, ჩვენი ინტელიგენცია“... თორემ ვის რას დაემდუროს კაცი... ყველას ღმერთმა უშველოს, ხელი მოუმართოს და ჩემო ძვირფასო შენც გაგიმარჯოს...

მრავალი მოკითხვა ყველა მანდაურ ჩვენებს ჩემს და ჩემის ჯალაბობის მხრივ.

## შენი ძმა ბაჩანა

№9.

დოკ. 20/4 (26)<sup>48</sup>

[1891]<sup>49</sup>

ძმაო თედო!

აქაურს ამბებზედ არაფერს არ გეტყვი: თვითონაც შე-იტყობ აქ მოსვლისას. უთუოდ კი წამოდი, სააღდგომოდ მეც შინ ვიქენები... ცალი გვერდი გამურული მაქვს, ცალი კარგი. გაიგე?.. სკოლის საქმე კი ღვთით კარგა მაქვს დაყენებული, „თეთრიც“ საკმაოდ მრჩება... სხვაგან მტკივა ოხერი და!.. თედო, როგორც გითხარ, სააღდგომოდ წამოდი, მაის[ს] „ივ-ერის“ რედაქციაში შეიარე, რაც ფული მერგება აიღე: იქ დაბეჭდილი მხოლოდ „ფშავლის სიზმარი“<sup>50</sup> იყო. ის № შენც გექნება მანდ, რადგან შენი ლექსიც იქ იყო დაბეჭდილი. ეხლა კიდე „სიკვდილსა“ ვგზავნი და „სიმღერას“<sup>51</sup>, უთუოდ დაიბეჭდებიან... სტრიქონი ლექსი შაურად უანგარიშე... ეგები

<sup>47</sup> ნოლი – ნათიბში ხელახლა წამოზრდილი ბალახი, იგივეა, რაც „მოლი“.

<sup>48</sup> ხელანერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით, ამომქრალია. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, იხ. გვ. 158-159.

<sup>49</sup> წერილი დაწერილია ბაჩანას მოთხრობა „ფშავლის სიზმრის“ გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდვის შემდგომ (იხ. მომდევნო შენიშვნა).

<sup>50</sup> „ფშავლის სიზმარი“ – ბაჩანას მოთხრობა. დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1891 წლის 14 სექტემბერს.

<sup>51</sup> ბაჩანას ლექსი: „სიმღერა“ (სხვისად რა მეთქმის...) გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიის“ 1891 წლის 25 ივნისის ნომერში; წერილში მოხსენებული ლექსი სი სათაურით – „სიკვდილი“ გაზეთ „ივერიაში“ არ დაბეჭდილა. ამ ლექსის ხელნაწერი დაცულია გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში: №13 590/299.

თედო ერთი გირვანქა ყაჭიც<sup>52</sup> მიყიდო, ან აბრეშუმი – მჭირ-დება... ეს საქმე: დიახ. სანდროს უგზავნი რასმე?.. უთუოდ ამ ტრე[დ]ისა შენაც გაუგზავნე და ჩემ მაგიერადაც – ფული ხომ მანდა გაქვს... დანარჩენზედ მერე ვსთქვათ... ეს კია სახლის თავდარიგს არ შავდგომივარ, რადგანაც ამისთვის ცოტა ჯერჯერობით ფიქრში და არჩიონში<sup>53</sup> ვარ... სასახლე თხილი ჯერ ისევ ჩურჩაში ზის, არ გამოკროლილა<sup>54</sup>...

როგორ არიან შენები ჩვენები? – ჩემი ძმა წყალობა, პატიოსანი წყალობა, მათი მეუღლე, ან პატარა მაშოა, ან, დამავიწყდა სახელი, შენი ცოლის ძმა? ლერთმა ინებოს ბედნიერი ცხოვრებით იმყოფებოდენ... მოკითხვა ურმით უნდა გამომეგზავნა მათთვის, მაგრამ ამ ოლრო-ჩილროზედ ძალიან დაიგვიანებს... ფარელაანიც ყველანი დიდი პატივისცემით მომიკითხე... ჩემი რძალი და ჩემი პატარა თალიკო? როგორა პბრძანდები ჩემო კარგო? ხომ არ გაწუხებსთ ეგ მოუხეშავი ფშაველი?.. აბა ჩამოკოცნე თავის პირ-თეთრი შაზლი... გესი-ამოვნება განა... უფრო მაშინ, როცა ლვინით გამობრუჟულს თვალები დაუშითლდება და პირიდამ იავარდითა სუნელოვანებს... მაინც მაშინაც შენი ვარ ჩემო კარგო და ლერთსა ვთხოვ მოგანიჭოს თავის ქმრით დიდი ხნის სიცოცხლე და აღუშფოთებელი ცხოვრება... მაგრამ თუ ოქროს ქოჩიანი ვაჟუნა არ გამოგვიჩევე – მაშინ კი მე და შენ უჩხუბრად ვერ მოურჩებით ერთმანეთს... კიდე რამე უნდა მომენტერა – მაგრამ საღამოა, ბნელდება, სანთლის ანთებაც მეზარება და მეც მეტი სათქმელი არაფერი მრჩება... იყავით მშვიდობით, ნახვამდისაც და სამუდამოდაც.

თქვენი ნიკო, თუნდა „ნიკოლაე“, მერე რა სასწაულთ მოქმედი ვარ, რომ იცოდეთ! მითომ „**Николай Чудотворец**“-ზედ გელაპარაკები რაღა!

თუ „დივიდენტში“ მერედაქციენი წილს არ მომცემენ, თედო, მაშინ შაური გამოართვი, თუ წილს მაძლევენ – მაშინ სტრიქონი სამ კაპიკად უანგარიშე პროზა და ლექსი.

თედო, ხახვის, ბადრიჯნის, ნიახურის, კომბოსტოსი, ჭარხ-

<sup>52</sup> ყაჭი – აბრეშუმის ჭიის პარკი.

<sup>53</sup> არჩიონში – არჩევანში.

<sup>54</sup> კროლი, კროლა – ჩეხო, რომელიც მოწეულ თხილს ან კავალს ადვილად ეცლება.

ლის, ბოლოკის და მწვანილეულის თესლები არ დაივიწყო შენი ჭირიძე, ძალიან საჭიროა, ყვავილების თესლებიც ეგებ იშოვო. სულ ჩემი ფულით იყიდე, შენ როგორ შეგანუხო. მიყიდე სამი კოვზიც სტოლისა სემინარიული ყაიდისა.

№10.

დოკ. 20/4 (7)<sup>55</sup>

### ძმაო თედო!

გამარჯვება კაცო!

დაჩვეული ხარ ჩემგან გოდების გაგონებას<sup>56</sup> ან საიმაო რამესი... მაგრამ ამ წუთში ყოველივე დარჩეს – როცა შენაც, მაგ მშვიდმა კაცმა ხმალი ჩამოიკიდე იუდა მაკაბელივით, ფარიც და ბოლოს კი დასადებად გაგიხდა ის ვერანი... აფსუს გმირო!... მაგრამ მეც ხომ იქა გყევარ გვერდით ფრთიანი, ნუ გეშინიან... კი არ გეწყინოს, ე, მინდა, ცოტა ხან, თუ შენ არა, მე მაინც ჩემს ნამოქმედარზედ ბროლის კბილები გამოვაჩინო... ამ უამად რაღაც კრეჭის საათმა ჩამოიარა. სულ მინდა დაგცინო, მაცინო, გაცინო და ძმურ ხუმრობაში ყელზედ ხელ-გადახვეულ-მაც ჩამოგყოცნო, ჩამოგპროშტო გენაცვა... ამ საათში: მსურს ფრთა მომცა, ჩიტი მქნა, თქვენკენ მოვფრინდებოდე... მაგრამ შენის მარნისთვის კი აგრე რიგად ბევრი საამო არ იქნებოდა... ჰენახამდი ქვევრი პირას, ხელში სველ ჩარექიანი „რამოტოლა“ მრავალ უამიერს დავიძახებდი და იახშიო[ღ]ლით „საეძელოს“<sup>57</sup> ჩემეულის ჯიხვით შენთან მოვიდოდი: ჩემის აგულძვირებული ჩიტუნია თიკოსას თავის ბლარტით; შუშანისას, გაბოსას, მაშუასას, წყალობასას, მაგრამ არა, წყალობას ვერ ვაწყენინებ: უნდა ჯიხვით კი არა – ჭიქით, სტაქნით მიართვა ღვინო, სტაქნით ლოთობა არ იქნება. განა ეგაც ნიკოა, რომ გადაკვრა და ღვინოში წვერების სველება უყვარდეს... გაიგონე,

<sup>55</sup> ხელნაზე ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 150.

<sup>56</sup> წერილში ეს სიტყვა გამეორებულია.

<sup>57</sup> სადღეგრძელოს.

ე, თამადა ვარ – ძალას ნუ ატან, ეგ ჯიხვით ვერ დაჰლევს, ეგ სულ პატარა რუმკებით და მამლი ყანწებითა პსვამს ხოლმე... ამანგრე აი... დალია?... აბა, ხელ-გაშლილო მასპინძელო, დო-ქზედ დაასხი... ეს ღმერთმა მაინც კიდე, წყალობ, შენ გადღე-გრძელოს... ისე, როგორც შენი გული ღმერთსა პთხოვდეს; გა-დღეგრძელოს თავის სახლობით, თავის კეთილის მყოფლით... გაგონება ოყოს... ურა!!... აბა, სუფრულიცა ბიჭებო... გაბო, ღვინოს ნუ აპარებ – თუ სმაა – სისწორისა იყოს შვილოსანა. მასპინძელს ნუ აწყენინებ – და ... ზრიმლ<sup>58</sup> ნუდარ გაუშვებ... აი გენაცვალე, ეგრე უყვარს ჩვენ მასპინძელსაც – აი!

ჩემი ამბავი კიდე ამის მომტან ხევსურსა ჰკითხე და წერ-ილიც ამას გამაატანე. ბევრის მინდოდა მოწერა, მაგრამ მაჩქარებს... სალამო ხანია – გზაზედ ჰდგას. – მშვიდობით... კლდეზედ ბეწვით დაკიდებული კაცისა რა იკითხება... გაგას კაცურად დაჰჭვდი.

### შენი სიცოცხლის და ნახვის დანატრული ნიკო-ძმაი მიხამაც მოკითხვა...

მრავალი მოკითხვა ყველასთან, ჩემმა სახრჩობელამ სიყ-ვარულისამა.

**21 გიორგ. 1893 წ.**

№11.

დოკ. 20/4 (9)<sup>59</sup>

**ძმაო თედო!**

მოგესალმებით და „მოგესიყვარულებით“ გამარჯვება – დღეგრძელობით... ამასაც მოგახსენებთ, რომ ეს პირველი არ

<sup>58</sup> ზრიმლი – ცვარი, ნამი, აქ: წვეთი.

<sup>59</sup> დოკუმენტი სამფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გა-მოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 151-152.

არის. ორიც სხვა გამოგიგზავნეთ. ერთი კი ვიცი, რომ მოგიტანესთ იმ ჩემმა კლანჭიანმა ელჩებმა, მაგრამ მეორისა კი არა ვიცი-რა... ისაც იმათ ჯურის ხალხსვე გამოვატანე, – ვიცი, რო იმათი სტუმრობა „ძაან“ საამურად დაგრჩება... წერილი კი ისე მარილიანი მე ადვილად არ მომიწერია და ბევრსაც იცინებდი, თუ მოეტანათ... მაგრამ ვგონებ დესპანს „სამგორის მინდორში“ (მითომ ესა ჰქვიან ი დიდ მინდორ რო იტყვიან ქსანზედ?!?) ცხენი დაპვარდნია და აპა ფეხით ხომ არ წამოვიდოდა ამ თოვლა-ყინვებში. ხელმწიფის პირველი კაცია – მარტო ქვეყანა რას იტყოდა, იმან რო ქვეც არა ჰთქვას-რა?... ამიტომ კურიერი უკანვე გამობრუნებულა და სამწუხაროდ დღემდის არსადა ჰჩანს – კიდე კარგი, თუ ოდესმე მაინც დაუბრუნდება თვალ-გულ გადალეულ ბატონს: ხომ იცი ყიფჩაგების ქვეყანა იმის მადლიანი ჭკვით და მარჯვენით არსებობს, თორემ „ბოვა-ბოგატირები“<sup>60</sup> აქამდის ხეირს არ დააყრიდნენ. თუ მანდვე სადმე ამბობდნენ, შენი ლურჯი ცხენით კაცი აფრინე (ვიცი ქერზე დაბმული გეყოლება და უეჭველად კაი ჯანადაც აც იქნება) ეგები შემწეობა მისცეს: ჩემი ვეზირი ჭეშმარიტი ქრისტიანული თავდაბლობით არის გამსჭვალული და საჯდომად ჩიხორსაც არ მოერიდება! ეს ეკონომიურადაც ჭკუაში მოსასვლელია, რადგან ქირა „პატარაყურაბიანებზედ“ ცოტაა განწესებული... თუ გაჭირვეულდეს, ერთი დაატუტუნებინე იმისთვის და ელვის უმალ აქ დაიბადება... ეცადეთ კი პირველშივე შუშინი<sup>61</sup> მისცეთ, თორემ თუ კრძალვა-მოხათრება შეგატყოთ, მაშინ მის ჭექა-ქუხილს და რისხვას ცაც ველარ გაუმაგრდება... ასე, ძმაო, ვინძლო შემატყობინო ჩემი მოციქულის ამბავი: თქვენიცა... ვინძლო მომიკითხო დიდის სიყვარულით ყველანი: თიკო, გიულ ქალი, წყალობა, შუშანა, გაბო და მაშინი. უთხარი, რომ ჩემთვის ძალიან სასურველია მათი კარგად ყოფნა და ნახვაც... ნეტა გულქანი კი მაჩვენა... თორემ აი რა გითხრა: მე ეხლა „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში ვგზავნი „ზამთარს“ლექსს და „სიკვდილის ლანდებს“<sup>62</sup>,

<sup>60</sup> სავარაუდოდ, აქ საუბარია XVIII საუკუნის რუსული ხალხური საგმირო ეპოხის „ნიმა კოროპევიც“-ის გმირზე.

<sup>61</sup> შუში – დატუქსევა, გაჯავრება.

<sup>62</sup> 1894 წლის აღნიშნულ უურნალ-გაზეთებში ბაჩანას ეს ორი ლექსი არ გამოქვეყნებულა. ისინი არ შესულა სოლ. ყუბანიშვილის რედაქტორობით 1938 წელს დაბეჭდილ ბაჩანას პოეზიის აკადემიურ გამოცემაშიც.

რომელიც მე შევასწორე... ვამზადებ ყველა ჩემ ნაწერებსაც დასახეჭდად... „ამხანაგობას“ მოელაპარაკე, თუ იყიდიან ჩემს ნაწერებს, მომწერე, სააღდგომოდ ქალაქს ჩამოვალ და ჩემ ნაწერებსაც წამოვიღებ... ოცდაათ თუმანზედ ნაკლებ კი არ მივცემ, ამიტომ რომ ამ ფასად სტრიქონი ლექსი შაურზედ გამოდის თითქმის და ნაკლებ ხელს არც მომცემს (თუნდა ცოტა მეტიც გამოდიოდეს). თუ არ იყიდიან და „კვალის“ რედაქციის „ზამთარი“ და „სიკვდილის ლანდები“ დაბეჭდოს, გთხოვ უანგარიშმ (ლექსი შაურად სტრიქონი და არა 4 კაბეიკად, ეს პირობა თვით გ. წერეთელს აქვს აღნიშნული ჩემდა უკან დაბრუნებული ერთ-ერთი პოემის ბოლოზედ) და, რაც მერგება, ფოშტით გამომიგზავნო თიანეთში, ამ ადრესით: **В Тианеты, уч. Бар. Шк. Н. П. Разикашвили...** ანგარიშში, რასაკვირველია, ყველა ის მასალა შევა, რაც დაიბეჭდა „კვალში“ ან „ჯეჯილში“ იმ დროს აქეთ, რის შემდეგაც მე აღარა ამიღია რა რედაქციიდამ... (შემოდგომაზედ ვიყავ თბილისში...) რაც შეეხება ჩემს „კვალის“ რედაქციაში მისვლას, მე იქ აღარ შევალ... თვით გიორგი წერეთელს კი ველაპარაკები ქუჩაზედ, ან სხვაგან შეხვედრის დროს... გესმის რად? ჩემთან გიორგიმ ცოლს უთხრა: „სად ჰჯობია აქ – თუ „იქ“ ყოფნაო? (იქ კი მგონია ქალებიც უნდა ჰყოლოდა...) ლექსებიდამ ეტყობა, ბაჩანას ქალები უნდა უყვარდესო და სხვანი რაღაც აზრი [აქაზე] დარჩა... გესმის?... კაი ცნობაა ნიკალასი განა, თედო?... ეს კი ჩვენში დარჩეს ჯერჯერობით, დრომდის... საცა ქალები მეგულება, მე იქ პატივცემულ კაცთან ვერ მივალ... რა ვიცი რა გაიგება, ან რა გამოვა რისაგან!... ცოტა უმნიშვნელო საქმეა... არც ლაპარაკი და წერა მეხალისება იმაზედ, ვერც კარგად გიამბე.

მერე კიდე: ამ ზაფხულ თავის ცოლ-შვილით მთაში წამოდი ჩემთან... მანდ აღარ დაპრჩე, თორემ იქნება შენი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოდ არ დარჩეს შენი მანდ ზაფხულში ცხოვრება.... მეც ბარისახოში ვიქნები. თავისუფლება ბევრი გვექნება, სიღარიბეში სიამოვნება – გამჯავრე კი არვინ არ გვეყოლება... სანდროც აქ მოვა... მიხაც აქ მეყოლება... მთებში მაინც ვიმოგზაურებთ... ახალი პოემაც დავიწყე ფშავლების ცხოვრების შესახებ და, მგონია ურიგო არ გამოვიდეს...

თუ „ამხანაგობამ“ ჩემი ნაწერების შესყიდვა იკისროს, მეც ტფილისს ჩამოვალ, (მომწერე) და, რასაკვირველია, ორნივე

ხელთუბანშიაც გავმგზავრდებით...

სხვა რაღა მოგწერო?... რძალმა და მიხაკომ მოგიკითხესთ...

შენი სიცოცხლის მონატრე ძმა ნიკო  
1894 წ. მარტ. 8-ს

(„კვალის“ რედაქციაში ეს წერილი თანა გქონდეს – „იმაზედ“ კი არა აჩვენო რა).

ჩემი ნათლიმამის, „მელანიას“ – ნიკოს ადრესიც მომწერე: წერილი უნდა გავუგზავნო.

№12.

დოკ. 20/4 (12)<sup>63</sup>

**ძმაო თედო!**

შენი გამოგზავნილი წერილი მივიღე. მადლობელი ვარ მომიგონე. ღმერთმა ხო იცის სანატრელია ჩემთვის თქვენი (მარტო შენი კი არ გეგონოს) მშვიდობიანობა... კარგადა ვარ შენი კარგად ყოფნითა... იცოცხლე, იშრომე, „იმკრეხელე“, რომ დაუმარხავი არ დაგრჩეს შენი საწყალი ძმა.... გენაცვა, ძმაო, ღმერთმა ხომ იცის ძალიან დავწუხდი... მოგწერეთ, არაფერი მომსვლია იმას გარდა, რაც ვანომ მომიტანა... ხომ ისიც იცი, რომ მაგ „თქვენში“ სანდროც არა მყავს მოძულებული.... ეხლა ეგ ბავშვი ალარ არის... ტყუილად კი ზის (იქნება არა ზის, მაგრამ მე კი არა ვუწყი მაგის შესახებ)... სად არის, რას აკეთებს, რასა ფიქრობს... მე ეჭვი მაქვს მაგის „ჭკვიანობაზედ“ და იცი რად? როცა ერთხელ მე დარიგებისამებრ ვუთხარ ცოტა რამე, საწყინოდ დაპრჩა: დარიგებანი ჩემთვის რა საჭიროა, მე თვითონ ვიციო... ე-ე... ყმაწვილო, შენს თავს მოუარე სანამ ჩვენც არაფერი გვიჭირს, თორემ მერე იქნება სასინანულოდ დაგრჩეს და გვიანდა იქნება... რაღა მოგწეროთ? მოდით

<sup>63</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 145-146.

ცალკ-ცალკეც რამეს გეტყვით:

რძალო, თიკო, მამწერე რამე გენაცვა... ჩემს ძმისწულებს ჩემს მაგივრად მრავალჯერ აკოცე პანაწინა თვალებში... (თვალი იმდენს ძალლობას არ ამეჭჩაის<sup>64</sup> რასაც პირი)... თქვენს უნახავად ეგები არ მოვკვდე...

სანდროც მომიკითხეთ, აკოცეთ ჩემს მაგივრად... მაგან ხომ არც „მოკითხვა შემომითვალა“...

მრავალი მოკითხვა დედა შუშანას, მძახალ წყალობას, ძმა გაბოს, მაშოს და სხვათა. რძალუასაგანაც სხვათა შორის და პატარა ბიჭებისაგანაც.

**თქვენი ბედკრული „მარტივი“ ძმა „ნიკოლაოზ“**

თუ ძმა ხართ – დარბაისლურად იყავით – მეძავთა შორის მოხსენება არ იყოს ჩემს შესახებ – გაიგეთ და განისწავლენით...

**ჩყუვ-ს<sup>65</sup> წელს  
ხოლო ქრისტეშობასა მას ათშვიდმეტს**

Г. Гори. Учителю хелтубанской школы Феодору Разикову (Разикашвили) (До востребования)<sup>66</sup>

<sup>64</sup> ამეჭჩაის (ხევსურ.) – სჩადის.

<sup>65</sup> 1896 წ.

<sup>66</sup> თედოსადმი გაგზავნილი წერილის ეს მისამართი ნიკოს ხელითვეა დაწერილი ბარათის უკანა მხარეს.

№13.

დოკ. 20/4(13)<sup>67</sup>

## ძმაო თედო!

გამარჯვება ხალხო! აბა რა კილოსა ხართ, როგორ გიკითხოთ? რა რიგადა ხართ?... ღმერთსა ვთხოვ ისე იყოთ, როგორც თქვენი ნიკოს გულს ჰსურდეს თქვენი კარგად ყოფნა... ჩვენც დღესნამდე არაფერი გვიშავს: ვყრივართ, რაღა, ვათენ, ვაღამებთ კია... არაფერი მიჭირს, ძმაო, შენი უნახაობის მეტი... ძალიან, ძალიან დავწუხდი... მძლივ მეღირსა მომენტერნა რამე... ნეტამც მიიღებდეთ მაინც... იწერებოდი მოვალო. გეთაყვა, არ დასდგე. ცოლ-შვილიც არ დასწირო მანდ: აქ წამასახი... ეგები წინ გაბო გამაჰვიზავნო, რომ მოგეგებოთ და ცხენებიც დაგახვედროთ, თუ საჭირო იქნება... ზაფულობით მაინც ვიყვნეთ ერთად, თორემ რა გაიგება წუთის სოფლისა... ისე უბედური ვარ, რომ თქვენი ნახვაც სანატრელად გამიხდა... შენი ჭირიმე წამაუვალი არ დასდგე. როცა იტყვი, მანდაც გამოგყვები და ცოლსაც თან გამოვიყოლებ... მინდა, მინდა ბევრი რამ მოგწერო, ბევრი რამე გიამბო, მიამბო, გაცინო, მაცინო, იხუმრო, მახუმრო, იმღერო, მამღერო, როგორ მეწყინება შენი სიცილი! მაგრამ აქ მოვიჯეროთ გული... ამ წერილს კი შევამოკლებ: ეგები ბადე ან ხოლიხი<sup>68</sup> ერთერთი წამაილო, დაგვჭირდება.

ყველა ჩვენებს, დიდ-პატარას, მამროვან-მდედროვანს აკოცე ჩემ მაგიერ და უსურვე ხანგრძლივი, უტკივარ-უწყინარი სიცოცხლე. ჩემ[მ]ა ცოლ-შვილმაც იგივე შემოგითვალათ...

შენი სიცოცხლის მონატრე ძმა ნიკალა  
1899 წელს  
ივნის[ს] 7-ს

<sup>67</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 152-153.

<sup>68</sup> ხოლიხი – საჭიჭყინე ბადე.

№14.

დოკ. 20/4 (24)<sup>69</sup>

[1901]<sup>70</sup>

## ძვირფასო ძმაო თედო!

მოგილოცავ შობა-ახალწელს, ღმერთმა მრავალს მიგაგებოს თავის ცოლ-შვილით, ბედნიერი ცხოვრებით... შენ თუ მემდური, მე მადლობელი ვარ, რომ წიგნი მომწერე და შემატყობინე თქვენი კარგად ყოფნა... თუ არაფერი გიჭირსო – ჩემს ნახვაზედაც უძვირფასესია ისა და მაგაზედ სასიამოვნოს ვერცარაფერს გამაგონება... რასაკვირველია, საწყინოდ არც ის დამრჩა, რო მარანი მოგისწვრია, ღვინოები ჩაგისხამ და საამრთოსაც გადახდას უპირება... რატომ, გენაცვალე, ღვთის ახსენება არაფერს დაგიშავებს. მეც დიდის სიამოვნებით გესტუმრებოდი, რომ კარგად ვიყვნეთ... ინფლუენცია,<sup>71</sup> ხველა-ძსჭვალი დავვერია მე და ჩემ მოწაფეებს, – რომელმაც შენი ძმისწული მასონაც იმსხვერპლა, მოგვიკლა... მეც ავადვიყა, სიკვდილს ბეწვით გადავრჩი: ჯერ ხნობით კარშიაც არ გამოვსულვარ ისე სუსტადა ვარ.... გეცოდინება ფშავ-ხევსურთეში დიფტერიტი მძვინვარებს. როცა მე უკანასკნელ დღეში ვიყა, ახლა პალეს ის ოხერი ჭირი არ შეჰვდა! რაღაც ღვთის განგებით სწორედ იმის წინა დღეს დოქტორთან ლუკა გავგზავნე ჩემდა საშველად, როცა პალეს ის ყელის ტკივილი გამოაჩნდა... უეჭველიც არის ამასაც ხელიდან გამომაცლიდა, მკურნალი რომ არ მომსწრობოდა და ეწამლნა... ერთად გამოვრჩით მე და ის ბავშვი... მხოლოდ დიფტერიტი ახლა მეც შემხვდა, შენს რძალსაც: დღესაც ყელი მტკივა... საშიში კი არა არის რა – რადგან დიდებს მსუბუქად გაგვიარა... ის პატარა ღა გოგო მყავს საღი და ღმერთმან უწყის – იმას რაღას უზამს

<sup>69</sup> ორფურცლიანი ხელნაწერი; ნაწერი შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 157-158.

<sup>70</sup> ბაჩანას ეს წერილი დათარიღებულია პოეტის მიერ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, სადაც იგი წერს ფშავში საშიში სენის გავრცელების შესახებ (იხ. ბაჩანა, „რამე-რუმე მთისა“, გაზეთი „ცნობის ფურცელი“, ტფ., 1901, 18 სექტემბერი, №1585, გვ. 2). ნიკო რაზიკაშვილი ამ პერიოდში ცხოვრობდა ფშავში და მუშაობდა სოფელ მაღაროსკარის საშუალო სკოლაში.

<sup>71</sup> ინფლუენცია – გრიპი.

ეს წყეული ჭირი – შეჰვდება თუ არა. ლუკა დღესნამდე კარგად იყო, არავის რა უტკივოდა. მხოლოდ გუშინ, გუშინსწინ ამბავი მომიტანეს პატარა ბა[ც]შვი დიფტერიით ავად გაუხდაო, რამდენად მართალია, არ ვიცი, ვერავისა ვხედავ ჩარგალელს, მეკითხნა და არც მე მაქვს თავი თვითონ წავსულიყავ და თვალი მომევლო... ასეა ჩვენი ამბავი... ნუ შესწუხდები, მე არა ვწუხვარ, თუ შენ ცოცხალი მეყოლები და სხვა ძმები...

რასაკვირველია, მინდა შენი ნახვა, მაგრამ სახუმრო საქმე არ არის, ამ ზამთარ არსად წამოხვიდე აქა; ჭირ-სატკივრი-ანობაა, გაგყვება რამე... საზაფხულოდ კი ხომ ჩემთან უნდა ამოხვიდე ცოლ-შვილით; სააღდგომოდაც წამოდი, მოგწერ, თუ ავადმყოფობა აღარა არის გაშლილი... მომიკითხე დიდის სიყვარულით ყველა: დედა შუშანა, წყალობა, გაბო და შაქრო თავის ცოლ-შვილით და უსურვე ჩემს მხრივ ბედნიერი ცხოვრება.

თიკოს და ბავშვებს კოცნით მიესალმე ჩემს მაგივრად.

ჩემმა დედაკაცმაც მრავალი მოკითხვა...

სანდროსაც აკოცე, ვიცი ჰერავ...

## შენის სიცოცხლის მონატრე ძმა ნიკო

№15.

დოკ. 20/4 (14)<sup>72</sup>

### საყვარელო ძმებო თედო და მიხავ!

გამარჯვებათ, როგორა ხართ?

მე კი უსვინდისოდ მოვიქეცი, რომ ვანო ობოლივით უპატრონოდ გამოვუშვი: ტანთ მაგას არ ეცვა და ფეხთა. წერილ-იც არ მომიწერია. გაჯავრებულებმა აღარც თქვენ შემატყობინეთ, როგორ ვინა ხართ, ან ეგ კაცი სად არის, რას აკეთებს?

<sup>72</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია ლურჯი მელნით. შეიცავს მეორე წერილს, რომელსაც ბაჩანას ქალიშვილი ნინო უგზავნის ბიძასთან მყოფ ძმას. პირველი წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 153.

პავლე მწერავდა: „იანვრამდის სკოლის გარეთ დამრჩალა, არ მიუღიათო“. რა ვიცი, თუ სწავლით ვერაფერსა სწავლობს – შიმშილ-წყურვილით ხომ არ მოჰკლავთ, – მაგრამ მაგით არც აქ უჭირდა. ჯამაგირის მიუღებლობით ვერ წამოვსულვარ, ვერც ფული გამომიგზავნია, რათა საჭიროების მიხედვით მოგეხმარათ: ან ტანისამოსისთვის, ან მომზადებისთვის. მა-ჯავრებს კი, ძალიან მაჯავრებს სკოლის გარეშე დამრჩალი და მომცდარი. მებრალება ეგ გამომავალი ბიჭი. ვაიმე, დედავ, თქვენს შინ უმყოფლობის დროს, როცა თიკოც ხელთუბან-ში იყოს, უსაქმობით ქუჩაში წანწალს დაიწყებს და აერევა გზა-კვალი...

მოდით ყველას გაკოცოთ. თედო, მიხო, თიკო, გულქან, ეთერ, ნინო, გუგულ, ვანოსაც გაუმარჯვოს. როგორა ხარ? არაფერსა ჰსწავლობ? ძალიან მემდური? ეჲ, მეც ბევრს ვემ-დური დედ-მამას, რომ უნივერსიტეტში არ გამგზავნეს, მა-გრამ რა გაეწყობა? არ იყო იმათი ბრალი. მაშ რის ბრალი იყო, ის შენ გამოიცან. „ძალიან დასწუხდებოდაო“ დედა-შენი ამბობს, მე კი არა მჯერავ, რადგანაც ვანო თავის შესაქცევს ბევრს რასმე იშოვის და კარგს ბიძებთანაც არის... მოდი შენ-აც მაკოცე. დღესნამდის, ძმებო, არაფერი გვიჭირს. შემდეგ ღმერთმა უწყის. სოფელში სისხაა<sup>73</sup> გაშლილი. ღმერთსა ვთხოვ ყველანი კარგად იყვენით... ჩვენებმაც ყველასთან დიდი მოკითხვა და სალამი...

## თქვენი ძმა ნიკო რაზიკაშვილი

### ძმაო ვანო

პირველად მრავალს მოკითხვას მოგახსენებ ჩემო საყვარე-ლო ძმაო ვანო, როგორა ხარ, ხვარა გიჭირს? ვთხოვ ღმერთს, რომ კარგა იყო და კარგა ისწავლო შენ და შენი ამხანაგებითა. რატო წერილს არ იწერები რო გავიგო როგორა ხარ. ბიძავ და ძალუავ გამარჯვებათ, როგორა ხართ, თავითა და თავის შვილებითა? ვთხოვ ღმერთსა რომ კარგა იყვნეთ. მამკითხეთ წერილი და მითხარით ვანუა როგორა სწავლობს. მე კარქათა

<sup>73</sup> სისხა – დიზენტერია.

ვარ, ჩემი დედმამა, დაძმები. გამარჯვება გულქანო, ეთერო, ნინავ და გუგულავ და ვანო. წერილი მამწერეთ რომ გავიგო როგორა ხართ. მამაჩემი ეხლა ვერ ჩამუა და შაიძლება ამ ორი თვის მემრე ჩამოიდეს. ჩემო ვანო კარგა ისწავლე რომ გაალა-ლო დედმამა დაძმები. თუ კარგა ისწავლი, სამხედრო სკოლა-ში შეხვალ და თუ ყროლა ისწავლი ასძულდები დედმამასაც დაძმებსაც. 1912 წ.

შენი და ნინო რაზიკაშვილი  
28. X. 1912

№16

დოკ. 20/4(16)<sup>74</sup>

### საყვარელო ძმებო მიხავ და თევდორე!

დღეს თბილისში ვარ და ამ წერილს აქით გიგზავნით... დუშეთს ვიყავ სალთად<sup>75</sup> გადმოსული სამსახურის თაობა-ზედ რაღაცა მოწერილობის გამო, იქით მოულოდნელად აქ მომიხდა ჩამოსვლა. მალინოვსკი<sup>76</sup> ვნახე და გავუფანტე იმ დაბეზღებათა ჯანღ-ბურუსი, რაშიაც გაეხვიათ ჩემს კეთილის მყოფლებს... ჩემი საქმე არაფერი არ წახდა, – ისევ ჩარგალ-ში გამგზავნა და სხვანი და სხვანი. ცოტა წელში გავიმართები. მანდ ვერ მოვდივარ და ფულსაც ცოტაოდენს მაინც გა-მოგიგზავნით არა დიდი ხნის განმავლობაში. მომწერეთ კი, სადა გყავსთ ეგ კაცი, სემინარიასთან არსებულ სარუსო სკოლაში ხომ არ იყოს ამ ერთს წელიწადს, რომ ცოტა რუ-სულში მომზადდეს. მეც როცა იქნება გნახავთ. ჯერ სკოლა უნდა დავაწყო, ბალდები შევკრიფო. ვანოსთვის ტანისამო-სი შეგიკერიათ, – მადლობის მეტი რა ან მაგასა აქვს და ან

<sup>74</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. შეიცავს ორ წერილს. მეორე დაწერილია ცალკე გვერდზე ალექსანდრე რაზიკაშვილის მიერ. ნიკო რაზიკაშვილის ხელნაწერი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 153-154.

<sup>75</sup> სალთად – უბარგოდ, უტვირთოდ.

<sup>76</sup> მალინოვსკი – საგანგებო საქმეთა გამომძიებელი.

მე. კიდევაც შეუკერეთ რაც აკლია, რომ არ შეჰვივდეს.... არ დაგიკარგავთ, ტანისამოსის ფულს მაინც გამოგიგზავნით თუ ჭმევა-საზრდოებისას არას გაძლევთ... გენაცვალეთ, ძალიან ანცი კაცია, – ბეჯითად ყური უგდეთ, იქი-აქეთ წანწალის ნებას ნუ დაპრთავთ. მაისიდამ მერვე წელშია გადასული. მა-გას რომ შრომა და მაცადინეობა ასწავლოთ – არ დაიკარგება, – არ არის უნიჭო... მეტრიკის მოწმობას მე წამოვიღებ, როცა წამოვალ. გარეშე ხალხს – დიდებია თუ პატარები ნუ დააჩაგვრინებთ. თქვენ კი თუნდა სული ამოაძრეთ – არავინ დაგემდურებათ: თუ ჩემი შვილია, თქვენიც არის და უკეთური კიდე ან ჩემთვისს რად გამოდგება, ან თქვენთვის და ან თავ-ისთვის. თუ არას აკეთებს – ისიც მაცნობეთ – მეც ჩამოვალ, წავათრევ და ვნახოთ მაშინ რა სიტყპოებით ვასწავლი.

როგორ არის ჩემი რძალი თიკო, ან ბალები. ღმერთს ვევე-დრები ბედნიერი ყოფა გქონდესთ. დღესნამდის ჩვენ არა გვი-ჭირს.

### თქვენი ძმა ნიკო რაზიკაშვილი

სხვა წერილიც გამოვგზავნე. არ ვიცი მიიღეთ თუ არა?

### ძვირფასნო ძმანო ჩემნო თედო და მიხა!

ბარემ ნიკოს წერილი არის და მეც დაუმატებ ზედა.

ეს სამი დღე იქნება, რაც ჯეჰელი ჩამოვიდა შემთხვევით და გუშინ ისევ წავიდა. თქვენი ნახვა ვერ მოახერხა, რაკი ეჩქარებოდა. მერე გნახავთ.

ხომ კარგათ ხართ? ჩვენც არა გვიჭირს-რა ამ უამად. მე, შიომ, ივანემ, ნიკომ და სხვათა ჩაუქიზიყელეთ, ხომ მოგეხსენებათ, ქოსების<sup>77</sup> პადვალში. თავის საქმეები მააგვარიანა ამ ჯეჰელმა და ცოტა მხიარულად წავიდა. მიხას რუსის ქალის შერთვის წინააღმდეგნი არიან ყველა ეს ჩვენი „კომპანიონები“

<sup>77</sup> ქოსები – ძმები ხელაშვილები, იმდროინდელ თბილისში ერთ-ერთი ცნობილი დუქნის მფლობელები, ქართველ მოღვაწეთა თაყვანისმცემლები. ეს სახელი ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უწვერულვაშო ძმებს ვაჟა-ფშაველამ შეარქვა.

და არ ვიცი რა იქნება. შიომ ხომ ისეთია, რომ რაღა გითხრათ, ყველა ამ შემთხვევებაში „იარი პატრიოტები“ გამოდგნენ. იმ ჩვენი სასძლოს ნათესავებიც – „პატრიოტები“ და სასიძლოსიც „პატრიოტები“. არ ვიცი როგორ მოჰკდებიან.

მაგ გუგულასაც რომ იღბალი არა ჰქონია, რომ ვერ გამოუგზავნე ი რაღაც ქაღალდებია, ერთის სიტყვით, „ვინოვატი“ ვარ მაგასთანა.

ვაჟაც კარგად არისო, საადვოკატოდ წასულა მატანში<sup>78</sup>; ძან ადვოკატობსო.

იყავით კარგად. მოკითხვა ყველას, ჩვენგანა.

თქვენი ძმა ალ. რაზიკაშვილი  
1912 წ. 10/XI. ქ. თბილისი

№17.

დოკ. 20/4 (23)<sup>79</sup>

[1912-1913]<sup>80</sup>

საყვარელო ძმებო, თედო და მიხავ!

ქრისტე ალშდგა! მრავალს დაესწარით.

თედო, შენი წერილი მივიღე, მაგრამ მე კი ვერც წამოველ და ვერც წიგნი გამოვგზავნე. დაწუხებულიცა ვარ და სათქმელიც ბევრი მაქვს, მაგრამ ბალლების ავადმყოფობის გამო დაბნეული ვარ... თქვენლა მანდით როგორა ხართ, ან დიდი, ან პატარა?

იცხოვრეთ, იცოცხლეთ... რაც თავის თვალით არ გენახოსთ და ან არ დაინახოთ და რაც თავის ყურით არ გაგეგონოსთ, ან არ გაიგონოთ ნურაფერს დაიჯერებთ... ვინც თვითონ უფრო საზიზლარს და შემაძრნუნებელსა შვრება და ჰლალადებს, – ის უფრო სხვათა ჭორს ლაქლაქებს... მახლას, რა გაეწყობა!

<sup>78</sup> მატანი – სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტში.

<sup>79</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია; ნაწერი შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 156-157.

<sup>80</sup> დათარიღებულია ბაჩანას წინა - 20/4 (16) წერილის მიხედვით.

წუთისოფელია, – ზოგი „ცხოვრების ჭიდილიაო“ აქაოდა – ყოველივეს კადრულობს ავკარგიანობის განუსჯელად... თორემ სიმართლე კი იტყვის თავის თავს როცა იქნება... სანამდე კი ჰქონდეს ზოგი თავის ვარდების სუნით და ანათლოს ქვეყანა...

ჩემი რა გითხრათ?.. თუ თქვენვე არ მიშველით, ვანო აღუზრდელი დარჩება. სამის თუმნით რომელი ერთი აღიზრდებ-შეინახება? თედო, ეგ ბიჭი აფიციალად იშვილე, – რათა სამხედრო ბეგარა გადიგდებინოს... ამ ზაფხულ კი აქ წამოვიდეს და მერე ხან მანდ იყოს, ხან აქა... თავისუფალ დროს თავისთან იყოლიე და ასწავლე მეურნეობა, – ასწავლე გარჯა. მაისში უეჭველადმე თვითონ გნახავთ და თვითონ წამოვიყვან ვანოს...

მიხავ, კარგად ვიცი, შენი მოყვარული გულის ამბავი, ვიცი, რომ ვანოზედ მამაშვილური თვალყური გიჭირავ... გიშველათ ღმერთმა. შვილი თქვენიც არის და თუ ქვეყანაში სადმე გაერევა – თქვენი სახელიც იქნება. ქორწილი უჩემოდ არ შეჰქამო...

ყველას მოგიკითხავთ და გაკოცებთ მეცა და ჩემი ქულფანობაც.<sup>81</sup>

## თქვენი ძმა ნიკო რაზიკაშვილი

№18.

დოკ. 20/4 (28)<sup>82</sup>

[1917–1919]<sup>83</sup>

ძმაო თედო!

გამარჯვება!.. თორემ შენ ჩემ საპასუხოდ არა გცალიან, გატყობ... მოდიო, ვამბობ, ნულარც მე შევანუხებ; საქმის კა-

<sup>81</sup> ქულფანობა (ქულფათობა) – წვრილშვილი, მრავალრიცხოვანი ოჯახი.

<sup>82</sup> ხელნაწერი ერთეულცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 159.

<sup>83</sup> სავარაუდოდ, წერილი დაწერილია 1920 წლამდე, პარანას ფშავში ცხოვრების ბოლო პერიოდში, სილნალის საშუალო სკოლაში მუშაობის დაწყებამდე. ამ დროს მას ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა და ხშირად ავადმყოფობდა.

ცია და ანგარიშისა, წამოვიდეს, ცალკე საქმე რამე წაუხდება (ეს კი მართლა უსამნუხარო არ იქნება) და ცალკე კიდე გზაში დაეხარჯება: ხუმრობაა, ხუთი შაური ისე არა უბრალო საქმეზედ კაცს ხელიდან გაუფრინდესო?... თუ ძმა ხარ, ხუმრობა არ არისო, ნიკომ შემოგითვალა, შენმა ძმამ, ძმა რას ეშმაკს და ქაჯსა ჰქვია, მანდ იყა, ფეხი არ მოიცვალოო... აგშურებია კაცო... რა ვიცი, რაებს ამბობს შენზედ... აღარც წიგნი მაინერა: ამას წინაც გავუგზავნე, მაგრამ ყურიც არ გააპანტურა... „ნიჩავო“ თავისთვის ეგდოსო... არა, უნდოდა კი გაეგო იმ ეპისტოლის ბედი, მიიღე თუ არა...“

რალაი იმან ხელი და პირი არ გაჰქრა, ვიცი შენი ტკბილი გულის ამბავი, მაინც გენდომება მისი ამბის შეტყობა: გდია რალა ბეჩავი... ამზაფხულ გაზაფხულიდან მოყოლებული დღესნამდე სულ ავად იყო იმ სნეულობით, ხალბათად<sup>84</sup> რო კბილს კბილზედ აკვრევინებს ხოლმე... რო ჰნახო, რაც უნდა გიყვარდეს, მაინც უნებლიერ გაგეცინება. ისეთი გახუხულ-გაძვალტყავებული-ლაა, რომ სწორედ კვდრეთით ამდგარი ლაზარე გეგონება. შენი ამირანი თავის გრძელი წვერით, შნოება-საცოდაობით იმასთან რა შესადარებელია, შე კაი კაცო... მე ხომ არ მენახა ამის მეტად ნაავადმყოფარი კაცი... ესა ვნახე და ღმერთმა მშვიდობა მისცეს... კაცო... ამირანი ჯაჭვზედ მაინც არის დაბმული, არავის რას უშავებს... ესა? – შენს მტერთა!.. როგორც ძალლი თოვზედ, სულ ისეა შფოთში... გამგელებული რო გამაერევა ი წვრილ ცოლ-შვილს პირდორბლიანი, აანიოკებს და თან ჯოხს, იმ ტიალ ჯოხს აკაკუნებს, – აი სანახავი ის არის. თუ იმას არა, მე მაინც მამწერე გეთაყვა, მოხვალა ამ ზაფხულ, თუ არა, – ნიკოს ღმერთმა მშვიდობა მისცეს: ისაც ეყოფა, რომ ფშავში სკოლა კეთდება, მგონია ჩარგალში და ის თურმე გადაჰყავთ იქა... ამის მომტანი კაცისა შენ იცი. ერთი ჩემი მეგობართაგანია და შენსავით უანგარიშო... აბა რალა თავი შეგაწყინო მეტი ლაპარაკით... შენი ჯალაბობა<sup>85</sup> კი სულ ერთიან მომიკითხე; ნურც წყალობას, შუშანას, გაბოს და მაშოს დაივიწყებ. ას, ნეტა სანდროსიც გამაგებინა რამე.

### შენი ნაცნობი ნიკო

<sup>84</sup> ხალბათი – თავისუფალი, თავის გემოზე მიშვებული.

<sup>85</sup> ჯალაბობა – ოჯახობა.



ალექსანდრე (სანდრო)  
რაზიკაშვილის წერილები

S-37/26

$\psi_{d_3, h-0, l_1, l_2} \rightarrow \phi_{l_1, l_2}$

Ճակատ եւ պարզություն չի եղացը. ու ճակատ իսկ ու ուժ : Պիտի եւ աշխարհ  
Հայոցի, առելու ուժը է Շահու Երանքի ունեցող ունեցող ուժը և աշխարհը՝  
իմ աշխարհու ուժը, Շահու չափը, բայց չափությունը Եղացը Շահ աշխարհու  
աշխարհը, Եղացը յօ պիտի պարզությունը : Եղացը անոն բայց ունեցողը՝  
պարզությունը պարզությունը : Եղացը անոն բայց ունեցողը՝ պարզությունը,  
պարզությունը պարզությունը : Եղացը անոն բայց ունեցողը՝ պարզությունը,

и заложен, и заложен в уходе. Видно, что заложен  
для обывателей из бедных; и это означает, что заложен  
примитивно и не для богачей. Кто же из богачей  
захватил эти земли? Ах, один из вас!... И заложен на землю богатырь  
должен быть из тех, кто заселил землю, ибо не может землю отобрать у  
владельца. Должен, конечно, и землю заселить, и землю  
заселить. Но если землю заселить, то землю  
заселить и землю заселить. Кто же из вас  
заселил землю? Ах, один из вас!... И землю заселить  
должен быть из тех, кто заселил землю, ибо не может землю отобрать у  
владельца. Должен, конечно, и землю заселить, и землю  
заселить.

Но въ земни за градове също са съсъзан

Այս հրա Տեղիքի Տէր Երշաբ Քառոր Տեղիքի  
աւոր. Այս պահեք Ին քիչ է Ետքոց Կաթողիկէն  
և Պատրիարք ու Առ Եղ Եղանակ Են!

Бүрзэгээр тэдээр дэлхийн бодлогын нийтийн, энэгүй бүрзэг  
жил дэвшигээ. Бодлогыг эхийн хадаа тэсвэр засандаа гарч  
27 { 77 4 /

from large cities to analyze segments across  
multiple countries and business sectors.

3 Oct 23 1954 54

զայտ ամպուր. Խօսք ու գուշակ 700 մ

№1.

დოკ. 20/5 (1)<sup>86</sup>

## უძვირფასებო ძმაო თედო!

წერილის მოწერა მე მინდოდა მაგრამ, ადრესი არ ვიცოდი. რაკი შენ მომიგონე, დიდი მადლობელი ვარ ჩემო ძვირფასო ძმაო; მაგრამ იმაზედ კი გემდურავ რო ეს ამოდენა ფული გამოგიგზავნია. რად დაიკლე ძმაო, ეს ფული ჩემზედ არამია, მე ლირსი არ ვიყავ ამთვენისა. ნეტავი მაინც მერგოს რამე შენთვის. შინიდგან არაფერი არ წაგილია ყველაფერი მანდ გაგიხდებოდა საყიდლადა და ამთვენი არ უნდა გამოგეგზავნა; დიდი მადლობელი ვარ ჩემო ძვირფასო ძმაო. ეხლა შენა ხარ ძმაო ჩემი მამაც, ჩემი დედაც, ჩემი ძმაც და ჩემი დაც, ერთმანეთს იქით არა გვეცილებარა, ერთმანეთი გვიყვარს ძმაო რასაკვირველია და ვერცადაც წავალთ ერთმანეთს იქით.

იმ ფულითგან შვიდი მანეთი სახლის პატრონს მივეც და სამი მანათით კი უნდა ხალათი და შარვალი ვიყიდო.

კეკეს დედის დასთანა ვდგევარ ლ. ბადუროვთან, თვეში შვიდს მანათს ვაძლევ. ამ სეკურემბრისა, ოკუმბრისა, ნოემბრისა მიცემული გვაქვს და ამ ქრისტიშობის თვისაც ზოგი.

მწერ ძმაო: არ ვიცი იციო, რაც მე ვიციო რასაცა გწერო. როგორ არ ვიცი ძმაო, ღმერთმა დასწყევლოს ის დღე რას დღესაც ის ამბავი გავიგე. შვიდი კვირა იქნება მას აქეთ რაც მე ის ამბავი ვიცი. ერთს დღეს ქვეით რიყეზე ჩავიარე და ვნახებინა ფშავლებისა, მივედ ახლოს. ეს მართა, იოსები, ბატარკაცი, ბატარკაცის ცოლი და სხვები იყვნენ იქა. მაშინვე მეც ელდა-მივედ,<sup>87</sup> გამოვემცნაურე. დაიწყო მართამ ტირილი მოგიკვდეს დაო; მეკი ვეუბნებოდი რა გატირებსო? ვილაპარაკეთ კარგა ხანს, მერე მითხრა რო ძმაო: ჩვენ ხო დედმამა დაგვეხოცაო, ვეღარ გავძლე იქაო და წამოვედ ძროხაზეო. და-ვიწყეთ ტირილი, ბევრი ვიტირეთ, ბევრი თავში ვიეცით მაგრამ რაღას ვუშველიდით იმ ჩვენს საწყალს მშობლებსა. მერე გამოვემშვიდობე, ისინი წავიდნენ და მეკი აქ დავრჩი. მგონი ყვარლის მთებში დადგენ.

<sup>86</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

<sup>87</sup> ელდა-მივედ – შეშინებული მივედი.

არც მიხამ იცის ძმაო ჯერ ეს ამბავი. ის თავის მამასთან არის და არა უჭირსრა. სხვებისა კი აღარა ვიცირა კარგა ხანია. თუ ჩემს ამბავს იყითხავ ძმაო მე ისე ვარ, როგორც ობოლს შეეფერება. კარგა ვსწავლობ. ჯერჯერობით კი პირველი მოწაფე ვარ მერე კი ღმერთმა იცის. ნუ გეშინიან ძმაო ჯერ არც მშიერი ვარ არც შიშველი, კარგადა ვარ მაგრამ გული კი ძალიან დაღონებულია. კიდევ თქვენის კარგად ყოფნითა და სიყვარულით ვხარობ თორო აქამდე არ ვიცი რა მომივიდოდა. ნახვამდის.

იწერები ძმაო რო საშობაოდ შინ წავალო. მე კი მანდ რა წამამიყვანდა მაგრამ რაკი შენ იქნები ძმაო მეც წამოვალ. დაწუხებული ვარ ყველასკე. რაღა თავი შეგაწყინო ჩემო ძვირფასო ძმაო ჩემის უვარგის წერილითა. იყავ მშვიდობით. წახვამდის.

მ შ ვ ი დ ო ბ ი თ.

შენი ძმა ს. რაზიკაშვილი. 1890 წ.  
7-ს ქრისტიშობის თვეს  
ქ. თელავი

№2.

დოკ. 20/5 (3)<sup>88</sup>

უძვირფასესო ძმაო თედო!

მაპატიე რო წერილები ვერ მოგწერე. აი მიზეზი რა იყო: წერილი რო უნდა მომეწერა, იმ დროს ლუკა და მართაც მოვიდნენ შინიდგან. ლუკა სანადიროდ წამოსულიყო, მართა კი ძროხაზე. წყალ კურთხევის შემდეგ შინა ყოფილიყო მაგრამ, შენთვის კი ვერ მეესწრო. მაშინ ისინი წავიდნენ ყვარელში, იქარის ჩვენი ძროხა. ლუკამ ჰსთქვა რო, მოლოდინი გქონდესო. ორს კვირაზე ამოვილიო. გავიდა ორი კვირა, სამი, ერთი თვე, ხუთი კვირა და არცად ლუკა. იმას ლამაზად ენადირა იქ,

<sup>88</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

ექეიფა, მემრე ამდგარიყო და შინ წასულიყო. იმის შემდეგ მე იმათი აღარა ვიცირა. მემრე მეც გავხდი ავად ორი კვირა, ერთს კვირას ვიწევ, და ერთი კვირა კი როგორც იყო შკოლაში ვიარე. იმდროს გიორგი მოსულიყო სუდში და ვისღაც ეთქვა რო: „შენი ძმა ავად არი არა ჰასავო?“ ვნახავო ეთქვა მაგრამ არა მნახა. აბა რო მწერ რო არას გიგზავნის გიორგიო? სავსე რო იყოს გროშს არ მისცემს კაცს.

განა სუყველა შენსავით მამექცევა ძმაო. არ ვიცი ძმაო მადლობა როგორ გადაგიხადო, მადლობელი ვარ ძმაო დიდად.

კაცო, ეს რამოდენა ფულსა ჰეგზავნი? განა მართლა ეგრეცუნდა. მაგაობაში გაგაღარიბებ ძმაო მე. სხვა ძმაო ეს კი დამავიწყდა სათქმელად რო მომელოცა შენი დანიშვნა. ღმერთმა გაგაბეჭდინეროსთ. მაგრამ თუ ვინმე ცუდი შაირთე კი ძალიან მეწყინება. მე ძალიან გამიკვირდა შენი ეგრე უცბად მოქცევა. არ მოგატყუონ გიორგისავით თორო ვეღარა გნახავ ღმერთის მადმა. მარტო სილამაზეს არ მიჰყე. აბა რო მწერდი წარსულს წერილში რო: „თვალს რაც მოსწონ იმას არ მიჰყეო“. არ იფიქრო ძმაო მე იმისთანა როდი ვარ.

არ მოგატყუონ, არ მოგატყუონ უფრთხილდი. ჩემგან კი არ გეწყინოს ძმაო. მეც ამ უამად კარგადა ვარ არა მიჭირსრა; ოლომც თქვენა მყვანდეთ ცოცხლები თორო მე რა მამკლავს. სწავლით კარგა ვსწავლობ. პირველია შენი ძმა, ამათი დედაც... მე პირველობას ვერავინ შემეცილება. მწერ ძმაო რო სემინარიაში მიგაღებინებო. ძალიან კარგი იქნება თუ კი მიმიღებენ. მაგაზე სა[ა]ლდგომოდ რო მოვალ მაშინ ვილაპარაკოთ. მართას ველოდები როდის ამაილის რო ერთად წამოვიდეთ, მიხაც იქნება წამაიყვანონ. სა[ა]ლდგომოდ იმიტომ უფრო წამოვალ რო შენ იქნები მანდ თორო მე ეხლა არ წამოვიდოდი. რას დავეხარბებოდი მაგ შაუბრალებელს შავს კლდეებში. დავსწუხდი ძალიან რო მეტი არ იქნება თქვენკე. რაც დამაკლდა მაშინ ვილაპარაკოთ ძმაო. ბევრი რამე მქონდა მოსაწერი მაგრამ როგორც პირით ვიტყვი ისე ვერ დავსწერ. წამოხვალსაალდგომოდ თუ არა?

მე ნამდვილად წამოვალ როცა მართა და იოსები ამაილიან იქით. მოვალ და მაშინ ვილაპარაკოთ სუყველაფერი რაც გინდა. შენი გამოგზავნილი ფული მივიღე. რძალს მოვიკითხავ უცნობს. მოვიკითხავ ეგრეთვე გრიგოლს თუ სადმე ჰასავ.

სხვა ვინდა მოვიკითხო არა ვის ვიცნობ.

სხვა რაღა მოგწერო ძმაო მგონი ამითაც მოგაპეზრე თავი.

ისე ავჩქარდი რო ტოჩქა და ზაპეტაიაც აღარ დაუსხი.

არ დამცინო კი აი შე ცოლიანო შენა!

საალდგომოდ წამოდი ძმა და მეც წამოვალ ნამდვილად, დაწუხებული ვარ ძალიან. მიხაკოც კარგად არისო. ნიკოსი კი აღარა ვიცირა.

მშვიდობით, მშვიდობით!

შენი ძმა სანდრო რაზიკაშვილი  
ქალაქი თელავი. 1891 წელს 3-ს აპრილს

ჩემი ადრესი ხო იცი!

მივიღე 7 აპრილს 1891 წ. თ. რაზიკაშვილი<sup>89</sup>

№3.

დოკ. 20/5 (5)<sup>90</sup>

უძვირფასესო ძმაო თედო!

პირველად მოგიკითხავთ ყველას დიდის სიყვარულით და ღმერთსა ვსთხოვ თქვენს სიცოცხლეს. როგორა ხართ მას აქეთ, ან თიკო როგორ არის მაშინ რო თავი სტკიოდა?

თუ ჩემს ამბავს იკითხავთ მე მშვიდობით ჩამოველ თელავ-ში, კარგად ვიმგზავრეთ. ბადუროვი შაქრო ქალაქში დამხვდა, წინა დღეს ჩამოსულიყო. შენ რო წერილები გამატანე ისენი მივიტანე. „ივერიის“ რედაქციაში მივიტანე ის ლექსი. ის წერილი კიდევ, რომელიც „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებაში“ გამატანე, ის კნიჟნი მაღაზიაში მიუტანე; „ჯეჯი-

<sup>89</sup> ადრესატის, თედო რაზიკაშვილის მინაწერია წერილის უკანა მხარეს.

<sup>90</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 160.

ლისა“ და „კვალის“ რედაქციაში რო წერილები იყო, ისენიც იქ მაღაზიაში მივეცი, რადგანაც ვერ ვიპოვნე „ჯეჯილის“ რედაქცია, ისენი გადასცემდნენ. ინსპექტორთან რო გამატანე ის კიდევ ფოშტით გავგზავნე ქალაქიდანვე გოროდსკოი-ზაკაზნით, ორი შაური გამომართვეს, აბა საიდან ვიპოვიდი იმას კაცო, მეორეს დღეს აქ უნდა წამოვსულიყავი; ისე რომ ის წერილები სულ იმ დღესვე მივიტანე ყველგანა.

არავისი არაფერი არ ვიცი როგორ არიან.

ხუთი მანეთი სულ გზაში დამეხარჯა და ხუთი მანეთი კიდევ ლიზას მივეცი.

სხვა რაღა მოგწერო ძმაო, მშვიდობით ჩამოვედ აქა და კარგადა ვარ. მშვიდობით, ძმაო, შენი ჭირიმე! მოვიკითხავ ყველას დიდის სიყვარულით: თიკოსა, შუშანას, წყალობას, გაბოს, მაშოს, თამარას და სხვებს ყველას ვინც კი მანდ ნაცნობები არიან.

მშვიდობით!

შენი ძმა ალექსანდრე რაზიკაშვილი  
1893 წ. 17 იანვარს  
ქ. თელავი

№4.

დოკ. 20/5 (6)<sup>91</sup>

ძვირფასო ძმაო თევდორე!

შენი წერილები მივიღე და მადლობელი ვარ, რომ ისევ პირველად შენ მომიგონე. მაპატიე წერილის დაგვიანებისთვის, რადგანაც დამნაშავე ვარ.

ყველაფერი შენი ამბავი შენმა წერილებმა მიამბეს და იმისთვისაც ალარაფერს ამბავსა გკითხავ. მადლობა ღმერთს, რომ კარგადა ხართ და კიდევაცა ვთხოვ განგებას თქვენს სიცოცხლესა.

ვიცი ძმაო შენი კეთილის გულის ამბავი რო ჩემს ამბავს

<sup>91</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

იკითხავ. მე ამ უამად ცოცხალი ვარ.

სააღდგომოდ თიანეთში ვიყავი. ველოდებოდი იმ ხალ[ხ]ს, რო ან ეხლა ჩამოვლენ, ან ეხლაო, მაგრამ არ იქნა ესენი არ ჩამოვიდენ, სანამ მე თვითონ არ წავედ ჩარგალს - კვირაცხოვლობის მეორე დღეს, როდესაც მე სასწავლებელში უნდა ვყოფილიყავი. შაშუბზე<sup>92</sup> გადავედ. ისეთი სავალი იყო რო ღმერთმა შეინახოს, რო სირცხვილი არა ყოფილიყო ნამდვილად დავბრუნდებოდი; ჯერ ქრისტიანის კაცის ნავალი არ იყო. იმის წინა ლამეს ნიკოს ჯვარი დაეწერა მარიამზედ. ნიკომ ბოიგარს თავი დაანება და ისა და ლუკა ეხლა ერთად არიან. იმათ მითხრეს რო ეს ერთი კვირა დაიცადეო და მერე თიანეთს ერთად წავიდეთო. ის ერთი კვირაც დავიცადე, იმ ერთს კვირას ეზოს კარიკურს სუ ლობე შამოვავლეთ. ის[ე] კარგა გავაკეთეთ რო რაღა გითხრა. ნიკო გემდურებოდა რო წერილს არა მწერს თედო[ო]. მერე წამოვედით თიანეთში, მიხარჯ-მოხარჯეს და ნიკომ ერთი მანეთი მომცა, ლუკამ სამი და გიორგის სრულებით გროშიც არ მოუცია. აქ რო ჩამოვედ ის ოთხი მანეთი ლიზას მივეცი და შენი გამოგზავნილი ორი მანე-თი რო არა მქონოდა ფეხშიშველი ვიქნებოდი. ნიკომ მითხრა, რო რედაქციაში მივსწერო და იქიდან გამოგიგზავნიანო; ვე-ლოდები, მაგრამ არაფერი არა მომივიდა რა. ლუკამ კიდევ ის მითხრა რო მერე გამოგიგზავნიო, მაგრამ ღმერთმა იცის...

სხვა რა მოგწერო ძმაო თევდორე, მართა და მიხაც კარგად არიან.

მოვიკითხავ დიდის სიყვარულით პირველად: ჩემს რძალს თიკოს, მერე თავის ბიძის ბარბარეს და ჩემს მაგიერად ათასჯერ აკოცეთ, რადგანაც მაგან წერილი მომწერა, შუ-შანას, წყალობას, გაბოს, მაშოს, თამარს და სხვებს.

რაც კიდევ სალაპარაკო მაქს, იმას კიდევ მაშინ გეტყვი, როც[ა] გნახავ. მოგიკითხა ლიზამ თავის შვილით. მშვიდობით.

შენი ძმა ალ. რაზიკაშვილი  
1893 წ. 1 მაისს  
ქ. თელავი

წერილს ველი.

ჩვენ თიბათვის 13-ში გვითხოვენ.

<sup>92</sup> უნდა იყოს: საშუბზედ. საშუბი – მთა სოფ. ჩარგალში.

№5.

დოკ. 20/5 (8)<sup>93</sup>

## ძვირფასო ძმაო თედო!

უპირველესად ყოვლისა მოგიკითხავთ ყველას დიდის სიყვარულით და გისურვებთ ბედნიერად ცხოვრებას მრავალს წელსა. თქვენი მშვიდობით ყოფნის ამბავი გავიგე, რაიც ფრიად მესიამოვნა. ჰა, ქესეტობა ხომ არ არის? მგონი პურიც ცოტა მოგსვლია წელს, როგორც შაქრომ მითხრა. ვენახი ხომ არა გაფუჭდა? შენ კარგად იყავ, ცოლ-შვილი კარგადა გყვანდეს და საწყალი ჩვენი თავიც, თორე ღმერთი მოწყალეა.

ჩვენც არა გვიჭირს-რა: თვალ-სხვილა ბიჭი<sup>94</sup> ისევ ღულუნებს და ღუღუნებს. ესტატე დილის ხუთზე წავა და საღამოს ათზე მოვა, მეც ი ფოშტას აღარა ვშორდები, ასე რომ ვაჩანჩალებთ რაღა ამ ტიალს წუთისსოფელს! რაღა! ლევანი ჩამოვიდა და ლუკას წერილი ჩამომიტანა, რომელიც მშვიდობას იწერება, სხვათა შორის მაღლე ჩამოსვლასაც.

ნიკოს ცოტა აციებდა, სხვად ყველანი კარგად იყვნენო. ნიკოს არა უთქვამს რა ჩამოსვლისაო. ყველასაგან, როგორც ჩვენთან, ისე შენთან და მიხასთანაც დიდი მოკითხვა. რაკი ეს ჩემი სიდედრ-სიმამრი მარხულობენ, მეც რასაკვირველია, ვმარხულობდი, მაგრამ ლევანმა ახალი რძლის გამომცხვარი ხაბიძგინები<sup>95</sup> და ერთი ქილა კარაქი რაკი მოიტანა, გავიმსხნილე.

ეხლანდელი მანიფესტის ძალით ხომ ლუკასაც ეპატიება ის სამი თვე რო ჰქონდა გადაწყვეტილი. მაღარიჩი ეკუთვნის.

შიო დაიჭირეს, ყველა წერილები, რაც ჰქონდა, სულ ერთიან წაიღეს გასაშინჯად; იმათ მაღაზიასაც დაეცნენ და იქაც რაც „წერა-კითხვის საზოგადოების“ შესახებ მიწერ-მოწერა, ანუ წერილები უპოვიათ, სულ წაუღიათ, ფულიც კი რაც დახლში ყოფილა. ასე არის საქმე. ეს არის საწყალს, რაც ხანი

<sup>93</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია ლურჯი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 160-161.

<sup>94</sup> ასე ეძახდნენ ალ. რაზიკაშვილის პირველ სიმამრს, ნიკოლოზ ხახიშვილს.

<sup>95</sup> ხაბიძგინა – კეცეული კარტოფილის ან ფხალეულის შიგთავსით.

მოუნდებიან იმ წერილების გადასინჯვას, შიოს მეტეხში ჯდომა მოუნდება, თორე აბა რა უნდა ეპოვათ იმისთვისა, ან რას უზამენ. აქ ორი დღე სწვიმდა, რამაც შესამჩნევად ააგრილა. ცოტა დავისვენე...

მგელიოი რო ლუკასთანა ყოფილა, ახლა კვეხნა დაუწყია, რომ ამისთანა და ამისთანა მთიბელი ვარო; ლუკასაც აუყვანია ყორულში<sup>96</sup> ესა და ლევანი. მგელიოსთვის ნალევი ცელი მიუცია ერთი უხეირო, თვითონ რუსული ცელები დაუჭერიათ და სთიბდენ, ახლა ის ცელი მგელიოვს გასტეხია, რომელიც უზღია კიდეც. ახლა ლუკა მწერს წერილს, რომ სიცილით მუცელი ხელში-და უნდა გეჭიროს და წაიკითხო: „მგელა“, ასე ეძახის ლუკა მგელიაშვილს. ჩვენ ყველანი კარგადა ვართ, ყველაფერს დაწვრილებით ლევანი გიამბობს და ლევანზე ადრე ვფიქრობ, მგელა გიამბობდა, რომელიც უხმლო მოვიდა და ხმლიანი გამოვგზავნე. შევმოსე აბჯარ-აბგრით, და დამარაგებული გამოვგზავნე, რომ მტერს დედა უტიროს, უპირველეს ყოვლისა თავის კეთილის მყოფელს სარაჯიშვილს, რომლის წყალობითაც ლუკმა პურის ლირსი გამხდარა და თავის ბოროტსა და მოუსვენარს სულსა ჰქაფავს. დიალ, ეგ გიამბობდა ჩვენს ამბავს. ძალიან ბიჭი გამოდგა ეგ მგელა. აქამდი კი არა და ახლა კი დავრწმუნდი, რომ მართლა ბიჭი ყოფილა, ცელს ისე იტრიალებდა, ნალევსა, როგორც თავის თვალებსა.

ახლა ლუკას იქ თურმე შინ რამდენიმე ხმალი ჰქონია, და ამისათვის უთქვამს, რაკი ეგეთი ბიჭი ჰყოფილხარ, აი ამ ხმლებიდან რომელიც მოგეწონოს, ფეშქაში იყოსო. ამასაც ერთი ხევსურული ხმალი მოსწონებია, რომელიც ლუკას უჩუქებია კიდეცა და ამ აბჯარს იმიტომ ახსენებს ლუკაც თავის წერილში.

აბა იყავით მშვიდობით! 21-ს ამ თვეს თუ მშვიდობაა, გნახავთ. მომიკითხე ჩემი რძალი, მიხა, ბავშვებს ჩემს მაგიერ მრავალი კოცნა, თამარი, წყალობა, შუშანა, გაბო, ფეფე, მაშო და სხვანი. მოგიკითხესთ ყველაზ დიდის სიყვარულით.

შენი ძმა სანდრო  
1904 წ. 12-ს აგვისტ.  
ქ. თბილისი

<sup>96</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია ლურჯი მელნით. წერილი გამოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 160-161.

№6.

დოკ. 20/5 (10)<sup>97</sup>

## ძვირფასნო ძმანო ჩემნო თედო და მიხეილ!

ფრიად და ფრიად დამნაშავედა ვსოვლი ჩემს თავს, რომ აქა-  
მდე წერილი ვერ მოგწერეთ და ჩვენი ავ-კარგი არ შეგატყო-  
ბინეთ. რას იქ, თუ ჩვენც არ შეუნდობთ ერთმანეთს ჩვენს  
დანაშაულს ნებსითს და უნებლიერს, სხვა რას შეგვინდობს.  
თუმცა კი მეც თქვენზე მეტი არა დამიშავებია-რა. საქმე იმაში  
გახლავსთ, რომ ვაჟა-ფშაველა რაკი აქ იყო, ხომ მოგეხსენე-  
ბათ, ადვილად ვერ მოვიცლიდი. მანდედამაც რაკი ჩამოვიდა  
და თქვენი მშვიდობიანობა ჩამოგვიტანა, მეც გული დავიარხ-  
ეინე; მხოლოდ უფინანსობამან თქვენმან ფრიად შემაძრნოლა,  
ვინაიდამ მეც მრავალჯერ განმიცდია იგი.

ნოემბრის პირველში წერილი მივიღე ბაკურციხიდამ, რომ-  
ლითაც გვეპატიჯებოდნენ ყველათ სულით და გულით დათას  
ქორწილში. რაკი მიხასთვისაც წინათაცა მქონდა ნათქვამი  
და მაგისაგან უარი მივიღე, ამის გარდა რაკი ვაჟამაც უნუგე-  
შო ამბავი, რასაკვირველია ფინანსიურის მხრით, ჩამოიტანა;  
ამის გარდა, რაკი მეც სულ რაღაცა ხუთის დღით დავეთხოვე  
ქარუმიძეს შინაურულად და ცოტა საქეიფო დრო იყო, ფული  
ბლომად დაიხარჯებოდა, ამიტომ თქვენ აღარ შეგატყობინეთ.

მე და თქვენი რძალი გიახელით ბაკურციხი 4-ს ნოემბერს  
და სწორედ ქორწილის დღეს მივედით. მაგრამ რომელი ერთი  
უნდა მოგწეროთ, რაც მე იქ ვისიამოვნე იმ ოთხს დღეს და  
ვიქეიფეთ: მთელი ბაკურციხე, ახლო-მახლო სოფლების თავ-  
ად-აზნაურობა და სილნალის ინტელიგენცია იქ იყო.

ვაჟა-ფშაველასაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ მეორე დღეს  
გუბერნატორისაგან რაკი პასუხს ელოდა და ფიქრობდა ვაი  
თუ ჩემი წამოსვლით საქმე გაფუჭდესო, ვეღარ წამოვიდა.

რო იცოდეთ, ჩემს სიმამრს როგორ ენატრებოდა თქვენი იქ ყოფნა.

რა გამოვიდა, ერთიორიოდე კვირა უნდა დავრჩენილიყა-  
ვი იქ, რომ სიამოვნება მაშინ იქნებოდა. დათას შაფერადაც<sup>98</sup>

<sup>97</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია ლურჯი მელნით. წერილი გა-  
მოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ.  
კრებულში, გვ. 161-163

<sup>98</sup> შაფერი (რუს.) – მეჯვარე

გახლდით, რაკი თვითონ ინებეს. ერთის სიტყვით, აქ როცა არ ჩამოხვალთ, ყველაფერს მაშინ გიამბობთ, თორე რომელი ერთი უნდა მოგწეროთ.

რაც მე იმ ხუთი დღით ვისიამოვნე, ის წვალება და ვაივა-  
გლ[ახი], რაც ჩვენ ამ ფოშტაში გვადგია, სულ გაქარწყლდა.

მერე რა არის კახეთი და! წამოსვლის წინა დღეს მე და ჩემმა სიმამრმა მარანში ვიქეიფთ. სირაჯები<sup>99</sup> მოუვიდნენ ღვინისთვის; მერე ნაქეიფრები ცხენებზე შავსხედით და ნახე ჭენაობა. სულ კივილით ამოვედით სოფელში. ახლა ნახე შინ ლეკური მე და ჩემი სიმამრისა რა იყო და, ერთმანეთს აღარ ვაცლიდით. უჰ, რამდენჯერ გინატრეთ. იქიდამ რო წამოველ თანაც ერთი დიდი ტიკი დავძარი, მაგრამ როგორი ღვინო, როგორც თაფლი ისეთი. ჩამოსვლისას ბაჩანაც იმ დღეს ჩამოვიდა იუბილეზე. მივაყოლეთ და კინალამ ვაუას და ბაჩანას დაკვრაც არ მოუხდათ: ხომ იცით ვაუა როგორ დასცინის ხოლმე და მიზეზიც ის იყო, რომ ბაჩანამ იმ საღამოზე მონაწილეობა მიიღო და ძაან ფურორიც მოახდინა თავის ლექსების წაკითხვითა.

ვაუამ ის თავისი „ვეჩერი“ შემდეგისთვის გადასდო, რადგანაც სახარჯოები ისეც იშოვნა.

ვაუამ ის თავისი „ბახტრიონიც“ თავის ხარჯით მისცა გამოსაცემად ახალის სურათებითა.<sup>100</sup> ნიკ[ოს] [...] ნახვაც უნდოდა, მაგრამ ხომ იცი რაკი ი შე[ნი] ბ[ალღე]ბიცა<sup>101</sup> ჰყვანდა, ვეღარ მოახერხა. თავის ნინოც [აქა] ჰყვანდა.

ხილის და თაფლისათვის დიდი მადლობელი ვართ. იმედია ჩვენც გადგიხდით... ე ვარას ვერა ვასიამოვნეთრა, რაკი მაგასაც ეჩეარებოდა. ე მიხეილ სემიონიჩი ხომ გამომეპარა.

ჩემი დედაკაცი და მე დიდს მადლობას და პროშტებს გიგზავნით ყველას მილოცვისათვის და მოკითხვისათვის. ცოცხლები ვიყვნეთ და ერთმანეთს ნუ დავივინებთ, თორე ოქრო-ვერცხლი რა არის, მაგათი მოტრფიალე ღმერთმა შეარცხვინოს.

ჩემი კნეინას დღეობაში კაი ვახშამი მოვამზადეთ, მაგრამ შიო თავის ცოლ-შვილით და გძელიევის ცოლ-შვილის მეტი არავინ ყოფილა.

ვაუაც გუშინ გავისტუმრე. ხუთი გირვანქა წითელი ხი-

<sup>99</sup> სირაჯები – სასმელის გამყიდველი ვაჭრები.

<sup>100</sup> საუბარია პოემა „ბახტრიონის“ 1911 წლის ავტორისეულ გამოცემაზე.

<sup>101</sup> ტექსტი დეფექტურია.

ზილალა წაიღო სახში რო იცოდეთ.

მომიკითხეთ ჩემი რძალი თინათინი, გულქანი, ეთერი, ნინა, გუგული და ყველა, ვისაც ვეკითხებით. მოგიკითხათ თქვენმა რძალმაც ყველანი დიდის სიყვარულით. აბა გელით.

თქვენი ძმა სანდრო რაზიკაშვილი  
1910 წ. 6/ XII  
ქ. თბილისი

P. S. რაც შეეხება ვაშლების ფასს, შეგატყობინებ.

№7.

დოკ. 20/5 (12)<sup>102</sup>

**დაუვიწყარნო ძმანო ჩემნო თედო და მიხა!**

გამარჯვებათ ხალხნო თქვენი! როგორა ხართ, რატომ თქვენს ავ-კარგს არ შეგვატყობინებთ? ეჭ, შვილო ნიასა, დაგავიწყდით და ალარად გვაგდებთ. ალბათ ან ძაან დამდიდრდით და ან კიდე მოგძულდით, რომ ჩვენს ამბავს ალარა ჰკითხულობთ. როგორი რა მოსავალი გაქვს თედო, პა ერთი წლის სამყოფი მოგდის რამე, თუ არა? ან შენი საქმე როგორ არის, მიხეილ, მაგ ჩვენი სარძლოს შესახებ რას გვატყობინებ. პხერხდება საქმე თუ არა? ეგ იქნება თუ სხვა ამ შემოდგობაზე უნდა ცოლი შეირთო.

კაცნო, რალას გათათბირებს და ხელზე გიხვევს? ერთი კი აღარ ჩამოიხედეთ ქალაქისკენა, რა დაგემართათ. ე გოგოებიც ალარას იწერებიან. ერთის სიტყვით ყველამ ჩვენზე ხელი აიღეთ. ეგრე არ უნდა თორე თქვენი ნებაა...

ე ვარაც ძაან გაამპარტავანდა, თუ წერილის მისაწერი ვინმე „სიმპატია“ იშოვნა, რომ ალარც ეგა გვკადრულობს. პა, არაფერი მაგისთანა არა გავიგორა მაგისი, თორე ჩემს სი-

<sup>102</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია ლურჯი მელნით. წერილი გა-მოქვეყნდა საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 163-164.

ცოცხლეში თვალით აღარ დავინახავ. რაზიკაანთ ერთი სანა-აქებო ქალი ეგა გვყავს და მაგანაც რო იმედი გაგვიცრუოს, მაშინ მშვიდობით.

ჩვენც, ე. ი. მე და ჩემი დედაკაცი ვაჩანჩალებთ რაღა წუთის სოფელს. ხან ავადა ვართ და ხან კარგად თქვენი დავინაყებულნი, ესეც ეს მთელი ორი თვეა რაც ექიმთან დადის, ხო იცით ქალური ავადმყოფობა და ეხლა კი ღვთით კარგად არის – რჩება. ასე, რომ იმედია მაღლე სულ გასაღდება. მეც, ხომ მოგეხსენებათ ჩემი მშვენიერი სამსახური და მეტისმეტი მუშაობისაგან სულ ნერვები მაქვს მოშლილი. ეს ერთი თვეა ღვინო არ დამილევია, და თუ მშვიდობაა, ამ თვის 30-ში კი გავისხნილებ, თუ რასაკვირველია თქვენც ჩამოხვალობა.

იმ მთიელი ჯეპელებისა არა ვიცი-რა მშვიდობის მეტი. გარდა ამისა ვაჟა-ფშაველას ბაჟი დაუდვია რკინის წყლისთვის<sup>103</sup>, ე. ი. ვინც მიდიან იქ სასმელად და საბანაოდაო, დღე-ლამეში შაურს ართმევსო. პალატკები დაუდგამო, როგორც საავადმყოფო. ერთი ფერშალი და აკლია თურმე. რამდენი ვიცინე რო გავიგე რო იცოდეთ. თქვენ ნახავთ თუ კაპიტალისტი არ გახდეს.

როგორც ამბობენ გზა გაჰყავთ თურმე საურმე. რამდენად მართალია ეს ზემოაღნიშნული ამბავი, სანამ არ დავრწმუნდები, სანამ თვითონ არ ჩამოვლენ.

კახეთშიც ჩემი სიმამრი კარგად არის, მხოლოდ ვენახები გაუფუჭდათ ძალიან, ასე რომ მესამედი არ გამოუვათ იმისი, რაც გამოსდიოდათ.

ე ჩემი საცვლები მანდ გაგყოლია და ე შენები რო აქ არის, მიხა, რას იტყვი? რო ჩამოხვალ, წამოიღე, რად გინდა ე ძველე-

<sup>103</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სოლ. ყუბანეიშვილს საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში (გვ. 195) მოჲყავს საყურადღებო ცნობა: „ვაჟა-ფშაველას“ საჩივარი ჰქონდა ს. ჩარგალში მჟავე წყლის შესახებ. ამ წყალს ვაჟა თავადაც ჩემულობდა, სატყეო კი არ ანებებდა. ამ საქმეზე ვაჟას დიდი უსიამოვნება მოსდიოდა სატყეოს მოხელეებთან. მოთმინებიდან გამოსულმა ვაჟამ ამ ნიადაგზედ მაგრად სცემა მეტყველეს. უკანასკნელმა უჩივლა სასამართლოში. სასამართლომ ვაჟას 3 წ. ციხე მიუსაჯა, მაგრამ მერე აპატია“. მიხ. რაზიკაშვილის მოგონების თანახმად კი, „იგი ამტკიცებდა, რომ მჟავე წყლები სოფლის ნორმაში შედის, სოფელს ეკუთვნის და სატყეოს მასთან საქმე არა აქვსო“ (იხ. მიხეილ რაზიკაშვილი, მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე, უურნალი „გზა და ჭეშმარიტება“, 2010, მაისი, №5, გვ. 4).

ბი, თორე მეკი წაგებაში არ ვიქნები.

ერთი აბანოში კიდევ წავიდეთ ბიჭო. მაშინ რო წერილი მოგწერე და გწერდი, რომ ჩემი ნათლიდედის წერილს გიგზავნიო, აქ დამრჩენოდა და აი ეხლა გიგზავნი.. დასტკბი ერთი „პოჟოლუისტა“.

იყავით მშვიდობით და გამარჯვებით. მოგვიკითხეთ ჩემი რძალი თინათინი, ვარა, ეთერი, ნინა და გუგულა, ამასთანავე წყალობაანი, შაქრუანი, ასიკო, სევასტიანი, ვანო და სხვანი და სხვანი, ერთის სიტყვით ყველანი ვისაც კი ვეკითხებით.

თქვენი ძმა ალ. რაზიკაშვილი

1911 წ. 17/VIII

ქ. თბილისი

№8.

დოკ. 20/5 (14)<sup>104</sup>

ძვირფასნო ძმანო ჩემნო თედო და მიხეილ!

გამარჯვებათ ხალხნო და ჯამაათნო!

მიხარიან, რომ კარგადა ჰყოფილხართ, ღმერთია მოწამე. დარწმუნებული ვარ, რომ სანამ მაგ „თეთრიან“ ქვევრებში გიდგიათ რამე კარგადა ხართ და თუ გამოილია კი, შენს მტერს თქვენი ყოფნა.

კარგად იყავით, კარგად! ღმერთმა კარგად გამყოფოსთ შემდეგშიაცა. რა დღესაც გულქანის წერილი მომივიდა, იმ დღესვე პასუხი დავწერე და ცოტა მეკლდა, რომ სტუმრები მოგვივიდნენ და დარჩა. ეხლა მეორედა გწერთ. გულქანს ოქროს მედლით გათავება ჩვენს მაგივრად მიულოცეთ, სანამ ჩვენა ვნახავთ და ათი-ათასჯერ აკოცეთ. ძალიან გაგვიხარდა. ჯერ კიდევ ემ წინაზედ, ჰო გოგებაშვილის დასაფლავების დღე იყო, თუ მეორე, ნიკო ლომაური იყო ნიკოსთან სადილად და ძალიან აღტაცებული იყო გულქანათი. ერთის სიტყვით

<sup>104</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

ცამდის აჰყავს რაღა. დაროსთვის ეთქვა: ნეტავი იმდენი იღბალი მქონდეს, რომ გულქანი ჩემი რძალი გახდებოდა და ერთის სიტყვით ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავსაო. ძალიან მოყვარული კაცი ყოფილა ლომაური, არ ვიცნობდი. და როგორი ტკბილი ლაპარაკი სცოდნია! გავიგეთ, რომ ფშავში გიპირებიათ. ნეტავი თქვენა! მეც ველი და ველი აი მერე, აი მერეო და არ იქნა არა მეშველა-რა. სუ ამ ქარუმიძეს ბრალი კია. მე მინდოდა „ოტპუსკის“ აღება, ამან დამასწრო და ახლა ამასაც აღარ მისცეს მარიანობისთვემდე. მეც დამაგდო და თვითონაც დარჩა. თუმც ერთს თვეს მეც შემეძლო მომეხერხებინა, მაგრამ ამ ერთის თვის გულისთვის ტყუილად არ დავკარგავ ორ თვეს და მეორე ზაფხულს კი მეც წამოვალ თუ მშვიდობით დავესწარით ორის თვით ზამთარშივე ავილებ „ოტპუსკს“ და ამ დროს გაუკრათ. ამ წელს თქვენ წადით, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

ვაუა ფშაველას ძალიან დეეჩაგრეთ. მომკლა სიცილითა. შაქრო და თედო გამეჯიბრნენ სმაში და თედო მალე მივანვინეო, იძახდა ე. ი. თავს იმართლებდა: „სიყვარულით, თუ სიხარულით“ დავითვერიო. ერთის სიტყვით შენი ნახვა ისე გამეხარდაო, რომ ასე მალე დავითვერიო. შაქრო კიდევ დამკიოდა და როცა ჩაის სტაქნები მივაყოლე იმანაც იკადრა და დაძრა კიდეც დუქნისკენაო. დუქანს უნდა მივხედოო. ჭაშნიკს ძაან გიქებდათ.

ჩვენა ვსთქვით, გოგებაშვილის დასაფლავებაზე ჩამოვლენ მეთქი. ჩემი სიმამრიც აქ იყო იმდროს, ერთი კვირა დარჩა. ნატოც ეხლახან და წაიყვანა. კაცნო, ე ხელთუბანში რომ ალაგია შენს ვენახს ზემოდამ, ვერა გაიგეთ-რა არა ჰყიდიან ეგ მამაძლები? კაცნო, დღეს სამსახურში ვარ, ხვალ ვინ იცის კაცის თავს რა ამბავია და უნდა ჰქონდეს რამე ცოტა-ოდენი, რომ შემდეგში კრიზისის დროს გამოადგეს. ერთს პატარა ხილის ბაღს გავაშენებდი. მართალია ეხლა ხელად არა მიჭირავს-რა გროშები, მაგრამ თუ გამოჩნდებოდა, მაშინ მივკრეც-მოვკრეცდი, ზოგი შიოსთან არის, ზოგი ნიკოსთან და ზოგი ჩემს სიმამრთანა. შიოზე რაც არის დამწვრადა ვთვლიდი, მაგრამ რა ვიცი იმედს იძლევა შემოდგომისთვისა.

აბა გამიგეთ იმ ადგილისა, თქვენც თუ არა გერგებათრა, რა დაგაკლდებათ. სულ ამათი ხელისშემხედავი ხომ არ ვიქნები

ამათი ოხერი პატრონის დედაცა...

ე მიხეილ სემიონიჩიც ლამის უცოლოდ დაგვიბერდეს რაღა. არ ვიცი, რას აპირობ ბიჭო, შე ვირის თავო? სალექსებელი აბა შენა ხარ და მოვიცლი შენთვისაც. ე მაჩაბელის ქალი ხომ გაგიფრინდა. იქნება აპირობ კიდევ მაგის შერიგებას? მე კი არ გირჩევ და შენ იცი. მხოლოდ ეცადე და თუ ხეირიანი იცი ვინმე ეცი. თუ არა და ჩავაბარებ, გადავცემ შენს საქმეს ვ. მა-თურელს და ხომ იცი როგორი კარგი მაჭანკლობა იცის.

როდის აპირობთ ფშავისკენ მოიწერენით. აქეთ ხან ცხელა და ხანა სწვიმს, ხან გვცხელა და ხანა გვცივა. მომიკითხეთ ჩემი რძალი თინათინი, გულქანი, ეთერი, ნინა, და გუგული, აგრეთვე წყალობა, შუშანა, ფეფე თავის შვილებით, შაქრო თა-ვის მაშოთი, ასიკო და თუ კიდევ ვინმე არიან ერთის სიტყვით ყველანი. მოგიკითხათ ყველანი თქვენმა რძალმაც, დაროანთა, შიოანთ, მათურელაანთ და საფაროვიანთაც.

თქვენი ძმა ალ. რაზიკაშვილი  
1912 წ. 20.VI



**მიხეილ (მიხა) რაზიკაშვილის  
ნერილები**

S-37/36 *Узаконы для языка!*

1901 Jan. 11. 24 p.m.

Следующий в документе текст оставил без изменения. В нем есть одна ошибка, которую я исправил:

Следует заметить, что в первом разделе документа имеется опечатка: «все» вместо «всех». Вторая ошибка в том, что в первом разделе документа имеется опечатка: «все» вместо «всех».

On y gomisq' q'eb hədəbyom p̄ q' q'os

Դուք առ այս բարձր պահ զցածքուն.  
յու ի ամ կը ասան առ, առ ա-մից!  
Տօն յ Եղիշ, առ այս առ առ ա-մից,  
այս առ առ, Եղիշ այս այս Եղիշ  
Եղիշ, և ա Եղիշ ետք առ ա-մից.  
Ես Եղիշ առ ա-մից, առ այս ա-մից կը պահ-

11/23/99  
12. 22. 1999

№1.

დოკ. 20/6 (6)<sup>105</sup>

[1900]<sup>106</sup>

20 მაისი

## ძვირფასო ძმაო თედო!

მოგიკითხავთ დიდის სიყვარულით და ყოვლად შემძლებელს ღმერთს ვთხოვ შენს სიცოცხლეს და ჯან-საღად ყოფნას. კარგა ხანია, რაც მე თქვენი აღარა ვიცირა ავადა ხართ, თუ კარგად. აღარცარა მე მომიწერია, გარდა იმ ტელეგრამმისა, რაზედაც, უეჭველია, შესწუხებოდით ძალიან, თუმცა კი არ დაიჯერეთ, ტყუილი გეგონათ. ჩვენ, ძმაო, კინაღამ დავიღუპენით: მართა გახდა საშინლად ავად; ეს ოთხს თვეზედ მეტია, რაც ავად არის, მაგრამ ამ ბოლოს დროს, რომ ავად იყო, ისეთი ავადობისაგან, ღმერთმა ყველა დაიფაროს. ჯერ ინფლუენცია არის, თუ ეშმავი ის შეჰვდა. გაასუსტა და ბოლოს ტაბასტად გარდაექცა (течениie крови изъ матки) და კინაღამ დაგვლუპა, და კიდეც ის იყო მიზეზი, რომ ისე უდრო-უდროოდ შეგანუხეთ თქვენც და ყველა ჩვენი ნათესავები. სისხლის დენისაგან შეწუხებული კვდებოდა და კიდევ იმას იძახოდა, როცა გონებაზე მოვიდოდა: ნეტავი ჩემს ძმებს შეატყობინაო, რომ მოსულიყვნენ და თვალით მენახაო, მემრე კი აღარ მენანებოდა ჩემი თავიო. ბოლოს, როცა ძალიან გაუჭირდა საქმე და დოქტორმაც ის მითხრა, რომ ამ ოთხს დღეზედ გადასწყდება ავ კარგიო, მითხრა მართამ: „დაუკარ თედოს ტელეგრამმა, იქნე[ბ] ცოცხალს მომისწროსო, არადა ერთი მჯიდი მიწა, ხომ მეღირსება იმის ხელითაო“. მოგწერე შენც და ლუკასაც, თუმცა მეძნელებოდა თქვენი შეწუხება. ლუკაშ კი გვნახა და რაკი შენ ეჭვში იყავ შესული მართას ავადობაზედ (ამბობდი უთუოდ, ჩემი მისვლა უნდათ იქაო) მეორედ ვეღარ მოგწერე, რადგანაც

<sup>105</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით; შეიცავს ორ წერილს. მეორე მიწერილია სანდროს მიმართ.

<sup>106</sup> ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, ეს წერილი დაწერილი უნდა იყოს 1899-1900 წლებში. ამ დროს სანდრო რაზიკაშვილი უკვე მსახურობდა თბილისის ფოსტაში, ხოლო ბაჩანა ჯერ კიდევ მუშაობდა ბარისახოში; წერილის დაწერის დროს თედოს პყავდა სამი ქალიშვილი, მეოთხე შვილი – ელენე მას შეეძინა 1901 წელს, ე. ი. ეს წერილი დაწერილია 1901 წლამდე, ელენეს დაბადებამდე.

სამსახურის დრო მოახლოვებული გქონდა და ჩვენთვის ვეღარ მოიცლიდი. მადლობა ღმერთს, ეხლა ცოტა გამობრუნდა. ტაბასტამ საშინელი თავის ტკივილი დაუგდო, რაც სხვა-და სხვა საშუალებით ცოტათი დაუდგა და იმ დღეს, როდესაც ლუკა მოვიდა სრულებით აღარ ასტკიებია ისე გაუხარდა; კიდევ ვთქვით: თედო რომ მოსულიყო, სრულებით მორჩებოდაო. ისე არის გასუსტებული და ისე აქვს ფერი დაკარგული, რომ ლუკა რომ მოვიდა და შეჰვედა, ტირილი დაიწყო (აბაროვორი გულმაგარი კაცია), „დაო, ეს რა დაგმართებია“-ო. ჯერაც ნამდვილად დარწმუნებული არა ვარ, რომ მორჩებაო, იმნაირს ფერზედ არის. თუ გამობრუნდა იმთვნად, რომ ცხენზე ჯდომა შესძლო, მაისის გასვლაზე ან თიბათვის ნახევრამდინ, ჩარგალს წავიყვან და გავლისას თელავიდგან უთუოდ შეგატყობინებ, რომ შენც იმ ხანებში იქ მოხვიდე. მგონია, ნიკოსთვი მიგინერია ცოლშვილს ხევსურეთში ვამზადებო. თუ იქ, რაიმე დაბრკოლების გამო ვერ მოხვედი, აუცილებლად აქ – ყვარელში – მაინც წამოდით შენ და სანდრო, თუ სანდროს სამსახური დაითხოვს. იკითხავთ ბერუაანთ ისაკოს სახლს და იმათ იციან სულ-ყველა ჩვენი ავ კარგი. შენი მოსვლა ჩარგალს იმით უფრო საჭირო არის, რომ ჩემს საქმეებს სულ-ყველა-ნაირად გავანალდებთ. ჩემს საქმეებზე, როცა გნახავ მაშინ მოგელაპარაკები დაწვრილებით, რაც ბევრი დაბრკოლებაები ჰქონია ჩემს სამსახურში შესასვლელად. წამოდით ამ ზაფხულ, აღარ დასდგეთ, სხვა არა იყოს რა მართასთვის არის მადლი და თქვენცა ჰნახავთ თქვენს საწყალს დას. მე კი არა ვარ თქვენკე დაწუხებული!! იქნება ცოტას კი მეტყობოდეს!!!!!! მოიკითხე სულყველანი და ჩემს და მართას მაგივრად აკოცე: თიკას (ძალიან კი არ დეტოლო, თორო მოლა გაჯავრდება), გულქანას – ბაჯბაჯას, ეთერს, ნინას. მოიკითხე შუშანა, წყალობა, გაბო თავის მეუღლით და ბედნიერება მიუღოცე, აგრეთვე მაშუა თავის მეუღლით დასხვა-და სხვა მანდაური მოკეთე[ე]ბი. თქვენი წერილი, იცოდეთ, იანვარს აქეთ არ მიმიღია და დღე-დღეზედ ვეღლი. დამეღალა თვალ-ყური სანდროს ბედის ყურებით. რამთვენიც თვე გავა, ვეღლი წერილ[ს] ან ეხლა მომივა სანდროს წერილი, ან ეხლაო, რომ დამინიშნეს ჯამაგირიო. რატომ არ უნიშნავენ – ეგ მამაძაღლები. მოგიკითხ-

ათ მეტემ დიდის სიყვარულით და პატარა დისწულმა პავლემ. თქვენი დისწული ძან კაცია: იცის ბიძეების ლექსები ავტორის დასახელებით. შენს ლექსის], მაგალითად, როცა ამბობს: „ატილდა ხალი ნიკოლა მაგანიტისა ცრემლითა“, ვკითხავთ: „ბიჭო, ვინა თქვა ეგ ლექსი“ – „ბიძამა თედომაა“ გვიპასუხებს ის. სხვა კი უნდა გაგიტყვდეთ ვერა ვიცითრა შენი...

იყავ მშვიდობით. ღმერთსა ვთხოვ, რომ მშვიდობითა ვნახოთ ერთმანეთი.

მიხეილ რაზიკაშვილი.  
თქვენს ნახვას ნატრული.

წერილს ველი ამ ადრესით, აქ როგორცა სწერია.<sup>107</sup>

### ძვირფასო ძმაო სანდრო!

გამარჯვება შენი! მოგიკითხავ და გაკოცებ შიგ ულვაშებ-ში. მოსე რომ მწერს, რომ „იბზეკავსო“... როგორ შენ და შენი პირველი კანდიდატობა? არა გამოდის-რა მაგათ ხელიდგაან? რატომ არ შემატყობინებ? განა ეგრე უნდა. მე უფრო შეწუხ-ებულიცა ვარ. თუ შენ მიეხწევი რასმე, მითომ მე ვყოფილვარ. შენ მაინც უნდა გამართვეინო – მე ხომ დავიჩაგრე სულყველა-ნაირად. – მუყაითად მოექეცი შენ მაინც შენს სამსახურს; უს-ამსახუროდ ყოფნა სრულ ამაო ყოფილა კაცისათვის. მომბეზ-რდა თავი და რა ვქნა – ვიტყვი ეხლაკი ამ გზას დავადგებიო და რაიმე მიზეზი გადამეღობება წინ. თორო, როცა ვნახავთ ერთმანეთს, მაშინ მოვილაპარა კებტ. ეგები დაეთხოვო რო-გორმე და თედოსთან წამოხვიდე. მოიკითხე მოსე და ჩემი ნაც-ნობები.

შენი ძმა მიხეილ რაზიკაშვილი.

<sup>107</sup> უადგილობის გამო ბოლო წინადადება მიწერილია პირველი გვერდის ქვედა არშიაზე.

ძმაო სანდრო! სვიმონის ცოლის წერილი ეგები გაჰვზა-  
ვნო როგორმე იმერეთში, თუ ამ უამად იმერეთში იქნება და  
გაასწრო გავლა წერილის მოსვლას, თუ არ გამოუვლია ჯერ  
განჯიდგან ვასოსთან შეიტყვე და, როცა გამოივლის, შენის ხე-  
ლით გარდაეცი, თუ ძმახარ. მინდა, რომ მიუვიდეს, ხომ იცი,  
როგორც ისინი მისვამდენ ქონებას, მეც წაუსვი. ცარიელი სი-  
ტყვა<sup>[ა]</sup> რაში მენანება.<sup>108</sup>

№2.

დოკ. 20/6 (1)<sup>109</sup>

1901 წ. 11 მარტს

უძვირფასესო ძმაო თედო!

პირველად მოგიკითხავთ და ყოვლად შემძლებელს ღმერთს  
ვთხოვ თქვენს სიცოცხლეს და კარგად ყოფნას. შენი ამბავი  
კარგა ხანია აღარ ვიცი და აღარც გამიგია. რას იტყვი ვაპ-  
ირობთ წასვლას კახეთში, თუ არა? მე დღე-დღეზედ მოველი  
შენგან წერილს, ხომ ნამდვილად გადასწყვიტე წასვლა. წაუსვ-  
ლელობა არ იქნება, უთუოდ წავიდეთ. მომწერე მანდ ამოვიდე  
ხელთუბანში, თუ ქალაქში ჩამოხვალ და მეც იქ მოგიცადო; ან  
კიდევ ჩევენებისაგან წერილი ან ფული ხომ არ მოგსვლია რა  
ისიც შემატყობინე.

მინამ შენი წერილი არ მომივა, მინამდე მე აქედგან არ წამ-  
ოვალ და ამიტომ სწორეთ მომწერე. თუ ქალაქში შენ ჩამოხვალ  
და მე აღარ მომინდება მანდ ამოსვლა, ენდრო არ დაივიწყო,  
ჩითები ჩემი და შავი ძველი შალვარი, რომ გავწირე მან[დ]  
ისინი ჩამოიტანე. ფული არაფერი გამოჰვზავნო აქ, თუ რამ  
იქნება მანდ დამხვდება. ნუ დავიგვიანებთ. 25-26 მარტს უთუ-  
ოდ წავიდეთ. მოიკითხე ყველანი ჩემს მაგივრათ: ჩემი რძალი,  
ბალდებს აკოცე ყველას, შუშანა თავის ქმარშვილით; შაქრო,  
მაშო, გაბუა პატარძლით და კიდევ სხვანი და სხვანი, ვინაც  
უფრო გესიამოვნება. ლევანასიც ამბავი შემატყობინე რა ქნა  
კიდევ არის ავად? ან ლუკამ გნახა თუ არა. ნიკოს წერილი მი-

<sup>108</sup> მინერილია წერილის 2-3 გვერდების ზედა მხარეს.

<sup>109</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

ვწერე – პასუხი არ მომსვლია. სანდრო - კი კარგათ არის. მეც კარგა ვარ, როგორც შამეფერება...

შენს ლიმონაზე და „დათვზე“<sup>110</sup> ბევრი ვიცინეთ. ეი! ეგ ხომ ჩემი ნაამბობია, რათ მომპარე! შენი „კოდალაც“,<sup>111</sup> ნინანდელს ნომერში რომ იყო, მოეწონათ, მეუბნებიან: „კაცო, უნდა ბევრ-სა სწერდენო, რომ მაგისთანა ნიჭიერები არიანო“. ნიკოზე გაჯავრებული ვარ, ხომ მიუვიდოდა ჩემი წერილი, რატომ არ მომწერა...

იყავი მშვიდობით და იცოცხლე...

შენი ძმა მ. რაზიკაშვილი  
1901 წ. 11 მარტს<sup>112</sup>

მაპატიე რომ დავბლაჯნე. ეს ოხერი ხელი სულ გამიფუჭდა. თუ ძალიან ნელა დავწერე კიდე ვწერ, თუ არა და ესე ვბლა-ჯნი.

№3.

დოკ. 20/6 (2)<sup>113</sup>

უბირფასესო ძმაო თედო!

1903-ს 15 თებ.<sup>114</sup>

უბირველესად მოგიკითხავ და ყოვლად მოწყალეს ღმერთს ვთხოვ დაგასწროს სიხარულით და ბედნიერის ცხოვრებით, შენის ცოლ-შვილით, მრავალს ყველიერს, და ალდგომაც სიხარულისა გაგითხნოს. დამნაშავე ვარ, ძმაო, რომ აქამდე წერილი ვერ მოგწერე და ჩვენი გარემოება ვერ შეგატყობინე. მეკითხება შენიც, ღმერთო, ხომ შენა ხარ გულთამხილავი?

<sup>110</sup> თედო რაზიკაშვილის მოთხრობა „დათვი“ პირველად დაიბეჭდა უურნალ „ჯეჯილის“ 1901 წლის თებერვლის ნომერში. ლიმონა ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟის მეტსახელია.

<sup>111</sup> მოთხრობა „კოდალა“ პირველად გამოქვეყნდა 1900 წლის იანვარში, უურნალ „ჯეჯილში“.

<sup>112</sup> წერილის ავტორს თარიღი ტექსტის ბოლოშიც მიუწერია.

<sup>113</sup> ხელნაწერი თხხფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

<sup>114</sup> იგივე თარიღია მიწერილი ტექსტის ბოლოშიც.

და სულითა და გულით მოველი შენის ამბის გაგებას... ჩვენის ამბისა რა მოგწერო? – ვცხოვრობთ ისევ ისე, როგორც გვიცხოვრია. ცოცხლები-კი ვართ დღესნამდი. ან-კი არ გვეყოფა ზარალი?.. ლუკას უბედურებამ ძალიან შეგვაწუხა. იმ დროს ლუკა ხომ (იქნება მოგწერა კიდეც), აქ მოემწყვდა. აქ გავიგეთ საწყალის კეკეს სიკვდილი. სწორეთ 25-ს ქრისტიშობის თვეს წავიდენ მართა და ლუკა აქედგან ჩარგალს და იანვრის 27-ში ღა მოიყვანა მეტემ. წასვლა იმათი და ცუდი ამინდების დაწყებაც ერთი იყო. მოვიდა ერთი ახირებული თოვლი. შევრჩით მოუმზადებლები ყველაფრით, რადგანაც ლუკას აქ ყოფნის დროს ნადირობის მეტს არაფერს ვაკეთებდით. ახლა მერე მეტე წავიდა მართას მოსაყვანად და ისიც კარგა ხან მოგვიანდა იქ. დავრჩი მარტოკა და დამაწვა იმოდენა საქმე თავზედ, მაგრამ საქმეს კი არა ვჩიოდი, კაცო, იმათი დარღი მაწუხებს, რომ დაგვიანდენ და დაგვიანდენ, ძალიან შევშინდი, იმას-ღა ვფიქრობდი, რომ ან ნიკოს, ან ლუკას ხომ არ აუტყდარაო, რადგანაც ავად მყოფობას ძალიან დარეულს ამბობდენ, და მართაც იმიტომ შეგვია[ნ]და და დანიშნულს დროს ვერ მოვიდაო. ღმერთმა უშველოს, მერე ერთი ფშაველი ჩამოვიდა და იმან მომიტანა ამბავი, რომ ცოცხლები არიან ეხლა აღარა უჭირსთ-რაო. მოვიდა მართა გულ გახეთქილი იმათ უბედურების მნახველი. თურმე ჩვენს თამარზედ ცუდი და გაუზრდელი მთელს ფშავის ხევში არ გამოვა ქალი. ერთი რაღაც ზარმაცი, უჯიგრო, უზნეო არის თურმე. სიავის მეტი იმან არა იცის რაო და ზარმაცობისაო. სუ გატუჩვილი და ცხვირდასიებული დადისო. ბალებს სულ მტრადა და მგელად ეკიდებაო. დედაც თურმე იმის მიზეზით მოკვდა: ავად-მყოფი დედაკაცი შინ არ დაეყენა, ბოსელში დაეგდო და საწყალი იქ მომკვდარიყო. ისე არ მიეგდო ყური დედისთვის, როგორც ერთის უკანასკნელი ვინმესთვისმე. ვამბობდი ბუქურაულს შევრთოთ, აპა წარმოიდგინე ეგ რა კარგის ბედის ღირსია. თავის შესარცხვენად ან როგორ ვისმე გადაჰვიდებს იმისთანა ნადირს კაცი. თორო რაც არის არის... ის არც იმის ღირსია, რომ იმაზედ ილაპარაკოს კაცმა. ნიკოსაც ეხლაც ბიჭი სუსტა-და ჰყავს თურმე. იმას მიეგდო ყური ყველაფრისთვის, რამდენადაც კი შესძლებდა, მინამ მივიდოდენ. კაცო, ეს რაზიკანი რომ სულ გათავებას ვაპირობთ. საწყალი მწარია რომ დაიღუპა და მოუკვდა ის ერთად ერთი ვაჟიშვილი; ერთი ვაჟი ქოთა-

სა ჰყვანდა, იმასაც მოუკვდა; ეგ ორი ვასილის ბიჭებილა უხ-ირებენ ფეხებსა. ქოთას ცოლს, მგონია, აღარცარა უჩნდება... ერთის სიტყვით სულ უკან უკან მიდის ჩვენი ბედ-იღბალი... ეგ – ეგრე... აქაური სხვა რა მოგწერო? საქონლით ვზარალობთ: ეს მგონი მეთერთმეტე ფური გაპერწდა და გაუწყრა ღმერთი. გაპერწებულები აღარ იმაკებიან – დაურწმდენ.<sup>115</sup> ისე, რომ ამ ზაფხულ საწველ-სადღვები ჭანტრაყულს<sup>116</sup> მდგომარეობაში იქნება. თუ ან ცოცხლები გადარჩენ. გაჩნდა საქონლის ჭირი. ბეითლებმა<sup>117</sup> ჩვენს საქონელს არ აუცრეს – ფშაური ძროხა აცრას ვერ იტანსო, სულ გასწყდებიანო; ისევ როგორმე მოარიდეთ საქონელიო, იმას გვირჩევენ. აბა სად მოვარიდოთ, ხომ იცი შიგ სოფლის პირში ვართ. ურმის მუშა საქონელი დღე-მუდამ ჰქვდება ტყეში. ტყე შევაკვრევინე დასტურებს,<sup>118</sup> მაგრამ მთიელი ხალხი სულ აგვიჯანყდა და ნახევარი ჭალა ისევ წაგვართვეს. ერთის სიტყვით კუდი ძალიან მაგრა გვიძე არტახში. მარტო ღმერთილა თუ დაგვიფარავს, თორებ სხვა ჩვენი მეშველი აღარა იქნება რა... შენ გა[ა]თავ-ებდი სახლს და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს და ტანის სიმრთელეში. ჩვენ-კი დაგვიგვიანდა მოუცლელობის გამო და ვერ მოვასწარით კედლების აყვანა: სიცივემ უსწრო და ხომ იცი ქვითკირისთვის სიცივე არარის კარგი. თორო ჩვენი სახლი ჯერ რა არი?! ჯერ-ჯერობით ერთს დიდს ოთახს ვაკეთებთ ისე კი, რომ მერე მეორე გვერდზედ მიედგმის და, თუ მოვიწადინებთ და ღმერთიც შეგვაძლებინებს, ორი ოთახი მაღლა მოედგმის. დრომდე, მინამ ხელში რასმე დავიჭრდეთ, მაგას ვიკმავებთ, რომ თავი მოვაფაროთ და ჩვენი სტუმარი სხვას არ მივაყენოთ კარს. ნახევარი კედლები ამოსულია და ეხლა, რა მწამს გათბება მუშას დავაყენებთ და იქნება აღდგომამდე კიდეც გავათავოთ. აქაც ბევრი ჯდება ძალიან შენობა, ხომ ტყე და ქვიშა შორს არ არის. ჯერ ხომ არა არის რა გაკეთებული და 30 თუმანზედ მეტი დაიხსარჯა. მუშა და ხელოსანი ძვირია. ახლა კიდე არაფერი მზად არა გვქონდა, საკუთარი ურემი და საქონელი არ გვეწეოდა და სულ ფულზედ მინაბრებულები ვიყავით. ისე, რომ ქალაქ ადგილას აღარ დაუჯდებოდა კაცს

<sup>115</sup> უწანი – ბერწად დარჩენილი საქონელი.

<sup>116</sup> ჭანტრაყული – ცუდი, უხეირო.

<sup>117</sup> ბეითალი – ვეტერინარი.

<sup>118</sup> დასტური – ხევისბრის თანაშემწე (ხატის მზარეული).

მაგაზედ მეტად, ამასთან შედარებით. მაგრამ, თუ თავის სახლი მაინც გვექნება, ხმას ვინ[ლ]ა ამოიღებს ხარჯზედ... ახლა, რომ იცოდე, ბიძაჩემო, ერთი პატარა ვენახიც ვიყიდეთ და, როცა გვეწვევი საკუთარი ღვინო გვედგმის ქვევრებსა შინა და როგორ გადავკრავთ!!.. ერთის დღისა არის, მაგრამ კარგ ალაგას-კია: ზედვე ახლოს გვაქვს. შენს სიძეს დამეც კიდე სიზმარში ის ელანდება და მხარს იწყვეტავს იფნის ჭიგოების ზიდვით, ვინ იცის, საიდგან. სააღდგომოდ მოგელით ძალიან და იმედიცა მაქვს, რომ არ დაიზარებ. მარტო შენი „ზნაკომები“ – ხომ იცი ვინც არიან, აღარ მისვენებენ: მოვიდესო. ხანდახან ლაპარაკი რომ რამე იყოს – მეტყვიან: „ის მოვიდეს, რატომ არ მოდის, როდის მოვაო?“ მე ჩემს გულში გამეცინება და აბა იმათთან ხომ ვერ დავიმჩნევ მეცინებაო. არ იციან რა ეშმაკთან ათამაშებენ თხას მალაყზედ. ერთის სიტყვით უსპეხი დიდი გაქვს, რაც ვიცი ულვაშებში ძალიან გეწყინება... მე კი ჩემს თავზედ ვერაფერს მოგწერ, რადგანაც აქ „უსპეხები“ არა მაქვს და „პოხოუდენიებიც“ მანდაური სჯობდა. მანდ შენ გახუნებული იყავი და დახე სად გადამიხადე!! ეხლა, რა ვიცი, კიდევ იწერები „უსპეხ-პოხოუდენიების“ საქმე კარგათ მიდისო. თუ ეგ მართალია, ჩემი საქმე სრულებით ცუდად ყოფილა და სხვაგან უნდა ვეცადო სადმე... ეგები შემოდგომით ეგ ყმანვილებიც დავაქორწილოთ, თორო თუ სხვა ზამთარსაც გარეთ დაჰკრჩა... მერე დაბერდებიან. აქ ქალებს გვეუბნებიან სხვა სოფლებში და არ ვიცი კი მართლა საქებურები არიან თუ არა...

სხვა რაღა მოგწერო: აუცილებელია, მკითხავ შენ საბოლოოს რაღას ფიქრობო. სწორეთ რომ გითხრა, ისეთ ხალხში ვარ, რომ მეც არ ვიცი. უჩემოდ ერთის ფეხის წინ გადადგმაც არ შეუძლიანთ. იმას რა უჭირს, ვისაც ყველაფრის თავი აქვს. დედაჩემი არის სპეციალისტი ძროხების საქმეში მარტო და სოფლურის ცხოვრებისაც არცარა მეტეს ეყურება... მე რომ აქ არ მოვსულიყავი ვერც ემაგ სახლის დაწყობას მოახერხებდენ. ეხლა, რა ვიცი, ის ფიქრი მაქვს, რომ ეგ სახლი ჩავაფარო, რომ ბინა ჰქონდეს კაცს და მერე წამოვიდე და სამსახური ეგები რიგიანი, სადმე რამ ავიჩინო. ვერცა რამ ლუკამ მირჩია. იმანაც ხან ვაჭრობა მიქო, ხან ფოდრაჩიკობა<sup>119</sup> ან სამსახური.

<sup>119</sup> Подрятчик - პიროვნება, რომელიც გარკვეული შეთანხმების საფუძველზე ვალდებულია შეასრულოს დაკვეთილი სამუშაო.

ისე, რომ ვერაფერი დასკვნა ვერ გამოვიტანე... არც ერთში კი რიგიანი ხელის შემწყობი მე არა მყავს, ხომ კარგათ იცი... სააღდგომოდ, რომ მოხვიდოდი ძალიან კარგს იზამდი; კიდევ რასმე გავარჩევდით... მართლა რასა გთხოვ შენი ჭირიმე: მანდ, რომ ჩემი წიგნების ყუთი სდგას იმაში ჩემი დოკუმენტები ყველა შიგა მაქვს და თაგვი არ შაეპაროს საიდანმე და არ გააფუჭოს; ამოიღე და შენ შემინახე კარგა. ნუ დაივიწყებ და სხვა წიგნები კი ისევ იმით იდგეს ერთად...

აბა, რაღა მოგწერო; იყავით მშვიდობით და გამარჯვებით. მოგიკითხა დიდის სიყვარულით შენმა დამ, მეტემ, ტუგურელმა, თინამ, ნათლია ნათლიდედ-ნათლიმამებმა. სულ-ყველამ: ძველთა და ახალთა, მცნობთა და უცნობთა. მოიკითხე ჩემს მაგივრად ჩემი ბოროტი რძალი, მოიკითხა აგრეთვე თავის მულმა და სიძემ და ძალიან ემდურება რომ წერილს არა მწერსო. მოიკითხე დედა შუშანა, წყალობა, გაბო, ფეფე, მაშო, შაქრო და მთელი ვინც იყო ჩემი დოსტი „ბარიშნობა“ გაღმისა და გამოღმა უბნისა. არც კოკოტის ცოლი დაივიწყო, შენი შორიდგან „პოკლონნიცა!!!!..“ ჩვენი კვინიკაძე თუ ცოცხალია და ან მანდ არის მოიკითხე მამაშვილურის პატივისცემით...

წერილი თუ ჩემი სიყვარული გაქვს, მალე გამომიგზავნე. პრისტავის სახელობაზედ გამოჰვალი შემატყობინე.

**Кварельскому приставу Гомелаури. Прошу передать Метэ Хасишвили. და მეტიც არაფერი. ჯეელების ამბავიც უთუოდ შემატყობინე.**

შენი სიკვდილამდე ძმა მიხეილ რაზიკაშვილი და არა  
„ჯაფარიძე!!!!..“  
1903-ს 15 ფებრვალს

გრიგოლ აფშინაშვილის  
წერილები

№1.

დოკ. 20/7(13)<sup>120</sup>

## ძმაო თევდორე!

სინოდის კანტორაში მივედი დღეს (შაბათია), მივეცი წერ-ილები – მღვდელისიც და ბეგიევისიც, და მაშინვე იპოვნეს ჩემი საქმე. გაშინჯეს და სამოცდა რვაში ვარ ნაჩვენები მოწმე[ე] ბისაგან. ამ შეჩვენებულს ბლალოჩინს მართლა თავის წვერ-ზედ ჩაუწერნია. აბა რა ქნას კაცმა! კარგა გადავშინჯეთ ყველ-გან აღწერების სიებში და აღმოჩნდა, რომ ზოგან როგორავარ ჩაწერილი და ზოგან როგორ, ზოგან მე და ჩემი უფროსი ძმა ერთის წლისანი ვართ ჩაწერილნი. ასე, მოწმე[ე]ბის ჩვენების მოწმობა მეძლევა ორშაბათს და შემდეგ თიანეთში უნდა წავ-იდე. სჩანს, რომ შველა არა გზით არარი. უნდა დავმორჩილდე ბედს და მეტი რა ღონეა! იმ მოწმობის (თიანეთში რო არის) გამოტანას ვეცდები და შეგატყობინებ კიდევ.

რაღა მოგწერო, მწუხარების სმენა ან ვის ეამება! მშვიდო-ბით და გამარჯვებით!

1889 წ. 11 მარტს  
გრიგოლ აფშინაშვილი

## თევდორე!

სულ უკანასკნელს და გადაწყვეტილს წერილსაც მალე მოგწერ, ჩემის ფიქრით. იქნება ან დირექტორსაც მოგწერო და ან შენ მოგწერო იმის გარდასაცემლად. მადლობელი ვარ მღვდლისა, რომ წერილი მიმიწერა, ძიელ მალე იპოვნეს უკვი-ტანციოდაც საქმე, მაგრამ შველა კი, მგონია, არა მქონდეს!! ჯერ ჯერობით ნურცარავის კი ეტყვი (მასწავლებლებს) სა-ნამ გადაწყვეტილი ამბავი არ მოგივა. ვინ იცის, როგორი ცხოვრება მექნება ამას შემდეგ! ვისი მადრიელი უნდა ვიყო დღეის იქით: მღვდელ-ბლალოჩინებისა, დედმაშისა თუ ვისი?

<sup>120</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია იისფერი მელნით, ამომქრა-ლია, შეიცავს გრიგოლის ორ წერილს თედოსადმი.

ჩემს არსებობას ჰშურობს ბუნება, თუ? რა საშურველი ვარ, ან რა კაცი ვარ?! ნეტავ საშურველი მაინც ვიყო! იმას მაინც იტყვოდენ: კარგსა და კეთილს ჰშურობს ყველაო! ნიკო კი იქნება ვნახო როდისმე და ამბავსაც უამბობ. ვეჯინელი კაცი ვნახე, ნიკო კარგა არიო, მითხრა. დედა და ძმა მანდა ჰყაო. ლუკაც მანდ იყო, ირმები დახოცესო და მერე წავიდაო.

### გრიგოლ აფშინაშვილი

№2.

დოკ. 20/7 (14)<sup>121</sup>

(პირველ კლასელებს)  
ძვირფასო ამხანაგებ!

დიდი იმედი მქონდა მეც და თქვენც გამოხსნისა და შველისა, მაგრამ არ მოხდა და აი როგორ არის საქმე: სინოდის კანტორაში ვიპოვე ჩემი საქმე, მაგრამ სამწუხაროდ, არა ჩემს სასარგებლოდ! როგორც მე ვითხოვდი და ვეხვეწებოდი ბლალოჩინს წლოვანების ჩაწერას, ისე კი არ ჩაუწერია, ისე ჩაუწერია, როგორც თავადა ჰსურდა, სახელდობრ ამ 1868 წელში. აბა რაღა მეშველება! ორშაბათს მომცემენ მოწმობას და წავალ თიანეთში. კიდევ მოგწერთ წერილს თავის დროზედ. ეხლა კი ამაზედ მეტს ნუ მამთხოვთ. იშრომეთ და იმეცადინეთ. ისე მოიქეცით, როგორც მანდაურებს შეჰქორის. მშვიდობით და გამარჯვებით.

თქვენი მოსიყვარულე ამხანაგი გ. აფშინაშვილი  
11 მარტს, 1889 წ. თბილისი

<sup>121</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით, ამომქრალია.

№3.

დოკ. 20/7 (1)<sup>122</sup>

## ძმაო თევდორე!

„არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიამსა, ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა!“... პირველი ტაეპი ამ ლექსისა შენ შეგეხება ამ შემთხვევაში და მეორე მე, მაგრამ არა მგონია – ისეთი უაუგო და ღალატიანი ვიყო, როგორსაც ეს უკანასკნელი ტაეპი გვიხატავს. მდურვა, ძმაო, გემართა, მხოლოდ საფუძვლიანი, თუ იცი კაცის ყოველწუთიერი მდგომარეობა... შენ არ შეგიძლიან განაღამც თქმა, არამედ წარმოდგენაც კი, რომ მე თქვენ სახში მოსვლა და თქვენი ნახვა არ მეწადოს! გაიხსენე, ძმაო, რჩომა-კდომისა, ცხელი მუშაობა, იმ დროს გლეხი-კაცის მოცდენა, თუნდა ერთს წუთსაც! მასე გაშინჯე, პარასკევს შუადღისას წამოსულნი ხოშარით,<sup>123</sup> შაბათს დილით მცხეთაში ვიყვენით... მთელი ზაფხული წვალებით გავატარე, გემო არაფერსა ჰქონდა; მეცადინეობა, მერე ჩვენ სახში არ შამეძლო და არცარა უიმისოდ მეშველებოდა, ხო იცი. მომზადებით, ძიელ მცირედ მოვემზადე, აღმოცანები ცოტა გავაკეთე, ვიყავ რაღა, უამთად მიწონილ-მინდობილი, დაილოცოს ღმერთის სამართალი, მაინც გავიმარჯვე და მაინც გამოჩნდა რომ თითქმის ყველაზე მეტად მოვმზადებულიყავ: აღმოცანაც გავაკეთე და ზეპირადაც რიგიანად უბასუხე. ჩემი ამხანაგები, უმეტესი ნაწილი თათრობა იყო, უბედურები, ჯერ კი სუ წმინდად დაარჩინეს, მერე კი ერთის ვაი ვაგლახის შემდეგ, ზოგი გადმაიყვანეს, ზოგიც დაარჩინეს და ზოგიც დაითხოვეს. საფარალიბეკოვი მესამედ დაარჩინეს პირველ კლასში, ვაჩნაძე (მაღალი) სუ დაითხოვეს! ქრისტიანებში არავინ დამრჩალა, ლადოს მეტი. პერეეგზამენოვები რო გათავდა, ტრიკიანი ამბობს: „**гонение на татаръ**“-ო! შენი ამხანაგები თითქმის ყველანი ალაგებზე არიან. კვალიევი ქარელშია პრიხნია ერევნის გემნაზიაში, და სხ. იმ დღეს საკალოვმა დამიძახა და მითხრა: „**Разиковъ-швили получил мѣсто?**“-ო? არ ვიცი მეთქი, მე მიუგე... მე მაინც დაღონებუ-

<sup>122</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

<sup>123</sup> ხოშარა – სოფ. აღმოსავლეთ საქართველოში, უკანა ფშავის თემში.

ლი ვიყავ ძმაო, და მაინც აქამდე, მაგრამ ეხლა კი ტელეგრამა რო მივიღე, ლმერთმა შენ კარგი მოგცეს, მე ყოჩაღადა ვარ, თუ მაგ ტარტარის კარგიდამ გამოვდვერ! ლმერთმა თქვენ გაგახაროსთ ყოველთვის, როგორც მე გამიხარდა იმ უამს. დავითისგან ნათქომი მქონდა, ტელეგრამას დაგიკრავ მაშინვეო, მაგრამ თქვენ კი არ მამგონდებოდით ტელეგრამაში. მე გიორგი უფრო მეგონა. თქვენი ამბის გაგება (ძმებისა) ძალიან მინდოდა, შენ სად იქნებოდი ან ლუკა. ნიკოსი გავიგონე: ვეჯინში აღარ მიდისო, სოფელს უჩივლიაო, სწორედ გაკვირვებული დავრჩი და ის ლა მომაგონდა: დიდს სიყვარულს დიდი სიძულილიც მოაქვსო! დავითს წერილი მივწერე და ვთხოვე თქვენი ამბის შეტყობინება, მაგრამ არაფერი მომწერა. შენ მაინც მამწერე, რას ვინ აპირობთ... აქ (სემინარიაში) თანდათან დამონავებას გვიპირობენ, უფრო და უფრო გვიჭერენ, ერთი ბენზ მოსვენება არა გვაქვს, შამოილეს სამხედრო გემნასტიკა, წარმოიდგინე „დუხოვაია“ ბუზიკაც კი გვაქვს! იეზუიტობა მკვიდრად იდგამს საფუძველს. ნუ გეშინიან, ჯერ კი არაფერი გვიჭირს საიმისო. შენი წერილი რო მივიღე, დეჟურნი ვიყავ პანსიონში. პიასეცკიმ არ გამახსნეინა (სადილს ვჭამდით), მერე წაიკითხეო. მე გული მიწუხდა, ვისი ნაწერიაო, ვფიქრობდი, ვის მოვაგონდი უცხოს მოძულებული მეთქი! რო გავხსენი, მაშინაც კი ვერ ვიცანი შენი კალამი, სანამ ბოლომდი არ მივედი!.. დიდი ბიჭობა გამაიჩინა ჩვენმა დირექტორმა, რო იცოდე, დატრიალდა ტარივით, აქეთ ეცა, იქით ეცა და ასე მოახერხა. რომ გამოფენაზე წაგვასხა ქალაქში. რკინის გზის მართველობას გამოართო სამი მეორე კლასის ვაგონი ჩვენთვის, ნებართვა აიღო „პაპეჩიტლისაგან“ და ამ წასულს კვირას ქალაქში კი ამოგვაყოფინა თავი. მესამე დღეზე მოვედით იქიდამ. ბინა ინსტიტუტში გვქონდა. დეკანოზოვმა ინსტიტუტში დაიჭირა ეგზამენი და სახემწიფოდაც იქმნა მიღებული. მოგიკითხა კიდეც. დავათვალიერეთ: გამოფენა, საბალოსნო სკოლა, სიონი, მუზეუმი, საქალაქო ბიბლიოტეკა და ბოტანიკური ბაღი. ეხლა თხზულებაც მოგვცა ტრიკიანმა ამ მოგზაურობის შესახებ. ქალაქში დედა ბუდრიანად ვიყვენით. მოსამსახურე[ე]ბიც კი იქა გვყვანდნენ. ლომოური კი არა ყოფილა ჩვენთან, ქეიფზე კარგად არიო, მოვიკითხე კიდეც შენ მაგივრად. გორი უარესად გამტკვრიანდა, მით უმეტეს, რო წვიმა არა ყოფილა, რახანია. წლეულს წელს, როგორც

იცი, ვაკანსია ბევრი იყო ახლად მისაღებთათვის, ორად ორი ქართველი მიიღეს იმოდენა ხალხში, მესამეც თუში, დანარჩენი სუ სომხები და რუსები არიან. ყველა ქართველები ყოჩაღადა ვართ, ჩვენ კლასელებს „ივერიაც“ მოგვდის ჩუმად, რასაკვირველია; ლუკას ფელეტონები წავიკითხე. რატო ნიკო არაფერსა პსნერს? ხუციშვილის შეკრეფილი ფშაური ლექსები წაიკითხე? კარგი იქნებოდა დასწერდით რასმე ამის შესახებ. ერთი მშვენიერი ზღაპარიც წავიკითხე შენი ზაფხულში. მე ბევრი ლექსები მაქვს შეკრებილი, მაგრამ ვერაფერი მომიხერხებია ჯერ, რადგანაც მოცლილი დროა ამისთვის საჭირო. არ იცი, რო თიანეთში მეჯავრები შენ??!.. არა, არა, არა, ძმაო, ისეირე რამდენიც გინდა. მხოლოდ უაზროდ კი ნუ!.. იქნება ბევრი რამა მრჩებოდეს, მაგრამ მოდი ბოლოს მოუღებამ უთავბოლო ყედობას... მშვიდობით და გამარჯვებით! მამიკითხე ჩემი საკუთარი ძმა ნიკო, ლუკაც, მღვდელიც, დედაც, მართაც, გიორგიც და ყველანი.

### ძმა შენი გრიგოლ აფშინაშვილი 1889 წ. 30 ენკენისთვეს

წერილი, რასაკვირველია, უკანასკნელი არ იქნება არც შენგან და არც ჩემგან. მომწერე ძმური წერილი, შემატყობინე მანდიური ამბები, განსაკუთრებით თიანეთისა... კიდევ მოკითხვას დაგავალებდი, მაგრამ შენ ვერ იცნობ იმას, ვინაც მე მყავ სახეში! ვერც.... ადრესი ისევ მაგრე დააწერე.

### გრიგოლი<sup>124</sup>

ძმაო თევდორე, მოგიკითხეს ყველა ნაცნობმა ამხანაგებმა ყოველ კლასიდამ, მადლობას იხდიან წერილისათვის, ზოგი წერილსაც ამზადებს. ჩვენის კლასიდამ მოგიკითხეს დიდის სიყვარულით: ნიკო ქიზიყელმა პირველმა, ვასომ, გიორგაძემ, ნიკო ჯანაშიამ, დუმბაძემ და სხვ. წერილებს მიიღებ.

### აფშინაშვილი

---

<sup>124</sup> გრიგოლ აფშინაშვილის ამ წერილის ბოლო გვერდზე მისივე ორი მინაწერია.

№4.

დოკ. 20/7 (3)<sup>125</sup>

## ძმაო თევდორე!

მიგდებ ყურს, თუ არა? აცა, როდის მომწერს გრიგოლი წერილსაო! კარგი, ძმაო, აგრე იყოს, აგრე!.. ნეტავ ნიკოსავ-ით გართული მაინც იყო მასწავლებლობაში, რომ გული დამეტვიდებინა რითიმე, თორო ეხლა!.. რასაკვირველია, სულებითაც უსაქმო არა მგონიხარ, მაგრამ დატვირთულ-მა საქმეებით ჩემკე მაინც უნდა მაიხედო და მაინც... ხო იცი, ძმაო, აქიური ცხოვრება, მერე ეხლა, როგორც არის!.. როგორც იცი, დრო ცოტა მაქვს, მაგრამ „ჭირთგაცოფებულმა“ წერილზე-ლა დავყარე ღონე... პირველი წერილის პასუხი გამოვგზავნე და ახლა შენგან მოველოდი, მაგრამ სად არი? ვეღარ მოვითმინე, ამით უფრო, რომ კარგა ხანია, რაც თქვე-ნი და საზოგადოდ მანდიური არაფერი ვიცი... ნიკოსი ხო სუ არაფერი ვიცი, არც წერილით და არც სხვაფრივ... სად არი, იქავ არი, თუ არა, არ ვიცი, ვიცოდე, მე მაინც გაუგზავნიდი ბარათს. აქორებდენ, ვითომ იქ აღარ არი, გამოვიდაო! არ-ცარაფერი შენ შამატყობინე ნიკოსი, არც ხო სხვაფრივ ვიცი და ვარ ერთს დალონებაში. წერითაც არაფერსა სწერს, რომ კაცს გული მოებრუნებინა... ლუკასი მგონია თვალით ვხედაო, როცა რასმე წავიკითხავ იმისას „ივერიაში“... ამავე გაზეთში ხო შენი ზღაპარიც წავიკითხე, მაგრამ ამით კმაყოფილი არა ვარ და შენგან მეტს მოვითხოვ... წერილის წერა გეზარება მაგრამ სამიოთხ თვეში ერთი წერილი დიდი საქმე არ იქნება... დაამლული<sup>126</sup> ვარ მანდიურის ხმისაკე... როგორც გნერ-დი, დავითს მივსწერე: იმათ ამბავი მომწერეო და აბა სად არი? ჩემი გარემოება ხო იცი, ძმაო!.. სემინარია უარესობს!.. ჯერ კი მსუბუქად გავიდა ეს თითქმის ეს ნახევარი წელიწადი სწავლისა. ჩქარა კიდეც დაგვითხოვენ... ძლივს მოველი ახალ-წელიწადს – დეესწარი მრავალს ამ დროს მშვიდობით – „ჯე-ჯილიო“, „თეათრიო!“, „კალენდარი“, „ცდაო“ და ბევრი სხვაო, გვაიმედებენ მოძმენი!.. ვნახოთ, რა იქნება!.. ძმაო თევდორე,

<sup>125</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

<sup>126</sup> დაამლული (ფშ.) – დამშეული, აქ: მონატრებული.

შინაარსიანს წერილს ველი შენგან; ნიკოზე დაწვრილებით შემატყობინე რამე... სემინარიელები ყოჩაღადა ვართ... ჯანაშია ქართულს სწავლობს, ნება დაპროც სტრელეტსკიმ... გარჩევა აღარ არის, რა მიზეზია, არ ვიცი, ყველა ქართულ-სა სწავლობს: აფხაზი, მეგრელი, ვინცვი ახალი მოსულია... ხო იცი, ძმაო, ბრძნობა ჩემი საქმე არ არის და ამიტომ ჩემი წერილი ფუქსავატია, რადგანაც, „მზგავსი მზგავსს შობს“ ფუქსავატობს!... მაშ გორის ფუქსავატ ამბებსაც გიამბობ, ვიცი, უინტერესო არ იქნება შენთვის, როგორც თითქმის აქ დაკაცებულისათვის: როგორც ყველგან, აქაც სეირობს, „ინ-ფლუენცია“ და სემინარიელებსაც დაგვერია... დირექტორი ძალიან ავადა გვყავს, ლამის „Олья“ დაგვიტოვოს!.. (სასაცილო ჩავუმატე). მასწავლებლებიც ავადობენ... ახლა ქალაქის ამბები: ლოლაძეს (ქალს) ხო იცნობდი? ამას წინად გავარდა ხმა. ეს და ეს, „პროგიმნაზისტიც“, პოლიციის სათვალყუროდ გახდაო, რადგანაც დარჩობას მტკვარში მოარჩინესო! თავის დარჩობა გამაუწვევია შემდეგ შემთხვევას: ვიღაცასთვის „წვერი მოუკიდებინებია!..“ ეს ვიღაცა თქვენი ნაცნობი ციმაკურიძე, ვგონებ ნიკოს ამხანაგი ყოფილა... აი აქეთ, აი იქით, და ამ მოკლე ხანებში გვირგვინიანი გამობრძანდენ სობორიდამ. ეს ორნი გორის სალაყბო პირნი!... სხვა უფრო საყურადღებო, და ამასთან სამწუხაროც, ამბავი ეს არის: ამ წინაზე გაისმა ხმა ერთად შემარცხევენი ქართველებისა და შემაძრნუნებელი ყოველ კაცისა!.. სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელმა დავიდოვმა მამათმავლობა ჩაიდინა იმავე სასწავლებლის შეგირდთანაო! რამდენად სამწუხაროა ეს ხმა, იმდენად საკვირველიც არის იმისთანა კაცისაგან, რიგორიც დავიდოვია, ვგონებ შენ უფრო დაახლოვებით იცნობ!.. ასტყდა გამოძიება, რევიზია სასწავლებლისა, ერთი აყალმაყალი, მითქმა-მოთქმა, რომ ყური უნდოდა ყურებას!.. დრო ფინთია, ქალაქში არ გავდივარ და ამ ამბისაც რიგიანად არა ვიცირა, გვესმის მხოლოდ, რომ დათოშვილს და საძაგელოვს გამოუსკამესო და სამართლის პირშიაც ჩაყარესო! დავიდოვი გაამართლესო, მაგრამ ჩირქი, ჭუჭყი, ვაი, ვაი!... რამდენად მართალია, არ ვიცი. ეხლა ლომოურთან ვიყავი უფრო ამ ამბის სიმართლის გასაგებად, მაგრამ შინ არ დამხვდა. მაინც და მაინც ჭეშმარიტებასთან ახლოა... სავალალოა!.. სომხები ამას თურმე ამბობენ:

ერთი ხელობა იყო ჩვენი საკუთრებაო და მაგასაც ქართველები შაგვეცილნენო!.. თუ არ მოგწყინდა უხამსის ლაპარაკის სმენა, ერთი სასაცილო სურათიც მოისმინე დათოშვილის ცოლის ცხოვრებიდამ (ხო მოგეხსენება იმის ჭკვის სიგლახავე): თურმე, როცა სასწავლებლის შენობა დაასრულეს, თხელტვინას შეუგროვებია, როგორც იცი, თავის ფერი თხელტვინიანები, აუ[თ]რევია მაღლა სართულში და დაუტარებია ოთახოთას ჩვენებით: „ეს ჩვენი „ზალი“ გახლავსთ, ეს „სპალნა“, ეს „კაბინეტი“, ეს „გუვერნანტკას“ ოთახი, ეს ისა და ეს ისაო!.. „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“, სწორედ ასეა. ბოლოს ჰქედავ? საშინელი კონტრასტია!.. თავი მოგაძულე, ძმაო, მაგრამ ფიქრად ეს მაქვს გავართობ მეთქი, როგორც პატიმარს... ლომოური და მღვდელი ყოჩაღად არიან. ხალხური ლექსების გაგზავნა მინდა „ივერია“-ში და არ ვიცი ლომოური რას მეტყვეის... ნეტავი ერთი ნიკოს ლექსი კიდევ წამაკითხა „ივერია“-ში!.. რა დაემართა?... მოგიკითხეს მთლად ქართველებმა სემენარიელებმა, საკუთრივ მეორე კლასელებმა: ახმეტელაშვილმა, გიორგაძემ, ბეგიევმა, ჯანაშიამ, დუმბაძემ, ბიბილაშვილმა და აგრეთვე რუსებმაც. დასასრულ, ძმაო, გადაეცი გულითადი მოკითხვა მღვდელს, დედას, დას და სხვებს... ჩვენები თუ ვინა ჰნახო, მშვიდობა უთხარი... ნეტავი ახლო იყოს, ან გარემოება ხელს მიწყობდეს, რომ წამოვიდოდი!.. ლადომაც მოგიკითხა. მომიკითხე აგრეთვე გიორგი, შენი ძმა.

**შენი ძმობის არლირსი გრიგოლ აფშინაშვილი  
1889 წელს. დეკემბრის 14 დღესა**

№5.

დოკ. 20/7 (5)<sup>127</sup>

1890 წ. მარტის 7

## ძვირფასო ძმაო თევდორე!

სამნუხაროდ, როგორც შენ მიგილია შენის მარჯვენით ნაწერივე წერილები უკან, ისე მე და ჯანაშიას მიგვილია შენგან მოწერილი წერილები, გარდა პირველის წერილისა, რომელიც მე და სემინარიელებს მოგვწერე. მოგწერე პირველი – მოვიცადე ცოტა; მოგწერე მეორე – კიდევ მოვიცადე; მოგწერე მესამე იანვარში, მაგრამ როგორმა? ბრაზით სავსემ! ვიცადე კიდევ და აი ბოლოს რა გავიგე: ლონგიროზის წერილი მიიღო გიორგაძემ და სწერდა: „თევდორე ახლოს არის ძმასთანაო. ნუნუას და ჩახოხბილი ხოხბების შემწეობით ვატარებთ დროსო“. კარგი და პატიოსანი. ყლაპეთ ნერწყვა სემინარიელებო, რა გენალვლებათ თევდორეს და ლონგიროზს... ამ ამბის შეტყობით, ცოტა არ იყოს, ძმაო, გულს შვება მიეცა, გულს შეწუხებულს, გაბრაზებულს. ავიღე კალამი და ახლა ვეჯინისაკენ გავჩარხე წერილი, რომელსაც ვწერდი ნიკოს და რომელშიაც არა ნაკლები ალაგი ეჭირა შენდამი მიწერილს სიტყვებს. ეს იყო იმ დღეს ე. ი. ათის დღის წინად, სანამ შენს წერილს მივიღებდი. გავჩარხე, მაგრამ ტყუილად, როგორცა სჩანს. ლონგიროზის წერილმა-კი შემაცდინა. იმის წერილი ნელად იყო, ამიტომ მოვიწერე ვეჯინში, მეგონა – თევდორე ნიკოსთან არის მეთქი და ნიკოც თავის ალაგზე არისო, თუმცა ამ წინაზე დიმიტრიევმა მითხრა, რომ ნიკოც ალაგიდგან დაუთხოვიათო. მე დიმიტრიევის სიტყვებს არ უჯერებდი. როგორცა გწერდი, წინადვე მოდიოდა ამბავი, რომ ნიკოს სოფელი აუჯანყდა, რომ საზოგადოებამ უჩივლა და დაათხოვინა! მიკვირდა და მიკვირს კიდევაც. ნიკო და საზოგადოებამ, სოფელმა უჩივლა!!! არა-რა მჯეროდა, სანამ შენი წერილიდგან არ დავრწმუნდი. ვეჯინში რომ წერილი გავგზავნე ვინ იცის, ვის მიუვა, ვინ მიიღებს, ვინ წაიკითხავს!.. როგორცა სჩანს, ორი წერილი მიგილია და იმ ორს, ვინ იცის, მიიღებ თუ

<sup>127</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 164-165.

ისე დაიკარგება, როგორც შენი გამოგზავნილი წერილები... რაც იყო – იყო. მომიტევე, თუ რამ ტყუილად შეგწამე ან გიკი-ჟინე, ჩაიაროს წარსულმა, რადგანაც დროებამ და გარემოებამ ისე დაგაყენა, რო ჩემი მდურვაც მოგერგო. ახალ-ახალი სიყვარულით სავსე სალამი მივცეთ ერთურთს. სემინარიაზე გეტყოდი რასმე, მაგრამ რა საჭიროა: უარესობა, უარესობა და უარესობა, სხვა არაფერი. მუხრუჭი უფრო და უფრო გვიჭირებს. ამ მოკლე ხანში მზრუნველი გვყვანდა. ბევრი რამ შენიშნა ზეპირობაზე, დიმიტრიევს ხო ტყავი გააძრო, როგორც აქ, ისე პროგიმნაზიაში, მაგრამ თავისას არ იშლიან. ემ-დურებიან სემინარიას, რომ უვიცი და გაუხსნელი შეგირდები გამოდიანო; ამის გამო პედაგოგიურ კრებას უნდოდა მესამე კლასის ორწლოვანა კურსად გადაკეთება, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს და ბოლოს ესლა დაადგინეს: „ძალიან სასტიკად მოვექცეთ მეორე კლასელებს ეგზამენტზეო“. ვინ იცის, ძმაო, ვის დააქვეითებენ. გიორგაძეს ოთხი დაუწერა ყოფა-ქცევი-დგან კრებამ. იმის გამო, რომ დირექტორმა, მასწავლებელს ვინდა იტყვის, „ივერიის“ კითხვაში მოასწრო. მაგრამ ისე პატიოსნად თურმე მოიქცა დირექტორი, არც კი ახსენა კრებაზე – რა და რომელ გაზეთს კითხულობდა გიორგაძე. ახლა კი ტრიკიანმა შეიტყო და აპა რაღა თქმა გინდა – რასაც ის გვეტყოდა და გვიქადაგებდა! ბრიყვად იქცევიან. პიასეცვის ხო სამიც დაუჭერია „ივერიის“<sup>128</sup> კითხვაში (მე – კი ვერავინ მომკარებია ჯერ-ჯერობით, პიასეცვი ამისთანა შემთხვევებში პატიოსნობას იჩენს, მაგრამ თუ ფილიმონმა გააბა ვინმე – კი აღარ ვიცი, როგორ იქნება საქმე).

ვასოს მიულოცეო იწერები. ვასოს აგინერდი, მაგრამ ვერ შევძლებ. ისე გამოიცვალა ვასო, ისეთი ხასიათი დაიჭირა, რომ რა ვიცი! გაამაყდა, გადიდგულდა, ერთს ამბავშია, ჩხუბობს, ეუმძრახება ამხანაგებს, დასცინიან და აჯავრებენ ესენიც, და უფრო ბრაზოის, ჩემის მეტს არაცარავის ელაპარაკება. წარმოიდგინე, ძმაო, დახატული დონ-კიხოტი, რომლის გარშემო გროვა და გროვა რომანებისა, და ვასოც და-

<sup>128</sup> „ივერია“ – საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა; 1877 წლიდან თბილისში იბეჭდებოდა ჯერ ყოველკვირეული გაზეთის, შემდეგ კი უურნალის სახით; 1886 წლიდან აღნიშნული უურნალი გადაკეთდა ყოველდღიურ გაზეთად. გაზეთის დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე.

სურათდება რომანებს შუა კი არა, სასიხარულოდ, ათას ნაირ ქართულ ხელით, თუ ბეჭდით ნაწერებში. სწერს თვითონ, სთარგმნის, ადგენს რებუსებს, ჰკრეფს ხალხურ ლექსებს (ლექსებს თვითონაც სწერს), განა არ წაიკითხავდი „ივერიაში“ იმის შეკრებილ ლექსებს. რებუსებს „ჯეჯილში“ წაიკითხავ. გაკვეთილებს კი სუსტად ამზადებს, არ ვიცი, როგორ დაუჯდება კოჭი! მე?! ვაი, მოგიკვდა ჩემი თავი, ძმაო, მოგიკვდა! რა ჩემი საქმეა ძმაო „ივერიაში“ ფეხის გაწვდა! მართალია, ხალხური ლექსებიც ბევრი მაქვს, ზღაპრებიც მაგრამ არცად რა გამიგზავნია. „ივერიას“ მოსწყინდა ფშაური ლექსების ბეჭდვა, „თიატრისა“ კი არ ვიცი. რამდენიმე ხალხური ლექსი გავგზავნე „ივერიაში“ ახალწლის უქმეებში. ორის მეტი (№10) არ დაბეჭდა. დავანებე თავი, ან კი რისთვისლა ვიტკიო აუტკივარი თავი... რაღაც ფარისევლობას მწამებ, ძმაო, მაგრამ აი ეხლა რას ვიტყვი: ნეტავ უნარი რისიმე მქონდეს: ან იმისა, ან იმისა, ვინდა რას იტყოდა, სამწუხაროც ეს არი, რომ ყოვლად გამოუსადეგარი და მდაბალი ვარ, გინდა დაიჯერე, გინდა არა. რო არავინა მხედავდეს, ტირილის მეტს არას გავაკეთებდი, როცა ჩემი გონების მდგომარეობას დავაკვირდები! დავწვრილდიო, დაწვრილებას ჩემსა ნულარ წარმოიდგენ, ჯერ რა ვიყავ, ეხლა სულ არაფერი ვარ!.. როგორ გამიხარდა ძმაო, ნიკოს „სამოთ. უკვ. ყვავილები“<sup>129</sup> რო დავინახე და წავიკითხე, მეგონა – ნიკოსა ვხედავ თვალითაო. ლომაური მალიმალ იკითხავს ხოლმე და იტყვის: რატო ნიკო არაფერს სწერსო. მე უთხარი, რომ ნიკო პოემას სწერს „განდეგილის“ კილოზეო. „რად უნდოდა ის კოლო, რატომ იმ კილოზედვე არ დასწერა, რომელზედაც სწერსო, თქვა ლომაურმა, საკუთარი მიმართულება შემოჰქონდა ლიტერატურაშიო ძმათო (ნიკოსა და ლუკას), ნუ უღალატებენ იმ მიმართულებასო“. სხვა რაღა ვთქვა, ძმაო, ესეც საკმარია, მე მგონია, ჩემის ცარიელის თავისაგან.

მე კარგადა ვარ, ძმაო, ცოტა ავადმყოფობა არი ჩვენ სემინარიაში. ჯანაშია ძალიან ავად არის. საავადმოფოში არ გვიშვებენ, რაღაც გადამდები ავადმყოფობა არიო. სხვები კარგად

<sup>129</sup> მოთხრობის სათაურში პირველი სიტყვა არასწორადაა მითითებული. ბაჩანას მოთხრობა „ედემის უკვდავების ყვავილები“, დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1890 წლის 7 თებერვალს (№29, გვ.1).

არიან. ნიკო დაწუხებულია შენკე. ყველაფერი დავიწყებული აქვს; აღარ აგონდება ცუდად მოვიქეციო! ლადოც ყოჩაღად არის, მოგვიგონებს ხოლმე მალ მალ. სემინარიელების წერილის მოწერაზე – კი რა უნდა სთქვა: ხო კარგა იცი საერთო და საზოგადო საქმე ადვილი ასასრულებელი არ არის. ისევ ერთი კაცი უფრო თამამად გაპბედავს წერილის მოწერას, ვიდრე მთელი სემინარის შეგირდობა. იცი ესეც, რომ იმედი იმედად რჩება და საქმედ ძნელად ხდება... რატო მიხასას კი არაფერსა მწერ? მიამა თქვენების კარგად ყოფა. საწყალი ბოიგარი! ჩემი დედის ძმისა კი რა უნდა ვთქვა, ძმაო, განა ეხლა დაეჩვევა, ან დაჩვეულა სიმთვრალეს? ბრალი იმის შვილებსა, თუმც ხეირი აქამდისაც არ ეყარა... იმისიც მადლობელი ვარ, რომ ჩვენების ამბავსა ჰკითხულობ... წერილს ვერა ვსწერ მაგათ, არ მეხერხება, როგორდაც. წერილს რო მომწერ, თიანეთისა რამე მომწერე. შენ ხო ვერ იცნობ მაგ სოფელს. გაიცან თუ არა. ვის იცნობ, ვის არა, მაღლიდამ დაბლამდე. მშურს შენი მანდ ყოფნა, მაგრამ რა გაეწ[ყ]ობა. მომწერე აგრეთვე დავითის და სხვა ნაცნობების ამბები. დავითს უთხარი: მომიტეოს, რო წერილს ვეღარა ვწერ. სალდათობას მოვარჩინეთ, სადღა მოგვწერს წერილსო, იტყვის, მაგრამ რა უყო. ჩარგლულიც შემატყობინე კიდევ რამ, ჩემი დედიძმათი, პაპებისა... დასასრულ გადაეცი უმდაბლესად მოკითხვა: მამა-მღვდელს, დედას, ლუკას, ნიკოს, მართას და სხვებს. მომიკითხე გიორგიც... აქედამ მოგიკითხეს ყველა ქართველებმა, ვისაც კი იცნობ, რუსებმა მეტის მეტად. ძიელ გაუხარდა შენი მოკითხვა. ყველას სათითაოდ წავა კითხე შენი მოკითხვა (რუსებს და არა ქართველებს) „გმადლობთ, რომ არ გვივიწყებო“ რუსებმა. ლომოურსაც და მღვდელსაც, აგრეთვე სოკოლოვსაც გაუხარდათ შენგან მოკითხვა და დამავალეს მოკითხვის გადმოცემა... მშვიდობით ძმაო, გაკოცებ პირში, მაგრამ უფრო „ტვირთიანს“ ველამუნები ამ ოცნებით კოცნაში.

მშვიდობით და გამარჯვებით!

შენი ძმობის არ ღირსი გ. აფშინაშვილი

№6.

დოკ. 20/7 (7)<sup>130</sup>

28 მაისს. [1890]<sup>131</sup>

## ძმაო თევდორე!

[ქმ]ობამ,<sup>132</sup> რომ, როგორც ჩიტი ტოტზე, გასაფრენად მომზადებული, [ის]ე მე მზად ვიყავი წერილის მოსაწერად, ვწუხდი, დღე მუდამ მაგონდებოდა, ველამუნებოდი – ან ახლა დავსწერ, ან ახლაო, მაგრამ ხო იცი ჩვენი მიწურული ხანების ამბავი და ამ უამის მოცალეობა! როგორც ვატყობ, ჩემი წერილი მიგიღია; მე – კი მრცხვენია, რომ მეორედ უნდა მოგწერო: არ მიმიღია წერილი! საკვირველია, რა ემართება, რა ჰყლაპავს?! დღეს, 28 მაისს, მივიღე შენი წერილი ამ თარიღით: 8 მაისს. შინაარსიანს წერილს რო ასახელებ, ის წერილი არ მიმიღია; ვინა ვართ ამაში ბრალეული – ღმერთმა იცის, – ხოლო დარწმუნებული იყავ, როგორც მე ვარ შენს სიმართლეში, რომ მე ტყუილს არ ვიტყვი; იმ წერილების მჭამელს ჰქონდეს მე და შენი ცოდვა. მე გაკვირვებული ვარ: ნუთუ ლუკამა და ნიკომ არ იციან, როგორ უნდა მოიქცე მაგ შემთხვევაში? ჟო, ნიკომ არ იცის, გამოუცდელია, ლუკა ხო გამოვლილია მაგებში, ნაცად-ნახადი, რაღა სტრელეცვის მომართვა გინდოდა? მაინც და მაინც შენს თხოვნას შეძლებისდაგვარად შეგისრულებ და, რადგანაც შენს თხოვნას განცვიფრების თვალით შევხედე, ამიტომ ბოლოში მოგითხობ – რას ვინ გირჩევს, რას ვინ იტყვის...

ჩემს ყოფას, მდგომარეობას, გუნებას ჰკითხულობ, ძმაო; ღმერთმა დაგიმადლოს: მე კარგადა ვარ, ეგზამენებიც გვითავდება, იმედი – კი მაქვს, თუ ისე არა, პერეეგზამენოვკით მაინც გადავიდე მეთქი. დირექტორი ცოტა მრუდედ მიცქერის. ჯანაშია მორჩა, აქ არის. ყველანი, ვინც კი მოიკითხე, ყოჩალად არიან, დიდს მადლობას გიძლვნიან და გიგზავნიან. რაც შეეხ-

<sup>130</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

<sup>131</sup> ქვემოთ მოყვანილ წერილში მოხსენებული თედოს მოთხოვნა „ის ამბავი“ და დუტუ მეგრელის ლექსი „მთის წყარო“ დაიბეჭდა უურნალ „ჯე-ჯილის“ 1890 წლის მარტის ნოტერში, წერილიც ამ პერიოდშია დაწერილი.

<sup>132</sup> აქ და მთელ დაზიანებულ ტექსტში სიტყვები აღდგენილია ადრე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით. იხ. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებული, გვ. 167.

ება წვრილმან ამბებს, როცა ერთმანეთსა ვნახავთ, მაშინ გიამბობა – ბევრი ხანი აღარ დაგვრჩენია – „ჯეჯილის“ ყველა № მაქვს წაკითხული. წავიკითხე, რასაკვირველია, შენი ლექსი და პროზა „ია“. რადგანაც ჩემი აზრი შენი ნაწარმოების შესახებ უფერული იქნება, ამიტომ პირდაპირ ლომოურ[ის] [აზრს] მოგწერ: „თევდორეს „ია“ მშვენიერება რამ არისო, ყველას მო[სწონს], საზოგადოდ თევდორეს ლექსები ვერ გამოჰდის ძმებსავითო, [მაგრამ] პროზა კი მშვენიერი რამა აქვსო“. ეს სიტყვები კლასში [წათქვამია]. თუ საჭირო და იყოს, ჩვენი (სემინარიელებისა) ჩაბეჭდილებაც ძლიერ კარგია; ბევრმა იმ ლექს[ს] დაამზგავსა, შენ რო გაქვს: „ია და კესანე“, ცოტა არ იყოს, კიდეცა ჰგავს. „ჯეჯილის“ მე-3 № ლექსებში დუტუ მეგრელის ლექსი მოიწონა და მერე აკავისა. „მიეცეს და მიემატოსო“, აკაკის საქმე ასეა. მე-2 № კრიტიკოს[ს] ასე არ მოუვიდა. ლომოურმა არა კრიტიკოსი და არა პედაგოგი დაარქვა ამ კრიტიკოსს. „აკაკის ლექსი სრულებით იმ დიდების ღირსი არ არისო“, თქვა ლომოურმა, იმ კრიტიკოსსაც გაუგონია, რომ აკაკი გამოჩენილია პოეტებშიონ და მიჰყოლია საზოგადო ფეხის ხმას... მე ძიელ მეწყინა ლუკას დამცირება იმ არა კრიტიკოსისაგან, მაგრამ რას იზამ უძლურო თაო! აი მე რა გამომყავს იმის კრიტიკითან: კრიტიკოსს, რაღაც ბოლმა ჰქონია გულში; იმას სულებით „ჯეჯილის“ გარჩევა არა ჰქონია სახეში, არა; იმას რაზიკაშვილების, საკუთრივ ვაჟა-ფშაველას დაქვეითება, დამცირება უნდოდა<sup>133</sup>. ისა ფიქრობდა: ვინ არის ვაჟა-ფშაველა, რომ იმის ლექსები და პროზა თითქმის პირველ ალაგს იჭერენ „ჯეჯილშიაცო“, და იმ საუკეთესო მწერალთ დასშია მოხსენებული, რომელნიც ჩამოთვლილნი ჰყვანან „ჯეჯილსაო“, და აი კიდევ იმისი ძმაც „ნიქარას“ დამწერი, პოეტობას ბედავსო? განა გაგონილა, რომ ყველა ძმები პოეტები

<sup>133</sup> აქ, სავარაუდოდ, იგულისხმება ნ. ნიკოლაძის მიერ გაზეთ „Новое обозрение“-ს 1890 წლის 21 იანვრის ნომერში დაბეჭდილი ვრცელი წერილი ეურნალ „ჯეჯილის“ პირველი ნომრის დაბეჭდვასთან დაკავშირებით. „ჯეჯილის“ აღნიშნულ ნომერში, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის თხზულებებთან ერთად, დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას ერთი ლექსი და მოთხოვნა „ჩვენი მამალი“. ნიკოლაძეს იმდენად არაფრად არ ჩაუგდია ვაჟას ნაწერები, რომ „ჯეჯილის“ სხვა პუბლიკაციების (ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ლექსების) კრიტიკის შემდეგ, მათ შესახებ აზრის გამოთქმაც კი უაზრობად მიუჩნევია: „...О стихотворениях и статьях Важа-Пшавелы мы уже ровно ничего не скажем: о нихъ и говорить не стоитъ“. – წერდა იგო.

იყვნენ? აი, ჩემის ფიქრით, რამ გამოიწვია იმის კრიტიკა. თორემ „ვასიკოს თავგადასავლის“<sup>134</sup> მქებელი კრიტიკოსობას იზამს როდისმე??..

წავიკითხე, რომ ნიკოს რაღაც პოემები გადაუცია დასაბეჭდად. ერთის სიტყვით, ძლივს მოველი მანდ მოსვლას. დიმიტრიევი მკითხავს ხოლმე<sup>135</sup>... პოემების ამბავიც გაუგონია „ნოვოე ობოზრენიედამ“<sup>136</sup>... ლუკასები ჰგონია. ზაფხულში ფშავში უნდა წამო[ვიდე]ო, ამბობს დიმიტრიევი. რო იცოდე, ძმაო, ანგელოზა[დ] [გა]დაიქცა ამ ხანებში დიმიტრიევი, რა მიზეზია, არ ვიცი!

ამ ორსამ დღეში გვითხოვენ. მე პირდაპირ თიანეთზე ვერ წამოვალ. თუ მალე მომიხდებოდეს მანდ მოსვლა, წერილს აღარ მოგწერდი. გაზეთების წამოლებას რო მენუკვებოდი, თუმცა სახეში მქონდა წამოლება, მაგრამ ეხლა ველარ მომაქვს, რადგანაც მაშინით წამოსვლა აღარ მომიხდება ფულის უქონლობის გამო. ამასთანავე დედიძმა მწერდა წერილს და მთხოვდა აქისას ამაიარეო. კარგა ხანია, რაც აღარ მინახავს და ვნახავ, მითუმეტეს, რომ რამდენიმე წერილი მომივიდა, როგორც ერთი კიდეც იცი შენ და მე ერთის პასუხიც არ მიმიწერია. მეც, ამ ფულის უქონლობაში, ფეხით მინდა სიარული. იმაზე, ქსანზე, ავილი და ეგრე გადმოვილი. „ურია წყალს მიჰქონდა, გზაც იმაზედა ჰქონდაო“, ჩემი საქმეც ასეა ახლა. მა თიანეთის „უჩიტელმა“ ძალიან ხელი მიჰყო მანდაურ ამბებს<sup>137</sup> ამ ბოლო ხანებში. ახალი ამბის წერას კი ვინ დაუშლის, მაგრამ რაც შეეხება ფშაველ-ხევსურთ ჩვეულებათ, იმაზე მაგას წერა არ შეუძლიან, მაგალითად, ბოსლობაზედ რო სწერდა. რა იყო? ის ამბავიც კი მეწყინა, გიორგი აქიმიშვილს, რომ თავისი მამა, ივანე, მოუკლავს! კაცი და რა კაცი, პატივცემული ფშაველთაგან!! რამდენად სამწუხარო ამბებია მანდ, უფრო

<sup>134</sup> ვახტანგ ორბელიანის ლექსი, გამოქვეყნდა უურნალ „ჯეჯილის“ 1890 წლის შეორე ნომერში.

<sup>135</sup> ტექსტი დეფექტურია.

<sup>136</sup> „ნოვოე ობოზრენიე“ („Новое обозрение“) – ყოველდღიური ლიტერატურული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი შინაარსის რუსული გაზეთი. გამოიდიოდა თბილისში 1883 წლიდან.

<sup>137</sup> აქ იგულისხმება დავით თაბუნიძის (ფსევდ.: გორელი) მიერ გაზეთ „ივერიაში“ 1886-1890 წლებში გამოქვეყნებული ეთნოგრაფიული შინაარსის წერილები ფშავ-ხევსურთა წესჩვეულებების შესახებ.

მეტად სასიხარულო ამბებიც გაჩენილა: როგორც შევიტყე, სკოლები აპირობენ აღორძინებას, გაჩენას. უნდა ვთქვა ჩემი აზრი, რომ, თუ ეხლა როგორმე ფეხი აიდგეს სკოლებმა, ადვილად აღარ დაემხობიან და დაიხურებიან და ამის გამო, ჩვენდა სასიხარულოდ, განათლება წაიწევს წინ, მით უმეტეს, რომ ხალხი ეხლა, ცოტად თუ ბევრად მომზადებულია განათლების მისაღებად. ეცადე] არტანი<sup>138</sup> დაინარჩომე, მართალია, თავის მიწაწყალში მოღვაწეობა ძნელია და არცარავინ დაგიმადლებს, მაგრამ ა[მას] ნუ გაუტყდები, ამ სიტყვების დაწერა არ მინდოდა, მაგრამ როგორლაც მომიხდა და ვეღარ წავშალე, ყურადღებას ნუ მიაქცევ.

შენის სათხოვრის შესახებ ესა თქვეს: მართალია, კანონი არისო, რომ სამასწავლებლო სემინარიის შეგირდი სასწავლებლის გათავების შემდეგ თუ უადგილოდ დარჩა წლამდის, თავისუფლდება ხარჯისაგან და მოწმობა უბრუნდება მაშინ, როცა ალაგი არ იქნება მისთვისო. მაგრამ თევდორეს საბუთი უნდა ჰქონდეს იმის შესახებ, რომ განთავისუფლების თხოვნისთანავე არ მიუთითონ – აგერ, აიქა გვაქვს თავისუფალი ალაგი, იქ გაემგზავრეო, რა უნდა უთხრასო? მაინცა და მაინც თუ განთავისუფლება უნდა, ფორმალურ ხასიათს ნუ მისცემს [ს] მაგ საქმესო, ჩავიდეს ქალაქში, დარსკის მოელაპარაკოს პირადო, იმას შუამდგომლობა შეუძლიან სხვაგანო და ასე შინაურულად უფრო ადვილად დაახწევს თავსო, მით უმეტეს, რომ მასწავლებლები სოფლისა ეხლა ბევრნი არიანო, ბევრს ადგილიც არა აქვსო. თუ კიდევ „ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ ხელქვეითობა უნდა, ისიც დარსკის საქმე არისო.

ძმაო თევდორე, ჯერ-ჯერობით ეს არის, დაწვრილებით მე გიამბობ. ყველა განენილია საქმისაგან, არავისა სცალია. დირექტორი კვდება ჯავრისაგან, რომ ეგზამენტი ვერ დაასრულა. ბევრი რამე მრჩება დაასაწერი. მოგიკითხა ყველა ქართველობამ. მომიკითხე ყველა წევრი თქვენის ოჯახისა. მომიკითხე დავითიც. ბოდიში მომხადე, რომ იმდენად გაუსვინდისოვდი, რომ ერთი წერილიც ვეღარ მოვსწერე მთელის წლის განმავლობაში! მშვიდობით და გამარჯვებით.

### აფშინაშვილი

<sup>138</sup> არტანი – თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფლების: ზემო და ქვემო არტ-ნის ქველი სახელწოდება, მდებარეობს მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირზე.

№7.

დოკ. 20/7 (9)<sup>139</sup>

## ძმაო თევდორე!

ჯერ პირველად ლმერთმა გაბედნიეროს; კეთილად მოგიხდინოს წალმართი; შეგაბეროს ტკბილად შენს მეუღლეს, თუ საქმე დაბოლოვებულია, წარზე არაფერი ვიცი. მინდოდა ქალაქში ჩამამესწრო შენთვის; ნიკოს კი ჩამაუსწარ, თორო თავადაც გეტყოდა. ნიკომ მითხრა: თევდორესთან წავიდეთო, აბა საიდამ წამოვიდოდი, ძმაო!.. დირექციაში ვიყავი, ხეირიანი ალაგები სულ დაერიგებინა; ვარჩი[ე], ვარჩი და რუის პირი ლა გამოვარჩიე. ჯამაგირი ოცი მანეთია, თვითონ გასაჯე. სკოლა და იმის შეგირდები იმისთანა მდგომარეობაში არიან, რომ არ ვიცი, როგორ ჩავაგდო გონზე. ჯერ არც სწავლა დამიწყია რიგიანად და არც ცხოვრებას მოვკიდებივარ, ვგონებ, არა გამიჭირდეს რა კი. ენკენისთვის ოცში ჩავიბარე ანდრეევისგან (ხო იცნობ) სკოლა. შეგირდები და ხალხი მეუბნება – ერთ კვირაში ერთხელ არ შევიდოდა კლასშიო. მოდ[ი] და ან კი რა უნდა იცოდენ საწყლებმა. წარმოიდგინე, სამი წელიწადი კია, რაც ანდრეევი ამ სკოლას განაგებს!.. თელავი შვიდ ვერსზე მაქვს... დღეს თელავში ვარ; სანდროს ნახვა მინდა და, არ ვიცი, ვნახავ, თუ არა... გული მიწუხს, სემინარიის ამბები შემატყობინე – რა ვინა ქნა. მომიკითხე სემინარიის ქართველები. უთხარი, რომ წერილს მოელოდენ ჩემგან, ჯერ კი არა მცალიან... ახლა შენებს გადაეცი მოკითხვა: თიკოს და სხვ. ეს აჩქარებაა, შემდეგ სხვა იყვეს. ნუ გაიკვირვებ წერილის უთავბოლობას, ეხლა არ დაეჩვევი ჩემი წერილების კითხვას.

მშვიდობით და გამარჯვებით!

შენი ძმა გრ. აფშინაშვილი  
1891 წ. ღვინობ. 1

<sup>139</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

№8.

დოკ. 20/7 (11)<sup>140</sup>

## ძმაო თევდორე!

დიდად გმადლობ, რომ არ მივიწყებ და წერილებსა მწერ. ეს მეორე თუ მესამე (გულმავიწყი ვარ, ხო იცი) წერილი მივიღე შენგან ამ მოკლე ხანში. ლმერთმა მეც მიმაზღვეინოს სამაგიერო! ნუ დამემდურები, რომ იმ წერილების პასუხად ერთს ძლივას გიგზავნი. მეტი არ მოეთხოვება ჩემს ძალლონეს, ჩემს ცოდნას, ჩემს კაცობას. წინად გამომეგზავნა თუ ეხლა – ერთსა და იგივეს მოგწერდი: შენის კარგა ყოფნის, შენის გამარჯვების, შენის წარმატების სურვილი კეთილ საქმეში!! ჰეე!! არაფერი არ გაიტარო გულში! ისეც არ გავწუნებულვარ: ბევრსა და ძალიან ბევრს გაპატიებ., „შვიდ გზით თქმულა შესანდობელად“... ნეტავი, ძმა ეხლა მაჩვენა შენი ცხოვრება, შენი გარემოება! ისე მწყურიან შენის აზრების გაგება მაგ შენის ახალის ცხოვრების შესახებ, როგორც სახარის უდაბნოში მოგზაურს ოდესმე წყალი მოსწყურებია, მაგრამ აბა საით, როცა მივიწყებ! ოქტომბრის<sup>141</sup> პირველითგან სამჯერა გნახე „ივერია“-ში, მაგრამ ეს ნახვა მე ვერ მაკაყოფილებს – მსურს გნახო ძმურად, შინაურულად... სემინარიაში გამოვგზავნე ერთი აბდაუბდა ბარათი, რომელშიც შენც გიხსენებდი. პასუხი ალექსისგან მივიღე, მაგრამ იმანაც სურვილი ვერ შემისრულა, მინდა შენ რამე გამაგებინო და! მომწერე რამე გორისა, სემინარიისა და ჩემის ამხანაგებისა, ვისიც რა იცი. ჩემი გიამბო – არაფერი მიჭირს. ვსცხოვრობ ბეჩაურად, საჭმელად კი მყოფნის ჯამაგირი, ეგ არის! მაგრამ იმას კი არა დროს არ ვიტყვი – სემინარიაში მერჩივნაო. ცხოვრებაო, ასე ისეო, მაგრამ ხო იცი, ჭიპი მაქვს მოჭრილი. ესეც ხო იცი: „მაგრამ იქ ჭირიც გაგიადვილდება, სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი“. ინსპექტორიცა მყვანდა სკოლაში. არა უშავს ჯერ-ჯერობით. აქ კაი ამბებია. გიორგი და ლუკა ვნახენ. მშვიდობიანობაა. „ივერია“ მომდის. 226 № მოკლე კორესპონდენცია იყო ჩემი. „გაღმიე-

<sup>140</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

<sup>141</sup> შეცდომით დაწერილია „ოქტომბრისი“.

ლის“ მაგივრად „გადამ[თ]იელი“<sup>142</sup> უნდა ეწეროს. „ჯეჯილის“ გამოწერასაც ვაპირობ. ერთი ორიოდე ლექსი უნდა გაუგზავნო „ჯეჯილს“ და არვიცი. ვარ ესე „სკუჩნად“. თელავშიც ვერავის ვიცნობ... გული დაუდე საქმეს, მაგ ადგილს თავი არ დაანებო. საკმაო ჯამაგირი გაქვს,<sup>143</sup> „ნაგორვი“ ქვა ხავს[ს] ვერ მოიკიდებს“. დიდი მოკითხვა ჩემს პატრიკუნელა ძალუას, თიკოს, შემდეგ ლომოურს, მის მეუღლეს და ჩემს ამხანაგებს.

მშვიდობით და გამარჯვებით!

შენ[ი] ძმა გრ. აფშინაშვილი  
1891 წ. 1 დეკემბერი  
ს. რუისპირი

დღეს ოთხი წერილი დავწერე.

№9.

დოკ. 20/7 (15)<sup>144</sup>

1892 წ. თებერვალი 12

ძმაო თევდორე!

ახლა კი ჩაუჯე წერილს. რა დროსიაო გაიკვირვებ. არც ტყუილად. მართლაც ძალიან დავიგვიანე. რა ვქნა, ძმაო, თითო მომიხრია. მაშინვე ვერ მოგწერე სხვადასხვა მიზეზების გამო და მერეც – ან ახლა, ან ახლაო და ამ „ანახლაობაში“ გავიდა დრო და ხანი. შენც რო ყურს მიგდებ. აგრე იყოს, აგრე! განა იმისგან უნდა მოველოდდეთ რასმე, ვისაც არაფერი აშავია? ამისთანას ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ, ვისაც რამ გვაბადია... რა გიყო, ძმაო, მე ჩემი წერილი ვერ გავამასალიანე და რა წყალში ჩავვარდე! მართალია, ძალიან, საწყინოა და სავალალო

<sup>142</sup> „გადამთიელი“ – წერილის ავტორის, ფოლკლორისტის, ეთნოგრაფისა და პუბლიცისტის, გრიგოლ აფშინაშვილის ერთ-ერთი ფსევდონიმია. 1891 წლის გაზეთ „ივერიის“ 25 ოქტომბრის ნომერში გრ. აფშინაშვილის წერილზე „კახეთი“ შეცდომითაა მითითებული ფსევდონიმი „გალმიელი“. იხ. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. 3, ნაკ. I, თბ., 1963, გვ. 441.

<sup>143</sup> ხელნაწერშია: „ქაქს“.

<sup>144</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

უაზრო და უშინაარსო წერილების წერა და აბა კითხვა ამ გუარის წერილებისა ხომ თავის მომაბეზრებელია, მაგრამ მეტი რა ჩარა გაქვს, უნდა იყითხო: თუ ასე არ გინდოდა, რად მიძმე; თუ მიძმე, კიდეც უნდა შეუფერო ჩემს უაზრობას. შენვე არა მწერ, უბოლოო არაფერიაო. აზრიანობას სხვა რა უკვ-დავ-უბერებლად გაუხდია, რომ მე გამხადოს, აუტკივარი თავი რაზე ავიტკიო! გამარჯვება, რასა იქ და როგორა ხარ – აი ჩემი აზრიანობა ამას შემდეგ. ან ეს რად უნდა თვალისულ კაცს. იმას უნდა, ჩემის ფიქრით, ჯერ არ გაჩენა და მერე, თუ გაჩნდა და გაუქრა გამჩენი, იმავ წამს სიკვდილი. ეჭ, რა დროს ესენია, ეს ხო აზრიანობაში ჩამეთვლება! ვიცი, ამასაც იფ-იქრებ, ძალიანაც ნუ იბლინძებიო, მაგრამ შენ იცი, სულ ტყუი-ლი ფიქრი კი იქნება... დროებამ დაგვაშორერთმანეთსაო, ამ-ბობ. ეს არაფერი. ჩემის ფიქრით, მოყვარულთ შორი შორ ყოფნა სჯობია. ჩემი არსება ძნელი საცვლელიაო, მწერ, ახალ-მა ცხოვრებამ ბევრი ვერაფერი დამაკლოო, ძალიან კარგი, მაშ როგორცა ჰქუებს, ისე არა სწვიმს. ცხოვრება, ცხოვრებაო გავიძახით ერთ ხმად, მაგრამ რომელი მოპრიდებია, გამოჰქცე-ვია თუ ღმერთი გწამს? ეჭ, „რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგცდების“. „რაც ქვეყნის ნახირს, ის ბებრის ხბოსაც“. უნდა ვიტიროთ და ვივაგლახოთ, ცხოვრება მოგვადგა კარსა და რაღა ვქნათო! ცხოვრება არ გვაჩენს ცხოვრებისათვივე... შენ მწერ – ვფთხილობ, არ დავიხარჯოო, ეს სრულ ჭეშმარიტე-ბად არ მიმაჩნია. თუ ჩვენი გამჩენი ბუნება, რომლის თვალი და ნანილნიცა ვართ დაიხარჯება და გამოიქაჯება, მაშინ მწამს რო კაციც დაიცლება და დაილევა ნიჭით, თუ ეს ლვთიუ-რი მადლი ჰქონია ოდესმე მას. ვისაც არაფერი აქვს, ის ან კი რას დაჰჭხარჯავს, როგორც მე. ეს კი არა და, შეიძლება შეიცვალოს კი კაცი. ეს ხო იცი, ძმაო, რომ დღეს ერთ ალაგს ვარდი ჰყვაოდეს, ხვალ ღვია და ხავსი ამოვლენ, მაგრამ თავი-სი სიმშვენიერე აკი არც ამათ აკლია? მერე ამათ ადგილზე იქნება ისეთი რამ ალმოცენდეს, რომ მთელ ქვეყნად დაფასდეს, ვინ იცის, დროუამზე ჰკიდია, შენი არ იყვეს, დრონი მეფობე-ნო, ნათქვამია... კაცთ რო გარკვეული და გათვალისწინებული ჰქონდეს თავის სიკვდილ-სიცოცხლის მიზეზი, ავი და კარგი, მაშინ რაღა გემო ექნებოდა ჩვენს სიცოცხლეს და ცხოვრებას. საქმეც იმაშია, რომ ეს გაუგებრობა და დომხალივით არეუ-

ლობა გვასულდგმულებს, თორემ, შენი მტერი, ჩვენი არსებობა იქნებოდა. მე კი არა მგონია და შენი კი არ ვიცი, მიაგნოს კაცობრიობამ იმ ნასკეს, რომელზედაც შენა მწერ. ეს ის ნასკვია, უთუოდ, რომელსაც მეორმოსვლას უწოდებენ. აბა მართლა არეულობა მაშინ იქნება, აი!.. არა, კიდევ შორს წაველ. ეხლა ახლოს, ქვენა საქმეებზე ვსთქვათ... სკოლის მომწერე რამეო. რა გითხრა, ძმაო, ისეთი დამხვდა სკოლა, რომ მტერს ეეტირება. სოფელიც და მოწაფეებიც იმას გაიძახიან, რომ თვეში ერთს კვირას თავის დღეში არ გვასწავლიდაო, ამასთანავე დღეში ერთზე მეტჯერ თავის დღეში არ შამოილიდა კლასშიო – დადიოდა აქათ იქით და ქეიფობდაო. წარმოიდგინე, სამი წელიწადი კი გაუტარებია ამ სკოლაში. როცა მოვედი და წიგნების შკაფი გავალე, იმდენი წიგნი არ იდო შიგ, რამდენიც ბოთლი. თურმე კამპანიები ხშირად ჰქონდა ხოლმე უფ! მასწავლებელს. ჩვენი ეხლანდელი „ჯეელებიც“ კარგა იცნობდა თურმე. ჩემსა გაიძახიან – როგორი „უჩიტელია“, რომ საზოგადოებაში არ გამოდისო. მიდი და აქ გაამტყუვნე მასწავლებელი, როცა დროა ამისთანა. **Съ волками жить по волчии быть**, ხო გაგიგონია, რას იზამ!!!.. ცხოვრებით ვცხოვრობ მეცხვარის ძალლივით – ხან მაძლარი ვარ, ხან მშიერი. პურს გამომცხვარსა ვყიდულობ თელავში. ხალხისა ეს უნდა გითხრა, რომ სკოლას ვერაფრად უყურებენ, მით უმეტეს, რომ მასწავლებლის ჯამაგირი ცალკე იკრიფება, ხალხსა პგნია სულ სკოლის ფულს გვშრეტსავსო<sup>145</sup>. მე კი უყვარვარ. მაღალის საზოგადოებისას ვერას მოგწერ ჯერჯერობით. ამათ გაცნობას წვრილ წვრილად მივყვები... სანდროს არ პპატიჯობო, მწერ. ამ შემთხვევაში ცოტა პირშავადა ვარ, მაგრამ რო გითხრა, მგონია ძალიან არ გამამტყუვნო. საქმე იმაშია, რომ თელავში კატაც არა სუნთქავს ჩემი ნაცნობი. როცა კი გადავდიოდი, ისიც ერთი ორი საათით, მაშინაც ვერა ვხვდებოდი, ვკითხულობდი და ვერც არას ამ კითხვით გავხდი. ვისთან იდგა, ეს არ ვიცოდი, თორე განა ის მიჭირდა, თუ სად და რომელ კუთხეში იდგა. ბოლოს, როგორც იყო, მივაგენ... სანდრო თიანეთში იყო წასული უქმებში, ეგები ძმებმა რამე შემწეობა აღმომიჩინონ, მაგრამ ამაოდ, როგორც მითხრა,

<sup>145</sup> გვშრეტავს – გვძალავს.

თორე შენაც კი მოგწერდა. სახლის პატრონი დედაკაცი იძახ-ოდა – სამ თუმნამდეა ჩემი [ი] სანდოზეო, თუ არ ჩამაბარებენ, აღარ შავინახაო, რა ვქნა, მეც ერთი ობოლ-ქვრივი ვარო. მას აქეთ სანდრო სამჯერაცა ვნახე, უთხარი კიდეც გადმოსული-ყო ხოლმე ჩემთან, როცა კი იმისი სურვილი იქნებოდა (თიანეთიდამ რო ჩამოიარა, მაშინ კი იყო ჩემთან, წერილი მო-მიტანა იქიდამ), მაგრამ ჯერაც არ გადმოსულა, არ ვიცი, რა მიზეზია, ჩემთან რა აქვს სახათრო!.. კიდევ შენ გიშველოს ძმობის გამჩენმა, ძმაო, სანდრო შენ გემადლიერება, ამ წინაზე-დაც მოჰსდიოდა შენგან ფული. აბა გიორგის ამბავი ხო იცი, აგრეთვე ლუკასიც. ნიკო ხო სულ ულიშანგეშოდ<sup>146</sup> არის გადა-კარგული. იმისი არაფერი ვიცით, მხოლოდ ამ თვის 9 გიორგიმ მითხრა – ნიკო სამი კვირაც იყო ჩემთან ამ წინაზეო, სანდროს კი ვერ ენახა ნიკო... ნიკოს ნადობის გაბედნიერება არ გაგი-გია? მეც ეს ორი კვირა იქნება, რაც ყური მოვკარ. მე ის მე-ჯავრება, რომ ნიკოს ამის გამო ჭუჭყი მიეკვრის, თორე იმის გაბიჭიანება ხომ არ გა[ა]ჯავრებს. გიორგიმ, როგორც ეტყო-ბა, მთლად ხელი აიღო მეორე დანიშნულზედაც... „ივერია“ მუქთად მოგდისო, მწერ. შენგან არ მიკვირს, მუქთად ვინ გამ-ომიგზავნიდა. წარმოიდგინე, ღვინობისთვის პირველში ორი მანათი გაუგზავნე და ვთხოვე: ბევრს ანგარიშს ნუ გამინევთ, ენკენისთვის №№ გამომიგზავნეთო. ამას ვინა ჩივის, სანამ სა-მიოთხი წერილი არ მივახალე – რატო არ მიგზავნითო, ღვი-ნობისთვის პირველიდამაც არ მიგზავნიდნენ თავის ფასით. ორი მანეთიც ახალი წლისთვის გაუგზავნე ჯერჯერობით. ეხლა „ივერიაც“ მომდის და „ჯეჯილიც“, რასაკვირველია, თა-ვის ფასით. ხო იცი, თხოვნა ძალიან მეზარება. ამ წინაზე კი, როცა 1 № მომიკიდა „ჯეჯილისა“, მივსწრე „ჯეჯილის“ რე-დაქტორს: ამ წლის დანარჩენ ფასსაც მოგართმევთ უურნალ-ისასა მეთქი, მხოლოდ თუ შეიძლებოდეს, წასული წლის №№ გამომიგზავნეთო, აქვე დაუმატე, რომ პირველი წლის (1890) აღარ შეგანუხებ მეთქი... ეხლა წერილი<sup>147</sup> მომიკიდა რე-დაქტორისაგან, რომელიც მწერს – წასული ორივე წლის №№ გამოგიგზავნი, ოღონდაც, რადგანაც ფოშტის ფული ბევრი გავა, მანდედამ წამომსვლელს ვისმე დააბარეო. მე ძალიან

<sup>146</sup> ულიშანგებოდ – უგზო-უკვლოდ.

<sup>147</sup> ხელნაწერშია: „წერილი“.


მადლობელი ვარ. თუ ვერავის დავაბარე, ფოშტის ფულს მაინც გაუგზავნი... „ტატეს ბედისკვერასთან“<sup>148</sup> სხვა ლექსიც იყო, რომელიც იმაზე მჯობი იყო, ჩემის ფიქრით, მაგრამ ის არადამ<sup>149</sup> დაბეჭდეს. შეიძლება კიდევაც რამ იყოს ჩემი მეორე №. შენი ლექსები ძალიან მომეწონ[ა]. წავიკითხე ყველაფერი შენიც და შენზედაც. „ივერიაშიც“ სცადე ლექსებიო, მწერ. არა, ძმაო, მე იმის თავი არა მაქვს. ეგ ახალი მოლექსეც კარგია! ღმერთო, ღმერთო, გაამრთელე კეთილი ხალხი! მე ვამბობ მომჩივანზედ. იქნება დაბერებულიც იყოს, მე ახალიაო, ვეძახდე, რა ვიცი, ვითომ კი არაფერი მახსოვს მაგისი... წავიკითხე მანდაური ავაზაკების საქმეც. ნეტავი ამ ჟამად მეც მანდა მქნა, მაგრამ რასა ვნატრულობ! რა სანატრელია მაგათი მდგომარეობა და მისი ცქერა? მომწერე რამე მაგათ შესახებ – მანდ ჩამოარჩობენ, თუ სად!.. მაშ სემინარიისას აღარაფერსა გკითხავ, მხოლოდ ჩემ ნაცნობ ქართველებს კი გადაეცი მოკითხვა. ჩემი ამხანაგებისა აღარაფერი ვიცი. დუშბაძე თუნდა სამჯერაც იყო ჩემთან უქმეების წინ. მეუბნებოდა: წამოდი ყვარელში, შენცა მნახეო. მე არ წავედი და არ ვიცი, შემოწყრა თუ რაღაც, აღარა ყოფილა მას აქეთ. შენთან მოკითხვის მოწერას მენუკვებოდა ხოლმე. ნიკო ახმეტელაშვილისა სრულიად არაფერი ვიცი. ერთი წერილი მარიანობის თვეში გაუგზავნე, და იმან კი არაფერი. მეც დავანებე თავი. ადრესი არ ვიცი, თორე ისევ მე დავიმდაბლებდი თავს და მივწერდი. ჯანაშიასთან წერილი არ მიმიწერია, და არცარაფერი იმას მოუწერია. არაფერი იცი იმის? მე და ჩემს ამხანაგს კიასბეკოვსა გვაქვს მიწერ მოწერა. ის დალისტანში არის. მოკითხვას იწერება შენთანაც და თავის ამხანაგებთანაც, თუ ვისმე შეპხვდები, ბიბილაშვილს მაინც. ახმეტელაშვილისას და ჯანაშიასას იწერება, მაგრამ რა მივწერო, როცა არაფერი ვიცი იმათი! ბიბილაშვილს ჩემს მაგიერ მოკითხვა გადაეცი. აგრეთვე კვალიევსაც მიულოც[ე] ბედნიერება ჩემგნით. ლომოურიც ნახე და მოიკითხე. უთხარი: თქვენს მოთხოვას ველი „ივერიაშიო“... ეხლა ყველიერ[ში] თონეთში წასვლას ვაპირობ და არ ვიცი, მოვახერხებ, თუ ვერა. სანდრო კარგად არის. აქ ვერ-

<sup>148</sup> გრიგოლ აფშინაშვილის ლექსი. დაიბეჭდა 1892 წლის უურნალ „ჯე-ჯილის“ პირველ ნომერში.

<sup>149</sup> არადამ (ფშ.) – აღარ.

აფერი ამინდებია. ავადმყოფობაც ბლომად არის: ყვავილი, ქუნთრუშა და სხვ. ამ ინფლუენციამაც თავი იჩინა ისევ. მე კი ვერაფერი მეკარება. სიმარტოვემ კი შემაწუხა, აგები გავირთოო თონეთშიც იმიტომ ვაპირობ. სხვა ძალაც მიმეზიდება იქ, ხო იცი... არცარაფერსა ვწერ, წიგნებსაც მცირედა ვკითხულობ. ბიოგრაფიები წავიკითხე: გიუგოსი, გალილეისა, ბელინსკისა და სხვებისა. ქართულიდამ – ყაზბეგის | ტომი და „ბნელო“<sup>150</sup> ვიყიდენ. რა კარგი მოთხ[რო]ბაა „ბნელო“... ახლა მერე, თიკოს მოკითხვა.

შენი ძმა გრ. აფშინაშვილი



---

<sup>150</sup> „ბნელო“ – ნიკო ნათიძის („მელანიას“) მოთხრობა; დაიბეჭდა თბილისში, ქართ. ამხანაგობის სტამბაში, 1891 წელს.

**ნიკოლოზ (ნიკო) ჯანაშიას  
ნერილები**

№ 1.  
დოკ. 20/14(1)<sup>151</sup>

## ძმაო თევდორე!

აგურ ერთი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ჩვენ ერთ-მანეთს დავშორდით და მას აქეთ არც შენ მოგიწერია ჩემთვის წერილი, და არც მე მომიწერნია. რასა ჰგავს ეს? ესაა ჩვენი ძმობის შედეგი? ამას ველოდით? – არა. რატომ ასე დატრიალ-და ჩვენი ძმობის ჩარხი? იმიტომ რომ მე ყურადღება მივაქციე წვრილმანებს და რაც დიდი და წმინდა იყო, ის კი დავიწყებას მივეცი, შენ კი... მე ძალიან ვამტყუნებ ჩემს თავს. მე შენ რო დაგივიწყო, მაშინ ადამიანი არა ვყოფილვარ, გრძნობა არა მქონია. – თევზისა არ იყოს, ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ ენა არ მემორჩილება! ძმაო თედო, ისე ვარ ლარიბი ენით, რომ არამცთუ გრძნობის გამოხატვა, არამედ უბრალო აზრის წარ-მოთქმა არ შემიძლიან, მეძნელება (რუსულად არ გწერ წერ-ილს იმიტომ, რომ შენ მითხარი: „თუ მომწერ წერილს – ქარ-თულად, რუსულად ნუ მომწერ“-ო). ამის გამო მცირე წერილს გწერ.

შენი „იის ამბავი“<sup>152</sup> ძალიან მომენტია, და ნ. ლომაურმა სთქვა: „მშვენიერი არის“-ო. ეს მოთხრობა ძალიან ჰგავს ერთს შენს ლექს[ს], აქ დაწერილს. ლექსიც მშვენიერია.

თედო! მე და ნიკომ გამოვიწერეთ, სამი მანეთი ფული გაუგზავნეთ, მაგრამ 9 № და „პატარა კახის“<sup>153</sup> მეტი არაფერი მიგვიღია.

მე ამის [წინ] ძალიან ავათ ვიყავი, მაგრამ ეხლა, ლვთის წყ-ალობით, კარგათა ვარ. მე გადავედი მესამეში.

შენი ძმა ნიკო ჯანაშია  
1890 წ. 30 მაისს  
ქ. გორი

<sup>151</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით; წერილი გამო-ქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 169.

<sup>152</sup> იხ. შენიშვნა № 131.

<sup>153</sup> აკაცი წერეთლის ისტორიული დრამა. დაიბეჭდა 1890 წელს გრ. ჩარკვიანის სტამბაში.

ჩემი ადრესი: Въ г. Сухумъ. Его Благородію Степану Г-ну  
Туркія.

Для передачи мнъ.<sup>154</sup>

№2.

დოკ. 20/14 (3)<sup>155</sup>

[1890]<sup>156</sup>

ძმათ თედო!

ნიკოს „ახალი ჰანგია!“<sup>157</sup>

გამარჯვება, თედო! „ძმებს ამაუდევ მხარშია!“<sup>158</sup> დიდად მიხარია, ძმაო, შენი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა. მით უფრო, რომ გამოსვლისავე დაიმსახურე საზოგადოების ყურადღება მშვენიერ პოეზით და ჰაზრით სავსე ლექსებით. სულითა და გულით მსურს, რომ შენ ჩვენს ერს (არ გეგონოს, რომ მე აფხაზებზე ვლაპარაკობდი!) შეძლებისა და გვარად მოუტანო სარგებლობა, განუფანტო მას ის ბურუსი, რომლითაც არის გარემოცული, გააღვიძო იმ სასირცხულო ძილისა-გან, რომლის კლანჭებში არის იგი: ანუგეშო, როცა ჩვენი ერი მწუხარებას მიეცემა, ამხნევო, როცა [ა] იგი მოინდომებს რამე-სი კეთებას, და უჩვენო გზა, რომლითაც ადვილად მიაღწევს იგი თავის წადილს, გადაჰკარ ვოლტერის მათრახი, როცა იგი იდენს იმისთანა საქმეს, რომელიც შეჰვერის პირუტყველს და არა პირმეტყველ კაცს. მე ასე მესმის პოეტის დანიშნულება,

<sup>154</sup> მისამართი წერილის სუფთა ფურცელზეა.

<sup>155</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

<sup>156</sup> ნიკო ჯანაშიას წერილი, რომელშიც თედო რაზიკაშვილის სალიტერატურო ასპარეზზე გამოჩენაა აღნიშნული, 1890 წელს, მწერლის პირველი პუბლიკაციების გამოქვეყნების შემდგომაა დაწერილი.

<sup>157</sup> ეს სიტყვები ნიკო ჯანაშიას მიწერილი აქვს წერილის პირველივე გვერდის მინდორზე.

<sup>158</sup> თედოს ქალიშვილის, ეთერის მოგონების მიხედვით, მამამისს იმ პერიოდში მიუღია პოეტი ქალის, განდევილის (დომინიკა ერისთავის) წერილი, რომელშიც იგი მოუწოდებდა ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს, მხარში ამოსდ-გომოდა ძმებს და გამოექვეყნებინა თავისი ლექსები: „ვაჟა-ფშაველამ, ბაჩანამ დაპლერეს მაღლა მთაშია, / შენც ბანი მიეც ბარიდან, ძმებს ამოუდექ მხარშია!“

და შენც, მგონია, დამეთანხმები. მე არ ვცნობ იმათ პოეტებად, რომლებსაც დევიზათ აქვთ: ხელოვნება ხელოვნებისთვინ („Искусс[с]тво для искусс[с]тва“). – საზოგადო ლაპარაკს დავანებებ თავს იმიტომ, რომ ჩემი შეხედულება შენ იცი, კიდეც იმიტომ, რომ ჩემი „ქართული“ ერთად ეხლა დავხარჯო, სიღარიბესა მეშინინ! ამას კი ვისურვებ: შენ, აღჭურვილი ყველათი, რაც კი საჭიროა, მხნედ მოჰკიდო შენვე მიერ აღრჩეულ საქმეს ხელი. მე ამის მეტი არაფერი შემიძლიან. ჩემი „მე“-ზეც რამდენიმე სიტყვა: მე ეხლა, როგორც ხედავ, სოხუმში ვეხეტიალები. ჩემი ოცნება ოცნებად დარჩა, განზრახულებანი განზრახულებად: არც ინსტიტუტი, არც... არც... ცხოვრება[მ] თავისი სიმძლავრე ჩემზე გამოიჩინა! ეჲ, ძმაო, სინიდისიანად წუთ-სოფელში ცხოვრება! ლამის ჩემი იდეალი გამიქრეს და მეც გავხდე პირმეტყველ-პირუტყველად! ბევრი მაქვს სალაპარაკო, მაგრამ სჯობს არა თქმა მისი...

შენს მეუღლეს უძღვ[ნ]ის გულითადი მოკითხვას ვინმე აფხაზ-მეგრელ-ქართველი. ყველა სემ[ი]ნარიელებს და „ზეზვას“ გარდაეცი ჩემ მაგივრად მოკითხვა. თუ იცი ზეზვასი, ე. ს. გრ. აფ-ლის,<sup>159</sup> და ნ. ახმეტელაშვილის ადრესები, შემატყობინე. ახლა-ხან მივიღე ვ. ბიბ.-საგან წერილი.

ნახვამდის! (თუ ვნახავთ როდისმე ერთმანეთი)

მარადის შენი ნიკო ჯანაშია  
სოხუმი, 1892 წ. 15 მარტს

ჩემი ადრესი: Сухумъ.  
Учителю Н. Джанашиа  
ველი შენგან წერილს!

<sup>159</sup> ზეზვა და გრ. აფ-ლი – გრიგოლ აფშინაშვილის ფსევდონიმები (იხ. პირთა საძიებელი).

№3.

დოკ. 20/14 (5)<sup>160</sup>

11 მაისს. 1892 წ.

## ძმაო თედო!

შენ მწერ, რომ პასუხად ჩემს წერილს უძღვენ ერთი ლექსი, გინდოდა ეს ლექსი დაგებეჭდვინა, რომ სანამ წერილს შენგან მივიღებდი, დაბეჭდილი ლექსი წამეკითხნა. ეს კიდევ ასე მოხდა! აი როგორ: 3 მაისს მივიღე „ივერიის“ № 90, იმაში კი ამოვიკითხე შენი ლექსი,<sup>161</sup> რისთვისაც გმადლობ დიდად. წერილი შენი მივიღე 6-ს მაისს. – ლექსი შენი ხელოვნურად არის დაწერილი და პოეტური ცეცხლიც, როგორც იტყვიან, არ აკლია, მაგრამ... ნუ თუ იმ საძაგელს მატლს, რომელსაც ჰქვია ეჭვი, უპოვნია ალაგი „შენში“, რომელიც ლრღნის ადამიანის გულს, უპობს სულს, ცხოვრებას უმწარებს, უმოკლებს? როგორც ძმა, გთხოვ ეს აზრი მალე განდევნო იმ აზრის შემწეობით, რომ „შენ ცათ დაგინიშნეს, მიწამ გამოგზარდა, და ამიტომ წინ ერს უნდა წაუძღვე“, წინ უშიშრად, ძმაო! დასავლეთის პორიზონტზედ მოჩანს რაღაც დიადი, მშვენიერი! სანამ იმ მშვენიერს, დიადს მივაღწევთ, მანამ ჩვენს ერს (ილიასი არ იყოს) ეძინება, და ამ ძილში მარტო კვნესა გამოისმების! გაგვაღვიძე, თედო! რწმუნება და კალამი! „დიადი სულის კვეთება ათქმევინე ენასა!“

შენი მეუღლე მომიკითხე (უკაცრავათ, სახელი არ ვიცი).

შენი პატარა ძმა შენთანა გყავს, თუ არა? მართალია, თედო, მე სუსუმში ვარ მასწავლებლად, მაგრამ მაინც ჩემი ცხოვრებით არა ვარ კმაყოფილი. არა ვარ კმაყოფილი იმიტომ, რომ უსაძაგლეს კაცთან მაქვს საქმე. ამ კაცის წყალობით ვკარგავ რწმენას კაცის ადამიანობაზედ. აი, რა სამსახური გამიწია ამ კაცმა! ალ. ყაზბეგი თავის მშვენიერს „ელისოში“ ამბობს: „გველი გარედან არის ჭრელი, კაცი კი შიგნით“. და ახლა მეც მრწამს ჩემდა საუბედუროდ! ამ საძაგელ კაცის უპატიოსნებამ

<sup>160</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 170.

<sup>161</sup> აქ იგულისხმება ნიკო ჯანაშიასადმი მიძღვნილი თედო რაზიკაშვილის ლექსი: „ვაი, რომ ნიჭმა მიმტყუნოს...“, რომელიც დაიბეჭდა 1892 წ. 30 აპრილს, გაზეთ „ივერიის“ 90-ე ნომერში.

იქამდინ მიმიყვანა, რომ **Ок. Их.** ზავადსკისთან შევარცხვინე და ამით გავაფუჭე საქმე. რა ახალ ამბავს გეტყვი: ამ კაცმა (მაჭავარიანმა) ზავადსკისთან დამაბეზღა: ჯანაშია ქართლ-ში რო იქ გაქართველდა, თორემ აფხაზი არის, ახლა პატრი-ოტობსო და სხვადასხვა. თუ ღმერთმა მაღირსა შენი ნახვა, მაშინ ყველაფერს დაწვრილებით...

ვწუხვარ, რომ შენ მე ჯერ არ მიცნობ: დიდთა კმევით ვერ იგ[ე]მებს იგი ამა „სოფლის“ სიამოვნებანი!

ნახვამდის!

**შენი ძმა ნიკო ჯანაშია**

**П. С. კიკიანს აქვს ორი ჩემი წიგნი, გამოართვი, თედო.**

**№4.**

**დოკ. 20/14 (7)<sup>162</sup>**

**16. X. 1898 წ.**

**ძმაო თედო!**

სრული ხუთი წელიწადია მე და შენ ერთურთს წერილით მაინც არას არ გავლაპარაკებივართ! ამას ვინდა ჰქივა, რომ დარწმუნებული ვიყო – ჩემს სიცოცხლეს ისე არ დავლევ, რომ შემთხვევა არ მომეცეს შენი ნახვისა და დალაპარაკებისა! ვინ არის ჩვენ შორის დამნაშავე და ვინ არა, ამასაც არ გავყვები. მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ ჩვენ ორთავესთვის მიუტევებელი ცოდვაა – ერთმანეთი მაინც დავივინყოთ, თუ კი ჩვენი სემინარიაში მეგობრობა და ამხანაგობა არ იყო მოჩვენებითი. შენი კი არ ვიცი, და მე დღესაც ისე არ შემიძლიან მოგიგონო, რომ ღრმა პატივისცემა შენდამი არ ვიგრძნო და ძველი მეგობრობა არ გავიხსენო! თუ კი ასე, მაშ რათ არ მწერ წერილსო, შეიძლება მკითხო; ამის პასუხს მე ჩემივე თავს ვერ ვაძლევ... თუ აქამდი არა, აწ მაინც მინდა, თუ შენგანაც ჩემს სურვილს დასტური ექნება, ძველი მეგობრობა, აქამდის მიმქრალი

<sup>162</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

და მიძინებული გავაახლო და წერილით არის მაინც დრო-გა-მოშვებით გამოგელაპარაკო. ამის დასტური? თანხმობის ნი-შანი იქნება შენი წერილი, რომელიც ამ წერილს მოჰყვება პასუხად. ჩვენს უკუღმართს დროში, ჩემის ფიქრით, კარგია ჩვენისთანა ახალგაზრდებმა ერთმანეთთან ჰქონდეს მიწ-ერ-მოწერა და დამოკიდებულება. და მაში ისევ, ძმაო, შენივე სიტყვით ვიტყვი, „ნუ მიმცემ დავიწყებასა!“ გახსოვს, შენ რომ მე „ვეფხისტყავოსანი“ მაჩუქე, იმაში მწერდი „ნუ მიმცემ და-ვიწყებასო“ და ეხლა მე გთხოვ „ნუ მიმცემ დავიწყებასა!“.

მეგობრობისა და ამხანაგობის გარდა მე შენგან კიდევ დავალებული ვარ არ დაგივიწყო იმით, რომ შენ შემაყვარე საზოგადოდ ყველა ქართველი და ქართველობა, თუმც ეს შეყ-ვარება ჩემთვის<sup>163</sup> ბევრ ცრემლად და მწუხარებად ჰლირდა! მაინც ქართველი ქართველობას დაუბრუნდი, თუმცადა ჩე-მისთანა ქართველი შეიძლება ჩირადაც აღარა ჰლირდეს! ეს კი ძვირფასია ჩემთვის, რომ [...] მე ასე თუ ისე სინიდისი დამიმშ-ვიდდა!

ამას თავი დავანებოთ. შენ, როგორც მითხრეს, ისევ ხელ-თუბანში ხარ და ჰმასწავლებლობ. ცოლით, შვილით ბედ-ნიერად არისო, მეც ამას ვსთხოვ შენთვის, რომ მრავალ-უამიერ ბედნიერად იყო შენი ცოლ-შვილით და იმ ასპარეზზედაც რო-მელზედაც შენ ძმებთან ერთად გამოხვედი, თავი გესახელები-ნოს! მე მოვიცრუვე, რომა ვსთქვი შენ არ გესაუბრები-თქო. არა, მე შენ გესაუბრები, როცა ვკითხულობ შენ ნაწერებს!

მომიკითხე ჩემგან უცნობი შენი მეუღლე და აგრეთვე ჩემ მაგიერ შენი ბალნები გადამიკოცნე.

სხვა, ძმაო, მე ეხლა ჩემს აფხაზეთში ვარ, დაბა გუდაუთაში. მეც დავ-ცოლ-შვილიანდი.

ისევ მასწავლებლადა ვარ სამინისტრო სკოლაში. ჩემი ცხ-ოვრება არაფრით არ არის შესანიშნავი და ამიტომ ვსდუმ.

### შენი ერთხელ მეგობარი და ან (?) ნიკო ჯანაშია

შენ ხომ ჰქედავ შენ ჩემთან ვეღარ გამოდექი კარგ მასწავ-

<sup>163</sup> ხელნაწერშია: შემთვის.

ლებლად: წერა ვეღარ დამასწავლე!

თუ არ გაქვს დაკარგული, გთხოვ გამომიგზავნო ის ლექსი,  
რომელიც შენ მე მიძღვენი 1892 წ. და გაზეთ „ივერიაში“ იყო  
დაბეჭდილი.<sup>164</sup>

იგივე

პასუხს ვეღი და ვეღი!

ჩემი ადრესი: გუდაუთი (Сухумского округа.). Н. Джанашია.

№5.

დოკ. 20/4 (9)<sup>165</sup>

15. I. 1899 წ.

ჩემ ძმას და მეგობარს თედოს გაუმარჯოს!

მომილოცავს წარსული დღესასწაულები და ვისურვებ, რომ  
ის დღესასწაულები, უფრო ახალწელინადი იქნეს დასაწყისად,  
წელიწად[ად] შენის გულის ნადებების აღსრულებისა და აღყ-  
ვავებისა! მოუღლოცე, თუმცა გვიან არს, ჩემს მაგიერ შენს საყ-  
ვარელ მეუღლეს გასული ბედნიერი დღები და აგრეთვე შენს  
ბავშვებს აკოცე ჩემ მაგიერ, უფრო იმას, რომელსაც შენ მირჩევ  
მე სასძლოდ. ვეჭვობ კი, რომ შენი ქალიშვილი ჩემს ვაჟს (ცხრა  
თვისას) საცოლოდ წამოჰყეს, რადგანაც ვითარდა ქალიშვილი  
ზრდით გაუსწრობს, თუ აწ კიდევ გააკეთებ ქალიშვილს, მაშინ  
„ფექცი“, მარა გირჩევ ვაჟი გააკეთო და ამით ერთი მეომარ-მე-  
ბრძოლი შეჰმატო ჩვენს სამშობლოს!

სხვა, ძმაო, გუშინ მივიღე „კვალის“ მეორე №, სადაც შენი სახ-  
ეა დამახინჯებულად გადმოღებული. სწორედ გითხრა, წარწერა  
არ წამეკითხა, ვერ გამოგიცნობდი! საზოგადოდ ამ ერთად ერ-  
თის ჩვენის ნახატებიან გაზეთის საზოგადოდ „ნახატები“ ძალიან  
ცუდია, მარა შენს სურათში მთლად გადააჭარბა უმსგავსობაში.  
ეგებ მე ვცდებოდე?! არა, არა მგონია!

სხვა, თედო რასა შვები ეხლა? სწერ რამეს თუ არა ეხლა? ჩემის  
ღრმა ოწმუნებით, შენის ნიჭის, უეჭველის ნიჭის, პატრონი უნდა  
ქალაქს მიაშუროს, თუ უნდა ღვთით ნაბოძები ნიჭით სავსებით  
ისარგებლოს. ჩვენს ახალგაზრდა მწერლებში ერთი საუკეთესო  
ადგილი გიჭირავს და უფრო მეტ სამსახურს გაუწევ სამშობლო

<sup>164</sup> იხ. შენიშვნა №161.

<sup>165</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამო-  
ქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შორმების ზემოთ დასახ.  
კრებულში, გვ. 170-171.

ლიტერატურას, თუ სადმე დიდს ქალაქში, უფრო თბილისში დასახლდები. სოფელს შენ რასაკვირველი[ა] კარგად იცნობ და აწ ქალაქიც გაიცანი; ქალაქში თვით შენი ჭკუაც განვითარდება უფრო და შესანიშნავ ნაყოფსაც გამოიღებს. მე რომ შენი ნიჭის პატრონი რო ვიყო, ერთს წამსაც სოფელში არ დავრჩებოდი, ქალაქში თუნდ შიმშილით მომკვდარიყავი! შენ ნუ ჰპაძავ ამ შემთხვევაში ვაჟას: თუ მოიხმარე, შენ უფრო ბრწყინვალე მომავალი მოგელის ვიდრე მას. არ გეწყინოს, ჩემო თედო, რომ ჩემს ღრმა რწმუნებას გეუბნები. ჩემის ფიქრით, ჩვენ ქართველებს საზოგადოდ კიდევ გვჭირიან სწავლა, სწავლა და სწავლა. შენის საოცარ შრომის მოყვარეობის პატრონი და შენის დიდის ნიჭის პატრონი ქალაქში ერთი ცხოვრების ლირსეულ ბურჯად გახდება.

სხვა, თედო, მეც, შენი არ იყოს, შეძლებისდაგვარად ვმუშაობ. ბედით მე შავი სამუშაო წილად მხვდა და კიდევაც უკან დაუხევლად ვენევი:<sup>166</sup> კორრესპონდენციებს უგზავნი „**Н. обозрение**“-ს და „**ივერიას**“ (ივერიის „**ჰამუთ-ბეი**“ და „**მავორექ**“<sup>167</sup> მე ვარ). მეც ვმსახურობ რაღა?

თუ შეხვდე ნიკო ლომაურს, გულითად მომიკითხე. არ ვიცი, სადა, ნათლად წარმოდგენილი და ანგარიში მიცემული არა მაქვს სადა, ეს კი ნამდვილია, რომ მისი სახე ჩემს გონებაში ბრწყინვალედ და სპეტაკ სახ[ე]და მაქვს წარმოდგენილი, ვითარცა კაცისა, და რაცხა გულს ეკბინება, როცა მისს შესახებ ჩემთან [ვინმე], „ძვირს“ იტყვის.

მე ეხლა „მოამბეში“ ერთი სტატია გავგზავნე, სათაურით „ბ. კ. პ. იანოვსკის ანგარიშის გამო“.<sup>168</sup> ამ წერილში მინდოდა მეჩვენებინა ჩვენი ანინდელი სკოლების უვარგისობა, მეჩვენებინა, მარა ვეღარ მოვრთე: ცენზურა არ გაუშვებდა და ისე კი ცოტად შევეხე. შენც წაიკითხავ.

ჩემი ცოლი, სახელად ელენე, სიყვარულით მოგიკითხა შენ, ვითარც თავის ქმრის მეგობარი, აგრეთვე შენი მეუღლე.

### შენი ნიკო ჯანაშია

<sup>166</sup> ხელნაწერშია: ვენ ვევი.

<sup>167</sup> „ჰამუთ ბეი“ და „მა ვორექ“ ნიკო ჯანაშიას ფსევდონიმებია, რომლითაც ის წერილებს აქვეყნებდა გაზეთ „ივერიაში“.

<sup>168</sup> 6. ჯანაშიას ეს წერილი განსხვავებული სათაურით: „კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის 1897 წ. ანგარიშის გამო“ დაბეჭდილია არა ურნალ „მოამბის“, არამედ „აკაკის თვიური კრებულის“ 1899 წლის პირველი განყ. №3-ში, გვ. 116-132.

**შიო ქუჩიუკაშვილის  
(შიო მლვიმელის) წერილები**

№1.

დოკ. 20/12 (1)<sup>169</sup>

1889 წ. 22 აპრილი<sup>170</sup>

ძმაო თედო!

შენგან გამოგზავნილი წერილი და რვეული, რომელშიც ზღაპრები და ლეგენდები იყო მოქცეული, მივიღე ცინცა-ძისაგან. მწერდი იქნება გამომირთვა ისევ ისე „როსტომის ზღაპარი“. დაბრუნებით ვეღარ დავიბრუნე, რადგანაც სწორედ ამ დღეებში დაიბეჭდა ის ზღაპარი „ივერიაში“.<sup>171</sup> ეს ახალი ზღაპრები ჯერ არ გადამიცია „წერა-კითხვის საზო-გადოებისათვის“. მიზეზი ის არის, რომ ახლად გადავედით სხვა ადგილზედ! ბინა გამოვუცვალეთ წიგნთ საწყობს და კანცელარიას და არეულ-დარეულები ვართ. ეხლა უნდათ გა-მოსცენ ზღაპრები ცალკე წიგნად და შენი ზღაპრებიც შიგ იქნებიან მოქცეულნი. „როსტომის ზღაპარს“ კი ვერა ბეჭდავ-ენ, რადგანაც თავი და ბოლო აკლია. დაწვრილებით წერილში მოგწერ. შენი ძმა გიორგი გადმოვიდა რუსეთიდამ. ეხლა შინ არის.

შენი ძმა შიო

№2.

დოკ. 20/12 (2)<sup>172</sup>

[1891]<sup>173</sup>

ძმაო თედო!

ღმერთმა ხომ იცის, რომ მეწყინა შენი დედ-მამის გარ-დაცვალება და მონაწილე ვარ შენის მწუხარებისა. უკაცრა-

<sup>169</sup> ლია ბარათი, ნაწერი შავიმელნით, მისამართით: Въг. Гори. Воспитаннику Учительской Семинарии Феодору Разикашвили. წერილი გამოქვეყნებული იყო სოლ. ყუბანეიშვილის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 172.

<sup>170</sup> დათარილებულის საფოსტო ბეჭდის მიხედვით.

<sup>171</sup> თედო რაზიკაშვილის მიერ ჩატერილი ქართული ხალხური ზღაპარი „როსტომი“ დაიბეჭდა გაზეთ „ივერიის“ 1889 წლის 21 აპრილის ნომერში.

<sup>172</sup> წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 175.

<sup>173</sup> 1890 წლის ბოლოს რაზიკაშვილებს დაელუბათ მშობლები. ქვემოთ მოყვანილი წერილი, სავარაუდოდ, 1891 წლის იანვარში უნდა იყოს დაწერილი.

ვად, გენაცვა, რომ პასუხი დაგიგვიანე. იმ დროს, როცა ლუკა აქა ყოფილიყო მე არ ვიყავი თბილისში და ამიტომ არაფერი ვიცი დაწვრილებით იმ უბედურების შესახებ. ეხლა, რადგანაც სთქვეს, რომ ლუკა ძმასთან წავიდაო, ამიტომ აღარ დავაშურე წერილის მოწერა და მე მანდა მგონია ეხლა ლუკა. ყველაფერი ღვთის ნებაა ძმაო. ცას ვინ შევაბერდებით. შენ მეტს მწუხარებას ნუ გამოუდგები და ნუ მიეცემი სასოწარკვეთილებას.

### შენი ძმა შიო ქუჩუკაშვილი

№3.

დოკ. 20/12 (3)<sup>174</sup>

1891 წ. 21 მაისს

### ძმაო და მეგობარო თედო!

პირველად მოგიკითხავ ძმურის სიყვარულით და მოგილოცავ ცოლის შერთვას. მეორედ ვისურვებ შენს კარგად ყოფნას და შეუღლებულთან ბედნიერად ცხოვრებას. თედოჯან, მივიღე შენი წერილი, მაგრამ აქამომდე კი პასუხი ვერ მივეცი იმ მიზეზით, რომ გამგეობას ჯერჯერობით სარევიზიოდ არც მანდ და არც სხვა სასწავლებლებში არავინ არ დაუნიშნია. წარსულ ოთხშაბათს უნდა ყოფილიყო კრება, მაგრამ არ შესდგა. ეხლა ოთხშაბათს, 23 მაისს იქნება კრება და ვისაც დანიშნავენ შენ სასწავლებლებში წამოსასვლელად შეგატყობინებ.

წერილი რედაქციის მიმართ<sup>175</sup> წაიკითხავდი, რომ დაიბეჭდა. „წიგნების გამომცემ ამხანაგობის“ ერთმა წევრთაგანმა

<sup>174</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი დაბეჭდილია საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 172-173.

<sup>175</sup> სოლ. ყუბანევიშვილს (საჯარო ბიბლიოთეკის შრომების კრებულში, გვ. 196.) მოჰყავს ციტატა გაზეთ „ივერიის“ 1891 წლის № 27-ში გამოქვეყნებული წერილიდან „რედაქციის მიმართ“: „ქართველ ამხანაგობის გამგეობამ 2 თებერვალს მიიღო ბ-ნ თედო რაზიკაშვილისაგან ორი ათასამდე ხალხური ლექსი, შვიდასამდე ანდაზა და 350 გამოცანა ქართლსა, კახეთსა, ფშავსა, ხევსურეთსა და თუშეთში გაგონილი. გამგეობა ვალად პრაცხს გულითადი მადლობა გადაუზადოს ბ-ნ თედო რაზიკაშვილს, რომელსაც დიდი შრომა გაუწევია ამ მასალის შევრებისათვის, რისთვისაც მაუნდომებია შვიდი წელიწადი. ამასთანავე გამგეობას იმედი აქვს დანარჩენ მასალასაც მოაწოდებს ამხანაგობას. 2 თებერვალი, 1891 წ. გამგეობა ამხანაგობის“.

მითხრა, რომ იმისი თხოვნა შესასრულებლად გადაწყვეტილია. ე. ი. რაც გითხვია დღეს თუ ხვალ შეგისრულებენ. თედო, მუდამ მემდურები, რომ წერილს არ მწერო, ერთ წერილში კიდევაც მიკიუნე, რომ განა კაცი რო მწერალი, ან ლიტერატორი გახდესო სუყველა უნდა დაივიწყოსო. არა, გენაცვალე თედოჯან, ჩემს თავს ჯერ ლიტერატორს არ ვუძახი და ვგონებ არც დავუძახო და ეს არ არის მიზეზი, რომ წერილებს ვერა გწერ. ერთი სიტყვით ისეთ გარემოებაში ვარ ჩავარდნილი ამ მაღაზიის<sup>176</sup> გამოისხით, რომ თავ-გზისა აღარა გამეგება რა. დღეში თხუთმეტი კაცი მოდის და გეუბნება: ფული მიჭირს და ჩემი წიგნების ანგარიში გამიკეთეო. მე ყოველ დღე ამ წიგნების ანგარიშს[ს] ვუნდები და ვეღარცა მთელს წერილსა ვწერ და ვეღარც არას ჩემთვის ვაკეთებ... თედოჯან, ჩემი ხელის შემკვრელი მიზეზები. ეხლა გინდა დამემდურე გინდა ნუ. მე ჩემი გარემოება აგიხსენ. ჩემს „ცვარს“<sup>177</sup> ვინაც წამოვა მანდ სარევიზიოდ იმას გამოვატან.

მშვიდობით  
შ. ქუჩუკაშვილი

№4.

დოკ. 20/12 (4)<sup>178</sup>

1891 წ. 12 დეკემბერს

**გულითადო საყვარელო ძმაო და მეგობარო თედო!**

მოგიკითხავ გულითადის სიყვარულით, მეგობრული სალ-მით და ძმურის გამარჯვებით. ვისურვებ შენთვის და შენი სახ-

<sup>176</sup> შიო მღვიმელი 1909 წლამდე მუშაობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნების მაღაზიის გამგედ.

<sup>177</sup> „ცვარი“ – შიო მღვიმელის ლექსების კრებული, დაიბეჭდა თბილისში, 1891 წელს.

<sup>178</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საჯარო ბიბლიოთეკის შრომების დასახელებულ კრებულში, გვ. 173-174.

ლობისთვის ყოველსავე კეთილს.

ძმაო, მენდურები მუდამ და მისაყვედურებ, მაგრამ რა ვქნა რა გიყო, რიღათღა მოგიგო გული თუ არ წერილების წერით. უბედურება ეს არის, რომ სწორედ ამ წერილებზედ მემდურები და ამათ მოწერასაც ვერ ვახერხებ. თუ შეხვალ ჩემს გარემოებაში უნდა დარწმუნდე, რომ ერთი წუთი თავისუფალი დრო არა მაქვს. დილის რვა საათიდამ საღამოს ამავე დრომდე ხომ იცი ერთსა და იმავე ალაგზედა ვარ მიბმულ-მილურსმული. ათას მიმსვლელსა და მომსვლელს გარდა ათასი წვრილმანი საქმეც ემატება ზედ წიგნის მაღაზიისა თუ კანცელარიისა და მოდი შენდა მოიცალე და მისწერე წერილი იმას ვინც ძმათა და მეგობრად გეგულება. ერთის სიტყვით ძმაო, ისე მაქვს გული განვრილებული, რომ ლამის სრულებით თავი მივანებო და გადავიხვეწო სადმე. ჩემთვის აღარც კითხვა, აღარც [ა]რაფრის თვალის გადავლება და რასაკვირველია აღარც წერა. ან კი რის წერა უნდა შემეძლოს, როდესაც რაც ვიცოდი ისიც დამავიწყდა ამ „ვართანასგან მოგონილ ჩითკის“ გაგდებ-გამოგდებაში. და ხომ იცი ტვინი თუ არაფრით ასაზრდოვე ვერაფერ ნაყოფს გამოაღებინებ. მეუბნები მარტო „ჯეჯილს“ რას ჩამოაცივდიო. მოდი და ნუ ჩამოაცივდები, როდესაც ორ თვეში ერთხელ გამოდის უურნალი. ეჺ, ისტორიები გაგიბი და შენს სიმამრს კი არ ვეკითხები აქ რომ ზის დრო აქეს თუ არა. ღვთის მადლობა რომ არც თუ მე მაქვს ერთი ბეწო თავისუფალი დრო როდესაც ამ წერილსა ვწერ.

თედოჯან, ყველა შენი წერილები მომდის. მივიღე აგრეთვე შენი ორი ლექსი და წერილი. პასუხი იმდღესვე მინდოდა მომეწერა, მაგრამ აღარ გამოიარეს იმ რჯელებმა. რედაქციაში მივედი მაშინვე, წინაპირველად რომ მოწერე, მაგრამ ფული კი არ მომცეს. დამავალეს მომეწერა, რომ პირ იქით იმაზედ არის ჩვენი ფულიო. „შავს-ფიქრებში“<sup>179</sup> შეცდომით მივეც მაქსიმეს ფულიო. ჩვენ თედოს ლექსებში არ დავპირებივართ ფულსაო და ვერც მივცემთო. თუ უნდაო ისე ვბეჭდავთო, ფულის გაღება არ შეგვიძლიანო. ჯერ ეხლა დაიწყო წერაო. ეს პასუხი მივიღე გენაცვალე რედაქციიდამ. მე არ მინდოდა მოციქულობა, და არც ჩემი შხრით ამ პასუხის მოწერა,

<sup>179</sup> თედო რაზიკაშვილის პოემა „შავი ფიქრები“ მაქსიმე შარაძის სტამბაში დაიბეჭდა 1891 წელს.

და ამიტომ არ შეგატყობინე აქამდის არაფერი.

ეს ორი უკანასკნელი ლექსი ჯერ არ გადამიცია რედაქციისათვის. მინდოდა წერილი იმ რჯელებისთვის გამამეტანებინა ვინც მომიტანეს შენი ლექსები და შემოგკითხებოდი მივუტანო რედაქციაში ეს ლექსები თუ არა მეთქი. გაუშვებდა დაბეჭდინებ უფულოდ თუ არა მეთქი. გადაცემით კი გადავცემ ამ ლექსებს რედაქციაში, მაგრამ დავაცდევინებ მანამ შენგან მივიღებდე პასუხს. წერილი დროზედ მომწერე. ლეტნი ბილეთებს ავიღებ და გამოგიგზავნი. აქ ახალი ამბავი არაფერია. ლუკა კაი ხანია აღარ ჩამოსულა თბილისში. ძმაორა უყავ შენი დაბეჭდილი „შავი-ფიქრები“, რომ ერთი ეგზემპლარი არ დამიტოვე? გიგზავნი „ძუნწსა“ და „სამ ცელქსა“.<sup>180</sup> ბევრი არაფერი შვილები არიან. „ცვარი“<sup>181</sup> და ეს ორი წიგნი 1887 წელში მქონდა გადაცემული ტატიშვილისთვის და მაგან მხოლოდ ეხლა გამოაყოფინა თავი ქვეყანაზე.

## ნახვამდის. შენი ძმა შიო ქუჩუკაშვილი

№5.

დოკ. 20/12 (8)<sup>182</sup>

[1891]<sup>183</sup>

ძმაო თედო!

მოგიკითხავ ძმურად და მეგობრულად. რა ამბავია ძამია, რომ აღარაფერს იწერები, არცარაფერს მავალებ. გავიგევითამ საშინლად გწყენოდეს ჩემგან ის, რომ შიომ რათ მომ-

<sup>180</sup> შიო ძლვიმელის საბავშვო მოთხრობების მწერლის სიცოცხლის-დრონიდელი გამოცემები: „ძუნწი“. – საყმანვილო სურათებიანი წიგნი, ტფ., გრ. ტატიშვილის გამოც., 1891; „სამი ცელქი“. – საყმანვილო სურათებიანი წიგნი, ტფ., გრ. ტატიშვილის გამოც., 1891 (ი. ა. მანსვეტოვის სტ.)

<sup>181</sup> იხ. შენიშვნა №177.

<sup>182</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 174-175.

<sup>183</sup> შიო ქუჩუკაშვილის ეს დაუთარილებელი წერილი შინაარსობრივი გაგრძელებაა 1891 წლის 12 დეკემბრის №20/12 (4) წერილისა. წინამდებარებარათი, სავარაუდოდ, დაწერილი უნდა იყოს 1991 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში.

წერაო, რომ „ივერია“ ფულს არ იძლევაო და სხვა. მოციქულს ყენთან მიაქვს ამბავი და მე რომ შენთვის მეცნობებინა ის, რაც მართალი იყო და რაც დამავალეს ერთხელ და ორჯელ კი არა არამედ რამდენჯერმე, ამით მემგონი არაფერი დამიშავებია შენთვის და არც უნდა გწყენოდა. თუ ტყუილი გგონია შენ, ჩამოდი და პირში წაგიყენებ გძელიშვილთან და ყბაჩუა ახნაზარ[ო]ვთან. არ იქნება საკვირველი, რომ თავი გაემართლებინათ ყველას წერილში თუ მოგწერეს. შავი ჭ...ი და თეთრი ჭ...ი აბანოში გამოჩნდებაო ნათქვამია. თუ მართლა გწყენია სიმართლეს დაგიმტკიცებ.

შენი ძმა შიო

№6.

დოკ. 20/12 (6)<sup>184</sup>

[1892]<sup>185</sup>

გამარჯობა ძმაო თედო

მოგილოცავ წარსულ ბედნიერ დღეებს (სომხებისთვის უბედურს).<sup>186</sup> ვსთხოვ უფალს დაესწრა ბედნიერად ძმაო, მრავალს ამ დროს შენის სახლობით და ნათესავ-მეგობრებით. ჩემს ამბავს თუ იკითხავ, კარგადა ვარ. ვაჟა აქ იყო ამ უქმეებ-ში. ძაანაც ვხუხეთ ერთად ხან აქ და ხან იქ ბნელის სარდაფის კუნჭულებში. შენგან დაბარებული სიტყვა ვუთხარი, მაგრამ ვერ მოახერხა წამოსვლა. ერთი დღით ხომ არ ავალო და ჩამოვალო. რომ ავიდე იმდენი ხანი უნდა დავრჩეო, მანამ იმის ქოცოს<sup>187</sup> გამოვუწაფავდეო<sup>188</sup>. სააღდგომოთ ერთად წავიდე-

<sup>184</sup> სელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 175.

<sup>185</sup> წერილი დათარიღებულია შინაარსის მიხედვით: ის დაწერილია 1892 წლის 19 იანვარს, წყალკურთხევის დღესასწაულზე თბილისში მომხდარი კატასტროფის შემდეგ, იმავე წლის 7 თებერვალს ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის“ გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებამდე.

<sup>186</sup> 1892 წლის 6 იანვრის წყალკურთხევის დღესასწაულზე, თბილისში, ვანქის სომხური ეკლესიის მახლობლად ჩაინგრა მტკვარზე აგებული ხიდი, რამაც უამრავი მძლოვალი იმსხვერპლა.

<sup>187</sup> ქოცო – ქვევრი.

<sup>188</sup> გამოვუწაფავდე – დავცლიდე.

თო მითხრა მე. აღდგომას თუ ერთად არა ის ხომ ამოვა და ამოვა. ახლაც დიდი ხანი არა ყოფილა აქა. ერთი ახალი პოემა ჩამოიტანა „ბახტრიონი“ და ძაან მოეწონათ ვისაც წაუკითხა. „ივერიაში“ დაიბეჭდება მალე ფელეტონებად.

### შენი ძმა შიო ქუჩუკაშვილი

№ 7.

დოკ. 20/12 (7)<sup>189</sup>

14. XI. 1897

ძმაო თედო!

გამგეობისაგან მასწავლებლად დანიშვნა გიცნობებია წერილით 10 ენკენისთვითგან 1890 წ. №102.

ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორისაგან მოსვლია გამგეობას შენი მასწავლებლად დანიშვნის შესახებ ნებართვის ქაღალდი 19 ენკენისთვითგან 1890 წ. №1767.

თექვსმეტი აბაზის ფოსტით გამოგზანა არ ღირს. ან მანდკალანდაქეს გამოართვი ჩვენს მაგივრად, ან შენ რომ ჩამოხვალ მაშინ გადმოგცემთ. იყავ გამარჯვებით.

### შენი ძმა შ. ქუჩუკაშვილი

<sup>189</sup> ლია ბარათი მისამართით: Учителю Хелтубанской школы Феодору Павловичу Разикашвили; მისამართი და წერილის ტექსტი დაწერილია შავი მელნით. წერილი გამოქვეწნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 174.

№8.

დოკ. 20/12 (9)<sup>190</sup>

21. IX. 1904<sup>191</sup>

**ძმაო თედო!**

მოგიკითხავ ქმურად და გისურვებ კარგად ყოფნას შენის ცოლ-შვილით. თედოჯან, როგორმე უნდა გამომიგზავნო ცნობა იმ წიგნების შესახებ, რომლებიც იმ ზაფხულს მდივანმა მოუტანა შეგირდებს (თუ არ ვიცი ჩვენ ფოსტით გამოგიგზავნეთ) საჩუქრად. არა გვაქვს ჩანერილი რა და რა წიგნები იყო და თითოსი რაოდენი. შენ იცი თუ მალე მომაწვდი ცნობას.

მომიკითხე შენი ოჯახობა და მიხეილ ბეგი.

**შენი შ. ქუჩუკაშვილი.**

№9.

დოკ. 20/12 (10)<sup>192</sup>

**ძმაო თედო!**

გამარჯობა შენი! რასა იქ და როგორა ხარ? რა ამბებია თქვენსკენ. იქნება მანდეთაც ეხლა დაიწყო ზამთარი. იანვარი და თებერვალი ისე გავიდა რომ, თოვლი თვალით არ გვინახავს, და ეხლა კი გუშინდელს აქეთია თოვლს. წარმოიდგინე ისე ცივა რომ ხელები დაბუხული მაქვს და წერილს მძლივასა ვწერ, თორემ შენც კი შეატყობ ძამია ამ ნაჩხაპნს.

მომიკითხე შენი სახლობა დაძმურის პატივისცემით.

**შენი შიო ქუჩუკაშვილი**

<sup>190</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოკვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 174.

<sup>191</sup> დათარიღებულია სოლ. ყუბანეიშვილის მიერ.

<sup>192</sup> ერთფურცლიანი, დაუთარიღებელი წერილი, ნაწერი შავი მელნით.

მარიამ დემურიას  
წერილები

№1.

დოკ. 20/8 (1)<sup>193</sup>

## დიდათ პატივცემულნო ძმაო თედო!

შიომ გადმოგვცა სტრიქონში შაურს თხოულობთ. დიდის სიამოვნებით. მემგონი გახსოვთ, რომ ჩვენ იმ აზრისა ვიყავით ოღონდ თქვენ ბევრს მასალას ნუ მოგვაკლებთ და ჩვენ სხვა არაფერი გვინდა. ველით მოუთმენლათ თქვენსგან მასალას. იქნება თუ სხვანაირათ წავიდა ჩვენი საქმე იმედი მაქვს თვეობით დაგინიშნამთ. ფულს მალე მოგართმევთ.

თქვენი ერთგული მ. დემურია  
1905. 21 ივნისს

№2.

დოკ. 20/8 (2)<sup>194</sup>

28. VII. 1905<sup>195</sup>

## დიდათპატივცემულნო ბატონო თედო!

ბოდიშ ვიხდი, რომ ფული ასე დაგივიანეთ, მაგრამ მეგონა ჩამობრძანდებოდით. მოგართვით 20 მანათი. ხუთი მილებული გქონდა. სწორედ ჯერ თქვენი რაც დაიბეჭდა 25 მანათისა და ერთი შაურისაა. თქვენის სურვილისამებრ სტრიქონი შაურად. გთხოვთ ლექსებიც და მოთხოვბებიც მალმალ გვიგზავნოთ. თქვენი ახალი გამოგზავნილი „ლეგენდა“ მშვენიერია მაგრამ ვშიშობთ ცენზორი ისეთი საზიზლარი გვყამს, რომ არ გაუშვებს. წარმოიდგინეთ დიდის ჩხუბით, თორემ „ხოხ-

<sup>193</sup> ერთფურცლიანი ხელნაწერი, ნაწერი შავი მელნით. ნერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 186.

<sup>194</sup> საფოსტო მოსაჭრელი კუპონი (Отрезьной купон) გამგზავნის მისამართით: **Марія Ивановна Демурія. Александровская улица N5, домъ Попова. Редакція „Накадули“.** ერთფურცლიანი ხელნაწერი, ნაწერი შავი მელნით. ნერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 86.

<sup>195</sup> დათარილებულია საფოსტო ბეჭდის მიხედვით.

ბებიც“<sup>196</sup> არ უნდოდა გაეშვა. ერთი ლექსი ლომაურისა დაიჭირა.

თქვენი ერთგული მ. დე[მურია]

№3.

დოკ. 20/8 (3)<sup>197</sup>

6. 2. 1907<sup>198</sup>

დიდათპატივცემულნო ძმაო თედო!

გულითა გთხოვთ თქვენ, რაც კი შეიძლებთ ბევრი მასალა გვიგზავნოთ, თქვენი თითქმის ყოველისფერი დაიბეჭდება. „მამლაყინწა“<sup>199</sup> თებერვლის მონცროებისთვის<sup>200</sup> ორ ნომერში იბეჭდება. მარტისათვის თქვენი აღარაფერი გვაქვს. შენი ჭირიმე როგორც ჩემი წერილი მოგივიდეთ მოთხოვნებიც და ლექსებიც გამოგვიგზავნეთ. ძალიანა გთხოვთ. თქვენი ჭირიმე მე მინდა ყოველ ნომერში თქვენი მოთხოვნები იყოს. გისურვებთ ყოველივე სიკეთეს და ბედნიერებას.

თქვენი ერთგული მ. დემურია

<sup>196</sup> თ. რაზიკაშვილის მოთხოვნა „როგორ გაჩნდნენ ხოხბები“ პირველად დაიბეჭდა საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ 1905 წლის მე-8 ნომერში.

<sup>197</sup> ლია ბარათი მისამართით: გ. თორი. Его Высокоблагородию Тедо Разикашвили. Селен. Хелтубани. ერთფურცლიანი ხელნაწერი, ნაწერი შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 186-197.

<sup>198</sup> დათარილებულია საფოსტო ბეჭდის მიხედვით.

<sup>199</sup> თ. რაზიკაშვილის მოთხოვნა „გულად მამლაყინწას ამბავი“ დაიბეჭდა ჟურნალ „ნაკადულის“ 1907 წლის მე-3 ნომერში.

<sup>200</sup> საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“ მარიამ დემურიას რედაქტორობით გამოდიოდა თბილისში 1904-1924 წლებში. ჟურნალის ორი გამოცემა – „მონცროებისთვის“ და „მოზრდილთათვის“ – გათვალისწინებული იყო ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის.

№4.

დოკ. 20/8 (4)<sup>201</sup>

10. 4. 1907<sup>202</sup>

## ძვირფასო ძმაო თედო

დიდათა ვწუხვარ, რომ თქვენი მოთხრობა არ დაიბეჭდება, რადგან საშობაო არისო. მაისისათვის კარგი რამე გამოგვიგზავნეთ პატარებისთვისაც და მოზრდილებისთვისაც. ეხლა მანდ ბუნება ისე აყვავებულია რომ მე მგონი თქვენი მუზაც უნდა აღფრთოვანებული იყოს, მართალია კი სამწუხაროდ საძაგელი გარეშემო მდგომარეობები -კი ხელს არ გიწყობთ, მაგრამ მაინც ძალიან სასურველია პოეტი როგორმე ივიწყებდეს ყოველ ამ ქვეყნიურს და მშვენიერ ოცნებას ეძლეოდეს. თქვენისთანა ნიჭიერ მხატვრულ მწერალისათვის უსათუოდ საჭიროა ეს სურვილი.

ნუ გეწყინებათ შენი ჭირიმე რომ არ დავბეჭდეთ. თქვენ კარგად იცით მთელი რედაქცია თქვენი ნიჭის პატივისმცემელი[ა].

თქვენი ერთგული მ. დემურია

№5.

დოკ. 20/8 (5)<sup>203</sup>

[№] 10. 1908<sup>204</sup>

## გულითადნო პატივსაცემელნო და ძვირფასნო ძმაო თედო!

ეს მეექვსე წერილსა გწერთ და არც ერთზედ პასუხს არ მაღლევთ. არ ვიცი მიზეზი რა არის. გთხოვთ მაცხობოთ მიზეზი

<sup>201</sup> ლია ბარათი მისამართით: გორი. Его Высокоблагородию Тедо Разикашвили. Въ сел. Хептубани. ერთფურცლიანი ხელნაწერი, ნაწერი შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 187.

<sup>202</sup> დათარილებულია საფოსტო ბეჭდის მიხედვით.

<sup>203</sup> ლია ბარათი მისამართით: გორი. Его Высокоблагородию Тедо Разикашвили. Въ сел. Хептубани. ერთფურცლიანი ხელნაწერი, ნაწერი შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 187.

<sup>204</sup> დათარილებულია საფოსტო ბეჭდის მიხედვით.

თქვენის უკმაყოფილობისა. ეხლა გევედრებით საშობაო და საახალწლო მოთხრობები მოგვიმზადოთ და გამოგვიგზავნოთ, აგრეთვე აკაკის იუბილეის<sup>205</sup> შესახებ. თუ მოხერხდა ჩვენ გვინდა ერთი ნომერი მთლად აკაკის იუბილეის ეხებოდეს. აბა, თქვენი ჭირიმეთ შეგვეწიეთ, აგრეთვე გთხოვთ ნიკო ლომაურისაგან გამიგოთ რას შვრება სწერს თუ არა აკაკიზედ რამეს? მაგასაც მოვწერე და აქამდინ პასუხი არ მოგვსვლია. გისურვებთ ყოველივე სიკეთეს და ველი თქვენს პასუხს მოუთმენლად.

გულითადი სალაში თქვენს მეუღლეს.

### თქვენი ერთგული მარ. დემურია

№6.

დოკ. 20/8 (6)<sup>206</sup>

02. 04. 1909<sup>207</sup>

ჩემო ძვირფასო ძმაო თედო!

მოგილოცამო ქრისტეს აღზდეგს, ღმერთსა ვსთხოვ ყოველივე სიკეთე მოგანიჭოთ თქვენის ძვირფასის ოჯახობით. ღმერთმა უთვალავ აღდგომას შეგაგებოთ ჩვენი დაჩაგრუული სამშობლოს საიმედოთ. ძალიან მიკვირს რომ თქვენ არც ერთ ჩემს წერილზედ არ მიპასუხეთ, მეშინიან უქეიფოთ ხომ არა ხართ? გარდა ამისა მანდ რომ გახლდით დამპირდით, რომ უსათუოდ მალე გამომიგზავნიდით რამდონიმე მოთხრობას და ჯერ არც ერთი არ გამოგვიგზავნეთ. თქვენი ჭირიმე, კარგი და ლამაზი მოთხრობები მალე მოგვაწოდეთ, თორემ ცუდათ იქნება ჩვენი საქმე. მასალა ცოტა გვაქვს. ჩემს მაგივრად თქვენს ოჯახობას გულითადი სალაში. აგრეთვე კასრაძეს მილოცვა და დიდი მადლობა.

თქვენი ერთგული და მ. დემუ[რია]

<sup>205</sup> 1908 წელს ქართველი საზოგადოება აღნიშნავდა აკაკი წერილის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს.

<sup>206</sup> ლია ბარათი მისამართით: **Гори. Его Высокоблагородию Тедо Разикашвили.** ერთფურცლიანი ხელნაწერი, ნაწერი შავი მელნით. წერილი გამოკვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 187-188.

<sup>207</sup> დათარილებულია საფოსტო ბეჭდის მიხედვით.

ივანე როსტომაშვილის  
ნერილები

№1.

დოკ. 20/10 (1)<sup>208</sup>

## დიდად პატივცემულო თედო!

დიდის სიამოვნებით მიმიღია თქვენი წინადადება. გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ „მოგზაურის“<sup>209</sup> პროგრამას: ყოველი სტატია, რაც უნდა იყოს, ხალხური თუ საკუთარი თქვენი, უთუოდ უნდა იყოს ან ისტორიულის, ან არქეოლოგიურის, ან გეოგრაფიულის და ან ეტნოგრაფიულის შინაარსისა, რადგანაც სხვა შინაარსის ნაწარმოებს ცენზურა ნებას არ გვაძლევს, რომ დავბეჭდოთ. იმედია თქვენს ნაკალმევს არ მომაკლებთ. თქვენ, მგონია, კარგად შეგიძლიანთ ისტორიული პოემების ანუ მოთხოვნების წერა, გთხოვთ ხელი მიჰყოთ ჩვენის წარსულის შესწავლას, თუ აქამომდე ამისთვის ყურადღება არ მიგიქცევიათ და რამე ამ გვარი მომანოდოთ, ან ისეთი, როგორიც, მაგ., პირველს ნომერში იბეჭდება გურიის შესახებ კონსტ. გვარამაძისა.<sup>210</sup> თუ რამე გაქვთ უკვე მზად (ამ გვარი) და მალე გამომიგზავნით, მეორე ნომერშიაც მოვასწრებთ დაბეჭდვას. ზღაპრებიც, ლეგენდებიც და სახალხო ლექსებიც უთუოდ მოხსენებულ ოთხ დარგისა უნდა შეარჩიოთ.

მარად თქვენი პატივისმცემელი ივანე როსტომაშვილი  
31 დეკ. 1900 წ.

<sup>208</sup> ღია ბარათი მისამართით: **Въ Гори. Тедо Разикашвили.** ერთფურცლიანი ხელნაწერი, ნაწერი შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 188.

<sup>209</sup> „მოგზაური“ – ყოველთვიური ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიული სურათებიანი ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში 1901-1904 წლებში. რედაქტორი – ივანე როსტომაშვილი.

<sup>210</sup> კონსტანტინე გვარამაძის წერილი „გურია“ დაიბეჭდა ურნალ „მოგზაურის“ 1901 წლის მეორე ნომერში.

№2.

დოკ. 20/10 (3)<sup>211</sup>

15. XI. 1902<sup>212</sup>

## დიდათ-პატივცემულო თედო!

მე განვიძრახე თქვენი პატარა წერილის „მურიას“<sup>213</sup> გა-  
მოცემა და იმედია ნებას დამრთავთ, რომ ამ გზით მაინც გა-  
ვავრცელოთ ჩვენს ხალხში და მოზარდ თაობაში თქვენი ასეთი  
ნაწერები. გთხოვთ თვითონაც დამისახელოთ, თქვენის აზრით,  
რომელი თქვენი ნაკალმევი უფრო ღირსია ცალკე გამოცემი-  
სა. ველი პასუხს.

თქვენი ივ. როსტომაშვილი

№3.

დოკ. 20/10 (2)<sup>214</sup>

1-ს იანვ. 1903 წ.

## დიდათ-პატივცემულო თედო!

თქვენის წერილების ცალკე წიგნაკებად გამოცემის ნე-  
ბა-დართვის [თვის] გმადლობთ. პირველათ, როგორც გწერ-  
დით, „მურიას“ გამოვცემ იაფ-ფასიან წიგნად სურათებით<sup>215</sup>  
და თუ კარგად გაიყიდა, რაზედაც იმედი მაქვს, სხვასაც გა-

<sup>211</sup> ლია ბარათი მისამართით: **Г. Гори. Г-ну Тедо Разикашвили.** ერთფურ-  
ცლიანი ხელნაწერი, ნაწერი შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო  
საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ.  
188.

<sup>212</sup> დათარიღებულია საფოსტო ბეჭდის მიხედვით.

<sup>213</sup> როგორც წერილიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ 1902 წელს ივ. როსტომ-  
აშვილს განზრახული ჰქონია თედოს მოთხრობა „მურიას“ ცალკე წიგნად  
დაბეჭდვა.

<sup>214</sup> ლია ბარათი მისამართით: **Гор. Гори. Учителю Тедо Разикашвили.** ერთფურ-  
ცლიანი ხელნაწერი, ნაწერი შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებუ-  
ლი იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულ-  
ში, გვ. 188-189.

<sup>215</sup> ავტორის თანხმობის მიღების შემდეგ, 1903 წელს, ივ. როსტომაშვილ-  
მა ზუბალაშვილის №12 სტამბაში დაბეჭდა მოთხრობა „მურიას“ ილუსტრი-  
რებული გამოცემა.

მოვცემ შემდეგში. ერთს ას-ას ცალს თქვენც გამოგიგზავნით ჯილდოთ, მცირეა, მაგრამ რა ვქნათ, რო ჩვენი მწიგნობრობა დიდს განწირულებაშია და წიგნებით ვაჭრობა ისე ცუდათ არის მოწყობილი, რომ გამომცემლებს თითქმის შრომის ფასიც არ გვრჩება, არა თუ რაიმე ფული დავიბრუნოთ და მუდმივ გამოცემას მივსდიო. რაც შეეხება თქვენს დიდ შრომას, სახალხო სიტყვიერების ნიმუშთა გამოცემას, რომელიც დღეს ქ. გ. ამხანაგობას<sup>216</sup> აქვს, მე, ჩემო თედო, იმდენი შეძლება სად მექნება, რომ ის გამოვცე!... უურნალში<sup>217</sup> ბეჭდვა, რასაკვირველია, შემიძლია, მაგრამ ისე მცირედ მყავს ხელის-მომწერნი, რომ ღმერთმანი, თითონაც მიკვირს, როგორ ვაცოცხლებ აქამდის. ახლა ახალი განყოფილებანი მოვუმატე, იქნება ამან მაინც მიიზიდოს ხელის-მომწერნი. ვნახოთ, ახალი წელიწადი უკვე დაგვიდგა... ამიტომ მის გამოცემაზედ ის ამხანაგობა შეაწუხეთ, მე კი მცირე წიგნაკებს გამოვცემ ჯერ-ჯერობით. უურნალი, რასაკვირველია, კვლავ მოგივათ.

### თქვენი ივ. როსტომაშვილი

---

<sup>216</sup> „ქართველ გამომცემელთა ამხანაგობა“.

<sup>217</sup> ოგულისხმება უურნალი „მოგზაური“.

**სოფიო (სონა) ციციშვილის  
ნერილები**

№1.

დოკ. 20/13 (1)<sup>218</sup>

13. ივნ[ის]. 1899<sup>219</sup>

ძმაო თედო!

რატომ ასე ააღეთ ხელი „ჯეჯილს“ რომ აღარა გამოუგზავნეთრა. აქაურ ამბავს იკითხავთ: გიორგი ისევ ისე ავათ არის, ეს სამი კვირაა ლოგინში წევს. ნოეც ავათმყოფი სოფელში წაიყვანეს და ტასო ამ ამბებით ძალიან შესაბრალისია. ქრისტიეშობისთვის ოცისთვის უნდა მზათა ჰქონდეს საიუბილე ეო ნომერი, რომელიც „ჯეჯილის“ ათი წლის არსებისთვის უნდა გამოსცეს და იმედია თქვენც გამოგზავნით რამე მასალას. მგონი „ჯეჯილის“ არსებობიდან თანამშრომლობთ და სირცხვილი იქნება რომ თქვენი არა იყოსრა. აბა დააშურეთ ისე რომ პირველს დეკემბერს მაინც აქ იყოს თქვენი მასალა. დიდის სიყვარულით მოგიკითხათ ტასომ, ელიკომ და კაკიმ, აგრეთვე მეც თავს დაგიკრავთ.

თქვენი პატ. მცემელი სონა ციციშვილი  
12 ნოემბერი

№2.

დოკ. 20/13 (2)<sup>220</sup>

10. IX. [1900]<sup>221</sup>

ძმაო, თედო!

დღეს რომ ათი სექტემბერია. ამ დილას ტასო და ელიკო წავიდნენ ბორჯომში, სადაც, თუ ძალიან სიცივე არ დაუდგათ, დასახ. კოტულში, გვ. 185.

<sup>218</sup> ლია ბარათი მისამართით: **Въ Гори. Хелтубанскому учителю Феодору Разикашвили.** ერთფურცლიანი ხელნაწერი, ნაწერი შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კოტულში, გვ. 185.

<sup>219</sup> ურნალ „ჯეჯილის“ დაარსების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი ნომერი დაიბეჭდა 1900 წლის იანვარში, აღნიშნული წერილი კი, ორი თვით ადრე, 1899 წლის ნოემბერშია დაწერილი.

<sup>220</sup> ლია ბარათი მისამართით: **Г. Гори. Сеп. Хелтубани. Учителю Феодору Разикашвили.** ერთფურცლიანი ხელნაწერი, ნაწერი შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კოტულში, გვ. 185.

<sup>221</sup> წელი მითითებულია საფოსტო ბეჭდის მიხედვით.

აპირებდნენ ერთ კვირეს დარჩენას, თუ სიცივე იქნება შეიძლება მხოლოდ სამიოდ დღეს დარჩენენ. იქიდან ორივე შემთხვევაში მანდ აპირებენ ჩამოვლას ორიოდ დღით და გთხ[ო]ვათ ტასომ გადაეცით ჩემ ბებერ ტასიას რომ ოთახი სუფთათ დაგვახვედროსო და თქვენც იმედია „ჯეჯილისთვის“ მოთხოვობას დაახვედრებთ.

იყავით კარგათ.

შენი პატივის მცემელი და სონა ციციშვილი  
10 სექტემბერი

№3.

დოკ. 20/13 (3)<sup>222</sup>

ძმაო თედო!

6 დეკემბერს. [1902]<sup>223</sup>

ისე რატომ დაჰკარგეთ ტასო რომ ერთხელ ალარ გაიარეთ, „ჯეჯილს“ რას ემართლებით თუ სხვებს უწყრებით. დამავალა ტასომ, რომ გთხოვოთ „ჯეჯილისთვის“ მასალა. პირველი ნომრისთვის ორიგინალური არა აქვს რა და დიდი იმედი აქვს, რომ რასმეს მოაწოდებთ. გეხვეწებით, რაც შეიძლება დამიშურეთ და რამე გამომიგზავნეთო. პირველს იანვარს უნდა დაარიგოს და აპა თუ 15 დეკემბერს მაინც არ მისცა მასალა, რალას მოასწრებს. ერთის სიტყვით თქვენი დიდი იმედი აქვს. უეჭველათ გვაცნობეთ რამე. პატივისცემით თავს დაუკრავთ შენ ცოლ-შვილებს.

თქვენი პატივის მცემელი და სონა ციციშვილი  
ტასომ მოგიკითხათ ერთობით. ელის მასალას

<sup>222</sup> ღია ბარათი მისამართია: Г. Гори. Сел. Хелтубани. Хелтубанскому Сел. Учителю Феодору Разикашвили. ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 185.

<sup>223</sup> წელი მითითებულია საფოსტო ბეჭდის მიხედვით.

№4.

დოკ. 20/13 (4)<sup>224</sup>

25. 9. [1904]<sup>225</sup>


## ძმაო თედო!

ვიცი სასიამოვნოთ გექნებათ: ანასტასიას წუხელის ტელე-  
გრამმა მოუვიდა ნიკოლაძისაგან, რომ „ჯეჯილის“ გამოცემის  
ნებართვა მოგივა, საქმე გათავდაო. ტასო დიდი გახარებულია  
და იმედია ამ საერთო სიხარულს თქვენც შეუერთდებით და  
საჩქაროთ მიაწოდებთ თქვენს რამე ნაწერს. ძალიან და ძალიან  
საინტერესო და სასურველია, რომ ყველა „ჯეჯილთან“ შეტკ-  
ბობილ მწერლების ნაწერებით იყოს განახლებულ „ჯეჯილის“  
ნომრები დამშვენებული და ამიტომ გატყობინებთ და გთხოვთ  
მალე მოაწოდეთ მასალა. უნდა მზათ ჰქონდეს ნომერი, რომ  
მოუვა თუ არ[ა] ნებართვა ოფიციალურათ მაშინვე გამოსცეს.

პატივისცემით მოგიკითხავთ თქვენი<sup>224</sup>  
პატ. და სონა ციციშვილი

<sup>224</sup> ღია ბარათი მისამართით: **Въ Гори. Село Хелтубани. Хелтубанскому учителю Феодору Разикашвили.** ერთფურცლიანი ხელნაწერი, ნაწერი შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 186.

<sup>225</sup> წერილის დაწერის წელი დადგინდა მისი შინაარსის მიხედვით: აქ აღნიშნულ გარემოებას წინ უსწრებდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინ-ისტრის 1904 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც გაუქმდა გაზეთი „კვალი“ და მისი დამატება – საბავშვო უურნალი „ჯეჯილი“. ამ დღიდან „ჯეჯილის“ დამოუკიდებელი გამოცემის აღდგენისთვის დაუღალავად იბრძოდა რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი. 1904 წლის 23 სექტემბერს მან პეტერბურგიდან მიიღო ბეჭდვითი საქმის მთავარი სამ-მართველოს წებართვა უურნალის ხელახლა გამოცემაზე. განახლებული „ჯეჯილის“ ნომრების ბეჭდვა დაიწყო 1904 წლის ოქტომბრიდან (იხ. ელენე კელენჯერიძე, უურნალ „ჯეჯილის“ დაარსების ისტორიისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1972, №3, გვ. 41-42).



## ანასტასია თუმანიშვილი-ნერეთლის ნერილები

№1.

დოკ. 20/9 (26)<sup>226</sup>

16 დეკ. 188[9]<sup>227</sup>

ბატონი ჩემო, თქვენი გამოგზავნილი საყმანვილო უურნალისთვის მასალა მივიღე. გმადლობთ და გთხოვთ კვლავაც მოგვაწოდოთ. უურნალ „ჯეჯილს“ მიიღებთ ხოლმე. ლეგენდა „საახალნლოდ“, რომელიც გამოგეგზავნათ, თუ არ შეცვლით, ვერ დაიბეჭდება, რადგან ყმანვილებისათვის არ გამოდგება ის აზრი, რომ ახალნელინად დღეს თავადმა და მღვდელმა არ მიიღეს ლარიბი კაცი. ეს არც პედაგოგიურ მხრივ გამოდგება და არც ნამდვილს ეთანხმება – არ ვიცი ხალხში ლეგენდათ როგორ მოუწყვიათ.

**რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი**

№ 2.

დოკ. 20/9 (27)<sup>228</sup>

კვირას, 8 ენკენისთვეს.[1890]<sup>229</sup>

უთუოდ ეხლა, ბატონი ჩემო, ხელთუბანში იქნებით რადგან სწავლის დრო ახლოვდება. გიგზავნით ორ ნომერ „ჯეჯილს“, ერთი თქვენ და ერთი სკოლას. ამ წერილთან ერთად ვგზავნი კიდევ ბარათს პრისტავთან. უნდა უთუოდ პრიუტი გავმართოთ, რასაკვირველია თქვენი დახმარებით და აი, ამის გამო

<sup>226</sup> ლია ბარათი მისამართით: **Черезъ Душетъ Въ Селен. Тианети. Федору Павловичу Разикашвили.** დაწერილია შავი მელნიი. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 181.

<sup>227</sup> საფოსტო ბეჭედზე წლის ბოლო ციფრი გაურკვეველია. ან. თუმანიშვილის წერილი დაწერილია უურნალ „ჯეჯილის“ 1890 წლის პირველი ნომრის გამოსვლამდე ერთი თვით ადრე, 1889 წლის დეკემბერში, თედოს თიანეთში ყოფნისას. იხ. ლია ბარათზე მითითებული მისამართი (შენიშვნა №226).

<sup>228</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ხანერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო სოლ. ყუბანენიშვილის დასახელებულ ნაშრომში, გვ.: 181-182.

<sup>229</sup> წერილი დაწერილია მწერლის ხელთუბნის სკოლაში მასწავლებლად დანიშვნის პირველ ხანებში, სკოლაში ინტერნატის გახსნამდე.

ვწერ პრისტავს, სანამ მე არ ამოვალ გარეშე სოფლებიდამ მო-  
აგროვეთ ერთად ყმანვილები არა ნაკლებ 10 ყმანვილისა, მეც  
შაბათ-კვირა უთუოდ ამოვალ ერთი ან ორი დღით და ეს საქმე  
დავაბოლოვოთ, ფულსაც ამოვიტან. ოღონდ თქვენ მარჯვედ  
იყავით და ამ საქმეში ხელი შემიწყეთ და სკოლის საქმე უფრო  
და უფრო კარგათ წავა. სანამ მშვიდობით, მეჩქარება.

## ანასტასია წერეთლისა

№3.

დოკ. 20/9 (33)<sup>230</sup>

5 ლვინობისთვეს. [1890]<sup>231</sup>

ბატონო ჩემო, უთუოდ გულში გაიტარებდით – წავიდა ის  
ქალი და წავიდაო. მართლა და ცოტა დამაგვიანდა ამ წერი-  
ლის მოწერა, მაგრამ არც აგრე დამნაშავე ვარ....

თქვენი სტატია მივეცით „ნოვოე ობიზრენიეს“ რედაქციას  
და პასუხად შემდეგი მითხრეს: ეხლა ხელის მოწერის დროა –  
მაგისთანა სტატიებს ვერ დავბეჭდავთო – ზაფხულში კი იქნე-  
ბა გამოდგეს დასაბეჭდათო. ჯერ გორშივე ლომაურმა] მირ-  
ჩია „პოპეჩიტელის<sup>232</sup> კანცელარიაში“ სიხარულით მიიღებენ  
და დაბეჭდავენო. ეხლა იქ გავგზავნი – ვნახოთ რა გამოვა. ამ  
საქმისა სხვა ვერა გავარიგერა. რაც შეეხება თქვენ თხოვნას  
(მებელის თავობაზედ), „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ამ ორი  
დღის წინედ გადუწყვეტია ასე (როგორც გარდმომცეს): რაც  
მეტი წიგნები (სახელმძღვანელოები) და დაფებია საზოგა-  
დოებას უკან დაუბრუნდესო და სკოლის მზრუნველს ანასტა-  
სია თუმანიშვილს მიეცეს 25 მანე[თი]. ამ ფულით იყიდოს სკო-  
ლისთვის როგორც ორი ჯიბის დანა ისეც რაც აუცილებელი  
საჭირო იყოსო. მე ჯერ ძალიან შევწუდი – ეხლა აქედამ იქ

<sup>230</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამო-  
ქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ.  
კრებულში, გვ. 183-184.

<sup>231</sup> დათარილებულია წინა, 20/9 (27) წერილის მიხედვით.

<sup>232</sup> გიორგი ბერძნებული; მზრუნველი; ოფიციალური პირი, რომელიც  
ზრუნავს ამა თუ იმ პიროვნებისა თუ ორგანიზაციის ინტერესების დასაცავად.

რას გავაწყობ მეთქი, მაგრამ რაკი თქვენც გამოუცდელი ხართ მებელის ყიდვაში, მასხსოვს როგორ წუნუნებდით, შემდეგ გადაწყვეტილებას დავადექ: გორში მყავს ერთი კაი ნაცნობი ოჯახი – ექიმი ფურცელაძისა. იმის ცოლი ჩემი კაი მეგობარია და ყიდვაში – გამოცდილი ქალია. სახელი გახლავთ ეკატერინე დიმიტრის ასული, სახლი უჭირავს ხიდთან ახლოს, იმასაც ეხლავე მივწერ წერილს და როდესაც გნებავდეთ ნახეთ – გამოართვით დანების ფული და როცა მებელს იყიდის, ან გააკეთებინებს, მამასახლის[ს] უბრძანებთ, უქმე დღეს ჩაგზანოს ურემი და ამოატა[ნ]ინოს. დაწვრილებით რა მებელი იყიდოს და ან როგორი მე იმას მივწერ. თქვენ მხოლოდ ჩაიბარეთ და მიღებული ნივთების სიას გამოუგზავნით „წერა-კიოხვის საზოგადოებას“. ასე რომ თავიდამ აგაცილებთ აყალმაყალს და დურგლებთან საქმის დაჭერას. თუ ფული ცოტა მაინც გადაგვრჩება, თქვენ ოთახში რომ თახჩაა იმას შეიძლება კარები გაუკეთოთ და მშვენიერი შკაფი გამოვა. თუ უჩემდ არ მოხერხდება მაგ შკაფის გაკეთება, მაშინ აპრილში რომ მოვალ – გავაკეთებინებ დურგალს.

აქ მომზადებული მაქვს გაზეთები და წიგნები სკოლისთვის, საწმენდი ტილოები, როგორც რომ წამომსვლელს ვიშოვი – მოგაწოდებთ, თუ მანდედამ ვინმე მოდიოდეს – დააბარეთ მნახონ...

იმედი მაქვს სკოლაში სწავლას კარგათ წაიყვანთ და მოწერის დროს მაცნობებთ დაწვრილებით როგორ მიდის სკოლის საქმე. ერთი რამე მანუხებს, რომ უფულოდ იქნებით, მანდ რომ ვიყავ მინდოდა სესხათ მომეცა თქვენთვის ფული, მაგრამ ვეღარ გაგიბედეთ თქმა. ეხლა თუ გიჭირთ სთხოვეთ ფურცელაძის ცოლს, ჯამაგირის მიღებამდის გასესხებსთ – ამის თავობაზე მივწერ.

მანდედამ გამოსაგზავნი წიგნები კარგა შეახვიეთ და შეჰკარით; სიაც თუ რამდენს გზავნით შიგ ჩასდეთ და სანდო კაცის ხელით გამოგზავნეთ ტფილისში, თუ მანდედამ ვერავინ ვერ იშოვოთ, მაშინ ფურცელაძის ცოლს ჩააბარეთ – ის გამოგვიგზავნის.

დამავიწყდა მანდ რომ ვიყავ მეთქვა თქვენთვის, პერანგებს სკოლის გოგოები გამოსჭრიან და შეჰკერამენ, ხოლო საპერანგო უყიდეთ. ქუდებიც რამდენიც გნებავთ მოაქსოვინეთ. შავი

ქუდი 60 კ. არის და მანდ რომ თეთრი ქუდია ის კი 80 კ. არის.

ბოდიშს ვიხდი რომ ასე ვჯღაბნი, წვრილმან საქმეებმა ლა-  
მის გადამიტანონ. შეშის თავობაზედ ვიყავ „უპრავლენიაში“,  
თუ საქმე გვიანდება – ნახეთ ჩვენი სოფლის პრისტავი,<sup>233</sup> რო-  
მელიც ახლად არის დანიშნული, ჩემი კაი ნაცნობია – სთხოვეთ  
– ის დააჩარებინებს. ჩვენი სკოლის მზრუნველია კნ. ასიკო  
ერისთავი, ეხლა აპირებს სოფელ რეხაში (ჩვენ მეზობლათ)  
დასახლება[ს]. უთუოდ, როგორც მპირდებოდა, ხშირად გნახ-  
ამსთ. იქნება პრიუტის საქმე როგორმე მოაწყოთ, რომ გარეშე  
სოფლის ყმან ვილებმა იარონ. თუ ამას მოახერხებთ, სწორეთ  
ყოჩალი იქნებით.

## ა6. თუმანიშვილი

№4.

დოკ. 20/9 (1)<sup>234</sup>

15 ნოემბერს. 1891 წ.

ბატონო ჩემო!

ამას წინეთ ჩვენ კაცს, კარქუას (ტერმარკოზაშვილს) გამო-  
ვატანე თქვენთან წერილი, რომელშიც გთხოვდით საჩქაროდ  
მომაწოდოთ ჩემი წიგნები, რომელიც დამრჩა ჩვენ კოშკში.  
ველი, ველი ამ წიგნებს და ვერა გავხდი რა! არ ვიცი რა ამ-  
ბავია, იქნება წერილი არ მიგიღიათ, იქნება გამოგზავნეთ და  
წიგნებმა ჩემამდის არ მოახწია. მე ვიწერებოდი ლექსიკონებიც  
და ფრანგული უურნალებიც ჩაბარეთ რამიშვილს და ის მო-  
მაწოდებს მეთქი. რა ამბავშია სკოლა, როგორ მიდის სწავლა,  
ხომ არა გაგიჭირდათრა? ხელთ საქმეებს ასწავლის მარო თუ  
არა? პრიუტის საქმე რა ქენით? იანვრის „ჯეჯილს“ კიდეც  
ვამზადებ, რატომ არაფერს არ მიგზავნით?

<sup>233</sup> პრისტავი (რუს.) – ბოქაული (ზედამხედველი რევოლუციამდელ საქა-  
რთველოში).

<sup>234</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. გამოყენებულია  
უურნალ „ჯეჯილს“ რედაქციის ბლანკიანი ქაღალდი, აღნიშნულია თარი-  
ღი. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომე-  
ბის ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 175-176.

ველი თქვენს წერილს, ველი მოუთმენლათ ჟურნალებს, ძალიან საჭიროა ჩემთვის ეს ჟურნალები.

თქვენი პატივისმცემელი  
ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა

№5.

დოკ. 20/9 (3)<sup>235</sup>

15 იქ. 1892

ბატონო ჩემო!

შაბათს ვაპირებ ხელთუბანში ამოსვლას, ე. ი. 17 ოქტომბერს. იმედი მაქვს, სოფელში დამიხვდებით და სწავლაც იქნება. სხვათა შორის უნდა ამოვუტანო საჩუქრები იმ ყმაწვილებს ვინც შარშან გაათავეს სწავლა, აქტი გავმართოთ კვირას. სკოლისთვის წიგნები და რვეულები ტავარით გამოუგზავნით მგონი კალანდაძეს სახელობაზედ.

ნახვამდის

თქვენი მარად პატივის მცემელი  
ანასტასია თუმანიშვ. წერეთ.

№6.

დოკ. 20/9 (4)<sup>236</sup>

16 დეკემბერს. 1892 წ.

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო თედორე!

1893 წელს იანვრიდან ყოველ კვირაობით გამოვა ნახატებიანი ჟურნალი „კვალი“<sup>237</sup>. იმის დანიშნულება იქნება: 1,

<sup>235</sup> ლია ბარათი მისამართით: Въ Гори. Селеніе Хелтубани. Федору Разикашвили, учителю хелтубанской школы. დათარილებულია საფოსტო ბეჭდის მიხედვით. ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 176.

<sup>236</sup> წერილი ერთფურცლიანია, დაბეჭდილია „ჯეჯილის“ რედაქციის თარიღიან, ბლანკიან ფურცელზე.

<sup>237</sup> „კვალი“ – ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სალიტერატურო და სამეცნიერო, ილუსტრირებული გაზეთი. გამოდიოდა თბილისში, 1893-1904 წლებში. რედაქტორ-გამომცემლები: გიორგი წერეთელი და ანასტასია თუმანიშვილი-ზერეთლისა.

განავრცელოს საქართველოში და ყოველს ქართულს ოჯახში სწავლა-მეცნიერება; 2, საფუძვლიანად გამოიკვლიოს ყოველ დღიური ცხოვრების ვითარება და იმის საჭიროება; 3, მისცეს მას მეცნიერების საშუალებით გარკვეული პასუხი და 4, ადგილ-გასაგები ლიტერატურის ენით შეაყვაროს კითხვა ჩვენს საზოგადოებას. ამისთანა მძიმე საქმის ასრულებას მარტო „კვალის“ რედაქცია ვერ შეიძლებს, თუ ყოველმა სამშობლო-სათვის გულშემატკივარმა ქართველმა თავის წვლილი არ მოგვაწოდა. აი, ამის გამო რედაქცია „კვალისა“ მოგმართავთ თქვენ იმ იმედით, რომ რაკი ამ საჭიროების დაკმაყოფილებას თქვენც თანაუგრძნობთ, არ მოაკლებთ თქვენს ძვირფას თანამშრომლობას „კვალის“ რედაქციას.

თქვენი თანამშრომლობის მოიმედე  
„კვალის“ რედაქტორი ან. თ. წერეთელი<sup>238</sup>

№7.

დოკ. 20/9 (5)<sup>239</sup>

24 ნოემბერი. 1893 წ.

**ბატონო თედო!**

გიგზავნი „ჯეჯილს“, რომელიც ამ ზაფხულს დაგიკარგეთ, ე. ი. ის წიგნი ან ჩვენ სახლში სადმე მივარდებოდა და ან მარო და ან სხვა ვინმე წაიღებდა. ძალიან ვწუხვარ, რომ დაპირებული საახალწლო მოთხოვთ არ გამომიგზავნეთ, მინდა შევუდგე ამ ცოტა ხანში პირველი ნომრის ბეჭვდას „ჯეჯილისას“ და მასალა ბევრი არა მაქვს რა ხეირიანი. უთუოდ გამომიგზავნეთ, ნუ დაიზარებთ. რაც შეეხება პოემას, გიორგი და მეც ისე ბევრ საქმეებში ვართ გაჭიდული, რომ თავ-წყალი

<sup>238</sup> გაზეთ „კვალის“ დამაარსებელი და ფაქტობრივი რედაქტორი იყო მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი, მისი რეალური რედაქტორ – გამომცემელი – გ. წერეთლის მეუღლე ანასტასია თუმანიშვილი.

<sup>239</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი შელნით. გამოყენებულია გაზეთ „კვალის“ რედაქციის ბლანკიანი ქაღალდი, აღნიშნულია თარილი. წერილი გამოქვეყნებული იყო სოლ. ყუბანეიშვილის დასახელებულ ნაშრომში, იხ. გვ. 176-177.

ვერ გაგვიდენია, უნდა ფხიზლათ ვიყოთ, „კვალი“ დავიცვათ, თუნდ თავის დადება მოგვინდეს, ოღონდ საქმე კარგად წავიყვანოთ. მტრები მოულოდნელად ყოველი მხრიდან გვიჩნდებიან, ერთს რომ მოვიგერიებთ, მეორე გამოჩნდება ხოლმე. თქვენ რომ წახვედით ბაჩანა ჩამოვიდა, ვაუა კი არა გვწვევია, თუმცა პოემა გამოგვიგ ზავნა და „ჯეჯილისთვისაც“ ლექსი. <sup>240</sup>

მოგელოდებით დღესასწაულებში, გამოისეირნეთ. „ჯე-ჯილის“ ნომრები მოგივიდოდათ უთუოდ. კარგი იქნება რომ საახალწლო მოთხრობა გამომიგ ზავნოთ მალე.

ერთი საქმე მინდა დაგავალოთ, თუ სამძიმო არ იქნება. ჩვენ ქვევრებში ჯავახი ჩაასხამდა გომარეულიდან ჩვენ წილ ღვინოს. დაგვავალეთ და ის ღვინო გაგვიყიდეთ. მანდ კაი ფასს მისცემენ და ჩვენ კი ვერ მოგვიხერხებია ხმარება, ცოტა შეიძლება დარჩეს საზაფხულოთ ისიც თუ არ გაფუჭდება. ამასთანავე ყმაწვილები გიგზავნიან წერილს და ისინიც უთუოდ გთხოვენ რომ გვესტუმროთ. გიორგიმ დიდი სიყვარულით მოგიკითხათ. სანამ შვიდობით. ქალალდები გარდავეცი „წერა-კითხვის საზოგადოებას“. მე თითონ თვეზე მეტია არ-სად არ დავიარები, ჯერ დედაჩემის ავადმყოფობამ და მერე სიკვდილმა ძალიან გული გამიტეხა და თუმცა მოველოდი ამ უბედურებას მაინც ძალიან შენუხებული ვარ. მომიკითხე მანდაურები მარო, ტასია და სხვები.

თქვენი მარად პატივის მცემელი  
ტასო თუმანიშვილი წერეთლისა

<sup>240</sup> სავარაუდოდ, აქ საუბარია უურნალ „ჯეჯილის“ 1904 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილ ლუკა რაზიკაშვილის ლექსზე „ზამთარი მთაში“.

№8.

დოკ. 20/9 (7)<sup>241</sup>

14 თიბათვეს. 1894 წ.

საჩქაროთ გიგზავნი ოც და ხუთ მანეთს, რატომ აქამდისანაც არ შემატყობინე რომ გესაჭიროება ფული. ვერ გამიგია რათ უნდა ავადმყოფდეთ მე ისეთი ჯანმრთელი მეგონეთ. დაჩქარდით და მალე წადით მთებში. იქაური ჰაერი უთუოდ გარგებთ, ეგ შარშანდლმა ციებამ თუ დაგიგდოთ. ყმაწვილები გადავიდენ კლასებში: ლევანი მეხუთეში და კაკი – მეოთხეში. ელიკომ მიიღო ოქროს მედალი და ყველანი გაიკრიფენ ქუთაისში. მე ჯერ „ჯეჯილი“ მაქვს გამოსაცემი. როგორლაც დამიგვიანდა და მერე თუ გან[ვ]თავისუფლდები ცოტა ხნით, იქნება ამოვიდე ხელთუბანში. სანამ კარგა გახდი და ფრანგულის [ს]წავლას შეუდგეთ.

გიორგიმ სიყვარულით მოგიკითხათ.

თიკო და შენი გულნარა მომიკითხე, იმათაც უთუოდ წაიყვან მთაში. სონამ დიდი პატივისცემით მოგიკითხა.

თქვენი პატივისმცემელი  
ანასტასია წერეთლისა

<sup>241</sup> სელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. გამოყენებულია ურნალ „ჯეჯილის“ რედაქციის ბლანკიანი ქაღალდი, ალნიშნულია თარიღი.

№9.

დოკ. 20/9 (9)<sup>242</sup>

26 დეკემბერს. 1894 წ.

## ბატონო ალექსანდრე!<sup>243</sup>

მე მეგონა თედო ამ დღესასწაულებში ჩამოვიდოდა ჩვენთან  
და ის კი არა მძიმე ავათმყოფი ყოფილა.<sup>244</sup> თქვენმა წერილ-  
მა ძალიან და ძალიან შემანუსა. მე თითონ რომ არ ავათმყო-  
ფობდე და ბევრი საქმეები არა მქონოდა უთუოდ ამოვიდოდი  
მის<sup>245</sup> სანახავათ. მაგრამ ახლა რადაქციაში ბევრი საქმეებია  
და ვერ მოვშორდები.

გიგზავნით საჩქაროთ ფულს 34 მ. და კვიტანციას  
„წერა-კითხვის საზოგადოებიდან“. ერთი თუმანი ადრე უნდა  
გადამეცა, რომელიც კალატოზის ფასში გამოუანგარიშე თე-  
დოს და ახლა იმ ფულიდან 38 მ., რომელსაც იწერებით რომ  
მართებს კიდევ მივეცი 4 მ. ეს ფული გადაეცით თედოს და  
ბოლოს გავწევთ ანგარიშს, მე ახლა არა მცალიან და იმასაც  
თავი არ ექნებოდა დაწვრილებითი ანგარიშის მოწერისა თუ  
საიდან შედგა ეს ფული.

იყავით კარგათ და შვიდობით. იმედია თედო მალე კარგათ  
გახდება. რაც შეეხება იმ წერილის შესახებ „პრიუტისა“. აქ,  
„წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობამ ისე გადაწყვიტა,  
რომ მასწავლებელმა თითონ თხოვოს ბაგდანოვს ე. ი. იმათ  
ვინც ფულებს იღებს შკოლისას. თუ მოხერხდება და გამოი-  
ტანთ, იქნება გაკეთდეს რამე.

მომიკითხე ყველანი.

ანასტასია წერეთლისა

<sup>242</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით, გამოყენებულია  
ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქციის ბლანკიანი ქაღალდი, აღნიშნულია თარი-  
ლი. შეიცავს ორ წერილს.

<sup>243</sup> წერილი მიწერილია თედოს ძმის, სანდროსადმი (ალექსანდრე რაზიკ-  
აშვილისადმი), როგორც ჩანს, თედოსათვის გადასაცემად.

<sup>244</sup> 1894 წლის ბოლოს თედო ავად გამხდარა ჯერ ბრონქიტით, შემდეგ კი  
– ინფექციური მენინგიტით.

<sup>245</sup> ტექსტშია: „ამოვიდოდა მისი“.

## ძმაო თედო!

შე კაცო, როგორ დაგემართა, ავად რომ გახდი? ეხლა ხომ კარგათ ხარ! აქ საპრაზნიკოთ უეჭველათ ჩამოდი. იცოდე, გელით.

მომიკითხე სიყვარულით და პატივისცემით თიკა, გულქანა, შენი სიდედრი და გაბო.

შენი ძმა ლევანი

№10.

დოკ. 20/9 (29)<sup>246</sup>

[1894]<sup>247</sup>

## ძმაო თედო!

გიგზავნი „მაგდანას ლურჯას“. ეს ჩვენი პირველი გამოცემაა სახალხო წიგნისა. „ჯეჯილი“ გელისთ თქვენ, რატომ აღარა გამომიგზავნეთ რა. მასალა ცოტა მაქვს და მე თითონ არა მცალიან, რომ ბევრი ვიმუშავო. „რქიანმა“ დიდი ფურცელი გამოიწვია. ამას წინეთ გამოგიგზავნეთ გიორგის თხზულება და არ ვიცი მიიღეთ თუ არა? ველი თქვენ მოთხოვბას „ჯეჯილისთვის“. მომიკითხე თიკა და გულქანა. მარო რას აკეთებს!

მაცნობეთ პასუხი რაიმე.

თქვენი მარად პატივის მცემელი  
ტასო წერეთლისა

<sup>246</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 182.

<sup>247</sup> წერილი დათარიღებულია აქ ნახსენები ნაწარმოებების გამოქვეყნების წლის შიხედვით: ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“, სახალხო წიგნის №1 გამოცემა, დაიბჭდა ტფილისში 1894 წელს, გრ. ჩარკვიანის სტამბაში, თედო რაზიკაშვილის მოთხოვბა „რქიანი“ – უურნალ „ჯეჯილის“ 1894 წლის მეორე ნომერში.

№11.

დოკ. 20/9 (10)<sup>248</sup>

31 იანვარი. 1895 წ.

ძმაო თედო!

რა მოხარული ვართ ჩვენ ერთობ რომ ავადმყოფობას მო-  
ერიეთ და გადაურჩით, თორე ჩვენ აქ გელოდით და თურმე  
კი მძიმე ავათმყოფი ყოფილიყავით. თქვენ ძმამ ალექსანდრემ  
მოგვწერა წერილი და რაც ფული ითხოვა, მაშინვე მოგაწო-  
დეთ. რა დაემართა მაგ სოფელს რომ აგრე ყველანი ავად  
გამხდარან, თითქოს აქამდის იშვიათად იცოდა ხელთუბანმა  
ავადმყოფობა ავასკუტის გამო და ვინ მოგვინამდა ახლა ეგ  
წყალი. თუ იკითხავ „კვალის“ ამბავს წრეულს ამ 1895 წელს  
ასი ხელის მომწერით მეტი გვყავს, მაგრამ „ჯეჯილი“ კი სა-  
ნუგეშო მდგომარეობაში არ არი. თან და თან აკლდება ხე-  
ლის მომწერი და რასაკვირველია თანამერძნობლებიც. ვერა  
მიღონია და არ ვიცი რა ვქნა? ამ წუნუნით თავი მოგაბეზრე  
და დეე, ახლა ახალ თავობამ მოგწეროსთ რაც უნდათ.

კინალამ დამავინყდა: ყველიერებში მანდ ქორწილები და  
ლხინი მაინც იქნება და რომ ჩვენი ღვინო გაასაღოთ კარგია.  
ამბობენ კოკას თორმეტ მანათად ჰყიდიან, აქ იყო კარქუა  
ტერმარკოზოვი და იმან გვითხრა. თუ შეიძლებოდეს თხოვეთ  
ჩემ მაგიერათ თქვენ ძმას გამიყიდოს მანდ რომ ორ კოკამდის  
ღვინო მაქვს და ფული მოაწოდოს ჩემ ძმებს. ამითი ძალიან  
დამავალებთ და მადლობელი დავრჩები.

თქვენი მარად პატივის მცემელი ანასტასია წერეთლისა  
გულით მომიკითხეთ თიკა და გულნარა დამიკოცნეთ

სამშაბათი. 31 იანვარი. 1895 წ.

<sup>248</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. გამოყენებულია  
„ჯეჯილის“ რედაქციის ბლანკიანი ფურცელი, აღნიშნულია თარიღი. შეი-  
ცავს სამ წერილს. პირველი მათგანი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო  
ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 177.

## **საყვარელო ძმაო თედო!**

ამას წინათ მე გავიგე, ვითომ შენ სკოლას ცოტათი ცეცხლი წაკიდებოდეს და შენ ბარგის გამოზიდვაში გაცივებულიყავი; ეხლა უეჭველია, კარგათ უნდა იყო. საახალწლოთ რატომ არ ჩამოდი ჩვენსა? ჩვენ კი მოგელოდებოდით; იცოდე, მალე აქეთკენ გამოსწიე და სწორედ ჩვენსა მოდი, და არა გოსტინიცა-ში. შენი გულქანა ეხლა დიდი პატარძალი იქნება. მომიკითხე თიკა, გაბო და შენი სიდედრი. მართლა: მარო რას შობა? კიდევ მიაქ-მოაქ ჭორები, თუ არა? სწორეთ ბევრს ვიცინეფ ხოლმე, როცა მომაგონდება, ძიძამ რომ სახლიდან გამოაგდო. ჩვენ შეიძლება ამ ზაფხულში მანდეთკენ წამოვიდეთ. ჩვენი თოფი რას შობა? ბევრი ჩიტები მოკლა თუ არა? იცოდე, თედო, ამ ცოტა ხანში აქ მოგელოდები.

**შენი ძმა ლევან წერეთელი**

## **ძვირფასო ძმაო თედო!**

როგორა ხარ? თუ კიდევ ავათ ხარ, რატომ ამბავს არ გვაგებინებ? და თუ კარგათ ხარ რატომ არ ჩამოდიხარ? ჩვენ საახალწლოთ მოგელოდით. ეხლა თუ კარგათ ხარ იცოდე ერთი ორი კვირით ჩამოდი. კუ...ს ამბავი შეგვატყობინე, თორემ ჯავრით მოვკვდებით. მომიკითხე თიკა, გულქანა და შუშანა.

**შენი კაკი**

№12.

დოკ. 20/9 (35)<sup>249</sup>

11 ნოემბერი. [1895]<sup>250</sup>

## ძმაო თედო!

ეს ერთი კვირაა, რაც ვაპირებ წერილის მოწერას და ამ ხუთი მანეთის გამოგზავნას, მაგრამ საქმეებმა გამიტაცეს. მე ისე კარგათა ვარ, ძველებურათ დავიწყე შრომა, თითქმის ახლა უფრო მეტი [შრომაც] დამატყდა, რადგან გიორგი ათი დღით წავიდა კავკავში. დიდათ და დიდათ ვმადლობ ყველას, ვინც კი მკითხულობდა, მართლაც რომ განსაცდელს გადავრჩი, მე მეგონა არ გადურჩებოდი და მხოლოთ იმას ვწუხდი, ვაი თუ ხელთუბანში არ დამ[მ]არხონო.

დიდი მოკითხვა გადაეციო ყველა ჩემ ნაცნობებს, გთხოვ ძალიან და ძალიან რომ ამ ხუთი მანეთისა პაჩინკა გააკეთებინოთ ჩვენ ტასიას ოთახს, ითვლეინებოდა რომ ჭერი წვებაო და ზამთარში ვერ დავდგებიო. ერთი მანეთი ზაფხულში მივეცი ფოშტების საყიდელათ. იქნება ამ ხუთი მანეთით შეუსწოროთ ჭერი ამ ზამთარს როგორმე გაძლოს და მერე ღმერთი მოწყალეა.

ჩემ ძმას წაუკითხე თქვენი წერილი მამულის – ვენახის შესახებ და მითხრა: პურის ფასი არ ვიცი, შევიტყობ და ვაცნობებო, ვენახის შესახებაც მივწერო. ახლა საქმე იმაშია, რომ აქ რაღაც საქმეა ჩვენ მიწების შესახებ სუდში და კარქუაც სხვებთან ერთად იქნება დაბარებული მოწმათ და ამის გამო ჩემი ძმა ყველაფერს მოიწერება.

ჩემიძმა გიორგი გიგზავნით შკოლისთვის წიგნებს, ეს საკაბე დიდათ გთხოვთ გაისარჯოთ და გადაცეთ მაროს, დავპირდი და აქამდის არ მიმიწოდებია. უთხარით რომ ხელსაქმის მასალას მალე გამოვგზავნი, „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ გამოიღო ერთი თუმანი, მალე ვიყიდი და თუ მანდედან ვინმე სანდო მოდიოდეს – დააბარეთ გვნახოს და გამოვატან.

<sup>249</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილისთვის გამოყენებულია ძვირფასი ჭვირნიშნიანი ქალალდი ყვავილოვანი ორნამენტით, ოვალურ ჩარჩოში ჩასმული თამარ მეფის პორტრეტით.

<sup>250</sup> დათარიღებულია 1895 წლის 29 სექტემბრის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, რომელიც იუწყება ანასტასია თუმანიშვილის ავადმყოფობის შესახებ.

ამასაც შეიტყობდით რომ დირექციას მოუცია ჩვენი შკოლისათვის ათი თუმანი შენობისთვის. ახლა „წერა-კითხვის საზოგადოება“ კითხულობს რა და რა გასაკეთებელი ჩვენ შკოლაში, კარგი იქნება, რო სკაც იყიდოთ ფუტკრების გასაჩენათ.

ბოდიშს ვიხდი ამ არეულ დარეული წიგნის მოწერისთვის. მოცალება სულ არა მაქვს, მეტადრე დღეს შაბათია და მგონი ათჯერ გამანყვეტინეს ეს წერილი.

დიდი სიყვარულით მეც და ყველა ჩვენებიც მოკითხამენ თიკოს და გულქანას.

### ანასტასია წერეთლისა

მარო მომიკითხეთ, უთხარით ეს კაბა რიგიანათ შეიკეროს.

ტასიასაც მოკითხვა გადაეცით, ყოჩალათ იყოს მალე ვნახავ.

ეს არი ახლა მაცნობა ჩემმა ძმამ გიორგიმ რომ უთხრათ კარქუას თუ კი გაყიდის გორში ფქვილს **70** კ. ფუთსა, დევ გაყიდოს მანდვე, ხოლო ვალები (ბერბუკისა და სხვა) ხორბლათ ჩამოიტანოს. თუ შეიძლებოდეს დაგვავალეთ და ყური უგდეთ ამ საქმეს, რომ არ მოგვატყუონ.

### 11 ნოემბერს

უღონომა ღონიერს დაუჩიოქა და ღონიერმა უთხრა: შენ რომ არ დაიჩიოქო, მე ვერ დაგაჩიოქებო. <sup>251</sup>

<sup>251</sup> მიწერილია წერილის ბოლოს განსხვავებული ხელით, შავი ფანქრით.

№13.

დოკ 20/9 (37)<sup>252</sup>

21 დეკემბერს. 189[5]<sup>253</sup>

## ბატონო თედო!

თქვენი მოთხრობა მივიღე, ძალიან გმადლობთ და იბეჭდება კიდეც. ხელსაქმეები აქამდის ვერ გამოვგზავნე და არც ახლა ვგზავნი, რადგან ძალიან ბევრი საქმეები მაქვს, ამ წერილისთვისაც ძლივს ჩავიგდე ორიოდ წუთი. გთხოვთ დაიბაროთ ჯავახი და უთხრათ ჩვენ მაგივრათ, რომ წელსაც იკისროს ან თითონ, ან მის შვილებმა გომარეულის მოვლა, ე. ი. ერთი წლის ვადით ვაძლევთ კიდევ ვენახს: მერე ვნახავთ, თუ კარგა მოვლილს ჩაგვაბარებს დაუწერთ ხელახლათ ქალალდს. ამ[ბ]ობენ სარები დაუძვრიათ, დაუწვამთ და ვენახი აოხრებული არისო, უთხარით ამ ერთ წელიწადს მოუარონ კარგათ, თუ უნდათ რომ ხელ ახლით მივცეთ. ძალიან დამავალებთ, თუ ამის რულებთ ამ საქმეს. ამ წერილს კარქუას ხელი[თ] ვგზავნი.

ყველა მომიკითხეთ. დიდმარხვაში იმედი მაქვს ისე ეთბილება, რომ ამოსვლას შევიძლებ.

თქვენი მარად პატივის მცემელი  
ანასტასია წერეთლისა

<sup>252</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილისათვის გამოყენებულია „ჯეჯილის“ რედაქციის ბლანკიანი ფურცელი, აღნიშნულია თარიღი.

<sup>253</sup> ბლანკზე წლის აღმნიშვნელი ბოლო ციფრი არ წერია. შინაარსიდან გამომდინარე, ის წინა, №20/9 (35) წერილის მსგავსად, 1895 წელს უნდა იყოს გაგზავნილი.

№14.

დოკ. 20/2 (12)<sup>254</sup>

12 აპრ. 1896<sup>255</sup>

## ბატონო თედო!

ამ ცოტა ხანში იწყება „წერა-კითხვის საზოგადოების“ სა-სარგებლო ლატარია და გთხოვთ საჩქაროთ მოგვაწოდოთ სკოლის ხელსაქმეები, რომელიც ხეირიანია და შეთავებული. მაროს უთხარით სიაც მოაყოლოს და ისე გაახვიეთ რომ არ დაიფანტოს. ამასთანავე გთხოვ გაისარჯოთ და ჩვენ კაცს კარგოს, რომელსაც აბარია ჩვენი მიწები გადასცეთ ჩემი ძმა გიორგისაგან, რომ უსიკვდილოთ კვირას, 21 აპრილს, ამოვა ისა და ზემლემერი ხელთუბანში სადაცო მიწების შესახებ და თითონ არსად წავიდეს – მოლოდინში იყოს.

ტასო წერეთლისა

№15.

დოკ. 20/9 (13)<sup>256</sup>

29... 1896 წ.

## ბატონო თედო!

რაც წამოვედი ყოველდღე ვაპირებდი მოწერას, რომ საქმე არ დაგვიანდეს და სწორეთ ერთ წუთს ვერ ვიცლი. ძალიან დამავალებთ, თუ კარქუას უბრძანებთ პურის გაყიდვას, როგორც თითონ ამბობდა (13 აბაზათ). თუ მეტს მისცემენ უფრო კარგი იქნება, სწორეთ დაგვავალებთ თუ ყურს უგდებთ. ამასთანავე უბრძანეთ რომ ქათმების საზრდო ე. ი. სიმინდი, ნაკმაზი და სხვა ფულითურთ ჩამოიტანოს და მაშინ ვენახის

<sup>254</sup> ღია ბარათი მისამართით: Въ Гори. Въ Селеніе Хелтубани. Учителю Феодору Разикашвили. დაწერილია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 177.

<sup>255</sup> დათარილებულია საფოსტო ბეჭდის მიხედვით.

<sup>256</sup> ხელნაწერი მოწყვრცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილისათვის გამოყენებულია „კვალის“ ორდაქციის ბლანკიანი ფურცელი, თარილი მიწერილია თვის გარეშე.

საქმესაც (გომარეულისას) გადაწყვეტენ. ამასთანავე გაისარჯეთ და ტასიას უბრძანეთ ის ღვინო რომ მანდა აქვს მოიხმაროს თითონ, ე. ი. გაყიდოს და ფული თითონ აიღოს.

რაც შეეხება მაროს, ექიმებს უჩვენე (სამს). ყველამ თქვა რო მელანხოლით არის ავათო, ნოტიოს და ციებას ბოლო მოუღია. მისცე[ს] წამლები და ერთი კვირა ჩემთან იყო. ახლა წავიდა გორში და დავაბარე რომ არამც და არამც არ ახვიდე თქო ხელთუბანში, არ ვიცი აასრულებს ჩემ სიტყვას, თუ არა. ჩემის აზრით, სანამ არ გაზაფხულდება ხელსაქმის სწავლების შესახებ ვერაფერს ვერ გადავწყვეტო, ე. ი. სხვა[ს] ვერ მოვიყვანთ მაროს მაგივრათ. ახლა ძალიან კარგი იქნება თუ თიკო იკისრებს ცოტათი მაინც ასწავლოს გოგოებს ხელსაქმე; მასალისთვის ფულის გამოტანა „წერა-კითხვის საზოგადოებიდან“, მგონი არა ღირს, სჯობია რაც უბრალო რამე მოუნდება იყიდოს იმ ხუთი მანეთიდან, რომელიც დანიშნულია მასწავლებელისთვის.

თქვენ რომ გამოგართვით 5 მ. ის სრულიად გადავეცი მაროს.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მართველობამ შემოგითვალათ რომ იმ ათი თუმნის ანგარიში გამოგზავნოთ, თუ რაზე დაგიხარჯავთ (დაწვრილებითი).

ველი საახალწლო მოთხრობას „ჯეჯილისათვის“:

თქვენი პატივის მცემელი  
ან. წერეთლისა

№16.

დოკ. 20/9 (31)<sup>257</sup>

[1896]<sup>258</sup>

## ბატონო ჩემო!

სულ ვაპირებ ამოსვლას ხელთუბანში სკოლის დასათვალიერებლად და ვერ ვახერხებ. აღდგომის წინედ ის იყო მოვემზადე, მაგრამ სიცივე[ე]ბმა შემაშინეს. თქვენ თბილისში ბძანებულხართ და ძალიან მეწყინა, რომ არა მნახე. ნუ თუ ისე ძნელი იყო ერთი წუთით ჩემთან შემოსვლა. მე ძალიან მანუხებს მანდაური საქმეები (სკოლისა). მართალია თქვენა მწერდით მაროზედ რომ კერპი და ახირებული ხასიათი აქვსო, მაგრამ მე მეგონა, რომ თქვენ ისე ტკბილათ მოექცევით, ისე დაამშვიდებთ (მეტადრე – როგორც იწერებით – ავათმყოფიც თუ არის) რომ ჩემი გარევა ამ საქმეებში არც საჭირო იქნება. ეხლა აქ ჩამოაქვთ სხვა და სხვა ამბები, ვითომ თქვენ უჭირებთ მაროს საქმეს, არც ოთახს ანებებთ, არც დროს აძლევთ რომ ყმაწვილებმა იხალისონ ხელსაქმის სწავლა და ამას უველა იმას მიაწერენ, რომ ვითომ იმის ადგილას თიკას ჩაყენება გნებავდეთ. მე რასაკვირველია არა მჯერა რა და როცა მოვალ უფრო ვნახავ საქმეებს, მაშინ უფრო დავრწმუნდები და სხვებსაც დავარწმუნებ, მაგრამ ეხლა კი, სანამ ამოვიდე, გთხოვთ ნუ მისცემთ ნუ რა ვის მიზეზს ამ გვარი ლაპარაკისას და კიდევაც გთხოვთ მომითმინოთ სანამ მე ამოვალ.

„წერა-კითხვის საზოგადოებამ“ გამოიწერა „ჯეჯილი“ სკოლისთვის და ამას წინეთ გამოგიგზავნეთ.

მაისის გასულს იმედი მაქვს ამოვიდე ორიოდ დღით, იქნება უფრო აღრეც. გთხოვთ დამავალოთ და ეს ერთი საქმე ამის-რულოთ, დაიბარეთ კარგუა ტერმარკოზაშვილი მაშინვე რო-

<sup>257</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვენებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 182-183.

<sup>258</sup> სავარაუდოდ, წერილი დაწერილია 1896 წელს, რადგან ამ დროიდან ხელსაქმის მასნავლებელი, ავადმყოფობის გამო, სკოლაში უკვე ველარ ატარებდა გაკვეთილებს. 1897 წელს იგი შეცვალა თედოს მეუღლებმ – თიკამ, რომელიც, როგორც თედოს მიერ ანასტასია თუმანიშვილთან გაგზავნილი სხვა წერილიდან ჩანს, (იხ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ანასტასია თუმანიშვილის არქივში დაცული თ. რაზიკაშვილის წერილი №547), პატიოსნად ასრულებდა მასზე დაკსრებულ მოვალეობას.

გორც რომ მიიღებთ ამ წერილს და ჩვენ მაგიერად გადასცეთ რომ პირველ მაისს არის დანიშნული მეჟევანია<sup>259</sup> ბერბუკისა და მეჯვრისხევის მიწებისა. უნდა უთუოდ დაესწროს, თორემ საქმე გაფუჭდება. დაავალეთ დედა ჩემის მაგივრად რომ თავის დროზედ წავიდეს და სხვა და სხვა მიზეზების გამო არ გადასდოს.

მომიკითხეთ სკოლის ყმაწვილები, მაროს უთხარით რომ მალე მოვალ და საქმეები ბლომად მოამზადოს.

თქვენი პატივის მცემელი  
ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა  
28 აპრილს

№17.

დოკ. 20/9 (39)<sup>260</sup>

[1896]<sup>261</sup>

ძმაო თედო, ამ წერილს ვატან ჯავახს და კიდევ და კიდევ გვინდა შეგანუხოთ. აი, საქმე რაშია: ჯავახს გაუთავდა გომარეულის ვადა, მაგრამ რადგან ვერა მოვახერხეთ რა, ე. ი. ვერ ამოვედით და ვენახი ვერ ჩავიბარეთ, ასე რომ ამ ერთი წლით კიდევ იმას უჭირავს (ენკენისთვემდის). ახლა ჩამოვიდა და გვთხოვს 30 კონა სარს – გამოდის კარგა ფული და ეს ორი წელიწადია ვენახიდან თითქმის გროშიარ გვინახავს და ვინ იცის ენკენისთვეში სხვასაც მივცეთ, ჯერ არაფერი არ გადაგვიწყვეტია. ჯავახი ამ[ბ]ობს, რომ მოსავალი დიდი მოგველისო შეგამუშავეო და თუ სარებს არ გავუკეთებ სულ გაფუჭდება ვენახიო. ახლა ჩემი ძმა გიორგი გთხოვთ დიდათ, რომ გაისარჯოთ, ახედოთ გომარეულს და რამდენიც აუცილებლათ საჭირო იყოს, მხოლოთ ის უყიდოთ, ასე სამი-ოთხი მანეთისა იმ ფულიდან, რომელიც თქვენა გაქვთ (ზამთარში რომ გამოგიგ-

<sup>259</sup> Межевание – გეოდეზიური მეთოდის გამოყენებით მიწის ნაკვეთების საზღვრების დასადგენი კომპლექსური სამუშაო.

<sup>260</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით.

<sup>261</sup> დათარიღებულია წინა წერილის მიხედვით.

ზავნეთ 5 მან.). იქნება, მართლა, წრეულს მაინც ავიღოთ რამე. აკაკიმ რომ ქება გიძლვნა<sup>262</sup> უსათუოთ წაიკით[ხე]. ალეგრისთვის<sup>263</sup> ნივთები სრულათ მივიღე.

ყველასაგან მოკითხვას გითვლი, მინდა ამოსვლა ეგზამინებისთვის და არ ვიცი მოვახერხებ თუ არა.

ტასო წერეთლისა  
იმედი მაქვს – ჩვენ ვენახს არ გააფუჭებინებთ.

№18.

დოკ. 20/9 (15)<sup>264</sup>

30 ოქტომბერს. 1897

**ბატონო თედო!**

ჩემი მტერი იყოს ისე შეწუხებული, როგორც მე ვარ. კაც-მა მოინდომოს სულით და გულით ერთი-ორი დღ[ით] წასვლა თავის სოფელში და ვერ მოახერხოს ამაზე უარესი რაღა იქნება. ჯერ ხომ ზაფხულს მინდოდა მანდ ამოსვლა და რაკი კაცი იმერეთში წავა, იქიდან ძნელია თავის დახმარება. მერე ერთი

<sup>262</sup> იგულისხმება აკაკი წერეთლის სტატია „განთიადი“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კვალის“ 1896 წლის №21-ში. მასში პოეტი დადებითად აფასებს ახალგაზრდა მწერალთა თხზულებების გამოჩენას ჟურნალ-გაზებების ფურცლებზე. აკაკის საილუსტრაციოდ მოჰყავს თედო რაზიკაშვილის მოთხრობა „ფითრი“: „ეს პატარა ბოტანიკური მოთხრობა „ფითრი“ ო. რაზიკაშვილისა, როგორც ხელოვნების მხრივ, ისე თავის კილოთიც გამტაცია ახალგაზრდა გრძნობა-გონების და ამავე დროს დიდათ საგულისხმო დიდებისთვისაც... ვურჩევ ყველას, თავისთავათ წაიკითხონ. აյ არის გამოხატული ჩვენი ქვეყანა და ძველთაგანვე მის გულში შემოხიზნული ერი. ეს არის ისტორია ჩვენის ცხოვრების და ამავე დროს ებრაული წინასწარმეტყველება მომავალზე. და ვინც გულდადებით წაიკითხავს, ჩვენთან ერთად იტყვის: მადლობა ღმერთს, ახალი ხანა დგება ჩვენ მწერლობაში და მისი განთიადიც მოახლოებულიაო“.

<sup>263</sup> ალეგრი – თამაში.

<sup>264</sup> ხელნაზერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილისათვის გამოყენებულია „ჯეჯილის“ რედაქციის ბლანკიანი ფურცელი, აღნიშნულია თარიღი. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 178.

თვით სონა ციციშვილისა გავისტუმრე სოფელში და მე არ შემეძლო აღარსად წასვლა. ამ უდროვო ზამთარმა ხომ უფრო ფეხი ამომაკვეთინა. თქვენკენ ახლა დიდი სიცივე და ავდარი იქნება. არ ვიცი მიწყრებით, თუ რა ამბავია, რომ აღარას მაწოდებთ „ჯეჯილისათვის“! ეგ იყო დაპირება, რომ ყოველ ნომრისთვის მოვამზადებო! რას აკეთებთ, როგორ მიდის სკოლის საქმე, რამდენი ყმაზილი სწავლობს, ხელსაქმის ამბავი როგორ მოაწყეთ, როგორ არი მარო, ნუ თუ მისი გამობრუნების იმედი არ არი. რომ ვიცოდე რომ კაი დარია შეიძლებოდა ამოვსულიყავ, მაგრამ ხომ ვთქვი, რომ მე ჩემ თავს არ ვეკუთვნი. იანვრიდან უფრო თავისუფალი ვიქნები, ნოე ჟორდანიას ვაბარებ „კვალის“ გაძლოლას,<sup>265</sup> ე. ი. რედაქციის ხელმძღვანელობას (წერასა და წერილების უსტაბაშობას). „ჯეჯილის“ ამბავი რაღა გითხრათ, ხელის მომწერლები ორა-სიც არ იქნება, არც სამოსწავლო ოლქისაგან მოწონება[მ] და არც, მგონი, ეპარქიისაგან მიღებაშ ვეღარა უშველოს. მე მაინც ვაპირებ იანვრიდან ისევ გამოვცე და ვნახოთ რა გამოვა! რატომ აღარას მაწოდებთ, ველი მასალას საჩქაროთ.

მომიკითხეთ თიკო და სხვა ყველა ჩემი ნაცნობები. ველი პასუხს.

ტასო წერეთლისა  
ყმანვილებმა ერთობ მოგიკითხესთ.

<sup>265</sup> ეს წერილი დაწერილია ნოე ჟორდანიას საზღვარგარეთ ცხოვრების პერიოდში, იმ დროს, როდესაც ის იყო გაზეთ „კვალის“ კორესპონდენტი. 1898 წელს საქართველოში დაბრუნებული პუბლიცისტი აღნიშნულ გაზეთში უკვე თანარედაქტორის მოვალეობას ასრულებდა.

№19.

დოკ. 20/9 (16)<sup>266</sup>

4 ნოემბერს. 1897

## ბატონო თედო!

მიიღებთ თუ არა ამ წერილს მაშინვე ჩვენი კარქუა ჩაგზავნეთ გორს, შაბათს არის დანიშნული ფალელაანთ და ჩვენი მიწის შესახებ საქმე. აუხსენით კარქუას, რომ უთუოთ დაესწროს საქმის გარჩევას და თან წაიყვანოს მოწმეც, თუ ახლაც არ ჩავა გორში, საქმე აღარ გადიდება და ჩვენ წავაგებთ. იმედია, ჩემ და ჩემი ძმების თხოვნას აასრულებთ და კარქუას ჩაგონებთ ყველაფერს.

თქვენი მარად პატივის მცემელი  
ანასტასია წერეთლისა

№20.

დოკ. 20/9 (17)<sup>267</sup>

18 აგვისტო. 1898

## ბატონო თედო!

დიდათ დაგვავალებ მეც და ჩემ ძმა გიორგის, თუ საჩქაროთ დაიბარებ ჩვენ მოურავს კარგო ტერმარკოზაშვილს და ეტყვი რომ გიორგიმ შემოუთვალა რომ ეცადოს მალე გაყიდოს პური ოთხ მანეთათ კოდი, თუ ამ ფასათ ვერ მოახერხოს კოდზე ორი შაურ ნაკლებათ გაყიდოს. ამასთანავე გამოართვი პურის ანგარიში 23 მანეთი და პერევოდით გამოგზავნე „**ჩივი ინივი.**“ რედაქციის სახელობით გიორგი (ჩემი ძმის) გადასაცემათ. ეს გვინდა ლობის გასაკეთებელ საფასურში. თითონ კარგუამ მითხრა მოგართმევო საჭირო ფულსაო და მერე პურს რომ გავყიდი იქიდან გამოვალო. იმედია ამ თხოვნას ამისრულებ.

**ტასო წერეთლისა**

<sup>266</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილისათვის გამოყენებულია „ჯეჯილის“ რედაქციის ბლანკიანი ფურცელი, აღნიშნულია თარიღი.

<sup>267</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილისათვის გამოყენებულია „ჯეჯილის“ რედაქციის ბლანკიანი ფურცელი, აღნიშნულია თარიღი.

№21.

დოკ. 20/9 (25)<sup>268</sup>

13. XII. 1901

## ბატონო თედო!

მოუთმენლათ მოველი ახალწლის მოთხრობას პატარები-სთვის. იქნება როგორმე მომისწროთ. მასალა მაქვს, მაგრამ უფრო უკეთესი ეკადრება იანვრის ნომერს. „სამაგიერო“<sup>269</sup> დაიბეჭდა „ჯეჯილის“ № XII.

თქვენი კეთილის მოსურნე  
ანასტასია წერეთლისა

№22.

დოკ. 20/9 (18)<sup>270</sup>

10. IV. 1902

## ბატონო თედო!

მოგილოცავთ მომავალ აღდგომას, ღმერთმა ცოლშვილით ბედნიერათ გამყოფოთ. გიგზავნით მცირე გონიორარს ორი მოთხრობისას (ქურდები და მაიმუნის).<sup>271</sup> ვიანგარიშე სამ კა-პიკობაზე და 9 მან. 50 კ. გამოვიდა. იმედია მასალას კვლავაც მომაწოდებთ და მეც არ დაგიკლებთ ამ მცირე გონიორარს.

რატომ ჩვენი კარქუა არას გვიგზავნის, პური უნდა გაეყ-

<sup>268</sup> ღია ბარათი მისამართით: **Гори. Сел. Хелтубани. Учителю Феодору Разикашвили, დაწერილია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 182.**

<sup>269</sup> თედო რაზიკაშვილის მოთხრობა „სამაგიერო“ დაიბეჭდა უურნალ „ჯეჯილის“ 1901 წლის № 12-ში. ღია ბარათის საფოსტო ბეჭედზეც 1901 წლის დეკემბერია მითითებული.

<sup>270</sup> საფოსტო მოსაჭრელი კუპონი (Отрезьной купон) გამგზავნის მისამართით: **Редакция журнала „Джеджили“. Отъ Ред. Анастасии Церетели. დაწერილია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 178.**

<sup>271</sup> თედო რაზიკაშვილის მოთხრობა „ქურდი“ პირველად გამოქვეყნდა საბავშვო უურნალ „ჯეჯილის“ 1902 წლის პირველ ნომერში, ხოლო მოთხრობა „მოთამაშე მაიმუნი“ – ამავე წლის „ჯეჯილის“ მეოთხე ნომერში.

იდა, უშველეთ და დააჩქარებინეთ ფულის გამოგზავნა. არ ვიცი რა დაემართა. როგორ არის ჩვენი სახლი.

### ანასტასია წერე[თლისა]

№23.

დოკ. 20/9 (19)<sup>272</sup>

31. 10. 1902<sup>273</sup>

ბატონო თედო, რაზე დამივიწყეთ რომ არცა მნახეთ და არცა რამე მასალა „ჯეჯილისა“ გამოგზავნეთ. მე ისე მოუ-ცლელი და ვაივაგლახში ვარ რომ ერთი დღითაც ვერ მოვას-წარი ამოვსულვიყავ ხელთუბანში. ახლა დიდათ და დიდათ გთხოვთ რომ თუ „ჯეჯილის“ დღეგრძელობა გინდათ საჩქაროთ მომაწოდოთ მასალა დეკემბრის და იანვრის ნომრებისთვის. მართალია ფული ველარ გამოგიგზავნეთ, მაგრამ იმედია არ შევირჩენ და დღესასწაულებში მოგაწოდებთ. ველოდები მასალას. სანამ შვიდობით. მომიკითხეთ ყველანი.

### ანასტასია წერეთლისა

№24.

დოკ. 20/9 (20)<sup>274</sup>

ბატონო ჩემო თედო!

გაზაფხულზე მომივიდა თქვენი ლია წერილი, იწერებოდით რომ კიდევ დამაკლდა, ლობის დასამთავრებლათო.

---

<sup>272</sup> ლია ბარათი მისამართით: Въ Гори. Сел. Хелтубани. Учителю хелтубанской школы Феодору Разикашвили. Отъ А. Церетели. დაწერილია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 178-179.

<sup>273</sup> დათარიღებულია საფოსტო ბეჭდის მიხედვით.

<sup>274</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 179-180.

რადგან მეგონა, რომ მე თვითონ ამოვალ ამ ზაფხულს – ვერც ფული მოგაწოდეთ და ვერც რამე შეგატყობინეთ. მე ნერვები ისე მოშლილი მქონდა, რომ მესაჭიროებოდა სადმე შორს გადაკარგვა. ერთი თვით წავედი წალვერს და მერე (ეს ჩემი დაუბოლავებელი საქმეები[ს] გამო) ორი კვირით იძულებული ვიყავი იმერეთში წავსულიყავ. ახლა შევიტყე, რომ თქვენ დაგიყენებიათ მღვდელი და ღობეც კარგათ გაკეთებულიაო.

სრული გულით მოგილოცავთ თქვენ საკუთარ სახლში დაბინავებას, მაგრამ ამასთანავე, გთხოვ არ დაივიწყოთ სკოლის ერთგულობა, ხომ ხედავთ რომ მე სკოლას დედინაცვლათ ვეკიდები, ცხოვრების ვარამმა გამიტაცა, ფიზიკური მდგომარეობა მიშლის ადრინდელივით ენერგიით მუშაობას, ახლა ძნელი დრო დადგა, ახლები, ჩვენზე უკეთესები წამოდგენ და იძახიან „ბებრები ხართ, ენერგია ჩვენ უფრო უნდა გვქონდესო, ჩამოგვეცალეთ გზიდანო“... და მეტი გზა არ არი – უნდა ჩამოვეცალო. ეს „შავი ფიქრები“ მხოლოთ „ნაკადულით“ არ არი გამოწვეული, იმათ ვიწნობ, რომ [ალლოს] ვერ გაიტანენ, მე სხვა საქმეებზედაც ვლაპარაკობ...

ახლა ჩემი თედო, ჩვენ სახლებზე უნდა გითხრა, ჩემი ძმები ცოტა არ იყოს ბუზღუნებენ ფულის გამოლებაზე და რადგან წინეთაც მღვდელი იდგა და ახლაც, იმედია – ფული რამე უნდა შემოვიდეს. ამიტომ დამავალე და მომწერე ან იმ მღვდელს რამ გამოართვი და ან ამას როგორ მიაქირავე, რასაკვირველია ყველა ხარჯებს გამოხვალ და კიდევ რასმეს დაგვანახებ – ასე ფიქრობენ და სურთ ჩემ ძმებს (მე რომ მოვსულიყავი ზაფხულით, ხომ გარეთ დავრჩებოდი, მაგრამ ძალიან მიხარიან, რომ შიგ ვინმე დგას და არც სახლი გაფუჭდება და ორიოდ გროშსაც ნახავენ ჩვენები და მაშინ უფრო გულით მოეკიდებიან მაგის უკეთეს მდგომარეობაში ჩაგდებას).

მიიღებ თუ არა ამ წერილს დაიბარე კარქო მარკოზაშვილი (ჩვენი აგრეთ წოდებული მოურავი) და უთხარი პური გაყიდოს, ძალუა ჩემს გაუყიდია 3 მ. 80 კ. როგორც თვითონ მითხრეს და იმედია, ჩვენსასაც კარგათ გაჰყიდით. უშველე, შენიჭირიმე და ფული მალე ჩამოიტანოს.

„ჯეჯილის“ საქმეზე ისე გაწვალებული ვარ, რომ მგონი აღარ გამოვდგე სამუშაკოთა. ის არაშემინდები საშინლათ მაწვალებენ, აქამდის არც ხოს ამბობდენ და არც არას. ახლა პეტერბურგიდან მომივიდა ამბავი, რომ ამ ცოტა ხანში ყვე-

ლაფერი კარგათ მოიწყობა. ამან ცოტა გამაცოცხლა, უნდა ძალათ ჩემი ენერგია მოვიკრიბო. მომიხდება თვეში ორ ორი წიგნის გამოცემა, რომ ხელის მომზერებთან, რომელნიც სულ მცირე არიან პირ ნათლათ გამოვიდე და იანვარში ისევ ჩვეულებრივ მივცე ყმანვილებს „ჯეჯილი“. აქედან აშკარათ დაინახავ, რომ ჩემთვის რა ძვირფასნი არიან ისინი, ვინც მომაწოდებს მასალას და ამითი გამიადვილებს ამ ძნელ საქმეს – სანამ თვალები ღია მაქვს – გავუძღვე. ველი მოუთმენლათ მასალას პატარებისთვის, დიდებისთვის – ვაჟას, თუმცა დავპირდი, ფულს ადრევე მოგცემ, ოღონდ მომაწოდე მეთქი – მომცა სიტყვა კიდეც – მაგრამ „ნაკადულის“ რედაქციაში გაუგზანია. იმათ ჯერ დაუწუნია – 50 მ. არა ღირსო, მერე უთქვამთ, ეს ერთხელ მაინც გამოვილოთ და მერე ჩვენ ვიცითო. აბა, თედო თუ გამიტანთ, კარგი, თუ არა და ფარ-ხმლით ხელში დავეცემი და მაშინ მხოლოდ ჩემი უძლურობა დამტკიცდება. თვითონ საქმე კი რასაც ვემსახურები ყოველთვის ნათელი და ბრწყინვალე იქნება.

მგონი თავი მოგაბეზრე ამ გრძელი წერილით. როგორ არი შენი თიკა, ყმანვილები როგორ დააბინავე არ ვიცი. ნუთუ გულქანას ჯერ არ ასწავლი, ე. ი. არ ჩამოიყვან თბილისში, იქნება შენც ჩამოდიხარ და არ მხედავ. სონა ამ ჟამათ სოფელშია, ჯერ ისევ ავათმყოფობს. ელიკო მოვიდა პარიუიდან და სულ გაკვეთილების ძებნაშია. კაკის ნება მისცეს სამზღვარ გარეთ წასვლისა, ახლა მხოლოთ ფულზეა საქმე. ლევანმა გაათავა სწავლა და ჩამობრძანდა მეუღლითურთ – რუსის არისტოკრატის ქალით.

სხვა შვიდობით, მომიკითხეთ დავითის ქალები სიყვარულით.

თქვენი პატივის მცემელი ანასტასია წერეთლისა  
16 სექტემბერი, 1904

№25.

დოკ. 20/9 (28)<sup>275</sup>

7. 11. 1904<sup>276</sup>

ბატონი თედო, ამ ორი თვის წინეთ გწერდით ჩვენი პურის გაყიდვაზე რომ კარგუასათვის გარდაგეცათ და გელრიჯებ-ოდით მასალას და აქამდის თქვენი აღარა ვიცირა, ნუ თუ წერ-ილი არ მიიღეთ, მე ერთი ნომერი დავბეჭდე და ლამის მეორეც დაიბეჭდოს და თქვენი ამბავი არა ვიცირა, ნუ თუ რთველმა და ახალმა სახლმა აღარ მოგაცალათ ჩემთვის. ველი მოუ-ლოდნელათ პასუხეს. სიყვარულით მომიკითხე ყველა.

ანასტასია წერეთლისა

№26.

დოკ. 20/9 (23)<sup>277</sup>

13 დეკემბერი. 1904 წ.

ბატონი თედო!

ველი მოუთმენლათ საახალწლო მასალას თქვენგან და დახე უბედურებას, ჩამოვიდა კარქუა და წამოსვლის დროს არც კი უნახევხართ. გიგზავნით ამ ძველ ვალს 4 მ. 80 კ. მგონი აგრე იყო, აღარ მასხოვს და თუ დარჩება კიდევ მოსაცემი – მაც-ნობეთ. ამას წინეთ მოგაწოდეთ 15 მ., მცირე გამოსაგზავნი იყო, მაგრამ რა გაეწყობა, ყველა გაჭირებული ვართ და თუ ფულის მიღებას მოვუცადოთ, ვაითუ აღარა ფერი საქმე არ გაკეთდეს... ახლა ჩემი საქმე „ჯეჯილისა“ ისეა, რომ პირველ იანვრისთვის უნდა დაიბეჭდოს იანვრის „ჯეჯილი“ და მაშა-სადამე, თუ კვირამდის არ მომაწოდებთ – აღარა მოესწრო-

---

<sup>275</sup> ლია ბარათი მისამართით: Въ Гори. Сел. Хелтубани. Учителю Хелтубанской школы Феодору Разикашвили; ნაწერია შავი მელნით.

<sup>276</sup> დათარიღებულია ბეჭდის მიხედვით.

<sup>277</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, ნაწერია შავი მელნით. წერილისათვის გამოყენებულია „ჯეჯილის“ რედაქციის ბლანკიანი ფურცელი, აღნიშნულია თარიღი. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 180-181.

ბარა. ხელის მოწერაზედაც ძალიან მიშლის მარიამ დემურია, რომელიც არის თურმე ნამდვილი რედაქტორ-გამომცემელი და არათუ მასალას სტაცებს ყველას ხელიდან – „ჯეჯილის“ ხელის მომწერლებსაც თითქმის ყველას მუქთად უგზავნის. არ ვიცი რით გათავდება ეს საქმე და როგორ წავა „ჯეჯილის“ საქმე. თუ არ გამსრისეს – კარგია. ვცდილობ თავში არავის ჩავაკვრევინო. ნეტავი თქვენ, რომ შორსა ხართ და აქაურ ამბებს არ ისმენთ და ვინ იცის გგონიათ წმინდა საქმეა – ყველას უნდა ვუშველოთო. აბა თედო, მოველოდები ამ ცოტა ხანში „ჯეჯილის“ მასალას.

ძალიან შესაწუხრათ დარჩათ ჩემ ძმებს რომ ჩვენი სახლი ისე უპატრონოა, რომ ყველას აქეთ-იქით მიაქვთ მებელი. სია მებელისა თქვენ დაგიტოვეთ და რათ უნდა წაეღოთ ან ფალელაანთ და ან დიაკვანს ჩვენი მებელი. გეხვეწებით მონახეთ სია და შეადარეთ რაც აკლია, მოუყარეთ თავი ყველაფერს, ჩემი ძმა ახლა სწერს წერილს მამასახლის[ს] სახლის ქირაზე და თითონაც, როგორც კი ცოტა მოთხება ამოვა და მოგვიხდება, თუ სოფელი ფულს არ გადაიხდის, მღვდლის გაძიება. ძმები მე მემდურიან და ღმერთმანი არ ვიცი რა ვქნა?

სიყვარულით მოვიკითხავ – თიკოს, შენ ქალიშვილებს და ვუსურვებ ყველას ბედნიერებას .

კიდევ და კიდევ ველი მასალას.

თქვენი პატივის მცემელი  
ტასო წერეთლისა

№27.

დოკ. 20/9 (22)<sup>278</sup>

17. XI. 191[4]<sup>279</sup>

**ბატონო თედო!**

რატომ აღარა მაცნობეთრა, „ჯეჯილის“ მასალა ძალიან მიჭირს, საქმე მიფუჭდება – იქნება საჩქაროთ მომაწოდოთ.

<sup>278</sup> ლია ბარათი მისამართით: Въ Гори. Сел. Хептубани. Учителю Хептубанской школы Феодору Разикашвили; დაწერილია შავი მელნიო. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 181.

<sup>279</sup> დათარიღებულია საფოსტო ბეჭდის მიხედვით.

აღარც ლობისა რამე შევიტყე, დააჩქარეთ კარგომ ჩამოიტანოს პურის ფული, ხელსაქმეების მასალა ვუყიდე სკოლას<sup>280</sup> და იქნება წააღებინოთ. მღვდელი მანდ არის თუ არა! ველი თქვენგან პასუხს – „ჯეჯილის“ მასალას უსათუოთ. მომიკითხეთ თქვენები. სახლში ბევრი დავიდარაბა მქონდა, მაია მიკვდებოდა – ახლა უკეთ არის, სონას ამბავსაც შეიტყობდით: ბალიცაშია, ოპერაცია გაუკეთეს.

### ანასტასია წერეთლისა

---

<sup>280</sup> 1979 წელს გამოცემულ თედო რაზიკაშვილის მოთხოვნების I ტომის წინასიტყვაობაში სოლ. ყუბანეიშვილი აღნიშნავს, რომ მწერალი ხელთუბნის სკოლაში მუშაობდა 1905 წლის 11 ივნისამდე: „ამ ხნიდან მთავრობამ სკოლა დაკეტა და თედოც დაითხოვეს“. – წერს იგი; 1905 წლის 28 აგვისტოს (№ 154) გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულია თ. რაზიკაშვილის წერილი ხელთუბნისა და წინარეხის სკოლების დახურვის თაობაზე; ამასვე აღნიშნავს გ. ნატროშვილი 1984 წ. დეკემბერში გაზეთ „სამშობლოში“ (№ 25) გამოქვეყნებულ წერილში, მაგრამ 191[4] წლის 17 ნოემბრით დათარიღებულ ზემოთ მოყვანილ ბარათს ანასტასია წერეთლისა უგზავნის ხელთუბნის სკოლის მასწავლებელს თედო რაზიკაშვილს (ლია ბარათზე მითითებულია ადრესატის პროფესიაცია: იხ. შენიშვნა №278). ამ ფაქტიდან გამომდინარე ჩანს, რომ სოფ. ხელთუბანში პირველი რევოლუციის დროს „ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების“ მიერ დაკეტილი სკოლა 1910 წლის შემდეგ აღდგენილა და თ. რაზიკაშვილი, გარკვეული დროით, კვლავ ამ სკოლის პედაგოგად მუშაობდა.

ლევან წერეთლის  
წერილები

№1.

დოკ. 20/15 (22)<sup>281</sup>

ოთხშაბათი, 14 ნოემბერი. 1893 წ.

ძვირფასო ძმაო თედო!

როგორა ხარ? ჩვენ საახალწლოთ უეჭველათ მოგელით. მაშინ თეატრშიაც წავალთ და სუყველგანაც. ჩვენსა ბაჩანა იყო და გავიცანით. ჩვენ ვაჟა-ფშაველასი მშვენიერი ლექსები მოგვივიდა და კიდეც იბეჭდება ამ „კვალის“ ნუმერში.<sup>282</sup> ელი-კომ მოგიკითხა. მოგვიკითხე თიკო, შუშანა, გაბო და სუყველა მანდაურები. მარო და ოლა რასა შვ[ე]ბიან? მარო დადის კიდევ მეჭორეთ თუ არა? ძიძამ სიყვარულით მოგიკითხათ თქვენ ყველა და პატარა გულქანა.

რომ ჩამოხვალთ, აქ შეიძლება სანადიროთ წავიდეთ პეტრე მელიქოვთან ერთად დათვებზე. უკაცრავად რომ ასე ცოტას გწერ, მაგრამ ეხლავე გიმნაზიაში წასასვლელათ ვემზადები.

**გწერს ლევან წერეთელი**

№2.

დოკ. 20/15 (23)<sup>283</sup>

1894 წ. 8 თებერვალი, სამშაბათი

ძვირფასო ძმაო და მეგობარო თედო!

შენ მკითხავდი „კვალის“ ხელის მოწერა როგორ არისო? ხელის მოწერა ხუთასამდის არის. შენი კაცი ესეც არის ეხლა მოვიდა, და რადგანაც გვაჩქარის, გიორგიმ წაკითხვა ვერ მოასწრო. მე მგონია კარგი უნდა იყოს; ოთხშაბათს ქართულ თეატრში ვიყავით მე და კაკი. „და-ძმა“<sup>284</sup> წარმოადგინეს. მე

<sup>281</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

<sup>282</sup> აქ საუბარია ვაჟა-ფშაველას ლექსების ციკლზე „ქებათა-ქება“, რო-მელიც დაიბეჭდა გაზეთ „კვალის“ 1893 წლის ნოემბერ-დეკემბრის 49–52 ნომრებში.


<sup>283</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

<sup>284</sup> „და-ძმა“ – დავით ერისთავის ისტორიული დრამა.

მგონია შენც უნდა წაგეკითხოს. კვირას „სამშობლოს“<sup>285</sup> არ-დგენენ. იმედია კიდევ ჩამოხვალ და გვნახავ. შენი გულქანა რასა შეება? დიდის პატივისცემით მომიკითხე თიკა, შუშანა და ყველანი მანდოურები.

სონამ (ციციანოვამ) და ელიკომ მოგიკითხეს.

**შენი ძმა ლევან**



---

<sup>285</sup> „სამშობლო“ – ვალერიან გუნიას დრამა.

**გიორგი თუმანიშვილის  
წერილები**

№1.

დოკ. 20/15 (9)<sup>286</sup>

## ბატონო თედო!

ამ თვის 28 რიცხვს გორში, მიროვოი სუდში, ეს მეოთხეჯერ დანიშნულია გასარჩევათ ჩვენი დავა ფალელაშვილთან მიწის თაობაზედ. უკაცრავად, რო ამის თაობაზე მინდა ცოტაოდნად შეგანუხოთ თქვენ და გთხოვოთ ერთი ამბავი მომწეროთ.

როგორც თქვენ იცით, რადგან დაესწარით, როცა მე და ზემლემერი ვიყავით მანდ, ჩვენი მოურავი კარგო ტერმარკოზაშვილი აბრალებდა ფალელოვს მიწას მართმევსო. ამის შემდეგ კარგო ჩამოვიდა აქ და გამომიცხადა, რო ძალით წამართვესო მიწა ფალელოვმა და სარქისა ტერმარკოზაშვილმა. რადგან ფალელოვი გვედავებოდა, მე ვუჩივლე სუდში ამას. ეს კი ეხლა სუდში იძახის, რო ამ საქმეში არ გავრეულვარო. და სარქის ტერმარკოზაშვილმა აიღოო მიწა. ამის დასამტკიცებლად მოწმე[ე]ბიც კი დაიბარა 28 რიცხვისათვის სუდში. თუ ეს მართალი გამოდგა, ჩენი საქმე წაგებული იქნება, რადგან ფალელოვს ვუჩივლოდი, და სარქის ტერმარკოზოვთან ხელახლად უნდა დავიწყო დავათ. თუ მართლა ფალელოვი ამ საქმეში არ იყო გარეული, მიკვირს კარგო სულ იმაზე რათ მელაპარაკებოდა და იმას აბრალებდა ყველაფერს. თუ საქმე წავაგე, მე ისე ვიქნები დასაჯული სუდები იზდერუკით, რამდენად-აც მიწა არა ღირს. არ მესმის ტყუილ-უბრალოთ კარგო რათ მაზარალებს ამ დავით. დიდი მაღლობელი ვიქნები თქვენი, რო შემატყობინოთ ამ საქმის გარემოება, ნამდვილი ამბავი, როგორ იყო საქმე.

თქვენი პატივისმცემელი  
გ- თუმანიშვილი  
16 ნოემბერი. 1897 წ.  
თბილისი

<sup>286</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

№2.

დოკ. 20/15 (10)<sup>287</sup>

[1897]<sup>288</sup>

## ბატონო თედო!

ძლიერ მადლობელი ვარ, რო დაწვრილებით შემატყობინეთ ყველა გარემობა ჩვენი დავისა ფალელიშვილთან. მე ამ წერილით ვისარგებლე და გორში სუდიას ყველა მივწერე. იქიდამ ეხლა მატყობინებენ, რო საქმე ჩვენ მოვიგეთ 28 ნოემბერს. ხოლო არ ვიცი, შეგვიძლიან ჩვენ ვთხოვოთ სუდიას **предварительное исполнение решения** თუ არა. თუ გორში ჩახვიდეთ ამ დღესასწაულებში, ნუ დაიზარებთ ჰკითხოთ სუდის სეკრეტარს ამის თაობაზე და აგრეთვე გაიგონ, შეუტანია თუ არა მას შემდეგ ფალელოვს საჩივარი მიროვოი სუდიაზე თუ არა. ყველა ეს რო შემატყობინოთ, ძლიერ მადლობელი დავშთები.

თქვენი პატივისმცემელი  
გიორგი თუმანიშვილი

<sup>287</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით. წერილისთვის გამოყენებულია გაზეთ „Новое Обозрение“-ს რედაქციის ბლანკიანი ფურცელი.

<sup>288</sup> გ. თუმანიშვილის ეს დაუთარილებელი წერილი შინაარსობრივი გაგრძელებაა 1897 წლის 16 ნოემბრის №20/15 (9) წერილისა; ის დაწერილია სადაო მიწის ნაკვეთის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ დღეებში.

**ნიკოლოზ (ნიკო) ასათიანის  
წერილები**

№1.

დოკ. 20/15 (2)<sup>289</sup>

[1891]<sup>290</sup>

## საყვარელო ძმაო!

ისეთი ბოლმა მომდის და დაფანტულია ჩემი გონება, როთ, თუ დალაგებით ვერ მომიხდეს წერა – თუ გამკიცხავ.

აი, რაშია საქმე, გუშინ წინ ჩამაბარეს უწყება თბილისის საოლქო სამსჯავროსი (ოკრუჟნი სუდი), რომლითაც ვარ დაბარილი მოწმათ ახალციხეში 23-ს ამავე თთვისათვის. თუ არ დევესწარ არ შეიძლება. ამიტომ 18-ს ოთხშაბათს უნდა ღვ-ინოები გავგზანო, და პარასკევს 20-ში მე წავიდე. ამისათვის არის საჭირო ფული არა ნაკლებ 30 მანეთისა. თუმც ვაპირებდი ამ თვის გასულს და შენაც შემპირდი: „მანობამდი ჯამაგირი მომივაო“, მაგრამ გარემოება კი იძულებულს მხდის ადრე წავიდე, რის გამოც კიდევ და კიდევ შენ უნდა შეგაწუხო, არა მაქვს სხვა იმედი – შენს გარეშე, შენი ჭირიმე, ერთის სიტყვით, საუკუნოთ დამავალებ, გაძლევ პატიოსანს სიტყვას და ჩემს სინიდისის თავდებათ....<sup>291</sup> მალე მოგაშველებ ფულს, სრულიათ გამოგიგზანი იცი დღის განმავლობაში, არ დავხედავ ფარას, გავყიდი თუ არა მაშინათვე გამოგიგზანი, ესეც რომ არ იყოს, იქ მამაჩემს გამოვართმევ და გამოგიგზავნი...

თედოჯან, შენი ჭირიმე, ხვალ მაინც კვირაა, თავისუფალი ხარ სხავლისაგან, ხვალ ადრეან ჩამოდი აქ, შემდეგ გორში გადი და რომელიმე ნაცნობისაგან ხელი მოინაცვლე, გამოართვი თუნდ სარგებლით, რასაც მისცემ გადამხდელი ვარ. ერთის სიტყვით არ ვიცი რა რიგ სიტყვით მოგმართო, რომ აგიხ-სნა ჩემი თხოვნა ისეთ რიგათ როგორათაც ვსაჭიროებ შენს დახმარებას და ძმობას ამ საქმეში და მეგობრობას საუკუნოდ.

თუ რომ ხვალ წამოიღებენ სასუქს (ფეინიმს) ურმებით, [ე]გეც დამოკიდებულია შენზედ: თუ ურემზე 13 კაპიკს იშოვი ხიდის ფული გასვლა-გამოსვლის გარდასახადს რამდონი

<sup>289</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

<sup>290</sup> სავარაუდოდ, წერილი დაწერილია თედო რაზიკაშვილის დაოჯახების შემდეგ, მისი პირველი შვილის, გულქანის დაბადებამდე (წერილის ბოლოს ნახსენებია თედოს მეუღლე, მაგრამ არ არიან მოხსენიებული თე-დოს შვილები).

<sup>291</sup> ტექსტი დევექტურია.

ურემიც ... [გამ]ოიანგარიშე<sup>292</sup> ხომ კარგი, თუ შენ ვერ იშოვი ხიდის ფულს, ნუ წამოიღებენ, რომ მე აქ შანა<sup>293</sup> არა მაქვს თვალებზე მოვისვა.

შენ უეჭველად უნდა ჩამოხვიდე, 16-ს ორშაბათს ფული უნდა ხელში მქონდეს.

პატივისცემით მოკითხვას მოგახსენებთ, როგორც მე ეგრეთვე ნინო და პელოც – თიკოს, შუშანას, მაშოს და გაბოს. განსაკუთრებით მოკითხვა ქალებისაგან თიკოს.

### შენი ძმა და წრფელი მეგობარი ნიკო ასათიანი

P. S. მართლა, კინალამ დამავიწყდა: გარდა ურმების ფულისა – კიდევ ვსაჭიროებ ერთ მანეთს, ბოჭკის გასაკეთებელი უნდა მივცე ხვალ გორში. ეს ერთი მანეთი იქნება გამოატანო წყალობას დილითვე.

ნიკო ასათიანი  
**14-ს გიორგობის თვე**

№2.

დოკ. 20/15 (1)<sup>294</sup>

**ძვირფასო ძმაო თედოჯან!**

რასა იქ და როგორა ხარ. რატომ არ ჩამოხვალ. მე მოცალება არა მაქვს და ვერც მიმიტო[ვ]ებია სახლი მარტო.

პატივისცემით მოვიკითხავ ჩემს დას თინათინს, შენს ბალდს დაგიკოცნი. მრავალ მოკითხვას მოვახსენებ შუშანას, მომიკითხე გაბო და მაშო.

ნინომ და პელომ სიყვარულით მოიკითხეს თინათინი, შუშანა, მაშო. [შე]ნც პატივისცემით მოგიკითხეს [აგრეთ]ვე ჩე-

<sup>292</sup> ტექსტი დეფექტურია.

<sup>293</sup> შანა – ავი თვალისაგან დასაცავი შელოცვილი საგანი.


<sup>294</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

მმა უცნობმა მშობლებმა [მა]. [პატ]ივისცემით მოგიკითხეს [...] ობით<sup>295</sup> ერთობრივ.

ჩემმა ძმამ ვანომ განსაკუთრებით მოგიკითხა – ქუთაისი-დან. თედო, ხვალ შეგირდები დათხოვნილი გეყოლება, ზეგაც ახალჯვრობას. გთხოვ, უმორჩილესად, ჩამობრძანდეთ ყველანი. შენ, თინათინი, ბალლით, შუშანა, მაშო. იმედი მაქვს, მეწვევით. მოლოდინი ვარ თქვენი. მეც გნახავთ.

ნახვამდის, მეჩქარება, წყალობას დაუგვიანდა მანდ წა-მოსვლა.

შენი ძმა მეგობარი ნიკო ასათიანი  
5-ს აპრილს  
1893 წელი



---

<sup>295</sup> ტექსტი დეფექტურია.

აპოლონ წულაძის  
წერილები

№1.

დოკ 20/15 (24)<sup>296</sup>

23 ოქტომბერი. [1914 წ.]<sup>297</sup>

**ძვირფასო მამულისშვილი, ტკბილო მგოსანო  
და გულითადო მეგობარო ბ-ნო თედო!**

ამაყ მთის შვილს ჭაობიანი გურიის შვილი გიძღვნის გულითად სალამს და გიგზავნის წრფელ მოკითხვას. გიძღვნი გულსავსებით მადლობას იმ ოჯახიშვილური დახვედრისა და პატივისცემისათვის, რაც მე თქვენგნით ვიგემე. ვეცდები გაგიმართლო იმედი და სამაგიერო ყურადღება მეც დავიმსახურო. დარწმუნდი ბევრ ოჯახს ვიცნობ მაგრამ ჯერ არ მინახავს „ქართულ-ევროპული“ ოჯახი. ამისი პირველობა გეკუთვნის შენ და ბარაქალა... ეჲ! ბევრი რამე მინდა ვთქვა მაგრამ სჯობს დავდუმდე, რადგან თვით საქმე ჩემზე მჭერ-მეტყველია... გთხოვ გადასცე ჩემი წრფელი სალამი ძვირფას თქვენს ოჯახობას – მომიკითხე თქვენი ანგელოზი გოგუცუნები. გადაეცი პატარძალ გულქანს რომ მისი ტარიელი ილიკო აქ არის ოზურგეთში მაგრამ დიდათ მოწყენილია. განსაკუთრებით გაურბის ქალთა საზოგადოებას. ვნახე მისი მამიდა, ძრიელ ყოჩალი ქალი, ჩემი კარგი მეგობარი და როცა დავარწმუნე გულქანის „გულ ქალობაში“ სიხარულის ცრემლი ღვარა... ერთი სიტყვით მოხარულია მთელი გურია, რადგან ფშაველთან მოყვრობა სწყურია (ლექსი არ გეგონოს!).

ამის შემდეგ ბატონო თედო! მინდა ერთი რამ დიდი საქმით შეგანუხო და გთხოვ ამ ჩემს თხოვნას დიდ კადნიერებათ ნუ ჩამითვლი. საქმე აი რაშია: სახლში რომ ჩამოვედი ფარაონის დროინდელი სიმშილი დამხვდა, სიმიზნიდის ფქვილი 120 კაპ. ფასობს. ნუ გაიკვირვებ და მე ამ ხანად ათი შაურიც რომ იყოს მე არ[ც] ის მაქვს. ამისათვის უმორჩილესათ გთხოვ ნუ დაიზარებ და ეს ჩემი გულითადი სურვილი და აუცილებელი საარსებო ჩემი შვილების შემისრულებელი ვფიცავარ ჩემს წმიდა წმი-

<sup>296</sup> ხელანწერი ორფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

<sup>297</sup> წერილი დაწერილია თედოს ქალიშვილის, გულქანის ნიშნობიდან – ჯვრისწერამდე პერიოდში. ქორწილი იყო 1914 წლის 6 აგვისტოს. იხ. რაზიკაშვილების მიმოწერა, თბ., ლიტ. მუზეუმი, 2011, გვ. 88.

დათას რომ რაც ხარჯი მოუნდება ორი თვის განმავლობაში დიდის მადლობით მოგართმევ. აი მოკლეთ ჩემი თხოვნა. რაც შეიძლება ადრე ექმუდარები გამომიგზავნო ორი ტომარა [სულადი] ერთი ფქვილი და ერთი ხორბალი. სულ ათი თორმეტი ფუთი.

თედო ჩემო დარწმუნდი რო ეს ჩემი უუუმაღლესი დახმარება იქნება უკიდურესი გაჭირვების დროს. ერთი სიტყვით ამ 10-15 დღეში მოველი აქ ერთ ტომარა ფქვილს და ერთს ხორბალს „პურსა არსებისასა ჩემი<sup>298</sup> ობლებისა“. გზის ხარჯი რაც მოგინდება შეგიძლია ფასდადებით. თუ დიდათ მეტი არ დაიხარჯება გთხოვ გამოგზავნო „დიდი სისწრაფით“ (ბოლ. სკორ.)

მისამართი: საბუთისათვის (Конусамეტъ)<sup>299</sup> ასე გამოგზავნება: იითანები<sup>300</sup> – ვასილი კოლათაძე.

ნუ დაიზარებ მაცნ[ო]ბო წინა წინ ლია ბარათით პასუხი იგზავნება თუ არა. ეს აქედან შეგიძლია ვინმეს გორში ორი თვით მითავდებო და იქიდან გამომიგზავნო.

მარად და მარად აპოლონ ნულაძე  
ლია ბარათი ამ მისამართით: იზურგეთი. აპოლონ ცულაძე

## №2.

დაკ. 20/15 (26)<sup>301</sup>

20 თებ. [1918-1919]<sup>302</sup>

## ძვირფასო თედო!

გისურვებ ყოველივე კარგს. გულით მხიარული ვიქნები თუ შენ შენი ძვირფასი ჯალაბით კარგად იქნები. ჩემო თედო, გულქანის მდგომარეობა ძლიერ მაღლნებს და მაფიქრებს. დამერწმუნე ისე კვნესის ჩემი გული, გინდ ჩემი ასული იყოს. მე მას აქ

<sup>298</sup> ხელნაწერში ეს სიტყვა ორჯერად დაწერილი.

<sup>299</sup> უნდა იყოს „Коносамент“ (რუს.) – საბუთი, რომელსაც ტვირთის გადამზიდავი აძლევს ტვირთის მფლობელს.

<sup>300</sup> ნატანები – თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

<sup>301</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

<sup>302</sup> თედოს პირველი შვილი – გულქანი ტუბერკულოზით გარდაიცვალა 1919 წლის ივნისში. ა. ნულაძის ეს ნერილი გულქანის ავადმყოფობის ბოლო პერიოდში უნდა იყოს დაწერილი.

სრულიად მოულოდნელად შევხვდი... ქობულეთში საქველმოქმედო საზოგადოებას საავათყოფო აქვს. მართალია ის დანიშნულია მუსულმანთათვის, მაგრამ გამგეობის ნებართვით ექიმის ნება იქნება სხვაც მიიღოს. იქ (ამ პირობებით) გვინდოდა გაგვეგზავნა მგოსანი აბაშელი, მაგრამ მას სოხუმში გაუჩნდა ჭირისუფალი. ამიტომ მე ვიფიქრე თუ გულქანს ქობულეთი კი მოუხდებოდა, გაგვეგზავნა იქ. ოთახი, ბინა (დაჯდება თვეში 15-20 მ.) შენ უნდა იკისრო. დანარჩენს კი: მოვლა, წამალი, სასმელ-საჭმელი საავათყოფოდან ექნება. ექიმათ არის იქ ანდრო ბენაშვილის ძმისწული და მისი მეულე მახარაძის ასული. ორივე კარგი ადამიანი[ა] და არაფერს მოაკლებენ. მეც ხშირათ ვინახულებ და ჩემს იქაურ მეგობრებსაც ვთხოვ თვალყური დაიჭირონ. საქველმოქმედო საზ. თავმჯდომარეს მიხ. ვახ. მაჩაბელს მოველაპარაკე და ის თანახმაა. მხოლოდ შენ უნდა ამოხვიდე და სთხოვო. ნუ დააყოვნებ ნურც ერთ დღეს, ჩამოდი დაუყოვნებლივ ინახულე ექიმი ივანე ელიაშვილი, შენი ნაცნობია ალბათ, ცხოვრობს საპიარის ქუჩაზე, სახაზინო თეატრის უკან, თუ არ იცნობ მასთან შეგყვება ნინო ნაკაშიძე. ეგ საქმე მასაც ეკითხება, იმავე ბინაზე ქვემო სართულში მაჩაბელი ცხოვრობს და ელიაშვილი მასთან შეგყვება და ორივე მოელაპარაკებით და ესენი წერილს მოგცემენ ქობულეთის ექიმ ბენაშვილთან. მერე წაიყვან და იქ დააპინავებ. თუ ამას ჩემს აქედან წასვლამდე იქ[მ] კარგი იქნება, მაშინ იქნებ ერთად ვიმებზავროთ და იქნებ შენც აღარ დარჩე და მე წავიყვანო. ექიმი გომართლის ბარათს გიგზავნი და უჩვენე ელიაშვილს. ნუ ირცხვენთ,<sup>303</sup> შენი ბიუჯეტიც უთხარი, რომ 3 მოსწავლე შვილი გყავს და უადგილოთ ხარ. შეძლება კი აქვს საქ. საზ.<sup>304</sup> გომართელმა სთქვა, რომ ძლიერ კარგი იქნება თუ ქობულეთში მაისის გასვლამდე დარჩება და მერე მთის ჰაერზეო. თუ ქვეყნა არ დაიქცა მერე მე წავიყვან ხულოში (ზემო აჭარაში). ხულო ბახმაროს არ ჩამორჩება. გულქანს ნუ შეაშინებ, გულგასახეთქი არაფერია, მაგაზე უარესი ავათყოფი განკურნებულა. ნურც გომართლის ბარათს უჩვენებ. მე მნახე ბოლქაძის ბინაზე. გულქანმა იცის. აქ დავრჩები ოთხშაბათ-ხუთშაბათათვადე. მოგელი.

აპოლონ

**გულითადი მოკითხვა თქვენებს. აპ. წულაძე<sup>305</sup>**

<sup>303</sup> ხელნაწერშია: „ირცხეთ“.

<sup>304</sup> ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.

<sup>305</sup> წერილის დასასრულისთვის განკუთვნილი ეს წინადადება აპ. წულაძეს უადგილობის გამო პირველ გვერდზე მიუწერია.

# ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის წერილი

№1.

დოკ. 20/15 (4)<sup>306</sup>

## ძმაო თედო!

მივიღეთ შენ მიერ გამოგზანილი ხალხური ნაწარმოების რვეულები, რისთვისაც მმართველობა ჩვენის ამხანაგობისა დიდს მაღლობას გიძლვნის და კვალადაც მოლოდინშია, რო ყოველთვის ხელს მიაწვდი და მხარს მისცემ შენის შეძლების და გვარ ამ ჩვენს ახალ ამხანაგობას. ჯერ ჯერობით არ გაუშინჯნია არც რედაქციას და არც ჩვენ, მმართველობას; მაგრამ მაინც ერთი სათხოვარი მაქვს შენთან და იმედი მაქვს, უარს არ შემომითვლი. აი თვით თხოვნაც:

მე ვძეჭდავ ერთ საყმანვილო წიგნს (სახელმძღვანელოს)<sup>307</sup> და თუ იმ შენგნით შენაკრებ მასალაში მომენტია რამე, ნება მომე 10 ლექსი, ამდენივე ანდაზა და გამოცანა ამოვილო, თუნდა რომ ის ჩემი წიგნი თქვენს შრომაზე ადრე დაიბეჭდოს, იმ პირობით, რასაკვირველია, რომ მოვიხსენიო, თუ საიდგანა მაქვს ის ლექსები აღებული (რაზიკაშვილის კრებულიდგან). ამასთანავე თუ შესაძლოდ დაინახო ერთი [საიმაოდ] საყმანვილო ზღაპარიც ამომირჩიე მაგ შენი რვეულებიდგან და გამომიგზავნე. იმედი მაქვს შეუძლებლად არ მიიჩნევთ ამ ჩემს თხ-

<sup>306</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 189.

<sup>307</sup> ლადო აღნიაშვილს 1892 წლიდან განსაზღვრული ჰქონდა ქართულ ანბანზე აწყობილი, სხვადასხვა თემატიკის აღმზრდელობითი შინაარსს საყმანვილო წიგნების – „ახალი ანბანის“ გამოცემა; ამ გამოცემის მეორე წიგნი „ბანი“ ითვალისწინებდა ქართული ხალხური ლექსების დაბეჭდვას. წერილის მიხედვით, ავტორს სურდა თედო რაზიკაშვილის მიერ შეგროვებული ხალხური პოეზიის ნიმუშების შეტანა თავის საბავშვო გამოცემაში. აღსანიშნავია, რომ ლადო აღნიაშვილმა 1892–1893 წლებში „ქართველთა ამხანაგობის სტამბაში“ დაბეჭდა ამ სერიის 8 წიგნი „ანი“-დან „თან“-მდე.

ოვნას და მით საუკუნოდ დაავალებ შენს მარად

**ლადო აღნიაშვილს  
4 იანვარს, 1891 წელს**

ე. კ. პასუხი რო მომწერო, შიგ მოიხსენიე, რო ნებას მაძლევ  
შენის შრომითგან სარგებლობისას, მხოლოდ საყმაწვილო გა-  
მოცემისათვის და ოუ გინდა რიცხვიც დამისახელე 10, 6 ან  
მეტი ან ნაკლები. უკაცრავად, რო ესეთი უთავბოლო წერილი  
მომივიდა – ათი კაცი მადგა თავს და ყველას პასუხი უნდა.

**შენი ლადო აღნიაშვილი**

# ივანე მაჭავარიანის წერილი

№1.

დოკ. 20/15 (13)<sup>308</sup>

21. III. 1894 წ.<sup>309</sup>

ბატონ თ. რაზიკაშვილს

ბატონო თედო! გამგეობა „ქ. ამხანაგობისა“ თქვენს კითხვაზედ ვერც ჰოს მოგახსენებთ, ვერც არას, ვიდრე ბაჩანას ნაწერებს არ ნახავს. რაკი შეგროვილი ჰქონია, გვაჩვენოს და მაშინ შეიძლება ჩვენი პასუხიც მოგახსენოთ და პირობაც დავდოთ რამე.<sup>310</sup>

თქვენი მარად პატივისმცემელი ივ. მაჭავარიანი

<sup>308</sup> ლია ბარათი მისამართით: Въ г. Гори. Г-ну Учителю Хелтубанской школы Феодору Павловичу Разикашвили. დაწერილია შავი მელნით.

<sup>309</sup> დათარილებულია ლია ბარათის მიხედვით.

<sup>310</sup> ნიკო რაზიკაშვილის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ პოეტს სურდა თავისი რჩეული ნაწერების გამოცემა (იხ. ბაჩანას 20/4-ის №9 წერილი). სანდო რაზიკაშვილთან ინახებოდა პოეტის მიერ რედაქტირებული თხზულებები, რომლებიც ლიტერატორსა და მკვლევარს სოლომონ ყუბანეიშვილს ბაჩანას პოეზიის 1938 წლის გამოცემაში გამოიქვეყნებია. როგორც წერილებიდან ჩანს, ბაჩანას ადრევე დაუწყია ამაზე ზრუნვა, თუმცა, ობიექტურ მიზეზთა გამო, ეს ჩანაფიქრი სისრულეში ვერ მოუყვანია.

# ელენე (ელიკო) წერეთლის წერილი

№1.

დოკ. 20/15 (21)<sup>311</sup>

[8 თებერვალი. 1894 წ.]<sup>312</sup>

მადლობას მოგახსენებთ, მგოსანო თქვენის სალამისთვის, მაგრამ კავიმ მგონია მართალი სთქვა, თედო შენ დაგცინისო. სამაგიერო სალამს გიგზავნით მეც, მაგრამ დაცინვით კი არა, მართალი გულით. დიდის სიყვარულით მომიკითხეთ თიკა და შუშანა და დამიკოცნეთ პატარა გულქანა. აგრეთვე მომიკითხეთ მარო, ოლა და სხვანი.

თქვენი პატივის მცემელი  
ელიკო წერეთელი

# ვალერიან გუნიას წერილი

№1.

დოკ. 20/15 (7)<sup>313</sup>

26 ნოემბერი. 1896 წ.

ბატონო თედო!

თქვენი ახალი ამბეჭი მივიღე და ამდღეებში დაიბეჭდება. სრულს ჩემს თანხმობას ვაცხადებ თქვენი ნაწერების სასყიდელზე. საქმე ის არის, რომ ბევრის მოცემა არ შეგვიძლია.

<sup>311</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

<sup>312</sup> ხელნაწერზე თარიღი განსხვავებული ხელით, ფანქრითაა მიწერილი.

<sup>313</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით. წერილისთვის გამოყენებულია გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციის შტაბიანი, თარიღიანი ფურცელი. ქალალდი ჭვირნიშნიანია. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 190.

ორი სტრიქონი სამი კაპეიკი (строчки по 1.1/2 капеики). გაზეთს გიგზავნით, ხოლო მოგვიტევეთ, რომ პირველი ნომრები<sup>314</sup> აღარ მოგვეპოება, სულერთიანად გავიდა. აბა რას ვიფიქრებდით, რომ ათას რვაასამდე ავიდოდა ჩვენი ხელის მომწერთა რიცხვი. სულ მანათიანების ბრალიკია. საქმე მომავალია. ვნახოთ, როგორ წავა საქმე დამდეგ წელს. იმედი გვაქვს, რომ არ დაგვივიწყებთ და დროგამოშვებით მოგვაწვდით ახალ ამბებს იმ უბნისათვის.

პროგრამის გადიდებას დამპირდნენ და პირველ იანვრიდან იმედი მაქვს საქმე უკეთ წავა. მანამკი ხელფეხი შეკრული გვაქვს. აბა თქვენ იცით როგორ შეგვიწყობთ ხელს ამ ახალ საქმეში, თუ საქმე ცოტათი მაინც კარგად წავიდა დამდეგ წელს შეიძლება რომ თვიურადაც მოვრიგდეთ.

### თქვენი ვალერიან გუნია

ამასთანავე მარკებს გიგზავნით წერილებისათვის. სულ ათია.

<sup>314</sup> ვალერიან გუნიას ეს წერილი დაწერილია მისი რედაქტორობით გაზეთ „ცნობის ფურცლის“ გამოცემის პირველ წელს. როგორც ცნობილია, ყოველდღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იბეჭდებოდა ობილისში 1896–1906 წლებში.

# ნიკოლოზ ნათიძის წერილი

№1.

დოკ. 20/15 (14)<sup>315</sup>

**ძმაო თედო!**

მოგიკითხავ სიყვარულით. იცოცხლე და იყავ გამარჯვებული ყველგან და ყოველფერში შენი ცოლშვილით.

თედო, რას გეხვეწები! ერთი ფუთი ვაშლი – მხოლოდ მარტო კალვილი<sup>316</sup> უნდა მამყიდო, რასაკვირველია თუ მეტად არა, იმ ფასად მაინც, როგორც სხვაზედ სყიდი. მე ამ ბიჭმა, რომელსაც წერილს ვატან, მითხრა, რომ დაკრიფა და კიდეც გაყიდაო, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ შეინახავდი შენთვისაც და სწორედ იქიდამ უნდა დამითმო. ერთი სიტყვით, ძრიელ დამავალებ. მინდა პეტერბურგში გავგზავნო ფეშქაშად და თუ კარგი არ იქნება, არა ღირს გასაგზავნად. ამისთვის მინდა კალვილი იყოს მარტო და გთხოვ შემისრულო თხოვნა და მომყიდო ერთი ფუთი. ვერსად გნახე, რომ მეთქო წინად და მეც ქართველურად მიუგდე ყური და არაფერი მოგწერე. გთხოვ, შემატყობინო იქნება ამავე ბიჭის საშუალებით, მიშოვნი თუ ვერა. მაგრამ, შენი ჭირიმე, უარი არ შემომითვალო. მოკითხვით მე მოვიკითხავ.

იმყოფებოდე მშვიდობით. მე ეხლა ეკულესიასთანა ვცხოვრობ იმ სახლში, სადაც აფიცრები დგანან.

მღ. ნ. ნათიძე  
29. სექტ. 1904

<sup>315</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

<sup>316</sup> კალვილი – ფრანგული ჯიშის ვაშლი.

# ნინო ნაკაშიძის წერილი

№1.

დოკ. 20/15 (16)<sup>317</sup>

13 იანვარი. 1911

დიდად პატივცემულო ბატონო თედო!

შარშან რაღაცას გვიწყრებოდით მგონია, თორემ ერთ მოთხ-რობას ხომ მაინც გამოგვიგზავნიდით. წრეულს იმედია გულს მოი-ბრუნებთ ჩვენკენ. მომწერეთ რა უნდა მოვიმოქმედოთ იმისთან[ა], რომ მოგაბრუნებინოსთ გული და თქვენებურად მშვენიერი მოთხ-რობები დაგანერინოსთ. ჩვენ თუ გვიწყრებით ბავშვებს რისთვის აკლებთ მოთხრობებს, განა ამის უფლება გაქვსთ თქვენ, როგორც მწერალს? გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა „ნაკადულის“ სვებედ-ში, ისე როგორც ლებულობდით და მოთხრობები მოგვაწოდოთ, ჰონორარს რასაკვირველია მოგართმევთ.

ამას გარდა აქ ჩვენთან რედაქციაში ს. გოგლიჩიძე იყო და მითხრა, რომ ჩემი ხელის მომწერლების სია გადავეცი თედო რაზიკაშვილის ძმისწულს<sup>318</sup> მასწავლებელსო და იმას მიმარ-თეთო. გთხოვთ ამიტომ თქვენ რომ გადასცეთ თქვენ ძმისწულს რომ გოგლიჩიძის ხელის მომწერლებისაგან ფული არავისაგან არ მიგვიღია აქ შარშანდელი წლის და რადგანაც თავისთავზე მიუღია დაგვეხმაროს, აკრიბოს და საჩქაროდ გამოგვიგზავ-ნოს. ამას გარდა, მოგვწეროს ამ წლის ვის გაუგზავნოთ, თორემ ისე ძნელი იქნება ჩვენთვის. 1 № ამ რამოდენიმე დღეში გამოვა და საჭიროა პასუხი ჩქარა მივიღოთ, რომ ნომრები ყველას თავ-ის დროზე მიუვიდეს. თქვენც გთხოვთ დაგვეხმაროთ უურნალის გაურცელების საქმეში. რატომ არ შემოიარეთ ერთი ჩვენ რედაქ-ციაში? ჟურნალი წრეულსაც გამოგიგზავნოთ თუ არა?

თქვენი პატივისმცემელი  
ნ. ნაკაშიძე

<sup>317</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით. წერილისთ-ვის გამოყენებულია საყმანვილო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციის შტამ-პიანი, თარიღიანი ფურცელი. წერილი გამოქვეწებული იყო საქ. სახ. საჯა-რო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 190.

<sup>318</sup> სავარაუდოდ, თედოს ძმისწული უნდა იყოს ბაჩანას (ნიკო რაზიკაშ-ვილის) შვილი ივანე, რომელიც პედაგოგად მუშაობდა სოფელ ქვემო ქედში.

# იოსებ გრიშაშვილის წერილი

№1.

დოკ. 20/15 (6)<sup>319</sup>

25. 05. [1917]<sup>320</sup>

პატივცემულო თედო!

მინდა დავბეჭდო ჩემი უურნალი „ლეილა“... და მსურს, რომ  
ამ მწერალთა თაიგულს თქვენი ყვავილიც ამშვენებდეს. მინ-  
და დავბეჭდო თქვენი ერთი ლექსი „ახალ თაობას“.<sup>321</sup> ეს ლექსი  
გადაცემული იყო დასაბეჭდად. 1908 წელს უურნალ „ნიავში“  
დაიბეჭდა, მაგრამ ცენზორმა აკრძალა და გასაყიდათ არ გა-  
მოსულა. თუ ნებას მომცემ გადავბეჭდავ: კარგი? მომწერეთ  
დასტური.

პატივისცემით ი. გრიშაშვილი

<sup>319</sup> ლია ბარათი მისამართით: გორ. გორი. ფეოდორ პავლი რაზიაშვილი. თედო რაზიაშვილს. От Гришашвили. Почт. Отд. 190. Редакція „Сахалхо Пурцели“. დაწერილია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. საქართ ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 191.

<sup>320</sup> წერილი დათარიღდა ტექსტის შინაარსის მიხედვით: უურნალი „ლეი-  
ლა“ (ლიტერატურული კრებული) გამოიცა თბილისში, ი. გრიშაშვილის რე-  
დაქტორობით, 1917 წელს.

<sup>321</sup> თედო რაზიაშვილის ლექსი ამ სათაურით არსად არ გამოქვეყნებულა.

# ალექსანდრე (ასიკო) ერისთავის წერილი

№1.

დოკ. 20/15 (8)<sup>322</sup>

[1890 წლის შემდეგ]<sup>323</sup>

ძმაო თედო. ეს ორი დღეა დღეს, რაც კატალოგი მომივიდა. ერთ ეგზემპლარს თქვენ გიგზავნით. – ვვიწერ ხოლმე „Греческая Сабур...“ [ჩინებული [სორტებია]. – მეც მრავალ მოკითხვას გითვლი. – რადგანაც შენ ქალების მოყვარული ხარ, ამ დღეებში გადმოგიგზავნი ერთ ლამაზ ახალგაზრდას (...ინარ სილამაზის), რომელსაც რაღაც საქმეები აქვს გასაკეთებელი და შენ გაუკეთე საქმეც და სხვაც. – თედო, შენი ჭირიმე 5 მანათი მასესხე, სარს გავყიდი და მოგართმევ. – თქვენები სიყვარულით მომიკითხე. – 7 მარტს...<sup>324</sup>

შენი ძმა ასიკო ერისთავი.

გიგზავნი მიხეილ ერისთავის ლექსს, როცა გნახამ გიამბობ რისთვისაც დაწერა ეს ლექსი. – ეს ჩემი ბიჭი მალე გამოისტუმრე.

<sup>322</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

<sup>323</sup> წერილი დაწერილია 1890 წლის (ასიკო ერისთავის) გაცნობის შემდეგ.

<sup>324</sup> კალიგრაფია გაურკვეველია.

# არისტო ქუთათელაძის წერილი

№1.

დოკ. 20/15 (18)<sup>325</sup>

7 მარტი. [ 1902–1917]<sup>326</sup>

ძვირფასო თედო!

უკაცრავად მოგონებისათვის! რადგან, ჩემო თედო, 15 მარტიდან ვიწყებ ბეჭდვას, თუ რამე დაამზადეთ, არ იქნება ცუდი, რომ გადმომიგ ზავნოთ. რადგან წიგნი შესდგება წელიწადის ოთხის დროიდან, ამის მიხედვით, შეიძლება მზად გქონდესთ შემოდგომა. თუ ზამთარიც მზად გაქვსთ – კიდე უკეთესი. თუ გაზაფხულიც<sup>327</sup> მზადაა, ეგ ხომ მოსწრება იქნება. ზაფხული ბოლოს დაიბეჭდება. მოკლედ რომ ვსთქვათ, შეიძლება მზად გაქვს: შემოდგომის ლექსი, ზამთრის ლექსი და გაზაფხულის. ერთის სიტყვით, ამ ანგარიშის მიხედვით, გთხოვ, რაც გაქვსთ, გადმოგზავნოთ.

თქვენი გულით პატივის მცემელი არისტო  
ადრესი: თიფლის, მოსკოვსкая N9. არისტ. ვას. კუთალაძე

<sup>325</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი ბელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 191.

<sup>326</sup> არისტო ქუთათელაძის სტამბაში წიგნები იბეჭდებოდა 1902–1917 წლებში, ქვემოთ მოყვანილი წერილიც, სავარაუდოდ, ამ პერიოდში უნდა იყოს დაწერილი.

<sup>327</sup> აღნიშნულ სტამბაში თ. რაზიკაშვილის ასეთი შინაარსის ლექსები არ დაბეჭდილა.

# იაკობ ცინცაძის წერილი

№1.

დოკ. 20/15 (19)<sup>328</sup>

[1911]<sup>329</sup>

ძმაო თედო!

ქართული სიტყვა-კაზმულ მწ. საზოგადოების საბჭომ გა-დასწყვიტა პირველ იანვრისათვის უეჭველად გამოსცეს სალიტერატურო კრებული „გრდემლი“.<sup>330</sup> ამ კრებულში ჰსურს მოათავსოს შენი პატარა მოთხოვბა „ქორის ბახალა“,<sup>331</sup> რომელიც უნდა დაბეჭდილიყო უურნალ „ნიავში“ კ. თუმანიშვილის რედაქტორობით.<sup>332</sup> ეს უკანასკნელი კრებული აღარ გამოვიდა, აյ დასაბეჭდი მასალა გადმოგვეცა ჩვენ და ახლა გვინდა ვისარგებლოთ ამ მასალით. ამიტომ გთხოვთ ნება დაგვრთოთ „ქორის ბახალა“-ს „გრდემლში“ დასაბეჭდავათ. თუ ახალი რამა გაქვს, ისიც გამოგვიგზავნეთ. პასუხს ამ ორ დღეში ველით. მასალები სტამბას შაბათს, 19 ამ თვეს უნდა გადავცეთ.

<sup>328</sup> ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით. წერილი გამოქვეყნებული იყო საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ზემოთ დასახ. კრებულში, გვ. 191.

<sup>329</sup> წერილი დათარიღებულია სალიტერატურო კრებულ „გრდემლის“ პირველი ნომრის დაბეჭდვის წლის მიხედვით (იხ. მომდევნო შენიშვნა). სავარაუდოდ, ის დაწერილია კრებულის გამოსვლამდე ერთი ან ორი თვით ადრე, – 1911 წლის ბოლოს.

<sup>330</sup> „გრდემლი“ – ქართული სალიტერატურო კრებული. გამომცემელი: ქართ. სიტყვაკაზმული მწერლობის საზ.-ბა. კრებულის I და II წიგნი დაიბეჭდა თბილისში, 1912 წელს.

<sup>331</sup> თედო რაზიკაშვილის აღნიშნული მოთხოვბა 1912 წლის იანვარში პირველად დაიბეჭდა სალიტ. კრებულ „გრდემლის“ პირველ წიგნში.

<sup>332</sup> „ნიავში“ – „სალიტერატურო კრებული“. იოსებ გრიშაშვილის ცნობით (რომელიც ამ გამოცემის კორექტორად მიუწვევიათ), უურნალი უნდა დაბეჭდილიყო 1907 წელს, მაგრამ ივანე გომართელის პიესის გამო, 1908 წელს აუკრძალავთ და ის შემდგომ წლებშიაც აღარ დაბეჭდილა.

დაძმურის სიყვარულითა და პატივისცემით მოვიკითხავ  
თქვენებს, დიდსა და პატარათ.

შენი ი. ცინცაძე  
მდივანი „სიტყვა-კაზ. მნ. საზოგადოებისა“

წერილი გამოგზავნე შემდეგის ადრესით: თიფლისъ.  
Измайловский переулокъ N2. Якову Цинцадзе.

## ირაკლი (კაკი) წერეთლის წერილი

№1.

დოკ. 20/15 (20)<sup>333</sup>

[1895]<sup>334</sup>

ძმაო თედო!

ჩვენ გავიგეთ შენი ავად-მყოფობა და ძალიან გვეწყინა. საახალწლოდ აქ მოგელოდით. იშტაზედ არა ვარ, თუ არა იმისთანა ლექსს მოგწერდი, რომ იმ წუთში მორჩებოდი.

მომიკითხე თიკა, შუშანა და შენი ორივე ბავშვი.

შენი კაკი

P.S. მარო კ... მომიკითხე.

ბატონო თედო!

მგონი დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი ავათმყოფობა დიდად გვაწუხებს ყველას. ღმერთსა ვთხოვთ კარგათ იყოთ

---

<sup>333</sup> სელანერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით. შეიცავს ორ მცირე წერილს.

<sup>334</sup> დათარიღებულია შინაარსის მიხედვით №20/9 (10) წერილის საფუძველზე.

და იცოცხლოთ მრავალს წელიწადს ჩვენი საყვარელი სამშობლოს გამოსადეგათ.

თქვენი პატივის მცემელი  
სონა ციციშვილი

## უცნობი ავტორის წერილი

№1.

დოკ. 20/15 (28)<sup>335</sup>

[1889–1890]<sup>336</sup>

ძმურათ მიყვარხარ და მეყვარები სანამ ცოცხალი დავიარები. სიზმარში სანახო ცხადათ კი სანატრელო  
თევდორე!<sup>337</sup>

ღმერთსა ვსთხოვ შენს დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებით ცხოვრებას. ჩემო ძმაო და მეგობარო თედო, მივიღე შენი წერილი რომელმაც თქვენს ნახვასთან გვასიამოვნა. მხოლოდ იმან კი შემაწუხა, რომ დედა ყოფილან ავათ მარამ მადლობა ღმერთს რომ უკეთ შაქნილან. თედო ისეთი არა არის რა რომ ღირდეს მოსანერად და ან წასაკითხათ. როგორც იცით სოფლისა ანბავი ჭორი უსიამოვნობა და ცუდი სიტყვები ისმის. თუ კაცი აჰყვებით ის უარესი გახდება და მე არ მიყვარს და არც საჭიროთ ვხედამ რომ ვისმეს გადავცე. რაც შექება აქაურს მასწავლებელს ჯერ ყაფაზაში<sup>338</sup> არის შემწყვდეული და არსად მიდის მიხაკოს და სოლომონ მღვდლის მეტთან. მიხაკო აქებს ჩვეულებისამებრ. ბოლო რა ექნება არ ვიცით,

<sup>335</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

<sup>336</sup> წერილი დათარიღებულია შინაარსის მიხედვით: ის დაწერილია თე-დოს მიერ სემინარიის კურსის დასრულების შემდეგ, 1889 წლიდან, პავლე რაზიკაშვილისა და მისი მეუღლის გარდაცვალებამდე, – 1890 წლამდე.

<sup>337</sup> დაუთარიღებელი წერილის ავტორი უცნობია.

<sup>338</sup> ყაფაზი – გალია (სულხან-საბა თრბელიანი, „ლექსიკონი ქართული“).

ხალხი კი უკმაყოფილონი არიან არა გვეადრულობსო მასწავლებელიო. ესენიც სხვისგან გავიგეთ თორემ არც ის მასწავლებელი და არც მიხაკო მე არ მინახავს და გიგლას ხომ რა [ჩვენებს] რაც თქვენ წახვედით ჩვენც აღარსად ვყოფილვართ. მე რომ ზღაპრებს დაგპირდით ბოდიშს ვიხდი რომ ვერ შევასრულე დაპირება იმიტომ რომ მელ[ა]ნში<sup>339</sup> აღარ წავსულვარ და როცა წავალ არ დამავიწყდება. თუმცა შორსა ხართ მარამ გული იმედს მაძლევს რომ დაგვიახლოვდებით. თქვენს ვეშობას რომ უყურებ თითქმის დარწმუნებული ვარ რომ მალე გვნახამთ. თუ იოსები გამოვიდა აქ როცა წამოვა მანდ ზოგიერთებს გამოვატანთ რასაც წამოილებს. თედო ნიკოს ვერ მოვსწერე მარამ სულ ერთნი ხართ. ბაკურციხიდან ნინოს წიგნები ჰქონია ნათხოვნი „საქართველოს მოანბე“<sup>340</sup> და „ქართლის ცხოვრება“<sup>341</sup>. მღვდელი მკ[ი]თხავს ჩვენ კი რა მიმცემები ვართ. სწორედაც არ ვიცით მართლა ჰქონდა ის წიგნები თუ არა მარშლის ცოლისა. მღვდელმა ისე მკითხა<sup>341</sup> რომ ვითომ ნინოს მღვდლისთვის ეთხოვნოს. თედო, რა დაიღლები როდის წაკითხავ. მართლა თევდორე ისეთ საქმე კი არ მაახდინოთ რომ უადგილოთ დარჩეთ. წელს ეცადენით ორთავ ძმებმა ალა-გი იშოვნოთ.

უმრავლესი მოკითხვა და პატივის ცემა გარდაეცით თქვენს დედმამას. ლუკას მოვიკითხავ ცოლ-შვილით. აგრეთვე უცნობს მართას მიხაკოთი.

მამაომ მრავალ მოკითხვა, ერთობით ელომ, თამარამ. გკოცნით ძალიან. ახსოვხართ.

დავშთები თქვენი სიცოცხლის მსურველი და ...ნ.  
მარტის თერთმეტს

<sup>339</sup> გელაანი – სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში.

<sup>340</sup> „საქართველოს მოანბე“ – „თერგდალეულთა“ მიერ დაარსებული საზოგადოებრივ-ლიტერატურული უურნალი, გამოდიოდა 1863 წელს, გამოიცა 12 ნომერი.

<sup>341</sup> ხელნაწერშია: „მკითხვა“.

## б. თუმანიშვილის ნებილი

№1.

დოკ. 20/15 (11) <sup>342</sup>

Многоуважаемый Фёдоръ Павловичъ!

Отец мой князь Захарий Ревазовичъ просить Васъ передать крестьянину Гia, который недавно приезжалъ к нему, чтоб онъ отложилъ свой приездъ туда, в Хелтубани, на неопределенное время, поэтому пусть Гia привезеть ему муки (на домашн[ую] надобность) в размѣрѣ десяти код кукурузы, накмази, лобио, оръхъ, [сапапе], сабургуло, чурчхела, чамичи, яблоки, сушенны[е] сливы и проч. При этомъ отецъ просить Гia, чтобы он привезъ все это какъ можно скор[ѣ]й чтобы в Гори захватиль съ собою и посное масло въ известномъ ему размѣрѣ.

Отецъ Вамъ кланяется и желаетъ Вамъ и Вашей семье здоровья и полнаго благополучія.

**Съ истиннымъ почтениемъ, уважающий Васъ Н. З.**

**Туманишвили.**

**9 октября 1904 г.**

**Г. Тифлисъ**

P. S. Забыть написать, что отецъ предлагаетъ Гia привезти ему денегъ и счѣть деньгамъ полученнымъ отцом от Гia.

**Н. Туманишвили**

При этом отец просилъ Васъ поручить Гia привезти с собой бумаги относительно раздела имений съ Николаем Александровичем, произведенного в вашемъ присутствии...<sup>343</sup> прочие бумаги и планы имеющіеся у Гia. Пусть онъ возметъ деньги у Сако и дѣтей Пепо и привезеть ... [в прот]ивномъ случаѣ они очистятъ кало, снявъ оттуда постройки, такъ какъ срокъ их давно истекъ.

**Туманишвили**

<sup>342</sup> ხელნაწერი ორფურცლიანია, დანერილია შავი მელნით.

<sup>343</sup> ტექსტი დევილტურია.

**ნერილები „ქართველთა შორის  
ნერა-კითხვის გამავრცელებელი  
საზოგადოების“ გამგეობიდან**

№1.

დოკ. 20/11 (1)<sup>344</sup>

30 იანვარს. 1890 წ.

## ბ-ნს თევდორე რაზიკაშვილს

შარშან თქვენ ითხოვეთ მასწავლებლობის ადგილი „საზოგადოების“ რომელსამე სკოლაში. რადგან მაშინ თავისუფალი ადგილი მასწავლებლისა არ იყო, ამიტომ გამგეობამ მხოლოდ სახეში მიიღო თქვენი თხოვნა და დაადგინა „ბ-ნი თ. რაზიკაშვილი პირველ კანდიდატად იყოს ჩათვლილი და, თუ ადგილი დაიცალოს სადმე, მოწვეულ იქმნას მასწავლებლად“.

ეხლა სოფ. თონეთში ადგილი იცლება და თუ თანახმა ხართ, ეს ადგილი დაიჭიროთ, მალე გვაცნობეთ.

**საქმეთ-მნარმოებელი ი. მანსვეტაშვილი**

№2.

დოკ. 20/11 (2)<sup>345</sup>

6 ნოემბერს. 1890 წ.

## ხელთუბნის სკოლის მასწავლებელს

„წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობამ თავის სხდომაზე, 3 ნოემბერს ამ 1890 წ. №8 დაადგინა: ყოველი ნივთი თუ წიგნი რაც სკოლას გაეგზავნება, შეტანილ იქმნას ინვენტარის წიგნში და აგრეთვე ყოველმა ჩვენმა სკოლამ იქონიოს საქმე მიწერ-მოწერისა და ინახებოდეს როგორც შავი პირები სკოლიდამ მიწერილი ქაღალდებისა ისე სკოლაში მისული ქაღალდები.

<sup>344</sup> ოფიციალური, დათარიღებული წერილი №12 „ქშწკგ საზოგადოების“ გამგეობის ბლანკიან ფურცელზე. ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

<sup>345</sup> ოფიციალური, დათარიღებული წერილი №142, „ქშწკგ საზოგადოების“ გამგეობის ბლანკიან ფურცელზე. ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით, საქმეთა მნარმოებლის, ი. მანსვეტაშვილის ხელით. წერილს ხელს აწერს საზოგადოების თავმჯდომარე – ილია ჭავჭავაძე.

გაუწყებთ რა ამას, გთხოვთ სახეში იქონიოთ და ყოველთვის იხელმძღვანელოთ ამ დადგენილებით.

**საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე  
საქმეთ-მწარმოებელი ი. მანსვეტაშვილი**

№ 3.

დოკ. 20/11 (3)<sup>346</sup>

21 ქრისტ. 1892 წ.

**ხელთუბნის სკოლის მასწავლებელს  
თევდორე რაზიკაშვილს**

ამასთანავე გეგზანებათ ქრისტიშობისთვის ჯამაგირი: თქვენთვის სამთუმან-ნახევარი (35 მ.) და ხელსაქმის მასწავლებლისათვის ხუთი მანეთი (5 მ.), სულ ოთხი თუმანი (40 მ.). გთხოვთ შეგვატყობინოთ ამ ფულის მიღება. გთხოვთ შეგვატყობინოთ აგრეთვე რა და რა წიგნები გაქვსთ მიღებული კანცელარიითგან „ქართველთა ამხანაგობის“<sup>347</sup> მიერ გამოცემული.

**მდივანი დ. კარიჭაშვილი**

<sup>346</sup> ოფიციალური, დათარიღებული წერილი №51 „ქუთათების საზოგადოების“ გამგეობას ბლანკიან ფურცელზე. ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

<sup>347</sup> „ქართველთა ამხანაგობა“ – თბილისში მოქმედი „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა“.

№4.

დოკ. 20/11 (4)<sup>348</sup>

16 ენკენისთ. 1894 წ.

ხელთუბნის სკოლის მასწავლებელს  
თ. რაზიკაშვილს

თანახმად თქვენის თხოვნისა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამასთანავე გიგზავნისთ ორს თუმანს თქვენდამი რწმუნებულის სკოლის ეზოს შემოსალობად, სამს მოწმობას შარშან კურსდასრულებულ მოსწავლეთა, თქვენთვის მოწმობას მასწავლებლობის შესახებ და „მოამბის“<sup>349</sup> №№ VI, VII, და VIII.

გთხოვთ მიღება გვაუწყოთ.

მდივანი დ. კარიჭაშვილი

№ 5.

დოკ. 20/11 (5)<sup>350</sup>

5 მარტს. 1897 წ.

ხელთუბნის სკოლის მასწავლებელს

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობამ გამოგიგზავნათ 13 იანვარს ხელთუბნის სკოლისათვის ათი ცალი „სალამური“<sup>351</sup> ზ. ჩხიკვაძისა.

გიგზავნით ანგარიშს №73 „სალამურის“ რაოდენობისას. გთხოვთ მოგვიწეროთ ხელი და გამოგვიგზანოთ უკანვე, ხოლო პირი ანგარიშისა თქვენ დაიტოვოთ.

მდივის თანაშემნე შ. ქუჩიუკაშვილი

<sup>348</sup> ოფიციალური, დათარიღებული წერილი №20 „ქშნკგ საზოგადოების“ გამგეობის ბლანკიან ფურცელზე. ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

<sup>349</sup> „მოამბე“ – ქართული ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1894 წლის იანვრიდან 1905 წლის ნოემბრამდე.

<sup>350</sup> ოფიციალური, დათარიღებული წერილი №61 „ქშნკგ საზოგადოების“ გამგეობის ბლანკიან ფურცელზე. ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

<sup>351</sup> სალამური [ნოტი], სახალხო სიმღერები (გამომც.: ზ. ჩხიკვაძე და მ. ბალანჩივაძე), თბ., 1890.

№6.

დოკ. 20/11 (6)<sup>352</sup>

21 ენერისთვეს. 1904 წ.

**ხელთუბნის სკოლის მასწავლებელს  
თ. რაზიკაშვილს**

თქვენის თხოვნის თანახმად გამოგეგზავნათ ხელთუბნის სკოლისათვის ოც და ცხრამეტი მანეთისა და 33 კაპ. სასწავლო ნივთები, რომელთა ანგარიშიც №376 ამასთანავე გეგზავნებათ.

გიგზავნით აგრეთვე რკინის გზის ნაკლადნოის დუბლიკატს №10842.

გთხოვთ ანგარიშზედ მოგვიწეროთ ხელი და გამოგვიგზავნოთ უკანვე, ხოლო პირი ანგარიშისა თქვენ დაიტოვეთ.

**მდივნის თანაშემწე შ. ქუჩუკაშვილი**

---

<sup>352</sup> ოფიციალური, დათარიღებული წერილი №232 „ქშწკგ საზოგადოების“ გამგეობის ბლანკიან ფურცელზე. ხელნაწერი ერთფურცლიანია, დაწერილია შავი მელნით.

## პირთა საძიებელი

### პ

აბაშელი – იხ. ჩოჩია ალექსანდრე

ალექსანდრე ყაზბეგი (ფსევდ.) – იხ. ჩოფიკაშვილი ალექსანდრე

ალექსი – გვ. 104

ანდრეევი – რუსპირის საშუალო სკოლის დირექტორი.  
გვ. 103

ანთაძე, ნინო. ფსევდ.: ნაკაშიძე (1872 – 1962) – მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ დამარსებელი და რედაქტორი 1910 – 1920 წლებში, ქართული საბავშვო თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი. გვ. 185

ასათიანი ნიკოლოზ, ნიკო – თეადორ რაზიკაშვილის მეგობარი.

აფშინაშვილი გრიგოლ, გრ. აფ-ლი. ფსევდ.: ზეზვა, გადამთიელი (1866 – 1960) – ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, პუბლიცისტი და პედაგოგი, ნიკო და თეადორ რაზიკაშვილების მეგობარი, გოდერძაულების თემის წინამძღოლი ფშავში. გადმოცემით, მან შეასწავლა წერა-კითხვა სახალხო პოეტს, მიხა ხელაშვილს. გვ. 62, 105, 114

აქიმიშვილი გიორგი – გვ. 101

აქიმიშვილი ივანე – გიორგი აქიმიშვილის მამა. გვ. 101

აღნიაშვილი ვლადიმერ, ლადო (1860 – 1904) – პედაგოგი, ლექსიკოგრაფი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაწე.

ახმეტელაშვილი ნიკოლოზ, ნიკო (ახმეტელაშვილი ნ., ნიკო ქიზიყელი) – თეადორ რაზიკაშვილისა და ნიკო ჯანაშიას სემინარიელი მეგობარი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი, გამოქვეყნებული აქვს სტატიები ჟურნალ „მოგზაურსა“ და გაზეთ „კვალში“. გვ. 91, 94, 109, 114

ახნაზაროვი არტემ (აქ: ყბაჩუა) – სომხური წარმოშობის ქართველი მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, გაზეთ „ივ-ერის“ თანამშრომელი. გვ. 126

აჯიმამედოვი სინიკო – გვ. 17

## ბ

ბაგდანოვი – გვ. 151

ბადუროვი ლ. – გვ. 60

ბადუროვი შაქრო // შაქრო ბადურაშვილი – სავარაუდოდ,  
საქართველოში ბოლშევიკურ რეჟიმთან მებრძოლი პარტი-  
ზანული ორგანიზაციის, „შეფიცულთა რაზმის“ წევრის, ალე-  
ქსანდრეს მამა. გვ. 63

ბატარკაცი – გვ. 60

ბაჩანა (ფსევდ.) – იხ. რაზიკაშვილი ნიკოლოზ

ბეგიაშვილი სიმონ – გვ. 87, 94

ბეგიევი – იხ. ბეგიაშვილი სიმონ

ბენაშვილი ანდრია, ანდრო (1852 – 1908) – პედაგოგი,  
გრამატიკოსი და მუსიკათმცოდნე, ქუთაისის სასულიერო  
სასწავლებლის მასწავლებელი. გვ. 185

ბერიტაშვილი სოლომონ – სოფ. ვეჯინის ეკლესიის მღ-  
ვდელი, ბაჩანას ნათლია, ქართველი მეცნიერ-ფიზიოლოგის,  
ივანე ბერიტაშვილის მამა. გვ. 198.

ბიბილაშვილი ვასილ, ვასო – პედაგოგი და პუბლიცისტი.  
გვ. 91, 94, 96, 114

ბოიგარი – პავლე რაზიკაშვილის ძმა. გვ. 98

ბოლქვაძე - გვ. 185

ბუქურაული ივანე (1869 – 1943) – მწერალი, ფოლკლორის-  
ტი. რაზიკაშვილების მეგობარი. გვ. 82

## გ

გაბო, გაბუა – ხელთუბნელი გლეხი. გვ. 20, 43, 45, 48, 49,  
51, 57, 64, 65, 67, 79, 80, 85, 152, 173, 180

გაგა – გვ. 44

გაგნიძე შაქრო – თედო რაზიკაშვილის ქვისლი. გვ. 51, 66,  
73, 74, 80, 85, 91, 94, 95, 96

გადამთიელი (ფსევდ.) – იხ. აფშინაშვილი გრიგოლ

გვარამაძე კონსტანტინე – პუბლიცისტი, საზოგადო მოღ-  
ვანე. გვ. 135

გიორგაძე [მიხეილ] – გვ. 91, 94, 95, 96

გოგებაშვილი იაკობ (1840 – 1912) – მეცნიერული პედა-

გოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. გვ. 72, 73

გოგლიჩიძე სიმონ (1863 – 1933) – სიმღერა-გალობის მასწავლებელი გორის სასულიერო სასწავლებელში, გორის საოსტატო სემინარიასა და თბილისის პირველ გიმნაზიაში, გორის მაზრის მგალობელ ვაჟთა გუნდის ლოტბარი. გვ. 192

გოგოლაური ლვთისო – გვ. 37

გოგოხია რაჟდენ – გვ. 34, 37

გომართელი ივანე (1875 – 1938) – ექიმი, მწერალი და პუბლიცისტი, გაზეთ „კვალის“ თანამშრომელი. გვ. 185

გრიშაშვილი ი. – იხ. მამულაშვილი იოსებ

გუნია ვალერიან (1862 – 1938) – მსახიობი (საქართველოს სახალხო არტისტი), რეჟისორი, დრამატურგი, კრიტიკოსი.

გელიევი – იხ. გრელიშვილი სანდრო

გრძელიშვილი სანდრო – უურნალისტი და მთარგმნელი გაზეთ „ივერიის“ რედაქტორიაში. გვ. 69

Γia [ქველიძე გია] – ხელთუბნელი გლეხი, გაბო ქველიძის ძმა. გვ. 200

Гомелаяури – გვ. 85

## ¤

დავიდოვი – იხ. დავითაშვილი დავით

დავითი – გვ. 90, 92, 98, 102, 168.

დავითაშვილი (დავიდოვი) დავით – საპატრიარქოს დროებითი მმართველობის სხდომების უცვლები მდივანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ პერიოდში, რუსი ეგზარხოსების ჯაშუში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, კირიონ მეორესთან დაპირისპირებული პიროვნება. გვ. 93

დათოშვილი, დავით – საღვთო სჯულის მასწავლებელი გორის სასულიერო სემინარიაში, სასწავლებლის გამგეობის თავმჯდომარე 1888-1889 წლებში. გვ. 93, 94

დარსკი ნ. – სკოლების ინსპექტორი. გვ. 102

დეკანოზოვი – იხ. დეკანოზიშვილი დავით

დეკანოზიშვილი დავით – გვ. 90

დემურია მარიამ (1860 – 1910) – უურნალისტი და საზოგა-

დო მოღვაწე, საბავშვო უურნალ „ნაკადულის“ დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი 1906 – 1910 წლებში. გვ. 170

დიმიტრიევი – ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი გორის საოსტატო სემინარიაში. გვ. 95, 96, 101

დუმბაძე – გვ. 91, 94, 109

## 9

ეკატერინე დიმიტრის ასული (ფურცელაძისა) – ექი-  
მის და საზოგადო მოღვაწის, – ქაიხოსრო სოლომონის ძე  
ფურცელაძის მეუღლე, 1879 წლიდან „ქართველთა შორის  
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი  
წევრი. გვ. 145

ელენე – ნიკო ჯანაშიას ცოლი. გვ. 119

ელიაშვილი ივანე (1864 – 1932) – მწერალი, პედაგოგი და  
საზოგადო მოღვაწე. გვ. 185

ერისთავი ალექსანდრე, ასიკო (1851 – 1920) – ერეკლე II  
ბაგრატიონის შვილთაშვილი (თეკლა ბატონიშვილის შვილიშ-  
ვილი). გვ. 146

ერისთავი მიხეილ (1861 – 1924) – ქსნის ერისთავი, ასიკო  
ერისთავის ბიძაშვილი, განთქმული მეურნე-აგრონომი, დახ-  
ვრიტეს 1924 წელს. გვ. 194

## 8

ვანო [ასათიანი] – ნიკო ასათიანის ძმა. გვ. 181

ვაჟა-ფშაველა (ფსევდ.) – იხ. რაზიკაშვილი ლუკა

ვაჩინაძე – გვ. 89

ვ. ბიბ. – იხ. ბიბილაშვილი, ვასილ

## 7

ზავადსკი მიხეილ – კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნვე-  
ლი. გვ. 116

ზეზვა (ფსევდ.) – იხ. აფშინაშვილი გრიგოლ

**თ**

თამარი, თამარა – გვ. 64, 65, 67, 199

თინა – გვ. 85

თუმანიშვილი გიორგი (1854 – 1920) – პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ანასტასია თუმანიშვილის ძმა. 1891 – 1903 წლებში გამოსცემდა რუსულ გაზეთ „Новое Обозрение“-ს, დააარსა „ქართული საგამომცემლო ამხანაგობა“. გვ. 155, 156, 158, 161, 164

თუმანიშვილი კონსტანტინე (1859 – 1921) – უურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „Новое Обозрение“-ს რედაქტორი. ანასტასია თუმანიშვილის ძმა. გვ. 196

თუმანიშვილი-წერეთელი ანასტასია, ტასო (1849 – 1932) – მწერალი, გამომცემელი და საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი, საბავშვო უურნალ „ჯეჯილისა“ და გაზეთ „კვალის“ რედაქტორი. გვ. 139, 140, 141, 144

**ი**

იანოვსკი კირილე – კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი. გვ. 119

ილია – იხ. ჭავჭავაძე ილია

იორამაშვილი ილია, ილიკო - გულქან რაზიკაშვილის მეუღლე (თედო რაზიკაშვილის სიძე). გვ. 183

ისაკო (ბერუაანთი) – გვ. 78

იშხანაშვილი გაბო, გაბუა – თედო რაზიკაშვილის ცოლისძმა. გვ. 20, 43, 44, 45, 48, 51, 64, 65, 80, 85, 180

იშხანაშვილი-რაზიკაშვილი თინათინ, თიკო, თიკა – თედო რაზიკაშვილის მეუღლე. გვ. 21, 43, 45, 48, 51, 52, 54, 63, 64, 65, 70, 72, 78, 103, 105, 110, 150, 152, 153, 154, 158, 159, 160, 163, 168, 170, 173, 174, 180, 181

იშხანაშვილი მაშო, მაშუა – თედო რაზიკაშვილის ცოლისდა. გვ. 42, 43, 45, 48, 64, 65, 67, 80, 85, 180, 181

იშხანაშვილი შუშანა – თედო რაზიკაშვილის სიდედრი. გვ. 13, 43, 45, 48, 51, 64, 65, 67, 80, 85, 154, 180, 181

იშხანაშვილი წყალობა – თედო რაზიკაშვილის სიმამრი.

გვ. 43, 44, 45, 48, 51, 64, 65, 67, 85

### 3

კალანდაძე – გვ. 127, 147

კარიჭაშვილი დავით (1862 – 1927) – ისტორიკოსი, მწერალი, რუსთველოლოგი; აგროვებდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს; 1920 წლიდან იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკა-მუზეუმის გამგე.

კასრაძე – გვ. 133

კეკე – იხ. ნებიერიძე ეკატერინე

კერესელიძე მათე – მესტამბე, საზოგადო და სასულიერო მოღვაწე. გვ. 35

კვალიევი // კვალიაშვილი – გვ. 89, 109

კვინიკაძე – გვ. 85

კიასპეკოვი – გვ. 109

კიკიანი – გვ. 116

კოკოტი – გვ. 85

### 3

ლადო – გვ. 89, 94, 98

ლეონიძე – იხ. ოქროპირიძე ლონგინოზ

ლიზა – სანდორ რაზიკაშვილის მიერ თელავში დაქირავებული ბინის მფლობელი. გვ. 64, 65

ლოლაძე – გვ. 93

ლომოური ნიკოლოზ, ნიკო (1852 – 1915) – მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

ლონგიროზ – გვ. 95

### 8

მავორექ (ფსევდ.) – იხ. ჯანაშია ნიკოლოზ

მათურელი ვასილ, ვასო (1872 – 1915) – რაზიკაშვილების მეგობარი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, აქვეყნებდა მოთხრობებსა და ლექსებს გაზეთებში; 1912 წელს მისი თაოსნობით

თბილისში დაარსდა „ივერიის მუშათა გუნდი“. გვ. 74, 80

მაია – გვ. 171

მალინოვსკი – საგანგებო საქმეთა გამომძიებელი. გვ. 53

მანსვეტაშვილი იაკობ (1855-1939) – უურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ მდივანი.

მამულაშვილი ოოსებ. ფსევდ.: გრიშაშვილი (1889 – 1965) – სახალხო პოეტი.

მარიამი [გურასპაული] – ნიკო რაზიკაშვილის მეუღლე. გვ. 65

მარო – ხელსაქმის მასწავლებელი ხელთუბნის სკოლაში. გვ. 148, 149, 152, 154, 155, 156, 158, 159, 160, 161, 163, 173, 189, 197

მასონა – ნიკო რაზიკაშვილის (ბაჩანას) ვაჟი. გვ. 50

მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე (მაჩაბელი მიხ. ვახ.) (1858 – 1927) – საზოგადო მოღვაწე, „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ თავმჯდომარე. გვ. 185

მაჭავარიანი ივანე (1863 – 1943) – მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი.

მგელა – იხ. მგელიაშვილი ლუკა

მგელიაშვილი ლუკა – რაზიკაშვილების მეგობარი. გვ. 67

მელანია (ფსევდ.) – იხ. ნათიძე ნიკოლოზ

მელიქიშვილი პეტრე (პეტრე მელიქოვი) (1850 – 1927) – ქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილის უნივერსიტეტის პირველი რექტორი. გვ. 173

მიხაკო – გვ. 198

მოსე – გვ. 79

მწარია – იხ. რაზიკაშვილი მახარე

## 6

ნადედობი კნეინა – იხ. ჩოლოყაშვილი-ანდრონიკაშვილი, ნინო

ნათიძე ნიკოლოზ. ფსევდ.: მელანია (1862 – 1921) – მღვდელმსახური, მწერალი და პუბლიცისტი. გვ. 47

ნაკაშიძე (ფსევდ.) ნინო – იხ. ანთაძე, ნინო

ნებიერიძე ეკატერინე, კეკე (გარდ. 1902 წ.) – ვაჟა-ფშაველ-

ას პირველი ცოლი. გვ. 20, 82

ნიკოლაძე ნიკოლოზ, ნიკო (1843 – 1928) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, რევოლუციონერ-დემოკრატი, საქართველოს ეროვნული საბჭოს (1917 – 1918) და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (1919 – 1921). გვ. 141

ნინო – გვ. 199

### ო

ოლა – გვ. 173, 189

ოქროპირიძე ლონგინოზ (ლეონიდე) (1861 – 1921) – სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1919–1921 წლებში. – გვ. 39

### პ

პელო – გვ. 180

პეტრიაშვილი დათა – ალექსანდრე რაზიკაშვილის ცოლის ცოლისძმა. გვ. 68

პეტრიაშვილი დარო – სანდრო რაზიკაშვილის ცოლის, ბარბარე პეტრიაშვილის უფროსი და. გვ. 73

პეტრიაშვილი ნატო – სანდრო რაზიკაშვილის ცოლის, ბარბარე პეტრიაშვილის უმცროსი და. გვ. 73

პიასეცკი – არითმეტიკისა და გეომეტრიის მასწავლებელი გორის საოსტატო სემინარიაში. გვ. 91, 96

პრიხნია – გვ. 89

### ჟ

ჟამიაშვილი იოსებ – ჩარგლელი გლეხი, სოლ. ყუბანეიშვილის ცნობით, ნათესავად ერგებოდა რაზიკაშვილებს. გვ. 32, 33, 60, 62

ჟორდანია ნოე (1868 – 1953) – პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ლიბერალურ გაზეთ „კვალის“ კორესპონდენტი და რედაქტორი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

რ

რაზიკაშვილი ალექსანდრე, სანდრო, ანდრია (1874 – 1943) – პავლე რაზიკაშვილის უმცროსი შვილი. გვ. 20, 21, 25, 26, 38, 40, 42, 46, 47, 48, 51, 57, 78, 79, 81, 103, 107, 109, 153

რაზიკაშვილი გიორგი (1854 – 1900) – პავლე რაზიკაშვილის უფროსი შვილი. გვ. 15, 16, 17, 62, 65, 90, 91, 94, 98, 104, 108, 121

რაზიკაშვილი გიორგი (მეტსახელი: ტუგურელი) – ვაჟა-ფშაველას ნათესავი, ჩარგლელი გლეხი. გვ. 85

რაზიკაშვილი გულეან, გიულ ქან, ვარა, ბარბარე, გულ-ნარა (დაბ. 1893 – 1919) – თედო რაზიკაშვილის უფროსი ქალიშვილი. გვ. 44, 52, 53, 65, 70, 72, 154, 184, 185

რაზიკაშვილი გრიგოლ, გრიშა, გიგო – ძმები რაზიკაშვილების ბიძაშვილი. გვ. 15, 31, 36, 38

რაზიკაშვილი ეთერ (1898 – 1985) – თედო რაზიკაშვილის ქალიშვილი. გვ. 52, 53, 70, 72, 74, 78

რაზიკაშვილი ელენე, გუგული, გუგულა (1901 – 1991) – თედო რაზიკაშვილის უმცროსი შვილი. გვ. 52, 55, 70, 72

რაზიკაშვილი ვასილ – პავლე რაზიკაშვილის ბიძაშვილი, მწარია რაზიკაშვილის ძმა. გვ. 83

რაზიკაშვილი თამარ, თამარა (1886 – 1961) – ვაჟა-ფშაველას ქალიშვილი. გვ. 20, 22

რაზიკაშვილი თევდორე, თედო (1869 – 1922) – საბავშვო მწერალი და პოეტი, პავლე რაზიკაშვილის მეხუთე შვილი. მასწავლებელი სოფელ ხელთუბანის სკოლაში. გვ. 77, 78, 79, 100, 102, 103, 115, 118, 119, 124, 151, 165, 189, 192

რაზიკაშვილი ივანე, ვანო (1904 – 1991) – ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილის ვაჟი. გვ. 47, 51, 52, 53, 56, 72

რაზიკაშვილი ლევან – (1887 – 1923) – ვაჟა-ფშაველას ვაჟი. გვ. 20, 22, 66, 67, 80

რაზიკაშვილი ლუკა. ფსევდ.: ვაჟა-ფშაველა (1861 – 1915) – პოეტი, მწერალი და პუბლიცისტი. პავლე რაზიკაშვილის მესამე შვილი. გვ. 15, 22, 50, 51, 55, 61, 65, 66, 67, 68, 69, 71, 73, 77, 80, 82, 84, 88, 90, 91, 92, 97, 98, 99, 100, 104, 108, 122,

125, 149, 168, 173, 199

რაზიკაშვილი მართა (1857 – 1905) – პავლე რაზიკაშვილის მეორე შვილი, ერთადერთი ასული. გვ. 20, 60, 61, 62, 65, 77, 78, 82, 91

რაზიკაშვილი მახარე (მწარია) (გარდ. 1903 წ.) – პავლე რაზიკაშვილის ბიძაშვილი, ვასილ რაზიკაშვილის ძმა. ცხოვ-რობდა ჩარგალთან ახლოს, სოფელ ბორბაში. გვ. 82

რაზიკაშვილი მიხეილ, მიხა, მიხაკო, მიხეილ ბეგი, მიხეილ სემიონიჩი (1879 – 1938) – მართა რაზიკაშვილის ვაჟი. გვ. 37, 44, 46, 47, 54, 56, 61, 63, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 74, 128

რაზიკაშვილი ნინო, ნინა (1899 – 1970) – თედო რაზიკაშვილის ქალიშვილი. გვ. 52, 53, 69, 70, 72, 74, 78

რაზიკაშვილი ნინო (1902 – 1983) – ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილის ქალიშვილი. გვ. 53, 69

რაზიკაშვილი ნიკოლოზ, ნიკოლაოზ, ნიკო. ფსევდ. : ბაჩანა (1866 – 1927) – პოეტი. პავლე რაზიკაშვილის შეოთხე შვილი. გვ. 69, 72, 73, 78, 80, 82, 88, 90, 91, 92, 93, 94, 95, 97, 98, 99, 101, 103, 108, 149, 173, 188, 199

რაზიკაშვილი პავლე (1828 – 1890) – ჩარგლის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი, რაზიკაშვილების მამა. გვ. 91, 94

რაზიკაშვილი პავლე, პალე (1895 – 1985) – ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილის უფროსი შვილი. გვ. 50, 52

რამიშვილი ირაკლი – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თბილისის განყოფილების ნამდვილი წევრი, მთარგმნელი. გვ. 146

## ს

სანაკოევი ვასილ, ვასილა – გორის საოსტატო სემინარიის მზარეული. გვ. 29, 34, 38

სარაჯიშვილი დავით (1848 – 1911) – მრეწველი, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი. გვ. 67

საფარალიბეკოვი – გვ. 89

საძაგელოვი, იგ. საძაგელოვ-ივერიელი – იხ. საძაგლიშვილი გიორგი

საძაგლიშვილი გიორგი – კირიონ II (1855 – 1918) – სრულიად საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი საქართ-

ველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ. გვ. 93  
სვიმონ [ჯაფარიძე] – მიხა რაზიკაშვილის მამა. გვ. 80  
სოკოლოვი (საკალოვი) – გვ. 89  
სოლომონ მღვდელი - იხ. ბერიტაშვილი სოლომონ  
სტრელეცვი – საღმრთო სჯულის მასწავლებელი გორის  
საოსტატო სემინარიაში. გვ. 99

## ტ

ტასია – ხელთუბნელი გლეხი. გვ. 149, 155, 156, 159  
ტატიშვილი ელისაბედ – გამომცემელი. გვ. 125  
ტერმარკოზოვი კარქუა // კარგო ტერმარკოზაშვილი –  
თუმანიშვილების მოურავი სოფელ ხელთუბანში. გვ. 146, 153,  
155, 156, 157, 158, 160, 164, 165, 169, 170, 176  
ტერმარკოზაშვილი // ტერმარკოზოვი სარქისა – გვ. 176  
ტუგურელი - იხ. რაზიკაშვილი, გიორგი  
Туманишвили Н. З. - გვ. 200

## ფ

ფადიურაშვილი მამუკა – გვ. 15  
ფალელაანი – იხ. ფალელაშვილები  
ფალელაშვილები [გიგო და სარგის] – ხელთუბნელი გლეხ-  
ები. გვ. 164, 170  
ფეფე – გვ. 67, 85  
ფილიმონ – გვ. 96  
ფურცელაძე – გვ. 38  
ფურცელაძე (გორელი ექიმი) – გვ. 145

## ქ

ქარუმიძე – ფოსტის ექსპედიციის გამგე თბილისში. გვ. 68,  
74

ქოთა [რაზიკაშვილი] - გვ. 82  
ქოსები – იხ. ხელაშვილები  
ქუთათელაძე არისტო – პედაგოგი, პუბლიცისტი და საზო-  
გადო მოღვაწე; ასწავლიდა ქართულ ლიტერატურას გორის

საოსტატო სემინარიასა და თბილისის გიმნაზიაში.

ქუჩუკაშვილი შიო. ფსევდ: შიო მღვიმელი (1866 – 1933) – საბავშვო მწერალი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ-ავრც. საზოგადოების“ მდივნის თანაშემწე. გვ. 55, 66, 67, 69, 74, 130

## გ

ყაზბეგი ალ. – იხ. ჩოფიკაშვილი ალექსანდრე

## გ

შარაძე მაქსიმე (1859 – 1908) – მესტამბე. გვ. 124

შიო მღვიმელი (ფსევდ.) – იხ. ქუჩუკაშვილი შიო

## გ

ჩოლოყაშვილი-ანდრონიკაშვილი ნინო (1829 – 1918) – ბა-კურციხელი მემამულის, სოლომონ ანდრონიკაშვილის მეულ-ლე. ტექსტში: ნიკო რაზიკაშვილის „ნადედობი კნეინა“. გვ. 17

ჩოფიკაშვილი ალექსანდრე. ფსევდ.: ყაზბეგი (1848 – 1893) – მწერალი ბელეტრისტი. გვ. 110

ჩოჩია ალექსანდრე. ფსევდ.: აბაშელი (1884 – 1954) – პო-ეტი. გვ. 185

ჩხიცვაძე ზაქარია (1862 – 1930) – პედაგოგი, ლოტბარი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების შემგროვებელი. გვ. 204

## გ

ციმაკურიძე – გვ. 93

ცინცაძე იაკობ. ფსევდ. : ია ეკალაძე (1872 – 1933) – მწერა-ლი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. გვ. 121

ციციშვილი სოფიო // სონა ციციანოვა – მწერალი და საზო-გადო მოღვაწე, მსახიობი, ემსახურებოდა დრამატულ საზოგა-დოებას, მოღვაწეობდა ქართულ პრესაში, საბავშვო უურნალ „ჯეჯილში“ ასრულებდა ტექნიკური რედაქტორის მოვალეო-

ბას. გვ. 150, 163, 168, 171, 174

## ნ

წერეთელი აკაკი (1840 – 1915) – მწერალი, პოეტი, პუბლი-ცისტი და საზოგადო მოღვაწე. გვ. 100, 133, 162

წერეთელი გიორგი (1842 – 1900) – მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ანასტასია თუმანიშვილის მეუღლე. გვ. 46, 139, 148, 149, 151, 152, 155, 173, 174

წერეთელი ელენე, ელიკო – გიორგი წერეთლის ქალიშვი-ლი. გვ. 139, 150, 168

წერეთელი ირაკლი, კაკი (1882 – 1959) – გიორგი წერ-ეთლის უმცროსი ვაჟი; სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მენშევკების ერთ-ერთი ლიდერი, 1918 წლიდან საქა-რთველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი. გვ. 139, 189

წიკლაური – გვ. 34

წულაძე აპოლონ (1872 – 1942) – ეთნოგრაფი და პუბლი-ცისტი, ცნობილი ქართველი მეფუტკრე, ავტორი წიგნისა „ფუტკარი და მეფუტკრეობა“ (თბ., 1911 წ.).

## ჭ

ჭავჭავაძე ილია – (1837 – 1907) – პოეტი, მწერალი, პუბლი-ცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. გვ. 35, 37, 203

## ხ

ხასიშვილი მეტე – მართა რაზიკაშვილის ქმარი (პავლე რაზიკაშვილის სიძე). გვ. 79, 82, 84, 85

ხასიშვილი პავლე – მართა რაზიკაშვილის უმცროსი ვაჟი. გვ. 79

ხახიშვილი ესტატე – ალექსანდრე რაზიკაშვილის სიმამ-რის ძმა. გვ. 67

ხელაშვილები [ძმები: გიორგი და მოსე] – ძველი თბილისის ცნობილი მედუქნები. გვ. 54

ხუციშვილი – გვ. 91

## ჯ

ჯავახი – გვ. 149, 157, 161

ჯანაშია ნიკოლოზ, ნიკო. ფსევდ.: ჰამუთ-ბეი, მავორექ (1872 – 1918) – საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, პუბლიცისტი და ეთნოგრაფი, აფხაზეთში განათლების სისტემის ერთ-ერთი რეფორმატორი, „ქშწ“ კერძო საზოგადოების“ სოხუმის ფილიალის გამგე და მისი დამაარსებელი. გვ. 91, 93, 103, 119, 150, 168, 173

## ჰ


ჰამუთ-ბეი (ფსევდ.) – იხ. ჯანაშია ნიკოლოზ

რაზიკაშვილების ოჯახის წევრთა ფოტოების  
მოწოდებისთვის, მათ ბიოგრაფიასა და გენეალო-  
გიაში ინფორმაციის დაზუსტებისას განეული დახ-  
მარებისთვის

მადლობას ვუხდით:

არჩილ ლიბრაძეს  
გიორგი და მინდია გოდერძიშვილებს  
მზია ბეჭუაშვილს  
ნინო ლუკას ასულ რაზიკაშვილს  
ნუნუ ივანეს ასულ რაზიკაშვილს  
ნუგზარ მიხეილის ძე რაზიკაშვილს  
მზია ილიას ასულ რაზიკაშვილს  
ლევან და მერი ცალულელაშვილებს  
ნათია ჩემიას

პავლე რაზიკაშვილის  
შთამომავლობა  
გენეალოგია და ბიოგრაფიული ცნობები





### პავლე რაზიკაშვილის შთამომავლები ჩარგალში

ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლის იუბილე, 1961 წ.

**ბირველ რიგში,** მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: ნინო ლუკას ასული რაზიკაშვილი და თამარ მთვარელიძე (ლევან რაზიკაშვილის მეუღლე).

**მეორე რიგში,** მარცხნიდან მარჯვნივ: ვალენტინა პრუნიჩევა (ლუკა რაზიკაშვილის მეუღლე), გიორგი ნიკოლოზის ძე რაზიკაშვილი (ბაჩანას შვილი), გოდერძი გოდერძიშვილი (ლევან რაზიკაშვილის შვილიშვილი), თამარ ლუკას ასული რაზიკაშვილი, ეკატერინე ლევანის ასული რაზიკაშვილი, ეთერ თევდორეს ასული რაზიკაშვილი და ალექსანდრე ვახტანგის ძე რაზიკაშვილი.

**მესამე რიგში შუა – ლუკა ლევანის ძე რაზიკაშვილი.** იმავე რიგში მეხუთე – სალომე კაგაბლიშვილი (სახალხო პოეტის, მიხა ხელაშვილის და).

**ზევით, ცენტრში:** პავლე ნიკოლოზის ძე რაზიკაშვილი (ბაჩანას შვილი).



რაზიკაშვილთა გვარის პირველი წარმომადგენელი ყოფილა რაზიკა. რაზიკას შვილი იყო ქუმსი, ქუმსის ვაჟი – იმედა, იმედას შვილი – ბერო. ბეროს უფროსი ვაჟი – გივი<sup>353</sup> გახლდათ პავლე რაზიკაშვილის მამა და ვაჟა-ფშაველას პაპა.

## პავლე რაზიკაშვილი (1828 – 1890)

ჩარგლის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი - პავლე რაზიკაშვილი იყო სამშობლოს მოამაგე და ღირსეული მამა თავისი შვილებისა. ლუკმაპურის მოსაპოვებლად ყოველდღიური ჯაფით გადაღლილი პავლე ვერ ეგუებოდა ფშაველი გლეხკაცის ერთფეროვან ცხოვრებას და თვითგანვითარებისკენ, სულიერ ღირებულებათა სრულყოფისკენ მიისწრაფოდა: „მამაჩემი დიდი თაყვანისმცემელი იყო ჩვენი პოეტ-მწერლებისა, აღმერთებდა საქართველოს, იმისი სამსახური ყველაზედ უდიდეს მოვალეობად მიაჩნდა, გვიამბობდა მთების პიროვლიანობაზე, აგვინერდა პოეტურად იმათ ღვანწლს და გვანატრებდა სამშობლოსათვის თავდადებას. „ვეფხისტყაოსანი“, გურამიშვილის ლექსები, ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებული“ ზეპირად იცოდა“ – წერდა თედო თავის ავტობიოგრაფიაში, სანდრო რაზიკაშვილი კი იგონებდა: „მამაჩვენს წიგნების კითხვა ძალიან უყვარდა. რა წიგნს იტყვის კაცი იმ დროს ქართულ ენაზე გამოცემულს, ან ჟურნალ-გაზეთებს, რომ იმას არ ეყიდნა და სახლში არ მოეტანა... ამიტომაც ის კარგად იყო განვითარებული. იყო მჭევრმეტყველი და ლამაზი შეხედულების ვაჟკაცი, ამასთანავე ძალიან ღონიერი“. ფშავში მოღვაწე მღვდელს კარგად ჰქონდა გათვითცობიერებული სწავლა-განათლების მნიშვნელობა და ყველაფერი იღონა, რათა მის ვაჟებს საქართველოს იმდროინდელი სინამდვილისთვის შესატყვისი განათლება მიეღოთ.

თვითნასწავლი მწიგნობრის კალამს ეკუთვნის სოფლის ეკლესიის მრევლისთვის განკუთვნილი ქადაგებათა კრებული

<sup>353</sup> ჩარგლის 1877 წლის საეკლესიო დავთრისა და სხვა საბუთების მიხედვით, პავლეს მამის, გივის ნათლობის სახელი გიორგი ყოფილა.

„დარიგებანი“; პავლეს დაწერილი აქვს ავტოგრაფიული მოთხოვნა, ლექსები და ეთნოგრაფიული შინაარსის წერილები; მას შეუკრებია ქიზიყური და ფშაური ხალხური ლექსები, ანდაზები და ხევსურული ლოცვები. პავლე რაზიკაშვილის აღნიშნული ხელნაწერების ნაწილი დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, საეკლესიო მოძღვრების კრებული კი - ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

სოფლის ეკლესიის მეტრიკული წიგნის 1890 წლის ჩანაწერის მიხედვით, პავლეს მეუღლე, გულქან (ბარბარე) ფხიკლეშვილი გარდაიცვალა 1890 წლის 16 სექტემბერს, პავლე კი - ამავე წლის 22 ოქტომბერს. სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ამ მეტრიკულ ჩანაწერში<sup>354</sup> აღნიშნულია 1890 წელს გარდაცვლილი მღვდლის ასაკიც, რის მიხედვითაც ის 1831 წელს დაბადებული გამოდის (1890–59=1831). მეტრიკულ მონაცემებს არ ეთანხმება ისტორიკოსი ვაჟა კიკნაძე. მას პავლეს დაბადების სარწმუნო თარიღი გამოანგარიშებული აქვს ჩარგლის ეკლესიაში პავლეს მედავითნედ დანიშვნისას გაცემული რუსულებოვანი საარქივო საბუთის საფუძველზე<sup>355</sup>. „1858 года, Декабря 9 дня, по справке оказалось: Причетник Чаргальской Георгиевской церкви Павел Разикашвили происходит из казённых крестьян, отроду имеет 30 лет, в училищах не обучался, согласно прошению его допущен к исправлению причетнической должности 24 ноября 1853 года, перемещен к Чаргальской Георгиевской Церкви в 1855 году; судим, штрафован не был. Аттестован. Поведения хорошего, в семействе имеет жену 27 лет и сына Георгия 4-х лет. За правителя Д. Пурцеладзе“. რაკი 1858 წელს გაცემული საბუთის მიხედვით, პავლე რაზიკაშვილი 30 წლისა იყო, ის 1828 წელს უნდა დაბადებულიყო (1858–30=1828).

პავლე რაზიკაშვილი და მისი მეუღლე დაკრძალულნი არიან ჩარგლის ეკლესიის მიმდებარე სოფლის სასაფლაოზე.

პავლე რაზიკაშვილს ჰყავდა ექვსი შვილი: გიორგი, მართა, ლუკა (ვაჟა-ფშაველა), ნიკოლოზი (ბაჩანა), თევდორე (თედო) და ალექსანდრე (სანდრო).

<sup>354</sup> სოლომონ ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა: დოკუმენტები და მასალები, თბ., სახელგამი, 1937, გვ. 226.

<sup>355</sup> ვაჟა კიკნაძე, ახალი საარქივო მასალა ვაჟა-ფშაველას ოჯახური ბიოგრაფიისთვის, უურნალი „ზედაშე“, 2006, №3, გვ. 66–70.

## გიორგი პავლეს ძე რაზიკაშვილი (1854 – 1900)

პავლე რაზიკაშვილის სახელზე 1858 წელს გაცემული საარქივო საბუთის მიხედვით (იხ. გვ. 224), პავლეს შვილი გიორგი, რომელიც იმ დროს ოთხი წლის ყოფილა, 1854 წელს დაბადებული გამოდის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულია ოფიციალური ცნობა (ფონდი №489, ანაწერი №21, საქმე №1524) – ჩარგლის წმ. გიორგის ეკლესიის 1900 წლის მეტრიკულ ჩანაწერი, სადაც მითითებულია, რომ გიორგი რაზიკაშვილი გარდაიცვალა 1900 წლის 19 აგვისტოს. იქვე, სათანადო გრაფაში აღნიშნულია გარდაცვლილის წლოვანება – 49 წელი. ამ წყაროს თანახმად, პავლე რაზიკაშვილის უფროსი ვაჟი 1851 წელს დაბადებულა. მესამე, რეალურ საფუძველს მოკლებული ვერსიით, გიორგი რაზიკაშვილის დაბადების თარიღად 1859 წელია მითითებული.<sup>356</sup> ჩვენს მიერ სარწმუნოდ მიჩნეულ დაბადების თარიღთან (1854) ყველაზე ახლოს დგას რაზიკაშვილების თანამედროვე მწერლის, თედო სახოვიას ცნობა, რომლის მიხედვითაც, გიორგი რაზიკაშვილი 1855 წელს დაბადებულა.<sup>357</sup>

პავლე რაზიკაშვილის უფროსმა ვაჟმა დაამთავრა გორის სამასწავლებლო სემინარია. სემინარის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. საქართველოში დაპრუნებულმა გიორგიმ ვექილად დაიწყო მუშაობა თიანეთში, მოგვიანებით კი ის დანიშნეს მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე. ნიკოლოზ ნათიძის სიტყვებით „გიორგი წარმოსადეგი ყმაწვილი კაცი და შესანიშნავი ღონის პატრონი იყო“. ამავე მოგონებიდან ვგებულობთ, რომ მას უყვარდა ლიტერატურა და წერდა ლექსებს.

გიორგის პირველი ქორწინება (სავარაუდოდ, 1890–1891 წწ.) უილბლო და ხანმოკლე აღმოჩნდა. სანდრო რაზიკაშვილის მიერ ძმასთან მიწერილი წერილის თანახმად, ის მეორედ

<sup>356</sup> რაზიკაშვილების მიმოწერა, თბ., ლიტერატურის მუზეუმი, 2011, გვ. 308.

<sup>357</sup> თედო სახოვია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1984, გვ. 240.

1898 წელს დაოჯახებულა.<sup>358</sup> პავლე რაზიკაშვილის უფრო-სი ვაჟი არაოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდა თავის რჩეულთან, მარიამ ტენტურიშვილთან. ახლადდაოჯახებული გიორგი ავად გამხდარა და ძმებს თიანეთიდან ჩარგალში წაუყვანიათ. ის გარდაიცვალა მშობლიურ სოფელში. დაკრძალულია იქვე, სოფლის სასაფლაოზე. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, გიორგის ცოლი, მარიამი, ჩარგლიდან ვერხველში, მშობლების სახლში დაბრუნდა.

გიორგის და მარიამს დარჩათ ერთადერთი ქალიშვილი – ნინო.



ნინო რაზიკაშვილი

**ნინო გიორგის ასული რაზიკაშვილი (1900 – 1987)** სოფელ ჯიჯეთში<sup>359</sup> ცხოვრობდა. ნინოსა და მის მეუღლეს, პავლე ცალუღელაშვილს სამი შვილი შეეძინათ: ბასილი, ლარიბა და ლევანი. ლევანის მოგონების მიხედვით, მისი დედა „უკვე მოხუცი იყო, მაგრამ ქართული რა არის, რუსულს ისე სხაპა-სხუპით წაიკითხავდა, ხალხს უკვირდა. თვალი უჭრიდა. „ვეფხისტყაოსანი“ გინდა, ბიძის პოემები გინდა, თითქმის სულ ზეპირად იცოდა. ჩვენც ერთთავად იმას გვეუბნებოდა, იკითხეთო. მუდამ წიგნებში პქონდა თვალი. თავის დროზე სოფლის ღატაკ ოჯახებსაც ეხმარებოდა, როგორც შეეძლო, უკერავდა ტანისამოსს. ძალიან ლამაზი ფარდაგების ქსოვა იცოდა“.<sup>360</sup>

ბასილ პავლეს ძე ცალუღელაშვილს (ნინო რაზიკაშვილის უფროს ვაჟს) ჰყავდა ექვსი შვილი: მართა, ბულულა, ცირა, მერი, გიორგი (გოგი) და აკაკი (კაკო). ბასილის მემკვიდრეები

<sup>358</sup> იხ. სანდრო რაზიკაშვილის წერილი თელოსადმი, რაზიკაშვილების მიმოწერა, გვ. 133.


<sup>359</sup> ჯიჯეთი – სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტში.

<sup>360</sup> ლევან ცალუღელაშვილი, ვაჟას დედაჩემისთვის სამი თუმანი უჩუქებია, [http://www.fereidani.ge/79\\_levani/79\\_levani.html](http://www.fereidani.ge/79_levani/79_levani.html)

ცხოვრობენ სოფლებში: ვერხველში, წეროვანსა და ჩარგალ-ში. წეროვანშია ბასილ ცალულელაშვილის ქალიშვილი მერი. ჩარგალში დასახლდა მისი შვილთაშვილი ნათია.

ღარიბა პავლეს ძე ცალულელაშვილი მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა. მას შთამომავლები არ დარჩენია.

ლევან პავლეს ძე ცალულელაშვილი (დაბ. 1927 წ.) ნინო რაზიკაშვილის უმცროსი ვაჟი გახლდათ. მისი მემკვიდრეები – ფიქრია და პავლე ქალაქ რუსთავში ცხოვრობენ.



## მართა პავლეს ასული რაზიკაშვილი (1857 – 1905)

პავლე რაზიკაშვილის უფროსი შვილი, მართა, დაიბადა 1857 წლის პირველ აგვისტოს სოფელ ჩარგალში. ის მშრომელი, ოჯახსა და ძმებზე მზრუნველი, ლეთისმოსავი და სათნო ადამიანი ყოფილა. მართას ჩარგლის სკოლაში მასწავლებლად გამწერებული სვიმონ ჯაფარიძისაგან ქორწინების გარეშე შეეძინა ვაჟი - მიხა. გიორგი რაზიკაშვილის მიერ თედოსადმი გაგზავნილი წერილის<sup>361</sup> თანახმად, პავლე რაზიკაშვილის ქალიშვილი 1895 წელს დაქორწინდა ყვარლის მკვიდრზე, მეტე ხასიშვილზე. მართასა და მეტეს შეეძინათ ვაჟი პავლე, რომელიც 10 წლისა დიუტერით გარდაიცვალა. მართა რაზიკაშვილი სიცოცხლის ბოლომდე, 1905 წლამდე<sup>362</sup> ცხოვრობდა ყვარელში. ის დაკრძალულია ამავე სოფლის სასაფლაოზე.

მართას დარჩა ერთადერთი შვილი – მიხეილი, რომელმაც რაზიკაშვილთა ოჯახის ღირსეული წევრის სახელი დაიმკვიდრა.

**მიხეილ (მიხა) სვიმონის ძე რაზიკაშვილი (1879 - 1938) –** მართა რაზიკაშვილისა და სვიმონ ჯაფარიძის ვაჟი, დაიბადა სოფელ ჩარგალში. მართა რაზიკაშვილის შვილის დაბადების თარილი, 1880 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული რომან ძამსაშვილის წერილის მიხედვით<sup>363</sup> დაადგინა რაზიკაშვილების საარქივო მასალებით დაინტერესებულმა მკვლევარმა არჩილ ღიბრაძემ. სტატიის ავტორის ჩანაწერიდან ჩანს, რომ მიხეილის მამას, ჩარგლის სკოლაზე მზრუნველ პედაგოგს, სვიმონ ჯაფარიძეს, ფეხმძიმე მართა მიუტოვებია და შვილის დაბადებამდე სოფლიდან გაქცეულა. „დროების“

<sup>361</sup> გიორგი ჯავახიშვილი, წერილების ოთხვარედი, ბათუმი, 2001, გვ. 144, 145.

<sup>362</sup> სანდრო რაზიკაშვილის 1904 წლის ნოემბრით დათარილებულ წერილში მიხა რაზიკაშვილისადმი ჩანს, რომ ამ დროისათვის მართა ჯანმრთელადაა და იმყოფება ყვარელში (იხ. რაზიკაშვილების მიმოწერა, გვ. 163-164). შემდგომ წლებში რაზიკაშვილების მიმოწერაში მას აღარ მოიხსენიებენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ მართა გარდაიცვალა 1905 წელს.

<sup>363</sup> რომან ძამსაშვილი, მგზავრის შენიშვნები (მოგზაურობა არაგვის ხეობაში), გაზეთი „დროება“, 1880, 22 მაისი, №107, გვ. 2-3).

კორესპონდენტის ფშავში ჩასვლის დროს, 1879 წლის დეკემბერში, სვიმონ ჯაფარიძე სოფლიდან უკვე ერთი წლის წასული ყოფილა და სკოლას მოჰკვლებია ყოფილი მასწავლებლის ხელი: „ერთი წელიწადიაო, რაც ახალი მასწავლებელიაო სოფ. ჩარგალში (ბატონი დ. რ.-შვილი) და ამ დროის განმავლობაში დიდად შეცვლილა ხსენებულის შკოლის ეზო-ყურეს ვითარება: თევზების დიდი აუზი ტალახით არის სავსე, ბალის გზებს შეუკეთებლობა ეტყობა; გარეთ სტოლი და სკამი ჩამოქცეულან, მშვენიერი საჩრდილობელი ძრიელ დაზიანებულა უყურადღებობის გამო... ერთის სიტყვით, ახალს მასწავლებელს არავითარი შრომა არ მიუღია თავის შკოლის ეზო-ყურეს სიმშვენიერის და გამართულობის დასაცველად“. ამ წერილის საფუძველზე ა. ლიბრაძე ასკვნის: თუ სვიმონ ჯაფარიძე ჩარგლიდან წავიდა 1878 წლის ბოლოს, მიხა რაზიკაშვილი 1879 წლის პირველ ნახევარში უნდა დაბადებულიყო. პავლე რაზიკაშვილმა ქორწინების გარეშე დაბადებული შვილიშვილი თავიდანვე თავის გვარზე დაწერა.

მიხამ დაამთავრა გორის გიმნაზია. ის 25 წლამდე ყვარელში ცხოვრობდა, შემდეგ მუშაობა დაიწყო გორში, იქ დასახლდა და 1919 წელს ცოლად შეირთო შვილიანი ქალი – თამარ ციციშვილი.

მიხეილ რაზიკაშვილი მშვენიერი გარეგნობით, სხარტი გონიერითა და იუმორით იყო დაჯილდოებული. მას უყვარდა ლიტერატურა, მუდმივად ადევნებდა თვალს პრესის სიახლეებს და აგროვებდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. მიხას კალამიც უჭრიდა და წერდა შესანიშნავ ლექსებს. ის გახლდათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გორის განყოფილების წევრი და მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე. მიხა სხვადასხვა პერიოდში მსახურობდა: სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად, კოლმეურნეობაში საქმის მწარმოებლად, ბოლოს კი – გორის მაზრის მთელ ტერიტორიაზე აღრიცხული საძოვრების ზედამხედველად.

რაზიკაშვილებს მიხა თავიანთ უმცროს ძმად მიაჩნდათ. ვაჟამ იცოდა თქმა: „მიხა ჩემი მეხუთე ძმა არისო“. გორში, მიხასთან დაბინავებული ლევანი ვაჟასთან გაგზავნილ წერილში საუბრობს მასპინძლის სიკეთესა და ხელგაშლილობაზე: „ხომ



**სხედან:** მართას მეუღლე მეტე  
ხასიშვილი, მართა და მისი უმ-  
ცროსი შვილი პავლე.

**მეორე რიგში დგას:** მართას  
უფროსი ვაჟი მიხა რაზიკაშვილი.

**მარჯვენა მხარეს სხედან:** უც-  
ნობი ოჯახის წევრები.

მიხა რაზიკაშვილი (შუაში)  
და ორი უცნობი



მიხა რაზიკაშვილი და მისი  
მეუღლე თამარ ციციშვილი



მიხა რაზიკაშვილი



მიხას შვილები -  
ნუგზარი და ნინო



ნუგზარ მიხეილის ძე რაზიკაშვილი  
შვილიშვილებთან ერთად

იცი მიხას ხასიათი: თავის დღეში, არამც თუ თავის ნათესავ-ისთვის, არამედ უცხოსთვინაც არ დაზოგავს უკანასკნელ ლუკმასო“, – წერს იგი. მართალია, მართას ვაჟი ბიძების ყურადღებით განებივრებული გახლდათ, მაგრამ მის აღზრდასა და პიროვნებად ჩამოყალიბებაში ყველაზე მეტი ამაგი თედოს ჰქონდა. მიხაც ასეთივე სიყვარულით იყო განმსჭვალული თავისი სანათესაოს მიმართ.

რაზიკაშვილების მოქალაქეობრივი მრწამსის თანაზიარი ვაჟას დისწულიც გატაცებული იყო ქართველ ხალხოსანთა და სოციალ-ფედერალისტთა იდეებით: ის ისტორიის გზასაყარზე სამშობლოს გადარჩენის გზას მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვასა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში ხედავდა. საბოლოოდ, რეპრესირებული ნათესავების (თედოსა და ლევანის) მსგავსად, მიხეილ რაზიკაშვილსაც შეეხო ბოლშევიკების მსახვრალი ხელი: 1937 წელს ისიც დააპატიმრეს და 1938 წლის 18 მარტს სიკვდილით დასაჯეს. მიხეილ რაზიკაშვილის მიმართ შედგენილ უსაფუძვლო ბრალდებაში ეწერა, თითქოს ის დუშეთის რაიონში (რომელთანაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კავშირი არ ჰქონია) ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციურ ამბოხებას.

ვაჟა-ფშაველას დისშვილმა, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, „საქართველოს მწერალთა მუზეუმთან“ დადებული ხელშეკრულების თანახმად, დაწერა შესანიშნავი მოგონებები რაზიკაშვილების ოჯახის შესახებ.<sup>364</sup> ჩანაწერები წყდება იმ წელს, როცა დახვრიტეს მისი ავტორი.

მიხა რაზიკაშვილმა თავისი გვარი მისცა გერს, ირინას (ირას). მას და თამარ ციციშვილს სამი შვილი შეეძინათ: გივი (გარდაიცვალა 6 წლის ასაკში), ნუგზარი და ნინო. მიხა მზრუნველი მამა ყოფილა. ის საკუთარი შვილებისაგან არ გამოარჩევდა გერს, რომელსაც მისგან მამობრივი სითბო და სიყვარული არ მოჰკვდებია.


ნუგზარ მიხეილის ქავარი მისცა გერს, ინუინერი საფეიქრო მრეწველობის ავტომატიზაციის დარგში, საბოლოოდ დასახლდა რუსეთის ფედერაციის ქალაქ ივა-

<sup>364</sup> მიხა რაზიკაშვილის რამდენიმე მოგონება ვაჟა-ფშაველაზე დაიბეჭდა პოეტის ბიოგრაფის, სოლ. ყუბანეიშვილის ზემოთ აღნიშნულ გამოცემაში.

ნოვოში. ნუგზარის ვაჟია მიხეილი, რომელსაც ჰყავს ორი მემკვიდრე: გიორგი და ნუგზარი (ქ. გორი).

ნინო მიხეილის ასული რაზიკაშვილი – პროფესიით ინგლისური ენის ფილოლოგი, მუშაობდა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში. ნინოს დარჩა ორი მემკვიდრე: ალექსანდრე (სანდრო) და ბადრი ქოჩორაძეები. ალექსანდრეს ჰყავს ერთი შვილი – სანდრო, ბადრის კი ორი ვაჟი – გიორგი და ვახტანგი (ქ. თბილისი).

ირინა (ირა) რაზიკაშვილის შთამომავლები არიან გურამ და მარინა ხარაჭიშვილები (ქ. თბილისი).



## ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველა) (1861 – 1915)

ლუკა რაზიკაშვილი დაიბადა სოფელ ჩარგალში 1861 წლის 14 ივნისს. ვაჟა-ფშაველას დაბადების ეს ოფიციალურად აღიარებული თარიღი დაფიქსირებულია ჩარგლის წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკულ ჩანაწერში.<sup>365</sup> ვაჟას დაბადების იგივე თარიღია მითითებული იმ მეტრიკულ ამონაწერშიც, რომელიც წარუდგენიათ მისი თბილისის ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში შესვლის დროს.<sup>366</sup> ცნობილია, რომ 1912 წელს „სახალხო გაზეთის“ 26 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ვაჟამ შესწორება შეიტანა გამომცემელთა მიერ დაბეჭდილ მის მცდარ ბიოგრაფიულ მონაცემებში: პოეტის შენიშვნით, იგი დაბადებულა არა 1861 წელს, არამედ 1862 წლის 15 მაისს. ვაჟასეული ვერსიის დამადასტურებელი სხვა ოფიციალური საბუთის არარსებობის გამო, მეცნიერთა უმრავლესობა პოეტის დაბადების თარიღის მეტრიკულ ჩანაწერს ეყრდნობა, თუმცა, ვაჟას ცნობას ნდობით ეკიდება მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების მკვლევარი იუზა ევგენიძე, რომელიც აღნიშნავს: „ბოლოს და ბოლოს, ვისაც სურს ნდობა გამოუცხადოს გენიალურ ვაჟას, უნდა ირწმუნოს სხვადასხვა კონტექსტში წარმოდგენილი ნაამბობი და რეპლიკა, რომელიც ცხრა ათეულზე მეტი ხნის წინ, 1912 წელს, გამოაქვეყნა დიდმა პოეტმა“. <sup>367</sup>

რვა წლის ლუკა სასწავლებლად მიაბარეს თელავის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი – თბილისის ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში. 1879 წლიდან მან სწავლა განაგრძო გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიაში, რომელიც 1881 წელს დაამთავრა. სემინარიაში მიღებულმა ცოდნამ და შთაბეჭდილებებმა, გორის ხალხოსანთა წრესთან იდეურმა სიახლოვემ დიდი გავლენა მოახდინა მწერლის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე.

პირველი ლექსები პატარა ლუკამ უფროსი ქმის, გიორ-

<sup>365</sup> იხ. საქ. ეროვნული არქივის საისტორიო ფონდი №489, საქმე №1510.

<sup>366</sup> იხ. სოლ. ყუბანეგვილის ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 47.

<sup>367</sup> იუზა ევგენიძე, ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიის ერთი საკითხი, „ნახაგი“: ფილოლოგიურ კვლევათა წელიწადეული, ტ. 1, თბ., 2009, გვ. 209.

გის მიბაძვით დაწერა, სემინარიაში სწავლისას კი ერთ-ერთი ადრეული ლექსი – „ყარსის ბოლოს“ მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალ „რიურაჟში“ გამოაქვეყნა. ცნობილია, რომ ლადო აღნიაშვილის ინიციატივით დაარსებულ აღნიშნულ ჟურნალში ლუკა ხელმძღვანელობდა პოეზიის განყოფილებას, ხოლო მის ძმას, ბაჩანას ამ ჟურნალის გადამწერის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. სემინარიაში „ლუკა კითხულობდა როგორც ქართულს ისე რუსულს წიგნებს, სემინარიის ბიბლიოთეკის ყველა წიგნი გადაკითხული ჰქონდა“ (სოლ. ყუბანეიშვილი). მისი ინტერესის სფეროში შედიოდა სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურა: ფილოსოფოსთა და პოლიტიკოსთა ნაშრომები, ეპიკური თხზულებები და ევროპელ კლასიკოსთა ნაწარმოებები.

1882 წელს ლუკა მასწავლებლად დანიშნეს ტოლათსოფელის (ამტნისხევის) სკოლაში. ამტნისხევში გლეხებისა და მოსწავლეთა ინტერესების დამცველ პედაგოგს კონფლიქტი მოუვიდა თავად ხიმშიაშვილთან და სკოლის გამგესთან, რის შემდეგაც იძულებული გახდა იქიდან მაღევე წამოსულიყო.

1882-1883 წლები პოეტმა გაატარა პეტერბურგში, სადაც, როგორც თავისუფალი მსმენელი, უფროს ძმასთან ერთად ესწრებოდა ლექციებს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1885 წელს ლუკა მიიწვიეს სოფელ ოთარაშენში თავად ოთარ ამილახვრის ვაჟის, გიორგის მასწავლებლად. ამილახვრის ოჯახში პოეტი ერთ წელზე მეტ ხანს არ გაჩერებულა: აქ მან გაიცნო თავადის ქორწინების გარეშე დაბადებული შვილი, ახალგაზრდა ქვრივი ეკატერინე (კეკე) ნებიერიძე და ახლადშერთულ მეუღლესთან ერთად მიაშურა მამა-პაპის კერას.

1886 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ვაჟა პედაგოგად მიავლინა დიდი თონეთის სოფლის სკოლაში, სადაც სამართლიანობის მქადაგებელმა უშიშარმა პედაგოგმა „ხელჩართული“ ბრძოლა გაუმართა სოფლის მამასახლისს, მღვდელსა და ჩინოვნიკებს. „ვაჟა საწყალი ხალხის ნუგეში იყო. პრისტავი ხმას ვერ გასცემდა ვაჟას და მის ძმას, ბაჩანას, რადგან სწავლით, ცოდნით ყველას აჭარბებდნენ, კანონიც იცოდნენ და სამართალიც“ (ლ. იანვარაშვილის მოგონებიდან). გლეხები რჩევის მისაღე-

ბად ხშირად აკითხავდნენ მასწავლებელს. სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერის მიუხედავად, მოწინააღმდეგეთა მიერ სასამართლოში შეტანილი საჩივრების საფუძველზე, „ქშწვების“ გამგეობამ ლუკა რაზიკაშვილი სამუშაოს ჩამოაშორა.

1888 წელს, იაკობ მანსვეტაშვილის ინიციატივით, ვაჟა თანამშრომლად მიიღეს გაზეთ „ივერიაში“, სადაც მას დაავალეს კორესპონდენციების რუსული ენიდან თარგმნა. პოეტი თავიდან დათანხმდა ამ შემოთავაზებას, მაგრამ ვერ შეეგუა რუტინულ სარედაქციო სამუშაოს და რამდენიმე დღეში გაზეთში სამსახურზე უარი განაცხადა. მაშინ, ილია ჭავჭავაძის გადაწყვეტილებით, ვაჟას დაენიშნა მცირეოდენი ჯამაგირი და იგი სამუდამოდ დაბრუნდა მშობლიურ სოფელში. ამ დროიდან, სიცოცხლის ბოლომდე, ვაჟა ფშავში ცხოვრობდა და სხვა გლეხებივით ფიზიკური შრომით არჩენდა ცოლ-შვილს.

1892 წელს პოეტს ციმბირის წყლულმა მარჯვენა თვალი დაუსახიჩრა, <sup>368</sup> მაგრამ ის ძველებური შემართებით განაგრძობდა შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

პერიოდულად ვაჟა ყვარელში სტუმრობდა თავის დას, სადაც საყვარელი საქმიანობით – ნადირობით იქცევდა თავს. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას, 1902 წლის 10 დეკემბერს, ნადირობიდან დაბრუნებულმა პოეტმა შეიტყო საყვარელი მეუღლის გარდაცვალების ამბავი. ვაჟას არყოფნის პერიოდში რძლისთვის უკანასკნელი პატივი მიუგია ბაჩანას. შემდგომშიც, ლუკას ობლების პატრონობა იკისრეს ნიკომ და მისმა ღვთისნიერმა მეუღლემ მარიამმა. პოეტს ტვირთად დააწვა უქალო ოჯახის გაძლოლა, ამიტომ ის დაპყვა ახლობლების რჩევას და 1904 წლის 31 მარტს გარიგებით შეირთო მთიული ქალი – ნინო (თამარ) დიდებაშვილი.

ოჯახის რჩენა მთის მკაცრ პირობებში დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვდა. ვაჟა დღისით იშვიათად წერდა, რადგან არ ეცალა და არც განმარტოების საშუალება ჰქონდა. პოეტი მუშაობდა უმეტესად ღამით, ლამფისა ან ჭრაქის შუქზე. მას პერიოდულად უხდებოდა თბილისში ჩამოსვლა, რათა რე-

<sup>368</sup> სანდრო რაზიკაშვილი, მოგონება თედო რაზიკაშვილზე (ი. ლოლაშვილის შესავალი წერილით), უურნალი „ლიტერატურის მატიანე“, წიგნი მე-5, ნაკვ. 1, თბ., 1949, გვ. 38–39.

დაქციებსა და სტამპებში დასაბეჭდად მიეტანა თავისი თხზულებების ხელნაწერები.

ფშავეში პოეტი მოსახლეობის პატივისცემით სარგებლობდა: ამა თუ იმ საკამათო საქმის გარჩევისას გლეხები ლუკას აზრს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. პოეტის ბიოგრაფიიდან ცნობილია, თუ როგორი თავგანწირვით იძრძოდა ის ტყეში ხეების გაჩერვაზე დაწესებული სახელმწიფო გადასახადისაგან მოსახლეობის გასათავისუფლებლად. ამ საქმის გამო პოეტს სასამართლოში ხანგრძლივი დავა ჰქონდა ადგილობრივ მეტყუევებთან. ვაჟა ჯიუტად იცავდა თავის პრინციპებს და როცა მასთან ვერაფერი გააწყეს, მოსაკლავად ტყის მცველი დაადევნეს. მდევარმა ერთხელ ესროლა მას, მაგრამ იარაღმა უმტყუვნა, არ გავარდა. მაშინ ლუკამ დრო იხელთა, თოფი წაართვა მტერს და ლაზათიანად „მიარტყა“ კიდეც. მას მიხეილ რაზიკაშვილისთვის უთქვამს: „რაკი ჩემი ხელით დავსაჯე, საქმისთვის მსვლელობა არ მიმიცია; მხოლოდ გავაგებინე, თუ რამდენად მოტყუებული იყო თავის საქციელში. ღმერთმა ინხბა ჩემი გადარჩენა, თორემ მე დღეს ცოცხალი აღარ ვიქნებოდი“.<sup>369</sup>

ვაჟა, როგორც მწერალი და მოაზროვნე, ყოველთვის ცხოვრების შუაგულში იდგა: ის აკვირდებოდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და ცდილობდა თავისი წვლილი შეეტყანა მნიშვნელოვან საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. პოეტი თანაუგრძნობდა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მიმართულ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობასაც, მაგრამ პრობლემების მოგვარების გზებს ის მხოლოდ ეროვნულ ჭრილში განიხილავდა. რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკისა და უსამართლო წეს-კანონების მიმართ მწერლის უარყოფით დამოკიდებულებაზე მეტყველებს 1905 წელს მის მიერ გლეხთა თავყრილობაზე (ე. წ. „სუდიაობაზე“) შედგენილი საინტერესო დოკუმენტი – „ფშავ-ხევსურთა დეკლარაცია“.<sup>370</sup> დეკლარაციის ვაჟასეული ხელნაწერი 1948 წელს სოფელ მაღაროსკარის სკოლის არქივში აღმოაჩინეს.

<sup>369</sup> მიხეილ რაზიკაშვილი, მოგრძნებები ვაჟა-ფშაველაზე, უურნაღი „გზა და ჭეშმარიტება“, თბ., 2010, მაისი, №5, გვ. 4.

<sup>370</sup> იხ. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 10, თბ., 1964, გვ. 91–93.

ამ დოკუმენტის უკომპრომისო პათოსით ვაჟა მთიელი მოსახლეობის მებრძოლ ლიდერად წარმოგვიდგება. სანდრო შანშიაშვილის მოგონება გვამცნობს, რომ 1908–1909 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებე პოეტს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების გეგმაც კი შეუდგენია. „ვაჟას იდეა არ განხორციელებულა, მაგრამ ჩემს გულში ისეთი ცეცხლი აინთო, რომელიც არ ჩამქრალაო“ – წერდა იგი.<sup>371</sup>

ლუკა ამ დროს უკვე აღიარებული მწერალი გახლდათ. მისი ახალი თხზულების დაბეჭდვას ხალხი დიდი სიხარულით ეგებებოდა. „შემოდგომობით და ზამთრობით ვაჟა თბილისის ხშირი სტუმარი იყო. როდესაც გაზეთში მისი ლექსები იწყებდა ბეჭდვას, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მთიდან ვაჟა ბარში ჩამოსულა“... – წერს სანდრო შანშიაშვილი და შემდეგ აღწერს პოეტის გარეგნობას: „ამაყი და მორიდებული იყო. მე ის ქუჩაში მინახავს ხშირად. ხანდახან ეჭირა ხელში „ტროსტი“. ეცვა სუფთად გაწმენდილი, ჩოხა-ახალუხი, გაკრიალებული ქართული წულები და ყელზე კოხტად გადაგდებული ჰქონდა ყაბალახი. თავზე იხურავდა გარიბალდის, ან ძვირფასი კრავის ფაფახს.“.

ვაჟას ხშირად იწვევდნენ საღამო-იუბილეებზეც. 1913 წელს პოეტი მეორედ მიიწვიეს იმერეთში. ქუთაისში მოწყობილ ლიტერატურულ საღამოზე მან წაიკითხა თავისი რამდენიმე ნაწარმოები და ამ შემთხვევისთვის ექსპრომტად დაწერილი ლექსი – „იმერეთს“. ვაჟას მეგზური ქუთაისში – სიკოფაშალიშვილი იგონებდა მის გამოსვლას იმერეთის მოწინავე საზოგადოების წინაშე: „მეტად თავისებური იყო ვაჟა-ფშაველას დეკლამაცია: შთამაგონებელი სიდინჯითა და მოკრძალებული სიამაყით გამოდიოდა სცენაზე, ოდნავ შუბლშეკრული, თვალებმოწკურული. დარბაზში ერთ წერტილს ამოიღებდა სანიშნოდ, – თითქოს ვინმე მოპირდაპირე ჰყავს და მას ელაპარაკებაო, ტანით უმოძრაო, ნათქვამ სიტყვებს ძალას აძლევდა მხოლოდ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის დირიჟორული ჟესტიკულაციით, მისი ლითონნარევი ხმა და უბრალოება ბოჭავდა მსმენელს და საერთო მოწონებას იწვევდა“.<sup>372</sup>

<sup>371</sup> სანდრო შანშიაშვილი, მოგონებანი დიდ პოეტზე, უურნალი „ლიტერატურის მატიანე“, ნიგნი 1–2, თბ., 1940, გვ. 262.

<sup>372</sup> სიკოფაშალიშვილი, დაუვინარები, შეცვედრები, თბ., 1966, გვ. 102.

გასული საუკუნის ათიან წლებში ვაჟა-ფშაველას ინიციატივით, მთის მწირ, მოუსავლიან მიწაზე მცხოვრებ ოჯახებს კახეთში დაურიგეს საკარმიდამო ნაკვეთები. ამას მოჰყვა ფშავ-ხევსურების, მთიულებისა და თუშების შირაქში მასიური მიგრაციის პროცესი, რომელიც რამდენიმე წელს გაგრძელდა. „1914 წელს გაზ. „სახალხო ფურცელში“ ვაჟა წერდა: „ქედში კი მთის ხალხის ჩამოსახლებით დიდი საქმე გაკეთდა, მეორე საქართველო შეიქმნა თითქმის. ვისაც - კი ჩვენგან იოტის ტოლი შეგნება აქვს, სიყვარული თავისი ხალხისა, ამ ფაქტს უნდა სიხარულით ეგებებოდეს“. აი, ასე, ეროვნული პოზიციებიდან უდგებოდა ვაჟა მთის მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების საკითხს“.<sup>373</sup> სიკო ფაშალიშვილი თავის მოგონებებში გვანვდის საგულისხმო ცნობას პოეტის სამომავლო გეგმებიდან მისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი ერთი განუხორციელებელი პროექტის შესახებ: „ვაჟა დიდად გატაცებული იყო „გაღმა მხარის“, ე. ი. კუხეთ-საინგილოში მოგზაურობით.; ამ მიზნით გადაშლილი ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფია ბევრჯერ მინახავს მის ხელში ფანქრით გახაზული და არშიებზე ჩამატებული შენიშვნა-განმარტებით. ქედი-წითელწყაროს მიდამოებში მოგზაურობის მოთავების შემდეგ ვაჟას საინგილოში წასვლა ჰქონდა განზრახული“. – აღნიშნავდა მწერალი.

ამდენმა საზრუნავმა, მუდმივმა ფიზიკურმა დატვირთვამ და ცხოვრების შეუფერებელმა პირობებმა საბოლოოდ გატეხალუკას ჯანმრთელობა და იგი პლევრიტით დაავადდა. სათავადაზნაურო ბანკმა პოეტს დაუნიშნა ხუთი თუმანი პენსია, მაგრამ ეს დახმარება მაღლევე შეუწყვიტა. ბაჩანას ვაჟის, პავლე რაზიკაშვილის მოგონებებში კარგად არის დახატული ვაჟის სიცოცხლის ბოლო პერიოდის სულისშემძვრელი სურათი. პავლეს ჩანაწერიდან იკვეთება ამ დიდი ადამიანის გულუბრყვილო და პოეტური ბუნებაც: „1914–1915 წლებში ვაჟა ძალიან ავადმყოფობდა და როცა კი დავაცერდებოდი, უაღრესად დატანჯული სახე ჰქონდა. მას უკვირდა თავის ავადმყოფობა და ხშირად წაილაპარაკებდა: „საკვირველია, რადა ვარ ავადო“. არ მინახნია დღისით გახდილი და ლოგინში ჩაწოლილი.

<sup>373</sup> ჯიბი ლომაშვილი, ვაჟა-ფშაველა – ფშავ-ხევსურთა და მთიულთა შირაქში ჩამოსახლების ქომაგი, თბ., 2013, გვ. 23.

ახალოხიანი, თავზედ ყაბალახწაკრული წაწვებოდა თავის ერთადერთ დანჯღრეულ „კრაოტზედ“, მუდამ გულალმა, თავ-ქვეშ ხელებდაწყობილი და ფიქრობდა ძალიან დიდხანს. წა-მოდგებოდა მხოლოდ იშვიათადღა და სწერდა. მე ცრემლებით მევსებოდა თვალები“.

1915 წლის 23 მაისს, თბილისის სახაზინო თეატრში (ზაქა-რია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახემწიფო ო-ატრის ძველ შენობაში) გაიმართა ვაჟა-ფშაველას სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 35 წლის იუბილე, რო-მელზეც პოეტს ქართველი ერის სახელით დაფნის გვირგვინი მიართვეს. საღამომ კარგად ჩაიარა, მაგრამ ამ დღის დაქა-ნცველმა რეჟიმმა უარყოფითად იმოქმედა ნაავადმყოფარი პოეტის ჯანმრთელობაზე: გაციების შედეგად ავადმყოფის მდგომარეობა გართულდა და იგი მოათავსეს წმინდა ნინოს სახელობის სამხედრო ლაზარეთში (დღევანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი). ცნობი-ლი ქართველი ექიმების დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ვა-ჟას გადარჩენა ვერ მოხერხდა. პოეტი გარდაიცვალა 1915 წლის 27 ივლისს, საღამოს 7 საათზე. ვაჟა-ფშაველას ცხედარი 2 აგვისტომდე დასვენებული იყო ქაშვეთის ეკლესიის ქვედა სართულზე, სადაც საპატიო ყარაულში განუწყვეტლივ იცვ-ლებოდნენ სტუდენტები. ვაჟა-ფშაველას ცხედარს ერთადერ-თი გვირგვინი ამშვენებდა წარწერით: „ქართული პოეზიის არწივები – ქართველი ერისაგან.“ კომისიის გადაწყვეტილებით, პოეტი დაკრძალეს გამოჩენილ ადამიანთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში, ხოლო 20 წლის შემდეგ მისი ნეშტი გადასვენეს მთაწმინდის პანთეონში.

პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან უნდა გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა: 1879 წლის 16 იანვარს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას პირველი კორე-სპონდენცია „ნერილი ხევსურეთიდან“; ამავე გაზეთში, 1881 წლის 4 სექტემბერს გამოქვეყნდა მწერლის პირველი მოთხ-რობა „სურათი ფშავლის ცხოვრებიდან“; 1881–1883 წლებში უურნალ „იმედში“ „ლ. რ-ზ-კ-ლი“-ს ფსევდონიმით დაიბეჭდა ვაჟას პირველი ლექსები, 1885 წელს კი უურნალ „ნობათში“ პირველად გამოქვეყნდა ყველასთვის საყვარელი მოთხრო-

ბა „შვლის ნუკრის ნამბობი“. ფსევდონიმი „ვაჟა-ფშაველა“ ლუკასთვის პეტერბურგში ყოფნისას შეურქმევია თუშ მეგობარს დიმიტრი ცისკარიშვილს. პოეტის თხზულებები ამ ფსევდონიმით 1885 წელს პირველად გამოჩნდა უურნალებში: „თეატრი“ და „ნობათი“. 1886 წელს გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მიტანილი ლუკა რაზიკაშვილის პოემა „მოხუცის ნათქვამი“ ნაიკითხა ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც დამწყებ პოეტს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. პოემა იმავე წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიის“ 89-ე ნომერში. ცნობილია, რომ ვაჟას ქართველ მოღვაწეთა შორის ყველაზე მეტად ილია უყვარდა: ის ილიას აღმერთებდა და მის სახელს სიცოცხლის ბოლომდე მოწინებით მოიხსენიებდა. ილიას აღიარების შემდგომ ვაჟას წერილები და თხზულებები სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთებში – „ივერია“, „დროება“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“ და უურნალებში – „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „თეატრი“, „ნობათი“, „მოამბე“, „ერი“, „განათლება“.

პოეტის სიცოცხლეში დაიბეჭდა მისი თხზულებების არაერთი დამოუკიდებელი გამოცემა:

„მოთხოვანი“ (ტფ., 1889)

„შალვას ნანახი ხატი. ამბავი. მოხუცის ნათქვამი. პოემა ვაჟა-ფშაველასი“ (ტფ., 1896)

პოემა „ბახტრიონის“ ორი გამოცემა (ტფ., 1897, 1911)

პოემა „ახუნდი“ (ტფ., 1898)

„ამოდის, ნათდება! და სხვა მოთხოვანები ვაჟა-ფშაველასი“ (ტფ., 1898)

„თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი“ (ტფ., 1899)

„ცრემლები“ (ლექსების კრებული, ტფ., 1909)

„სამი საყმანვილო ამბავი“ (მოთხოვანები, ტფ., 1911)

ამ წიგნებმა ვაჟას დიდი აღიარება მოუტანა, თუმცა პრესასთან თანამშრომლობით და ცალკეული გამოცემების გაყიდვით მიღებული მწირი შემოსავალი მის ეკონომიურ მდგომარეობაზე თითქმის არ ასახულა.

1961 წელს, ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად დაიბეჭდა ვაჟას თხზულებათა პირველი სრული აკადემიური გამოცემა (ხუთტომეტული), ხოლო 1964 წელს

– კიდევ უფრო უფრო სრულყოფილი<sup>374</sup> აკადემიური გამოცემა ათ ტომად.

ლუკა რაზიკაშვილს პირველ ცოლთან, ეკატერინე (კეკე) ნებიერიძესთან ეყოლა ოთხი შვილი - თამარი, ლევანი, მარიამი და გულექანი. 1904 წლის ოქტომბერში პოეტის მეორე ცოლს, თამარ დიდებაშვილს შეეძინა ვაჟას მეხუთე შვილად წოდებული ვახტანგი.



ვაჟა-ფშაველა მეუღლესთან,  
თამარ დიდებაშვილთან ერთად.

**დგანან:** ლევან და ვახტანგ რაზიკაშვილები

<sup>374</sup> საქ. მეცნ. აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინტიტუტის მიერ მომზადებული აღნიშნული გამოცემის სარედაქციო ნერილში ნათქვამია, რომ საგამომცემლო კოლექტივმა გაითვალისწინა ნინა გამოცემის ხარვეზები: „ნაწარმოების ტექსში შეიტანა თვალსაჩინო შესწორებანი. ამავე დროს ნაწილობრივ შეივსო კომენტარები, დაზუსტდა ზოგიერთი თხზულების დაწერის თარიღი და ა. შ.“



თამარ ლუკას ასული რაზიკაშვილი (1886 – 1961) – ვაჟა-ფშაველას უფროსი შვილი, დაიბადა სოფელ ჩარგალში, 1886 წლის 1 იანვარს. ის ნაკითხი, კეთილშობილი და პუმარილიანი ქალი ყოფილა, ზეპირად სცოდნია მამის ლექსები. უსახსრობის გამო თამარს მხოლოდ დაწყებითი განათლება მიუღია. მის მოგონებებში ვკითხულობთ: „ლევანი როგორც იყო მიაღებინეს სათავადაზნაურო გიმნაზიაში, მე კი ჩამოვრჩი, რადგანაც მამას არვინა ჰყავდა გულშემატკივარი და არც ნაცნობი, არც ნათესავი თუმცა კი ადარდებდა ჩვენი ასე დარჩომა. უსწავლელი მრჩებაო – მახსოვს, ვიღაც დიდი კაცები ჰყავდა და იმათ ეუბნებოდა. – მე რომ თამარისთვის მესწავლა, არ იქნებოდა, რომ ნაყოფს არ გამოიღებდა... ეს გოგო მე მგავსო, – ხშირად იტყოდა და მეც მიხაროდა, რაკი მამას ვგვანდი სახითაც და ხასიათშიც.“<sup>375</sup>

1907 წელს თამარი გათხოვდა თიანეთის რაიონის სოფელ მაგრანეთში მდიდარ გლეხზე, შალვა ბენუკლიშვილზე. შალვა ბენუკლიშვილს პეტერბურგის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, შესანიშნავად იცოდა გერმანული ენა, აგროვებდა ხალხური პოეზიის ნიმუშებს. „შალვა იყო ნიჭიერი, მაძიებელი, ახალი ტექნიკის შემომტანი ერნოს სოფლებში. ფოტოგრაფიაც იცოდა. ხალხურ პოეზიაში (ვ. კოტეტიშვილი) ბევრია შალვა ბენუკლიშვილის ჩანერილი ხალხური ლექსები“ (სოფიო გაბიდაური).<sup>376</sup> გასული საუკუნის ოციან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე ვაჟას სიძე კომუნისტებმა დააპატიმრეს და უგზო-უკვლოდ გააქრეს. ვაჟას უფროსი ქალიშვილი ქმრის ოჯახში დარჩა და იქ ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლომდე. ის დაკრძალულია მაგრანეთის სასაფლაოზე.

თამარსა და შალვას შთამომავალი არ დარჩენიათ.

<sup>375</sup> გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, თამარ რაზიკაშვილის მოგონება ვაჟაზე, №13 157-6.

<sup>376</sup> მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზე, სალიტერატურო ალმანახი „პირიმზე“, 1999, №4, გვ. 42.

**ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი (1887 – 1923)** – ვაჟა-ფშაველას მეორე შვილი, დაიბადა სოფელ დიდ თონეთში, 1887 წლის 1 მარტს.<sup>377</sup> გადმოცემით, ლევანმა დაწყებითი განათლება მიიღო ჩარგლისა და თელავის სკოლებში. 1896 წლის შემოდგომაზე ის ჩაირიცხა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც სწავლობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. აქედან ჩაეყარა საფუძველი ლევანის მეგობრობას საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილ ლიდერთან. ლევან რაზიკაშვილი, როგორც თავისი ქვეყნის ლირსეული შვილი, მოსწავლეობის დროიდან თანაუგრძნობდა საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე სოციალ-ფედერალისტთა იდეებს. გიმნაზიის დასრულების შემდეგ (1909 წ.) ვაჟა-ფშაველას ვაჟს უსახსრობის გამო უმაღლეს სასწავლებელში სწავლა აღარ გაუგრძელებია. ერთხანს ის ცხოვრობდა ჩარგალში, ხოლო 1914 წელს მუშაობა დაიწყო ცენტრალური კანცელარიის მდივნად გორის ლაზარეთში. ლევანის ქართლში ცხოვრების პერიოდზე არსებობს ერთი საინტერესო მოგონება: 1913 წელს გორში ჩასულ აკაკი წერეთელს შეხვედრა მოუწყო ადგილობრივმა ახალგაზრდობამ. მგოსანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათმა პატრიოტულმა სულისკვეთებამ, კერძოდ, ლევან რაზიკაშვილის მშვენიერმა სიტყვამ და აღფრთოვანებულმა საზოგადოებას ამ ლექსით მიმართა:

„ის მიხარებს მოხუცს გრძნობას  
გულს ის მხვდება შვების ისრად,  
მშობელ ქვეყნის სამსახურსა  
რომ ლებულობს შვილის კისრად!  
ასეთ შვილებს საიმედოდ  
თქვენშიც ხედავს ჩემი თვალი, –  
მიტომაც მწამს ასე მტკიცედ



<sup>377</sup> ლადო ქისტაური, რამდენიმე ცნობა ლევან რაზიკაშვილის შესახებ, აღმანახი „პირიმზე“, 1993, №1, გვ.155.

საქართველოს მომავალი“.<sup>378</sup>

დაქორნინებამდე ლევანი მამიდაშვილთან, – მიხა რაზიკ-აშვილთან და ბიძასთან, – ხელთუბანში ცხოვრობდა.

1915 წლის გაზაფხულზე ლევანმა ცოლად შეირთო ქართლელი ქალი – თამარ გრიგოლის ასული მთვარელიძე, რომლის ძმასთან, იოსებთან მას დიდი მეგობრობა აკავშირებდა. ლუკა შვილის ნიშნობას ვერ დაესწრო, რამაც ორივე მათგანს გული დასწყიტა. ქორნილის წინ მამისადმი გაგზავნილ ლევანის წერილში აღნიერილია ის ვითარება, რომელმაც დააჩქარა მისი ნიშნობა: „თუმცა მამტყუუვნებ, რომ უშენოდ დავინიშნე, მაგრამ არა ვარ გასამტყუუვნარი, რადგანაც ისეთ, არამც თუ მატერიალურ მდგომარეობაში, არამედ უსახლ-კარო და უბინაობაში ვიყავი, რომ მეტი ღონე არ იყო, უნდა სადმე თავი შემეფარებინა, ბინა-თავშესაფარი მომენახა. არ მქონდა არჩევანის დრო და უამი! თუმცა მიხასთან ვიყავი და არ შემიმჩნევია მიხასთვის, რომ ლუკმა ან რამე შეშურებოდეს ჩემთვის, მაგრამ მე თვითონ ვგრძნობდი თავს უხერხულად. ადამიანს, რომელსაც არამც თუ ფული, ლოგინი, ტანსაცმელი არა აქვს და ყოველივე მოთხოვნილებით აწვება, ისიც 7–8 თვით, თავის მოკეთეს, რომელიც თვითონაც ძლივს გამოდის იოლად, რა საკვირველია, შერცხვება და, სხვა რომ არა იყოს რა, ეთავილება სხვის ხელებში შეხედვა.“<sup>379</sup> – წერდა იგი. ლევანის ქორნილში თავის მოყვარეს მისმა ნათესავებმა და ახლობლებმა. შვილის ქორნილს, რა თქმა უნდა, დაესწრო ვაჟა-ფშაველაც, რომელსაც რძლისთვის ოქროსძენ კვიანი საათი უჩქებია. დაოჯახების შემდეგ ლევანი ცოლეურებთან ცხოვრობდა.

1917 წელს, თედო რაზიკაშვილისა და იოსებ მთვარელიძის მსგავსად, ლევანიც გაწევრიანდა სოციალ-ფედერალისტურ პარტიაში.

ლევანის დაპატიმრების ოქმის მიხედვით, ის 1918 წლიდან მსახურობდა ფშავში უფროს მილიციელად. 1920 წელს ვაჟას ვაჟი ცოლ-შვილით ჩარგალში გადავიდა საცხოვრებლად. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ლევანი დანიშნეს ფშავის მილიციის უფროსად. 1922 წელს, რუსი დამპურობლებისა და ადგილობრივი კომუნიტების წინააღმდეგ ბრძოლის პირველ ეტაპზე, მაღაროსკარიდან ხევსურთისაკენ დახეული ქაქუცა

<sup>378</sup> იხ. სიკო ფაშალიშვილის ზემოთ დასახ. გამოცემა, გვ. 74, 75.

<sup>379</sup> იხ. ლადო ქისტაურის ზემოთ მოყვანილი წერილი.

ჩოლოყაშვილი თავისი პატარა რაზმით არაგვის ორწყალთან დაბანაკდა. თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის, სერგო სურგულაძის ბრძანებით, ფშავის მილიციის უფროსს ამბოხებულთა ალყაში მოქცევა და მათი ტყვედ აყვანა პქონდა დავალებული, მაგრამ ლევანმა, რომელიც ამ დროს უკვე ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა პოლიტიკურ შეხედულებებს იზიარებდა, ბავშვობის მეგობარი სიკვდილისაგან იხსნა და ის ჩარგლიდან ზემო არტინისა და სოფლიონის გავლით<sup>380</sup> პანკისისაკენ გააპარა. კომუნისტებმა ეროვნული საქმის გულშემატკივარ სამართალდამცავს არ აპატიეს სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა. 1922 წლის 30 სექტემბერს თიანეთის საგანგებო კომისიაში დაბარებული ლევან რაზიკაშვილი დააპატიმრეს მილიციის სამმართველოს უფროსის, იოვაძის განკარგულების საფუძველზე. ვაუკაცობით, ჭკუთა და პატიოსნებით განთქმულ ვაჟას მემკვიდრეს თანადგომა გამოუცხადეს არა მარტო ფშავლებმა, არამედ საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა, რომლებიც დაუინებით ითხოვდნენ მის განთავისუფლებას. საზოგადოების პროტესტის გაუთვალისწინებლად, 1923 წლის 16 თებერვალს „ბანდიტიზმისა“ და სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის მუხლებით გასამართლებული<sup>381</sup> 36 წლის ლევანი სხვა პატიმრებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს.<sup>382</sup> ცხედრები, ჩევეულებისამებრ, დაკრძალეს დახვრეტის გასაიდუმლოებულ ადგილას, ზოგიერთის აზრით – ვაკის პარკის, ზოგის აზრით – დიდუბის ტერიტორიაზე.

თამარ მთვარელიძე მეუღლის დაპატიმრების შემდეგ ჩარგლიდან გორში დაბრუნდა, სადაც მცირენლოვანი ბავშვების პატრონ უსახლკარო ქვრივს მხარში ამოუდგნენ – ძმა იოსები, მიხა რაზიკაშვილი და მეზობელი თათეოზ გოზალიშვილი.

ლევანსა და თამარს ეყოლათ ოთხი შვილი. პირველი ვაჟი – გიორგი ორი წლის ასაკში დაელუბათ. მათ დარჩათ სამი მემკვიდრე: ლუკა, ქეთევანი და ეკატერინე (პეპელა).

<sup>380</sup> ზემო არტანი და სოფლიონი – სოფლები თიანეთის მაზრაში.

<sup>381</sup> ლევან რაზიკაშვილის საქმეს იძიებდა საქართველოს ჩეკას ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილების რწმუნებული, ვინმე ხოჯევანოვი, რომელმაც 1922 წლის 25 ნოემბერს მოამზადა ბრალდებულისადმი ბანდიტიზმის მუხლის წაყენებული დასკვნითი გადაწყვეტილება. იხ. გოგი ციციშვილი, რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი: ჩეკასტური სამქებრო საქმე №2315, თბ., 2001.

<sup>382</sup> იხ. გოგი ციციშვილის ზემოთ დასახ. წიგნი (შენიშვნა №381), გვ. 50.



**დგანან:** იოსებ მთვარელიძე,  
ლევან რაზიკაშვილი და მიხა რაზიკაშვილი.

**სხედან:** ლევანის მეუღლე  
თამარ მთვარელიძე და  
სალომე კაკაბლიშვილი  
(პოეტ მიხა ხელაშვილის და).  
**ბავშვი:** ლუკა ლევანის ძე რაზიკაშვილი

## **ლევან რაზიკაშვილის შთამომავლები**

ლუკა ლევანის ძე რაზიკაშვილი (1915 – 1998) გახლდათ ლევან რაზიკაშვილის უფროსი შვილი. ლუკა დაიბადა და ცხოვრობდა ქალაქ გორში. მას და მის მეუღლეს, ვალენტინა პრუნიჩევას დარჩათ ორი ქალიშვილი – ნინო (დაბ. ქ. გორში, 1947 წ.) და თამარი (დაბ. ქ. გორში, 1948 წ.). ნინოს მეუღლეა აკაკი შოშიაშვილი. მათ ჰყავთ სამი შვილი: ლევანი, მარია და მანანა. ლევანის ქალიშვილები არიან მარიამი და ანა (სოფ. თეთრიწყარო). მანანას ჰყავს ვაჟები – ვალერიან (ვაკო) და თამაზ ჭინჭარაშვილები (სოფ. ჩანადირევი). ლუკა რაზიკაშვილის უმცროსი ქალიშვილი, თამარი, არ დაოჯახებულა.

ქეთევან ლევანის ასული რაზიკაშვილი (1919 – 2006) დაიბადა და ცხოვრობდა ქალაქ გორში. ქეთევანს და მის მეუღლეს, გიორგი გოდერძიშვილს დარჩათ ორი ვაჟი – გოდერძი და ლევანი (იგივე ბაგინა). გოდერძის (დაბ. 1940 წ.) ჰყავს შვილები – მინდია და ლელა (ქ. გორი). მინდიას მეუღლეა ნათია ახლოური. მინდიასა და ნათიას შთამომავლების სახელებია: ლუკა და ლაზარე (ქ. გორი). ლევან (ბაგინა) გოდერძიშვილის (დაბ. 1943 წ.) შვილები არიან: გიორგი და ნინო (ქ. გორი). ნინოს მეუღლეა იოსებ კეჩხუაშვილი. ნინოსა და იოსებს ჰყავთ სამი მემკვიდრე: ლალი, ლევანი და მარიამი (ქ. გორი). ლევან გოდერძიშვილის ვაჟი, გიორგი, არ დაოჯახებულა.

ეკატერინე (პეპელა) ლევანის ასული რაზიკაშვილი (1921 – 2007) დაიბადა და ცხოვრობდა ქალაქ გორში. მას ოჯახი არ შეუქმნია და შთამომავალი არ დარჩენია.



ეკატერინე და  
ლუკა რაზგაშვილები

**სხედან** (მარცხნი-  
დან მარჯვნივ):  
თამარ მთვარელიძე,  
ქეთევან და  
ეკატერინე  
რაზიგაშვილები  
**დგანა:** ლევან  
და გოდერძი  
გოდერძიშვილები  
(ქეთევანის ვაჟები)



ქეთევან  
რაზიგაშვილი  
შვილიშვილებთან-  
მინდიასთან და  
გიორგისთან ერთად




**ბარბარე (გულქან) ლუკას ასული რაზიკაშვილი (1898 – 1989)** – ვაჟა-ფშაველას მესამე შვილი, დაიბადა ჩარგალში, 1898 წლის 10 ივნისს. გულქანი ორჯერ დაოჯახებულა. მისი პირველი ქმარი გახლდათ ხვთისო თურმანაული (მეტსახელად „უგემური“), მეორე – პაპი ხისფეხიშვილი. ვაჟას ქალიშვილი ცხოვრობდა – ბოდავსა და ფუძნარში, სიცოცხლის ბოლო წლები კი გაატარა მშობლიურ სოფელში. გულქანს მემკვიდრე არ დარჩენია. ის დაკრძალულია ჩარგლის სასაფლაოზე.

გულქანის საინტერესო მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე ჩაინირა და 1991 წელს წიგნად გამოსცა პოეტმა და ფილოლოგმა ეთერ თათარაიძემ.<sup>383</sup>

**მარიამ (მარო) ლუკას ასული რაზიკაშვილი (1900 – 1918 ?)** – ვაჟა-ფშაველას მეოთხე შვილი, დაიბადა ჩარგალში, 1900 წლის 2 თებერვალს. მარიამი გათხოვდა თიანეთის რაიონის სოფელ მაგრანეთში გიორგი ბეყოშვილზე. ვაჟას უმცროსი ქალიშვილი დაოჯახებიდან ორიოდე წელში, სრულიად ახალგაზრდა, უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. თამარს შვილი არ დარჩენია. ის დაკრძალულია მაგრანეთის სასაფლაოზე.

<sup>383</sup> იხ. გულქან რაზიკაშვილი, მამამა ღმერთს ჩამაპყარა სახელი, თბ., 1991.



## ვახტანგ რაზიკაშვილი (1904 – 1984)

– ვაჟა-ფშაველას უმცროსი შვილი (გერი), ნინო (იგივე თამარ) დიდებაშვილის ვაჟი. რაზიკაშვილთა შთამომავლებისა და ნათესავების: ლუკა ლევანის ძე რაზიკაშვილის, ეკატერინე ლევანის ასული რაზიკაშვილის, გიორგი ნიკოლოზის ძე რაზიკაშვილის, სალომე კაკაბლიშვილისა და სხვათა<sup>384</sup> გადმოცემით, ვახტანგი არ იყო ვაჟა-ფშაველას კანონიერი მემკვიდრე, თუმცა მის შვილებთან ერთად, თანაბარ პირობებში იზრდებოდა. ვახტანგი ვაჟას მეორედ დაოჯახებიდან

(1904 წლის აპრილი) შვიდ თვეში, – 1904 წლის ოქტომბერში<sup>385</sup> დაბადებულა. აღნიშნული ფაქტის გამო, ლუკა იმდენად გამწყრალა ახლადშერთულ მეულლეზე, რომ მისი უკან, დედ-მამის სახლში დაბრუნებაც კი უფიქრია. ბოლოს, მეზობლების თხოვნით, მას ქალის ოჯახში დატოვება გადაუწყვეტია, მაგრამ გერი თავის გვარზე არ დაუწერია. ვახტანგ დიდებაშვილი რაზიკაშვილის გვარზე გადაუყვანიათ მხოლოდ პოეტის გარდაცვალების შემდეგ, 1916 წელს. ჩარგლის საეკლესიო დავთრის 1905 წლის მეტრიკულ ჩანაწერში ვახტანგის მშობლების გრაფაში პირველ ადგილზე დედა – ნინო (თამარ) დიდებაშვილი წერია. ქვემოთ განმარტებულია, რომ იგი არაკანონიერად (ჯვარდაუწერლად) ცხოვრობს ჩარგლის მკვიდრთან, ლუკა რაზიკაშვილთან. ეს უკანასკნელი ცნობა (ნინოს ლუკასთან ჯვარდაუწერლობის შესახებ) შემდგომ წლებში ჩასწორების დროს გაუუქმდიათ და შავი მელნით გადაუხავთ. საეკლესიო მეტრიკულ წიგნებში, არაკანონიერად დაბადებული ბავშვების ერთეული შემთხვევების გარდა, პირველად იწერებოდა მამის მონაცემები, რომელიც ბავშვს გვარს აძლევდა. ამ დოკუმენტის მიხედვით კი, ვახტანგს

<sup>384</sup> ამ ფაქტს ეხმაურება ფშაველი პოეტის, მიხა ხელაშვილის ლექსი ვახტანგზე, რომელშიც მიხა მას ასე მიმართავს: „თავის გვარდავიწყებულო, რაზიკაშვილი ხდებიაო“.

<sup>385</sup> ჩარგლის საეკლესიო დავთრის მიხედვით, ვახტანგის დაბადების თარიღია 1905 წლის 2 ოქტომბერი (ფონდი №489, ანაწერი 21, საქმე №1551). ეს მეტრიკული ჩანაწერი გაკეთებულია ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ.

გვარი მისცა დედამ – თამარ დიდებაშვილმა. აღნიშნული ჩანაწერის გასწვრივ იმერეთის სინოდის კანტორის თანამშრომლების მიერ გაკეთებული 1916 წლის 7 მაისით დათარიღებული რუსული მინაწერია მეტრიკაში შეტანილი ცვლილებების შესახებ: „Исправлено по указу С. К-ой 7 мая 1916 г. № 8457”. ეს გვაფიქრებინებს, რომ მოგონებების თანახმად, ვახტანგის გვართან და ნინო დიდებაშვილის კანონიერი მეუღლის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით, საეკლესიო დავთრის პირველ ჩანაწერში ცვლილებები, მართლაც, ვაჟას სიკვდილის შემდეგ შეუტანიათ. ვახტანგს განახლებული დაბადების მონმობის აღებაში დაეხმარნენ ვაჟა-ფშაველას ვაჟი ლევანი და პოეტის დისტული – მიხა რაზიკაშვილი. აღნიშნულ ფაქტზე მიგვანიშნებს მიხას მიერ 1933 წელს სანდრო რაზიკაშვილისადმი გაგზავნილი წერილიც, რომელშიც საუბარია მასთან დარჩენილი ვახტანგის ძველი დაბადების მონმობის გამოუსადეგრობაზე: „ამ პასპორტიზაციისათვის ქალალდების ძებნის დროს აღმოჩნდა ვახტანგის მეტრიკა... რა თქმაუნდა ის მას იმ სახით როგორც დაწერილია, აღარ გამოადგება, მაგრამ – გიგზავნი და გადაეცი როდესაც შემოივლის“.<sup>386</sup>

ვახტანგ რაზიკაშვილი ცხოვრობდა თბილისში და დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის დირექტორად. ის ავტორია წიგნებისა: „მამაჩემი ვაჟა-ფშაველა“ (თბ., 1961) და „ვაჟას საოჯახო პოეზია“ (თბ., 1978). ვახტანგი დაკრძალულია ვაჟასეულ ეზოში.

ვახტანგს დარჩა ორი შვილი – ალექსანდრე (ვახტანგისა და დედუნა ბაჩიაშვილის ვაჟი) და თამარი, იგივე გულიკო (ვახტანგისა და სურია გოგიატიძის ქალიშვილი).

ალექსანდრე (ალექსი) ვახტანგის ძე რაზიკაშვილი დაიბადა და ცხოვრობდა ჩარგალში. მისი მემკვიდრეები არიან: ციური – პირველი ქორწინებიდან და თამარი, ნინო და ვაჟა – მეორე ქორწინებიდან. ეს უკანასკნელნი დღესაც ჩარგალში ცხოვრობენ.

თამარ (გულიკო) ვახტანგის ასული რაზიკაშვილი ცხოვრობს თბილისში. მისი მეუღლე გახლდათ ჯანსულ (ჯანო) ტონია. თამარს ჰყავს ორი შვილი: ვახტანგი (ვახო) და ეკატერინე (ეკა). ვახტანგ ტონიას ქალიშვილი, სალომე, ბების გვარს ატარებს და რაზიკაშვილად იწერება.

<sup>386</sup> იხ. რაზიკაშვილების მიმოწერა, გვ. 238.

## ნიკოლოზ (ბაჩანა) პავლეს ძე რაზიკაშვილი (1866 – 1927)

პავლე რაზიკაშვილის მეოთხე შვილი – ნიკო, იგივე ბაჩანა, დაიბადა 1866 წლის 11 მაისს<sup>387</sup> სოფელ ჩარგალში. მან დაწყებითი განათლება მიიღო ჩარგლის სკოლაში, 1880 წლიდან კი სწავლა განაგრძო გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიაში, რომელიც 1885 წელს წარჩინებით დაამთავრა.

ახალგაზრდობაშივე გამოიკვეთა ბაჩანას გამორჩეული ბუნება – სულის სიფაქიზე, მოყვასისადმი თავდადება, რომანტიულობა და ფიცხი ხასიათი. „ბაჩანა მეტად ნიჭიერი, შრომისმოყვარე და გულკეთილი კაცი იყო, მას არავისათვის არაფერი შურდა და სხვის გულისთვის უკანასკნელ პერანგსაც გაიხდიდა“ – წერდა მის შესახებ სანდრო რაზიკაშვილი. ნიკო გარეგნობით თითქოს წააგავდა თავის ძმებს, მაგრამ მაინც სხვაგვარი, სახასიათო გარეგნობა ჰქონდა: „მაღლა ავარცხნილი გრუზა ქოჩორი და თაფლისფერი თვალები, სანდომიანი სახე ნამდვილ პოეტურ შეხედულებას აძლევდა“. <sup>388</sup> ბაჩანა საშუალო სიმაღლის, ათლეტური კუნთოვანი აგებულებისა გახდათ. „ის მეტად ენერგიული და ბუნებით ოპტიმისტი იყო, ხოლო სევდაც წრეგადასული იცოდა“ (ივ. რაზიკაშვილის მოგონებიდან).

ნიკო რაზიკაშვილის პირველი პოეტური ქმნილებები გამოჩნდა სემინარიელთა ხელნაწერ უურნალ „რიურაჟში“, რომლის ნომრების გადაწერაც მას ჰქონდა დავალებული. პოეტის ფსევდონიმი – „ბაჩანა“ (ნიკოს ბავშვობისდროინდელი მეტსახელი) საზოგადოებამ გაიცნო გაზეთებში – „ივერიასა“ და „დროებაში“ 1885 წელს გამოქვეყნებულ ლექსებთან ერთად.

სემინარიის დამთავრებისთანავე, 1885 წელს, ბაჩანა დაინიშნა გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. თავისი ძმების მსგავსად, ნიკოსაც შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა: ის ყოველთვის მზად იყო შებრძოლებოდა უსამართლობას და დაეცვა მემამულეთაგან

<sup>387</sup> ჩარგლის წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერი იხ.: საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 189, საქმე 1879.

<sup>388</sup> შალვა მარკოზაშვილი, ბაჩანა, უურნალი „სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1993, გვ. 105–110.

შევიწროებული გლეხები. სწორედ ამ საბაბით, ვეჯინში მას კონფლიქტი მოუვიდა ადგილობრივ თავადთან, „ნააფიცრალ“ სოსო აბაშიძესთან, რომელმაც ერთ წევულებაზე ბაჩანას მიპარვით დაჰკრა მხარზე ხანჯალი. მძიმედ დაჭრილი პოეტი ჩარგალში დაბრუნდა, სადაც მას რამდენიმე თვის განმავლობაში მკურნალობდა ფშაველი ექიმბაში. ამ მოვლენების ფონზე, სოფლის ჩაფართან დაპირისპირების შემდეგ, ბაჩანა სამუშაოდან გაათავისუფლეს.

1890 წელს ნიკო პედაგოგად დანიშნეს ბარისახოს ახლად გახსნილ სკოლაში, სადაც დაჰყო 10 წელიწადი. ხევსურეთში მოღვაწეობის პირველ ეტაპზე პოეტს დიდი ძალისხმევა დასჭირდა სკოლის გასამართად და სასწავლებელში ბავშვების მისაზიდად, საბოლოოდ კი მას შრომა დაუფასდა: კეთილმოსურნე მასწავლებლის წყალობით ადგილობრივმა გლეხებმა თანდათან შეიგნეს განათლების ფასი და ბავშვებიც სიხარულით მიდიოდნენ სკოლაში. 1993 წელს, ბარისახოში ცხოვრების პერიოდში, პოეტმა ცოლად შეირთო თავისივე თემის<sup>389</sup> ქალი და წაწალი მარიამ გურასპაული. ბაჩანას მიერ თემის ადათის დარღვევას ჩარგლელთა გულისწყრომა გამოუწვევია, მაგრამ თანასოფლელთა შეხედულების საპირისპიროდ, მან პოეტური სულით გამორჩეული მანდილოსანი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად გაიხადა. მოგვიანებით, ნიკოს ცხოვრების ეს ეპიზოდი საფუძვლად დაედო მისი პოემა-რომანის – „წაწლობის“ სიუჟეტურ ქარგას.

1900 წელს ბაჩანამ მუშაობა განაგრძო მაღაროსკარის ოთხელასიან დაწყებით სკოლაში. პოეტმა, ბარისახოს მსგავსად, მაღაროსკარის სკოლასთანაც გახსნა მცირე ბიბლიოთეკა, რომელსაც თბილისიდან ჩამოტანილი წიგნებითა და უურნალ-გაზეთებით ამარაგებდა. ფშავში დაბრუნებულმა ბაჩანამ პატარა სახლი აიშენა ჩარგალიდან სამ კილომეტრში მდებარე სოფელ აფხუშოში. ამ ულამაზეს ადგილას, მამა-პაპის სალოცავის გვერდით, მას ხეხილი და სახნავ-სათიბი ჰქონდა. სამუშაო დღეებში ნიკო სკოლაში რჩებოდა, სადაც საცხოვრებლად გამოყოფილი ჰქონდა ერთი ოთახი. შაბათ-კვირას ის საკუთარ სახლს მიაშურებდა ხოლმე და საოჯახო საქმეებს

<sup>389</sup> ჩარგლის მოსახლეობა გოგოჭურების (ფაბაურების) თემს ეკუთვნის.

აგვარებდა. ამ დროს მთელს საქართველოში ინფექციური დაავადებები მძვინვარებდა, რომელმაც არა ერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ფშავში პოეტს სახადით დაეღუპა ქალ-ვაჟი. ნიკომ მტკივნეულად განიცადა შვილების სიკვდილი, რამაც მის ცხოვრებას სამუდამო დაღი დაასვა. 1909 წელს მოულოდნელად გაჩერილმა ხანძარმა გაანადგურა მაღაროსკარის სკოლა. ცეცხლმა შთანთქა ბაჩანას თხზულებათა მრავალრიცხოვანი ხელნაწერები და ბიბლიოთეკის წიგნები. პოეტს, აუნაზღაურებელ დანაკარგთან ერთად, სკოლის დახურვაც ადარდებდა. საბედნიეროდ, სკოლა დროებით ჩარგალში გადაიტანეს, მისი განახლების შემდეგ კი ბაჩანა კვლავ დაუბრუნდა თავის სამუშაო ადგილს.

შრომისმოყვარე მასწავლებელს გაკვეთილების შემდეგაც არ შეეძლო უქმად ყოფნა: „ბარისხოსა და მაღაროსკარის სკოლების ეზოებში მან სხვადასხვა ჯიშის ხეხილი დარგო და ფშავლებისთვის უცხო საბოსტნე კულტურები მოაშენა. ცნობილია, რომ ბაჩანას სოფლის საქმეში ბევრი ვერ შეედრებოდა: მას თიბვაში ბადალი არ ჰყავდა და ხეხილის მოვლა-პატრონობაც შესანიშნავად იცოდა. პოეტს ჩინებული სპორტული მონაცემებიც ჰქონია: „ბაჩანა ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე, შემდეგ კი ვაჟას წაბაძვით ეჩვეოდა ჭიდაობას, კრივს, ტყვიით სროლას, შუბის ტყორცნას, ცხენით ჯირითს, წყალში ცურვას, სიმაღლეებზე ასვლას, გადარჩენას და სხვა. ამავე დროს ბაჩანა ძალიან ღონიერიც იყო. მართალია ტანად წარმოსადეგი არ იყო მამაჩემი, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან სწრაფი და მკვირცხლი იყო“. - წერდა მის შესახებ ნიკოს უმცროსი შვილი გიგლა რაზიკაშვილი. საუკეთესო ფიზიკური მომზადების მიუხედავად, მუდმივმა გაჭირვებამ, ახალგაზრდობის მოურჩენელმა ჭრილობამ და მთის ნესტიანმა ჰავამ მაინც შეარყია პოეტის ჯანმრთელობა. 1917 წლიდან, პირობების გაუმჯობესების მიზნით, ნიკომ მუშაობა განაგრძო დუშეთის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში.

მთაში ცხოვრების პერიოდში ბაჩანა აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწეოდა, თუმცა პოეტს მუდმივად თან სდევდა საზოგადობისთვის სასარგებლო საქმის კეთებისა და საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გამოყენების სურვილი. ბაჩანა ნაღვლიანად შენიშნავდა, რომ ამისთვის უმაღლესი გა-

ნათლება და გამოცდილება აკლდა, რაც მისი შეძლების ადამიანისთვის მიუღწეველ ოცნებად რჩებოდა.

1920 წელს, პირველი მდიმედ დაავადებული პოეტი იძულებული გახდა ოჯახით საცხოვრებლად გადასულიყო კახეთში, სოფელ ქვემო ქედში. აქ, დროის მცირე მონაკვეთებში, ის მასწავლებლობდა სილნალისა და ბოდბის სკოლებში. შირაქში პოეტს წამოენია ახალი უბედურება: მას გარდაცვალა უმცროსი ქალიშვილი – გულქანი. მესამე შვილის სიკვდილმა საბოლოოდ გატეხა ბაჩანას სულიერი მდგომარეობა. დაიკარგა მის ჩვეული, ხალისიანი განწყობა. ავადმყოფობის გამო სკოლას ჩამოშორებული პოეტი სახლში მუშაობდა თავისი ლექსებისა და პოემა „წაწლობის“ საბოლოო რედაქციაზე. 1924 წელს ქართველმა საზოგადოებამ აღნიშნა ბაჩანას სამწერლო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე, თუმცა მდიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფ პოეტს სათანადო დახმარება ვერავინ ვერ აღმოუჩინა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ბაჩანას ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. თბილისში სამკურნალოდ ჩამოსული ნიკო რაზიკაშვილი გარდაცვალა 1927 წლის 17 დეკემბერს ყოფილი „მიხაილოვის“ საავადმყოფოში. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მონაცემები – თითქოს პოეტი გარდაცვალა 1928 წლის 18 დეკემბერს, არ შეეფერება რეალობას. 1927 წლის 18 დეკემბერს გაზეთ კომუნისტიში გამოქვეყნდა ცნობა ბაჩანას გარდაცვალების შესახებ.<sup>390</sup> ამ ფაქტს ადასტურებს მიხეილ რაზიკაშვილის მიერ 1928 წლის 16 იანვარს სანდროსადმი გაგზავნილ წერილი, სადაც პოეტის დისწული გამოთქვამს გულისტყვივილს, რომ ვერ დაესწრო ბიძის დაკრძალვას.<sup>391</sup> წერილის შინაარსის მიხედვით, ბაჩანა გარდაცვალა ადრესანტის მიერ მის დაწერამდე ერთი თვით ადრე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბაჩანა გარდაცვალა არა 1928 წლის დეკემბერში, არა ამედ 1927 წლის 17 დეკემბერს. პოეტი დაკრძალეს დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

პედაგოგიურ საქმიანობას ბაჩანამ თავისი სიცოცხლის 36

<sup>390</sup> იხ. პოეტ ბაჩანას გარდაცვალება, გაზეთი „კომუნისტი“, 1927, 18 დეკემბერი, №287, გვ. 5.

<sup>391</sup> იხ. რაზიკაშვილების მიმოწერა, გვ. 235-236.

წელზე მეტი ხანი მოახმარა. ნიკო რაზიკაშვილი გახლდათ ხევსურეთსა და ფშავში ახლად გახსნილი სკოლების პირველი მასწავლებელი, რომელმაც ამ კუთხის ყმაზე გილებში სწავლა-განათლებისადმი ინტერესი გააღვიძა: თავისუფალ დროს პოეტი ბავშვებს უკითხავდა ლიტერატურას და მათთან ერთად მსჯელობდა ქართული მწერლობისა და ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე. ბავშვები ინტერესით უსმენდნენ მასწავლებლის ემოციურ მონათხრობს ეროვნულ გმირებსა და თავისუფალი საქართველოს საამაყო წარსულზე. სანდრო რაზიკაშვილი თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ მოწაფეები, რომელთაც ბაჩანა სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა, აღმერთებდნენ თავიანთ მასწავლებელს. პოეტის შვილი, პავლე, იხსენებდა: „სადაც კი ბავშვი დაიბადებოდა, ნათლიად მამაჩემი მიჰყავდა მათ მშობლებს. ხევსურები, როგორც თითონ იტყოდა, დიდად პატივს სცემდნენ და ყოველ მის სიტყვას დიდ ფასს სდებდნენ. რომ ჰნახავდნენ, ქუდებს მოიგლევდნენ და ახლო რომ მივიდოდნენ, მუხლებზედ დაეცემოდნენ და ისე აძლევდნენ სალამს“. თავად ბაჩანაც მადლიერი ყოფილა მისადამი ხევსურების ასეთი თბილი დამოკიდებულების გამო. ცნობილია, რომ პოეტი ეკონომიურადაც ეხმარებოდა გაჭირვებაში მყოფ შეგირდებს. ნიკოს გამოუსწორებელი რეალობით მოგვრილ ნაღველს უმსუბუქებდნენ საყვარელი მოწაფეები, რომლებთანაც ის დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა.

ცხოვრების მძიმე პირობებისა და პირადი ტრაგედიის მიუხედავად, ბაჩანას მუდამ მშობლიური ქვეყნისთვის შესტკიოდა გული. პოეტს უკეთესი მომავლის იმედი ასულდგმულებდა და მის ლექსებშიც ოპტიმისტური სულისკვეთება იგრძნობოდა. ბაჩანა თვალყურს ადევნებდა საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებს: ძმებთან ერთად ისიც თანაუგრძნობდა 1905 წლის გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას და რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლებს: „ძმებს სძულდათ ყოველგვარი უქეში, განუსჯელი ადმინისტრაციული გამოვლინება, დამყარებული მაგრად დაჭედილ რკინის ქუსლებიან ჩექმებზედ და თოფის ხიშტებზე“ (ივანე რაზიკაშვილი). ბაჩანასა და ლუკას სახლში არა ერთხელ შეუფარებიათ პოლიციის მიერ ძებნილი მამული შვილები.

ცნობილია, რომ ძმები რაზიკაშვილები ერთმანეთის ლიტ-ერატურულ გემოვნებას დიდად აფასებდნენ, თუმცა ბაჩანა ხშირად ეკამათებოდა ლუკას ამა თუ იმ თხზულების იდეურ-მხატვრული გადაწყვეტისა და ზოგადად, ქართული მწერ-ლობის არსებით საკითხებზე. ძმების შემოქმედებითი თვით-მყოფადობის მიუხედავად, მათი მსოფლმხედველობა ღრმა ეროვნული ფესვებით და ერთი იდეური მრწამსითაა ნასაზ-რდოები.

ბაჩანას პატრიოტული ლირიკა ხალხში დიდი მოწონებით სარგებლობდა. პოეტის შემოქმედებაზე მაღალი აზრისანი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, არტურ ლაისტი და სხვა საზოგა-დო მოღვაწენი. 1885 წლიდან ბაჩანას ლექსები, მოთხრობები და კორესპონდენციები ხშირად იძექდებოდა უურნალებში – „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „ერი“, „მოამბე“, „განათლება“ და გაზეთებში – „დროება“, „თეატრი“, „ივერია“, „კვალი“, „კო-მუნისტი“. გაზეთ „ივერიის“ 1898 წლის 9 და 10 ოქტომბრის ნომრებში გამოქვეყნდა ბაჩანას მიერ ხევსურეთში ჩაწერილი ხალხური ლექსები – „საეპოსო მასალა“.

ნიკო რაზიკაშვილის სიცოცხლეში გამოქვეყნდა მისი ხუთი პოემა: „სულა და ლმერთები“ (ჟურნ. „განათლება“, თბ., 1884, №2–10), „თაღლაუარა“ (გაზ. „ივერია“, თბ., 1887), „დაბადე-ბა და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ (თბ., 1890), „ნანაის სიმღერა“ (გაზ. „ივერია“, თბ., 1900) და „დიაკვინიანი“ (თბ., 1902). ნიკო ვერ მოესწრო „ქშნ კგ საზოგადოებისთვის“ ჯერ კიდევ 1920 წელს დასაბეჭდად გადაცემული რჩეული თხზუ-ლებების ერთად გამოცემას. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ბაჩანას გადაწყვეტილი ჰქონია თავისი ნაწარმოებების სრუ-ლი კრებულის „სახელგამის“ სტამბაში დაბეჭდვა. პოეტის გარდაცვალებიდან 11 წლის შემდეგ ეს საქმე ითავა სოლომონ ყუბანეიშვილმა, რომელმაც 1938 წელს შეადგინა და სტამბა „ფედერაციაში“ დაბეჭდა ავტორის მიერ რედაქტირებული ლექსებისა და პოემების პირველი სრული აკადემიური გა-მოცემა. მკვლევარს ბაჩანას მიერ სანდრო რაზიკაშვილთან დატოვებული და დასაბეჭდად მომზადებული ხელნაწერ-ებიდან წიგნში არ შეუტანია მხოლოდ მისი ოთხი ლექსი და პროზაული ნაწარმოებები. 1988 წელს, გამომცემლობა „მერ-

ანის“ სტამბაში ივანე ქართველიშვილის წინასიტყვაობით დაიბეჭდა ბაჩანას რჩეული ლექსებისა და პოემების მეორე კრებული - „მუხავ, მიყვარხარ, ტიალო“.

ნიკოსა და მის მეუღლეს, მარიამ გურასპაულს, რვა შვილი შეეძინათ. აქედან სამი მათგანი: ვაჟი – მასონა, ქალიშვილები – იათამზე და გულქანი ავადყოფობით დაეღუპათ. ბაჩანას დარჩა ხუთი შვილი: პავლე, ნინო, ივანე (ვანო), მარიამი (მართა) და გიორგი (გიგლა). ბაჩანას შვილები ჩარგალში არიან დაბადებულნი. პოეტის სამივე ვაჟმა დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია. პავლემ და გიორგიმ შემდგომში მიიღეს უმაღლესი განათლებაც, ისინი ჩარგალში მასწავლებლობდნენ, ივანე კი - ქვემო ქედში.

პავლე ნიკოლოზის ძე რაზიკაშვილი (1895 – 1985) - ბაჩანას უფროსი შვილი, პროფესიით ეკონომისტი, შესანიშნავად ფლობდა რუსულ და გერმანულ ენებს და თარგმნიდა ლიტერატურას. პავლე ცხოვრობდა ჩარგალში და მუშაობდა პედაგოგად ამავე სოფლის სკოლაში. პავლე რაზიკაშვილს დაწერილი აქვს მოგონებები ვაჟა-ფშაველასა და ბაჩანაზე.<sup>392</sup> პავლეს ჰყავდა ერთადერთი ვაჟი – ლუკა. ლუკას დარჩა ოთხი შვილი: ვაჟა, ნანა, მანანა და დავითი (სოფ. ქვემო ქედი).

ნინო ნიკოლოზის ასული რაზიკაშვილი (1902 – 1983) ცხოვრობდა სოფელ ქვემო ქედში. მისი ვაჟი ილია (მამის გვარი – ზურაშვილი) დედის გვარს ატარებდა. ილია პროფესიით ფიზიკოსი იყო, მაგრამ გამოირჩეოდა პოეტური ბუნებით და წერდა ლექსებს. მისი მემკვიდრეები არიან: მზია და ალექსანდრე (სანდრო) რაზიკაშვილები (ქ. თბილისი).


ივანე (ვანო) ნიკოლოზის ძე რაზიკაშვილი (1904 – 1991) ცხოვრობდა ქვემო ქედში და პედაგოგად მუშაობდა ამავე სოფლის საშუალო სკოლაში. მას დაწერილი აქვს მოგონება ბაჩანაზე, რომელიც გამოქვეყნდა უურნალ „ლაშარის“ 1991 წლის მეორე ნომერში (გვ. 160–167). ვანოს შვილები – იმედა, მართა, მარიამი (მარო), ნუნუ და იათამზეც სოფელ ქვემო ქედში დამკვიდრდნენ. იმედასა და მართას შთამომავლები არ

<sup>392</sup> იხ. გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი: №13 379/263 – 13 381/263 (მოგონება ვაჟაზე); №13 484/266 (მოგონება ბაჩანაზე).

დარჩენიათ. მარიამის შვილები არიან: ალექსანდრე, ლალი და მალხაზ ლაჩიშვილები. ნუნუ რაზიკაშვილს ჰყავს სამი მემკვიდრე – ბექა, შორენა და ნათია ქისტაურები. იათამზეს დარჩა ორი ვაჟი – ვაჟა და კახა გარაქლოვები.

მართა ნიკოლოზის ასული რაზიკაშვილი (1906 – 1936) ცხოვრობდა სოფელ ქვემო ქედში. აქ დაიბადნენ მისი შვილები: ვახტანგ, ბაბალე (ბაბულია), შოთა და ეთერ ჩობალაურები. ვახტანგის შთამომავლები არიან: ალექსანდრე, ბაჩუკი, ზაქარია და მაია, ბაბალესი – ვახტანგ და დალი მინდოდაურები, შოთასი – მანანა (ქ. თბილისი), ეთერისა – ნიკოლოზ და ლია მაჭარაშვილები (სოფ. ქვემო ქედი).

გიორგი (გიგლა) ნიკოლოზის ძე რაზიკაშვილი (1910 – 1995) ცხოვრობდა ჩარგალში. მან დაამთავრა ალ. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, მუშაობდა ჩარგლის სკოლის დირექტორად და ამავე სკოლაში ასწავლიდა რუსულ ენასა და გეოგრაფიას. გიორგისა და მის მეუღლეს, მარიამ ჟამიაშვილს ეყოლათ ქალ-ვაჟი: ლამარა და დავითი. დავითს დარჩა ორი შვილი: ზაზა და ნუნუ (იგივე ლელა). ზაზა დავითის ძე რაზიკაშვილის შთამომავლები არიან: შორენა, ლუკა და ნიკოლოზი (ქ. თბილისი), ლელა რაზიკაშვილისა კი – მარიამ, ბარბარე და მელანო მეგრელიძეები (ქ. თბილისი). ლამარა გიორგის ასული რაზიკაშვილი ცხოვრობს თბილისში. მისი მემკვიდრეა მანანა სამაშვილი, რომელსაც ჰყავს ორი შვილი: ბაჩანა და ანა ფარადაშვილები (ქ. თბილისი).




ბაჩანა  
(ნიკოლოზ რაზიკაშვილი)

ბაჩანა და შიო მღვიმელი



ბაჩანას ვაჟი ივანე

ბაჩანას შვილები: პავლე და გიორგი



## თევდორე (თედო) პავლეს ძე რაზიკაშვილი (1869 – 1922)

თედო რაზიკაშვილი დაიბადა სოფელ ჩარგალში, 1869 წლის 1 ნოემბერს. მწერალმა პირველადი განათლება მიიღო ჩარგლის დაწყებით სკოლაში. 1883 წელს ის ჩაირიცხა გორის სემინარიასთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებაზე. 1889 წელს თედომ წარჩინებით დაასრულა სემინარიის სრული კურსი. 1890 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ის პედაგოგად დანიშნა სოფელ ხელთუბნის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი თავიდან სკოლის შენობაში ცხოვრობდა, რადგან საკუთარი სახლი და მიწა არ გააჩნდა. სკოლის ეზოში თედომ ხეხილი დარგო და ბოსტანი გამართა. მალე თედომ ერთი ჭაობიანი მიწის ნაკვეთიც შეიძინა, რომელიც თანდათან სამოთხის ბაღს დაამსგავსა. 1891 წელს მწერალმა ცოლად შეირთო ადგილობრივი გლეხის შვილი თინათინ (თიკო) იშხანაშვილი. დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ, მწერალს ზურგზე დააწვა ახლადშექმნილი ოჯახის მოვლისა და თელავის სკოლაში მიბარებული უმცროსი ძმის აღზრდის პასუხისმგებლობა. მასში მოჭარბებულად შეიგრძნობოდა რაზიკაშვილების ოჯახის წევრთა ურთიერთობისათვის ნიშანდობლივი თბილი და მოსიყვარულე ბუნება: „ვიცოცხლო, ძმაო, რო თქვენ დაგედვათ მტლად, რო თქვენ შამოგწიროთ ჩემი სიცოცხლე“. - სწერდა იგი სანდროს მშობლების გარდაცვალების შემდეგ გაგზავნილ წერილში.

თედო პედაგოგიური და შემოქმედებითი უნარის გარდა, გამოირჩეოდა იშვიათი შრომისმოყვარეობით. ის დაჯილდოებული იყო პრაქტიკულობითა და კომერციული ნიჭითაც. ხელთუბნის სკოლის ერთადერთ მასწავლებელზე იყო დამყარებული ამ სკოლის ბედი და შეგირდთა კეთილდღეობა, სკოლიდან სახლში დაბრუნებულს კი უამრავი საქმე ხვდებოდა. თედოს მთელს რაიონში სანიმუშო ბოსტანი და ხეხილის იშვიათი ჯიშები ჰქონდა. მოგვიანებით მან ხელი მიჰყო მეფუტკერებას და ფუტკრის ასამდე სკაც მოამრავლა. მწერალმა რამდენიმე პარტიონორთან ერთად დააარსა ხელთუბნისა და მისი

მიმდებარე სოფლებისთვის საერთო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომლის საშუალებითაც არა მარტო სოფლის პროდუქტების გაყიდვა, არამედ აზერბაიჯანში ხილის ბარტერული გაცვლა ხორციელდებოდა; მალე, მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა რაიონში ერთ-ერთი პირველი სასოფლო-სამეურნეო ბანკი, გაიხსნა სავაჭრო პუნქტები და სოფლის ბიბლიოთეკა. ამდენ საქმესთან ერთად, თედო თავისუფალ დროს მუდმივად ზრუნავდა თვითგანვითარებაზე, კითხულობდა და ეცნობოდა პრესის ახალ პუბლიკაციებს. დღისით მოუცლელი მწერალი ღამე წერდა და ცდილობდა გამომცემლებისთვის დროზე მიეწოდებინა თავისი ნაწერები.

ხალისიანი და საინტერესო მასპინძლის – თედოს ოჯახში ხშირად იყრიდნინ თავს ნათესავები, გორის ინტელიგენციის წარმომადგენლები და თბილისიდან ჩასული სტუმრები. სიკო ფაშალიშვილის სიტყვებით, „თედოს სახლში მარტო ხორაგი და ღვინო როდი იყო ნადიმის დამამშვენებელი: მის ოჯახში გაშლილი სუფრა – ეს გონებრივად გავარჯიშებისა და სულიერი დასვენების საბაბსაც წარმოადგენდა, რაც განსაკუთრებით ვაჟას კომპანიაში იგრძნობოდა. აქ იწყებოდა მეტად სერიოზული მასლაათი მწერლობასა და ხელოვნებაზე. კამათობდნენ ფართო დიაპაზონის ლიტერატურაზე და საგულისხმო დასკვნებიც გამოჰქონდათ“.

თედო, როგორც მშრომელი მოსახლეობის თავგამოდებული დამცველი და მათი მისწრაფებების გამზიარებელი, ახალგაზრდობაშივე ჩაერთო ხალხოსნურ მოძრაობაში. „თედო რაზიკაშვილი სასტიკი და ულმობელი მამხილებელი იყო ყოველივე უსამართლობისა, მოურიდებელი მდევნელი იყო იმ ნაძირალებისა, თუ ცხვრის ქურქში გახვეული მგლებისა, – სულ ერთია შინაურებისა თუ გარეულებისა, – რომელნიც ასე უდიერად ატყუებენ და სჩაგრავენ ჩვენს გლეხკაციბას“ – წერდა ია ეკალაძე. მწერლის სახლი ხელოუბანში მთავრობისაგან და მემამულეთაგან დაჩაგრული გლეხების აგიტაციის ცენტრად გადაიქცა. მწერლის პატრიოტული სულისკვეთება და საქვეყნო საქმეებისადმი თავდადება თვალშისაცემი იყო იმდროინდელი მოხელეებისთვის, რომლებიც მისი დაპატიმრების მიზეზს ეძებდნენ. 1905 წლის 12 სექტემბერს თედო დაიჭირეს და რუსეთში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს. ბედზე

მწერალს ოქტომბრის მანიფესტმა მოუსწრო და გზიდან უკან დააბრუნეს, მაგრამ მისი დევნა ამით არ დამთავრებულა: 1906 წელს მწერალს სახლი ზარბაზნებით დაუნგრიეს და ცოლ-შვილით უსახლკაროდ დატოვეს, რის შემდეგაც ის იძულებული გახდა ოჯახით ფშავში, ძმებთან გახიზნულიყო. ხელთუბანში დაბრუნებული თედო 1907 წელს კვლავ ძლივს გადაურჩა დაპატიმრებას.<sup>393</sup> რამდენიმე წლის შემდეგ მან მოახერხა გადამწვარი სახლის რესტავრაცია და კიდევ უფრო გააფართოვა თავისი მეურნეობა.

თედო რაზიკაშვილის პატიოსნება და შეუპოვარი ხასიათი სოფლის მომხვეჭელი გლეხებისთვის ნამდვილ დაბრკოლებას წარმოადგენდა: შურდათ მისი ნიჭი, კეთილშობილება, ფეხ-ჩაუხრელი შრომით შექმნილი დღვლათი, ხალხის კეთილგან-წყობა და წარმატება. 1921 წლის თებერვალის მოვლენების შემდეგ დადგა ამხანაგური კოოპერატივის დაშლის საკითხი. კოოპერატივის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, კოტე თუმანოვ-მა მოიდომა ქონების ხელში ჩაგდება, თედო კი მყარად იდგა იმ აზრზე, რომ გლეხების საკეთილდღეოდ შექმნილი ქონება ისევ სახელმწიფოსა და ხალხს უნდა მოხმარებოდა. ამ ნიადაგზე მწერალს სამკვდრო-სასაცოცხლოდ გადაეკიდნენ მისი ყოფილი პარტნიორები. „ბოლშევიკის ქურქში“ გახვეული რამდენიმე ბობოლა გლეხის უარყოფითი განწყობა ხელ-საყრელი აღმოჩნდა კომუნისტებისთვის, რომელთაც ვერ აპატიეს მწერალს სამშობლოს უანგარო სამსახური. მთავრობის ხელშეწყობით თედოს წინააღმდეგ პირი შეკრეს: კოტე და ბაბალკა თუმანოვებმა, არტემ ფალელაშვილმა და მისმა ნათესავებმა. ერთხელ თედოს გზაზე დახვდნენ მოსაკლავად, მაგრამ მწერალმა მოიშორა თავდამსხმელი. ამის შემდეგ მეზობლებმა მას გაუჩეხეს ბაღი, მოჰპარეს საქონელი და ფუტკარი. ბოლოს, 1922 წლის 19 იანვარს მტრები ლალატით თავს დაესხნენ მწერალს და მრავლობითი ჭრილობების მიყენებით სიცოცხლეს გამოასალმეს. თედო რაზიკაშვილი დაკრძალეს საკუთარ ეზოში, ხოლო ერთი თვის შემდეგ მისი ნეშტი გადმოასვენეს თბილისში, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პან-თეონში.

<sup>393</sup> იხ. მიხა რაზიკაშვილის 1907 წლის 14 აპრილით დათარიღებული წერილი სანდრო რაზიკაშვილისადმი, რაზიკაშვილების მიმოწერა, გვ. 207.

თედო-პედაგოგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდების ეროვნულ საწყისებზე აღზრდასა და სულიერ განვითარებას. აუცილებელი საპროგრამო საგნების სწავლების გარდა, ის შეგირდთა ზოგად განათლებაზეც ზრუნავდა. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ფონდში დაცულია მწერლის მიერ 1894 წელს „ქშნ კვ საზოგადოებისადმი“ წარდგენილი ანგარიში ხელთუბნის სკოლის მეორე განყოფილების ბავშვებთან მისი მუშაობის შესახებ, სადაც იგი აღნიშნავდა: „.... ყველა ზემოთქმულის გარდა, მოწაფეებს მიჰქონდათ ხოლმე სახლში საკითხავად წიგნები, იქ კითხულობდნენ და მერე წაკითხულს კლასში ყველას გასაგონად იტყოდნენ. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს იმათ კითხვაში გავარჯიშებაზე. ისე კითხულობენ ქართულს, გეგონებათ ოცი წელიწადი ამ წიგნებზე მჯდარა და უკითხნიაო. წლის განმავლობაში წაიღეს 400 წიგნი“.

თედო რაზიკაშვილს, როგორც პედაგოგს, საზოგადო მოღვაწეს, მწერალსა და ფოლკლორისტს, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ (რომლის წევრიც თავად იყო) და იმდროინდელი პრესის – „ივერიის“, „ჯეჯილის“, „კვალის“, „ნაკადულის“, „მოამბის“, „განათლების“, „ფასკუნჯის“, „ნიშადურის“, „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქციებთან. მწერალი საქართველოში გამოცემული ჟურნალ-გაზეთების ნამდვილი გულშემატკიცარი გახლდათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონაწილეობა საბავშვო უურნალ „ჯეჯილის“ გამოცემის ისტორიაში. მწერალი ხშირად კაპიკების ფასად, ან ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე აწვდიდა მასალას რედაქციებს, რადგან მას სამწერლო საქმე და სამშობლოს სამსახური უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა. გამომცემლებიც სათანადოდ აფასებდნენ თედოს ლირსებებს. მიუხედავად ამისა, თავმდაბალ მწერალს არ უყვარდა თავის გამოჩენა: მას მიაჩნდა, რომ ვაჟა-სა და ბაჩანას ფონზე მისი შემოქმედება ნაკლებ ყურადღებას იმსახურებდა. ცნობილია, 1911 წელს ქართული თეატრის სცენაზე, ილიასადმი მიძღვნილ ტრადიციულ საღამოზე, ძმებთან ერთად თედოს გამოსვლის ერთადერთი შემთხვევა: „სამივე სადაც, მაგრამ მშვენივრად ქართულ ჩოხა-ახალუხში იყვნენ გამოწყობილნი... სამივე თავისებურად კითხულობდა. ვაჟას

დეკლამაცია საზოგადოებისთვის ცნობილი იყო თავისი გან-საკუთრებული ორიგინალობით. ბაჩანას წაკითხვა სადა იყო, დიალექტური მახვილით, არაარტისტული, შაირის კილოზე შესრულებული. სხვაგვარად კითხულობდა თედო: იდგა ტან-მკვრივი, მხარბეჭიანი, სახედაჟინულული, ოდნავ წვრილი თვალებით და ლითონნარევი, ენერგიული ხმით მარცვლავდა სიტყვას, მას მეტყველ ძალას შთაბერავდა. ამიტომ იყო, რომ წაკითხული ყოველთვის წარმატებას უმკიდა ავტორს.“<sup>394</sup>

თედოს ხალხურთან მიახლოებული, სადა ქართული ენით დაწერილი მოთხრობები და ლექსები პატარა მკითხველებში ბუნების, მშობლიური მიწის, პიროვნული ლირსებისა და თავი-სუფლების სიყვარულს აღვივებდა, ამიტომ უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნების დღიდანვე მათზე დიდი მოთხოვნილება იყო. მწერალმა პირველი მოთხრობა – „ნიბლია“ 1886 წელს დაწერა. 1890 წელს უურნალ „ჯეჯილის“ ფურცლებზე დაიბჭდა მისი პირველი თხზულებები: ლექსი „გუთნის-დედის სიმღერა“ და მოთხრობა „ის ამბავი“. მწერლის სიცოცხლეში გამოიცა ავტორის ორი პატარა წიგნი: პოემა „შავი ფიქრები“ (თბ., 1891) და მოთხრობა – „მურია, მეცხვარის ძალი“ (თბ., 1903). 1925 წელს გამოქვეყნდა თედო რაზიკაშვილის რჩეული თხზულებები, 1947 წელს – მოთხრობების პირველი სრული კრებული. 1971 წელს დაიბჭდა სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ავტორის რედაქტირებული მოთხრობების ყველაზე სრულყოფილი, აკადემიური გამოცემა (ორტომეული), ხოლო 1999 წელს – მწერლის რჩეული მოთხრობებისა და პოემების ჯერჯერობით ერთადერთი კრებული (რედ. თ. ბარ-ბაქაძე).

თედო რაზიკაშვილი 13 წლის ასაკიდან გატაცებით აგროვებდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ცნობილი ქართული ზღაპრები, როგორიცაა: „წიქარა“, „კომბლე“, „მზისქალი“, „სიზმარა“ და სხვ. – პირველად თედო რაზიკაშვილის მიერაა ჩაწერილი. მას „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისთვის“ მიწოდებული ჰქონია: 3000-ზე მეტი ხალხური ლექსი, 200-ზე მეტი ზღაპარი და ლეგენდა, ანდაზები, შელოცვები და გამო-

<sup>394</sup> იხ. სიკო ფაშალიშვილის ზემოთ აღნიშნული გამოცემა, გვ. 178.

ცანები. ამავე გამომცემლობამ 1909 წელს დაბეჭდა მწერლის მიერ კახეთში, ფშავსა და ქართლში შეკრებილი ქართული ზღაპრების ორტომეული. თედო, როგორც პროფესიონალი ფოლკლორისტი, ჩანაწერებში მიუთითებდა ხალხური სიტყვიერების ამა თუ იმ ნიმუშის შექმნის გარემოზე, ისტორიულ წინაპირობასა და მთქმელის ვინაობაზე. „თედო უბრალო შემკრები როდი იყო. მის წერილებში კარგად ჩანს მისი თეორიული მრნამსი ფოლკლორისტიკის ზოგად საკითხებზე. მან საყურადღებო მოსაზრებანი გამოთქვა იმის შესახებ თუ რომელი ნაწარმოები ჩაითვლება ხალხურად და რომელი - არა“. <sup>395</sup> თედო რაზიკაშვილის მოძიებული ხალხური პოეზიის მარგალიტების ნაწილი გამოქვეყნდა მწერლის სიცოცხლეში, ნაწილი - მისი სიკვდილის შემდეგ: ხევსურული ლექსები 1931 წელს დაიბეჭდა ქართული ხალხური პოეზიის პირველ ტომში, ხოლო ფოლკლორისტის მიერ განმარტებული და თემატურად დალაგებული ფშაური და თუშური ხალხური ლექსები 1953 წელს დაისტამბა „ხალხური სიტყვიერების“ კრებულში. <sup>396</sup>

ცნობილია, რომ მწერალი მწვაობდა ქართული ენის დიდი „ხალხური ლექსიკონის“ <sup>397</sup> შედგენაზე, რისთვისაც აგროვებდა როგორც ეპიკურ, ისე დიალექტიკურ სიტყვიერ მასალას. ლექსიკონის შედგენა მას 1900-იან წლებში დაუწყია. 1900 წელს მწერალმა ლექსიკონისთვის გათვალისწინებული და ანბანურად დალაგებული 900-მდე სიტყვა გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში: „ქართული ენის სიტყვის მასალად“. რამდენად მნიშვნელოვანი იყო თედოს ნაშრომი, ჩანს იქვე გამოქვეყნებული მისი კომენტარიდან: „აქ მოხსენებული სიტყვები სულ მოძებნილია საბას და ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. იქ ან სრულიად არ აღმოჩნდა და ან სხვა აზრით არის ახსნილი“.

თედო რაზიკაშვილს არაერთი ნაშრომი დარჩა გამოუქვეყნებელი. მათი დიდი რაოდენობა, სავარაუდოდ, მწერ-

<sup>395</sup> ირაკლი გოგოლაური, თავისუფლების მომღერალი, უურნალი „მნათობი“, თბ., 1970, №8, გვ. 119.

<sup>396</sup> იხ. ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩანერილი, ხალხური სიტყვიერება III, პირველი სერია II, თბ., 1953.

<sup>397</sup> თედო რაზიკაშვილის „ხალხური ლექსიკონის“ ავტორისეული ხელნაწერი (51გვ.) დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში: №21 602/415.

ლის სახლ-კარის დარბევისას დაიკარგა. „მის მაგიდასა და თაროზე ხელნაწერების სახით ტომებად ეწყო შეკრებილი და დამუშავებული მასალები, განსაკუთრებით „ხალხური გაშაირებანი“, რომლებსაც მეტად საგულისხმო კომენტარები ჰქონდა დართული. დღევანდლამდე არსად შემხვედრია მათი გამოქვეყნებული თუნდაც რამ ნაწყვეტი და, საერთოდ, მათი ბედ-ილბლის თაობაზე არაფერი მსმენია“. – აღნიშნავდა მწერლის მეგობარი, პოეტი და ლიტერატორი სიკო ფაშალიშვილი.<sup>398</sup>

თედოსა და თინათინ იშხანაშვილს დარჩათ ოთხი შვილი: გულქანი, ეთერი, ნინო და ელენე (გუგული). მწერლის ქალიშვილები, რომლებიც ხელოუბანში დაიბადნენ, საბოლოოდ დასახლდნენ თბილისში. თბილისში ცხოვრობენ მისი შვილიშვილები და შვილთაშვილები.

გულქან თევდორეს ასული რაზიკაშვილი (1893 – 1919) – ნიჭითა და სილამაზით გამორჩეული თედოს უფროსი შვილი გახლდათ. მან 1912 წელს წარჩინებით დაამთავრა გორის გიმნაზია. გულქანი ნაკითხი, ინტერესიანი და მიზანდასახული ქალი ყოფილა. ცნობილია, რომ იმერეთში ჩატარებულ ლიტერატურულ საღამოზე მიწვეულ ვაჟას თან ახლდნენ ახალგაზრდა მეგობარი სიკო ფაშალიშვილი და საამაყო ძმისნული – გულქანი. 1914 წელს თედოს ქალიშვილი დაქორწინდა გურიის მკვიდრზე, ილია იორამაშვილზე. 1919 წელს, სრულიად ახალგაზრდა გულქანი, რომელზეც მამა დიდ იმედებს ამყარებდა, ტუბერკულოზით გარდაიცვალა. გულქანსა და მის მეუღლეს, ილიკოს, დარჩათ ერთადერთი ქალიშვილი – თინათინი. თინამ მიიღო სამედიცინო განათლება, ცხოვრობდა თბილისში და მუშაობდა ექიმ-ლარინგოლოგად. მას შთამომავალი არ დარჩენია.


ეთერ თევდორეს ასული რაზიკაშვილი (1898 – 1985) – პროფესიით ფილოლოგი, 41 წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისის რკინიგზის მე-15 საბავშვო ბაღის გამგედ. მას მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის და კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

<sup>398</sup> იხ. სიკო ფაშალიშვილის ზემოთ აღნიშნული გამოცემა, გვ. 186–187.

ეთერ რაზიკაშვილი ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას (თარგმნიდა რუსულენოვან მხატვრულ ლიტერატურას). მას რაზიკაშვილთა დიდი ოჯახის შესახებ დაწერილი აქვს მოგონებები: „ცოტა რამ მამაჩემ-ბიძაჩემებზე“ და „პოეტების ოჯახში“. ეთერ რაზიკაშვილის მეუღლე გახლდათ შალვა ჭანკვეტაძე. თედო რაზიკაშვილის უფროსი ქალიშვილი ადრე დაქვრივდა და მას შვილი არ დარჩენია.

ნინო თევდორეს ასული რაზიკაშვილი (1899 – 1970) პროფესიით ექიმი-პედიატრი გახლდათ. მას ჰყავდა ორი შვილი: თეო და ციალა (ციცო) ქარუმიძეები. თეოს შთამომავალი არ დარჩენია. ციალას ქალიშვილია ნათია ჩემია. ნათიას მემკვიდრეები არიან: თინათინ ლიპარტელიანი (დაბ. 1989 წ.), გიგა (დაბ. 1994 წ.) და შალვა (დაბ. 1996 წ.) სეთურიძეები.

ელენე (გუგული) თევდორეს ასული რაზიკაშვილი (1901 – 1991) – თედოს უმცროსი ქალიშვილი, მუშაობდა თბილისის ერთ-ერთ საბავშო ბაღში. ელენეს მეუღლე იყო დავით ბე-ჟუაშვილი. მათი მზრუნველი და სტუმართმოყვარე ოჯახის დამსახურებით, რაზიკაშვილების უმცროსი თაობის წარმომადგენლებს დღესაც შენარჩუნებული აქვთ ნათესაური ურთიერთობა. დავითსა და ელენეს დარჩათ ორი მემკვიდრე: თენგიზი და მზია. თენგიზს ჰყავდა ვაჟი – დავითი. მზიას შვილია ზურაბ ჩალაძე (დაბ. 1962 წ.).



თედო რაზიკაშვილი

თედოს ოჯახი  
და მიხა რაზიკაშვილი  
(მარცხნიდან პირველი)



მარცხნიდან მარჯვნივ:  
შიო მღვიმელი,  
ივანე ბუქურაული,  
თედო რაზიკაშვილი და  
უცნობი



გულქან რაზიკაშვილის ქორწილის მეორე დღე სოფ. ხელთუბანში  
შუა რიგში მარცხნიდან მეხუთე-მეექვსე: ოედოს ქალიშვილი გულქანი  
მეუღლესთან ერთად



ნინო თევდორეს ას.  
რაზიკაშვილი



ელენე თევდორეს ას.  
რაზიკაშვილი

# ალექსანდრე (სანდრო, ანდრია<sup>399</sup>) პავლეს ძე რაზიკაშვილი (1874 – 1942)

სანდრო – პავლე რაზიკაშვილის უმცროსი შვილი – დაიბადა ჩარგალში, 1874 წლის 10 იანვარს. 1883 წლიდან 1894 წლამდე ის ცხოვრობდა და სწავლობდა თელავში. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ვაჟამ, თედომ და ბაჩანამ თავის მოვალობად ჩათვალეს უმცროსი ძმის აღზრდა-პატრონბა, თუმცა მათი მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, სანდროსათვის თელავში დაქირავებული ბინის, კვებისა და ტანსაცმლის ხარჯების გადახდა, უმეტეს შემთხვევაში, თედოს უწევდა. თელავის რეალური სასწავლებლის კურსის დასრულების შემდეგ, სანდრო ოთხი წელი თედოსთან, ხელთუბანში იმყოფებოდა და ეხმარებოდა ძმას სოფლის საქმეში. 1899 წელს სანდრომ ფოსტის მოხელედ დაიწყო მუშაობა აბასთუმანში. 1900 წლის გაზაფხულზე ის გადმოიყვანეს თბილისის მთავარ ფოსტაში. სანდრო საბოლოოდ დედაქალაქში დამკვიდრდა და აქ მოეკიდა ოჯახს.

სანდრო რაზიკაშვილი ორჯერ დაოჯახებულა. პირველი ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. მეორედ, 1909 წელს მან ცოლად შეირთო ბარბარე (ბაბო) პეტრიაშვილი, რომელთანაც შვილი არ ეყოლა. სანდრომ და მისმა მეუღლემ გაზარდეს ბაბოს დისშვილები: ქეთევან და ნათელა ფურცელაძეები. სანდრო გარდაცვალა თბილისში. ის დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.

რაზიკაშვილების მიმოწერიდან ჩანს, რომ სანდრო რაზიკაშვილი დაუზარელად ასრულებდა სოფლად მცხოვრები ძმების ყველა თხოვნას, რომელიც ეხებოდა დედაქალაქის გამომცემლობებთან მათი ურთიერთობის საკითხებს. ის ცდილობდა ყველანაირად დახმარებოდა გაჭირვებაში მყოფ ოჯახის წევრებს. როდესაც სანდროს პკითხეს, – შენ კი რატომ არა წერ ლექსებსო, მან მიუგო: „ეჰ, მეც რომ ვწერო რაღა გვაცხოვრებსო, ისევ ეს ვარჩიე, ვიმსახურო, რომ ძმებს მაინც დავეხმარო, ეგენიც გვეყოფიანო“. უმცროს რაზიკაშვილს

<sup>399</sup> ანდრია – ალ. რაზიკაშვილის ნათლობის სახელი.

წილად ხვდა მწარე ხვედრი – გამხდარიყო ადრე წასული ძმების საინტერესო ცხოვრების მემატანე.<sup>400</sup>

სანდროს მოსიყვარულე ოჯახის კარი მუდამ ღია იყო ახლობლებისა და სტუმრებისთვის: ვერისუბანში, ყოფილი მლეთის (ახლა უკვე ძმები რაზიკაშვილების) ქუჩის №9-ში მდებარე სანდროს პატარა ბინაში ხშირად იკრიბებოდნენ მისი ოჯახის წევრები, წათესავები და საზოგადო მოღვაწეები. „საუცხოო სურათს წარმოადგენდა ყოველთვის, როცა ყველა ძმა, რაზიკაშვილები ერთად შეიკრიბებოდნენ, პირდაპირ სადღესასწაულო ხასიათი ეძლეოდა მათ ერთად შეკრებას“. – წერდა ნიკოლოზ ნათიძე, სანდრო რაზიკაშვილი კი იგონებდა: „მე რაკი თბილისში ვცხოვრობდი და აქა ვმსახურობდი, ჩემი ძმები სულ ჩემთან იყვნენ; ვაჟა ხომ ჩემი ხშირი სტუმარი იყო. ის მთელი ზამთრობით ჩამოვიდოდა თბილისში და სულ ჩემთან ცხოვრობდა. როდესაც თედო გაიგებდა ვაჟას ჩემთან ყოფნას, მაშინვე ისიც თბილისში გაჩნდებოდა. მოხდებოდა ისეც: ვაჟაც და ბაჩანაც ორივენი აქ დაპხვდებოდა და მაშინ გენახათ მისი სიხარული“.<sup>401</sup>

ვაჟას თბილისურ ბინაში გამოყოფილი ჰქონდა თავისი მოსასვენებელი კუთხე და სამუშაო მაგიდა, სადაც წერდა ან ასწორებდა გამომცემლობებში დასაბეჭდად მისატან თხზულებებს. სანდროს სახლში სხვადასხვა პერიოდში თვეობითა და წლობით ცხოვრობდნენ მისი ძმის შვილები: ვაჟას შვილი – ლევანი, თედოს ქალიშვილები, ბაჩანას შვილები – პავლე, ვანო და გიგლა; ლევანმა და ბაჩანას ვაჟებმაც მისი ხელშეწყობით დამთავრეს გიმნაზიის სრული კურსი. სანდროს გამორჩეულად თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მასზე რამდენიმე წლით უმცროს დისშვილთან – მიხეილ რაზიკაშვილთან. სანდროს ბინის ბოლო მკვიდრნი იყვნენ ქეთევან ფურცელაძე და მისი ვაჟი – სანდრო მახვილაძე.

1987 წელს რაზიკაშვილების ქუჩაზე მდებარე ამ ისტორიულ შენობაში მუზეუმი გაიხსნა. სამწუხაოდ, 1995 წლის 17 თებერვალს, შენობას ჩამოერთვა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და სანდრო რაზიკაშვილის

<sup>400</sup> სანდრო რაზიკაშვილის მოგონებები თედოსა და ბაჩანაზე გამოქვეყნდა ქურნალში: „ლიტერატურის მატიანე“, თბ., 1949, №5, გვ. 40-60.

<sup>401</sup> იქვე: გვ. 46.

ბინა კერძო მფლობელის – თამარ რაზიკაშვილის (ვახტანგ რაზიკაშვილის ქალიშვილის) ხელში გადავიდა. სახლმუზე-უმის გაუქმების შემდეგ იქ დაცული მემორიალური ნივთები გადაეცა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს.




თედოს ქალიშვილი გულქანი, ვაჟა-ფშაველა და  
სანდრო რაზიკაშვილი სანდროს ბინაში, მლეთის ქუჩაზე



სანდრო რაზიკაშვილი  
და ვაჟა-ფშაველა



სანდრო რაზიკაშვილი  
მეუღლესთან, ბარბარე  
პეტრიაშვილთან ერთად



სანდრო და მიხეილ რაზიკაშვილები

## სარჩევი:

წინასიტყვაობა .....	3
პავლე რაზიკაშვილის წერილები.....	13
ლუკა რაზიკაშვილის (ვაჟა-ფშაველას) წერილები .....	18
გიორგი რაზიკაშვილის წერილები.....	23
ნიკოლოზ (ბაჩანა) რაზიკაშვილის წერილები .....	27
ალექსანდრე (სანდრო) რაზიკაშვილის წერილები .....	58
მიხეილ (მიხა) რაზიკაშვილის წერილები .....	75
გრიგოლ აფშინაშვილის წერილები .....	86
ნიკოლოზ (ნიკო) ჯანაშიას წერილები.....	111
შიო ქუჩიუკაშვილის (შიო მლევიძის) წერილები.....	120
მარიამ დემურიას წერილები.....	129
ივანე როსტომაშვილის წერილები .....	134
სოფიო (სონა) ციციშვილის წერილები.....	138
ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის წერილები .....	142
ლევან წერეთლის წერილები .....	172
გიორგი თუმანიშვილის წერილები .....	175
აპოლონ წულაძის წერილები.....	182
ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის წერილი .....	186
ივანე მაჭავარიანის წერილი .....	188
ელენე (ელიკო) წერეთლის წერილი .....	189
ნიკოლოზ ნათიძის წერილი .....	191
ნინო ნაკაშიძის წერილი.....	192
იოსებ გრიშაშვილის წერილი.....	193
ალექსანდრე (ასიკო) ერისთავის წერილი .....	194
არისტო ქუთათელაძის წერილი .....	195
იაკობ ცინცაძის წერილი.....	196
უცნობი ავტორის წერილი .....	198
ნ. თუმანიშვილის წერილი .....	200
წერილები „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობიდან.....	201
პირთა საძიებელი.....	206
პავლე რაზიკაშვილის შთამომავლობა:	
გენეალოგია და ბიოგრაფიული ცნობები .....	221
პავლე რაზიკაშვილი .....	223

გიორგი რაზიკაშვილი .....	225
მართა რაზიკაშვილი .....	228
ლუკა რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველა) .....	234
ნიკოლოზ (ბაჩანა) რაზიკაშვილი .....	253
თევდორე (თედო) რაზიკაშვილი .....	263
ალექსანდრე (სანდრო) რაზიკაშვილი .....	273

**შპს “ირიდა”**  
**რუსთავი, ფიროსმანის ქ. №7**  
**ტელ.: 0341 24 30 29**

